სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: *„თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია“*

მაყვალა ანთაძე

წარმართულისა და ქრისტიანულის სინთეზი (რეცეფცია) გოდერძი ჩოხელის ბელეტრისტიკაში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი - მარინა ტურავა, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

შინაარსი

სარჩევი ---------- 2

შესავალი ---------- 3

თავი I.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი პორტრეტი

(გუდამაყრიდან დანახული სამყარო) ---------- 11

თავი II.

წარმართულ-ქრისტიანული გოდერძი ჩოხელის რომანისტიკაში

2.1. რომან „ადამიანთა სევდის“ ეგზისტენცია ---------- 24

2.2. ენიგმა „მგელი“ (რომანი „წითელი მგელი“) ---------- 53

2.3. ქვეყნის გადარჩენის იდეა (რომანი „სულეთის კიდობანი“) ---------- 83

თავი III.

ძველისა და ახლის სინთეზი (მცირე პროზის მიხედვით)

3.1. წარმართული რიტუალების ანარეკლი

(მოთხრობები „ჩემი წიგნი“, „თოვაში გასვენებული დღესასწაული“) ---------- 118

3.2. ღვთისშვილთა საბრძანისი (მოთხრობა „ხთისშვილი“) ---------- 128

3.3. წმინდა გიორგის კულტი, ძველი და ახალი აღთქმის კონცეპტები

(მოთხრობა „გაცოცხლებული მიცვალებული“) ---------- 135

დასკვნა ---------- 160

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 175

შესავალი

ეროვნული მწერლობა ქართველთათვის ის სივრცეა, რომლიდანაც გამუდმებით უნდა ისმოდეს თავისუფლების, სიკეთის, სათნოების, რწმენის, სამშობლოს სიყვარულის თემები. ჩვენში ლიტერატურა არასდროს ყოფილა ეროვნული ცნობიერებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნებისგან დაცლილი. გოდერძი ჩოხელი თავისი შემოქმედებით აგრძელებს ამ ტრადიციას. მან იცის, რაზე წერს, რატომ წერს და ვისთვის წერს, ზუსტად იცის მიზანი და დანიშნულება იმ ლიტერატურული მემკვიდრეობისა, რომლის შექმნასაც მთელი ცხოვრება შეალია. ერთი მხრივ, ჩოხელი აგრძელებს ქართული ლიტერატურის ტრადიციულ, მაგისტრალურ ხაზს, მაგრამ, მეორე მხრივ, უღრმავდება ისეთ თემებს, რომლითაც ახალი შენაკადები, განწყობები შემოაქვს ლიტერატურულ სივრცეში.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანია, ხშირად წინააღმდეგობრივიც კი, რაც ართულებს მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევას, მთლიანობაში გააზრებას. ხაზგასმულ სირთულეს მისი რწმენასთან დამოკიდებულებაც განსაზღვრავს. წარმართულისა და ქრისტიანულის სინთეზი ავტორის შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი კონცეპტიცაა და მნიშვნელოვანი ნიშანიც.

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ჩოხელი დრომოჭმულად, რეტროგრადულად მიიჩნევდა გუდამაყრელთა ტრადიციებსა და რიტუალებს, თუმცა კატეგორიულად ამის მტკიცება არასწორია, რასაც მწერლის სიტყვებიც ცხადყოფს: „არ მინდა, არაგვის ხეობაზე მოიშალოს ის წესები, რაც ჩვენს მამა-პაპას დღემდე შემოუნახავს, ეს სალოცავები, ქალის გათხოვება-დანიშვნის წესები, ჭრელა-ჭრულა წინდების და ფარდაგების მოქსოვის წესი და ყველაფერი ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს“ [ჩოხელი, 2012:43]. არსებობდა გარკვეული წეს-ჩვეულებები, რომლებიც მწერალს დრომოჭმულად, ამავე დროს, დისკრიმინაციულად მიაჩნდა, მაგალითად, მშობიარე ქალის ოჯახიდან იზოლირება, ქალების სალოცავებიდან, სამანებიდან დისტანცირება. ამ მხრივ იგი, ვფიქრობთ, ვაჟა-ფშაველას პოზიციას იზიარებს: მოსწონს პოზიტიური, მისაღები ტრადიციები, მაგრამ უპირისპირდება მკაცრ ადათებს. მარტო ამ ნიშნით როდი ენათესავება ვაჟა-ფშაველას ჩოხელი, რომელსაც მიაჩნდა, „ვაჟას ნაქონი ტყვია ვარ, ჯერ თოფში გაუსროლელი“, ,,ვაჟას ჯიბიდან გადმოვუვარდიო“. თუ ვაჟა თუშ-ფშავ-ხევსურეთის, ფშავის სინამდვილეს წარმოაჩენს, ჩოხელი პირველია, ვინც გუდამაყარი აქცია შემოქმედების მთავარ ტოპოსად. ამ მხრივ, ავტორი ნოვატორია - გუდამაყრის შვილი ყველაზე უკეთ იცნობდა

იმ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე იცავდნენ წინაპრები და რომელთა მონაწილეც ხშირად თავად იყო. ჩოხელი რეალურ ამბებსა და ადამიანებზე დაყრდნობით ქმნის მხატვრულ სამყაროს, შემოქმედების მთავარი მიზანიც გუდამაყრის, ჩოხის ყოფის, სულიერების შენახვა, დანარჩენი სამყაროსათვის გაცნობაა.

საქართველოს მთა, კონკრეტულად, გუდამაყარი, ჩოხი ურთულესი კულტურულ/-სარწმუნოებრივი ფენომენია, სადაც ერთმანეთს ერწყმის პოლითეისტურ/მონოთეისტური, წარმართული და ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები. საუკუნეების მანძილზე ისე შეენივთა ერთმანეთს წინაპრების უძველესი რწმენა და ქრისტიანობა, რომ ხშირად გამიჯვნა, განსხვავება შეუძლებელია. საქართველოს მთაში ქრისტიანობა გამუდმებით განიცდიდა პაგანიზაციის, გახალხურების პროცესს. არსებობს გაწარმართებული ქრისტიანობის რელიგიური წარმოდგენები, ტრადიციები და რიტუალები სვანეთში, ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში, მთიულეთში. გუდამაყარი ამ სივრცის განსაკუთრებული ნაწილია. ამ კუთხეების რელიგიურ სისტემაში გამორიცხულია მრავალღმერთიანობა, არსებობს მხოლოდ ერთი - მორიგე ღმერთი და მისი შვილები, ასევე, გამორიცხულია კერპთაყვანისმცემლობა, რაც სრულიად განსხვავებულ სარწმუნოებრივ მოდელს ქმნის. ამ მოდელში მთავარია ძველისა და ახლის, ტრადიციულისა და ნოვატორულის შერწყმა/სინთეზი. გუდამაყარი, როგორც საქართველოს სხვა მთიანი რეგიონები, იცლება მოსახლეობისაგან, ბუნებრივია, ამ რწმენა-წარმოდგენების დაკარგვის საფრთხეც არსებობს. გოდერძი ჩოხელმა თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობით მომავალ თაობებს შეუნახა საკუთარი კუთხის საკრალური, იდუმალი ცოდნა, უძველესი რწმენა-წარმოდგენები.

გუდამაყარი არის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, რომელიც ძირითადად განიხილება როგორც მთიულეთის ერთ-ერთი თემი, თუმცა ცალკე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. გუდამაყრელებს იხსენიებს ლეონტი მროველი (XI ს.) ქართლის გაქრისტიანების ისტორიასთან (IV ს.) დაკავშირებით - ქართველთა განმანათლებელი ნინო, სხვა მთიელებთან ერთად, წობენში მათაც უქადაგებდა ქრისტიანობას. გუდამაყარი მოხსენიებულია VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაშიც.

ფეოდალურ ხანაში გუდამაყარი არაგვის საერისთავოში შედიოდა. 1071-1080 წლების საბუთებში ნახსენებია გუდამაყრული მუზარადი [გვასალია, 1976:23].

წარმართობა, რომელიც, როგორც ჩანს, დიდი ხნის მანძილზე იყო ჩვენი წინაპრების რელიგია, მარტივად არ უთმობდა ადგილს ქალის მიერ ნაქადაგებ ქრისტიანობას, ეს

მედგარი წინააღმდეგობა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მთაში, რომლის მოსახლეობაც სიახლეების მიმართ ეჭვით, კონსერვატიზმით გამოირჩევა. „ქართლის ცხოვრება“ ქრისტიანობის გავრცელების სისხლიან ისტორიასაც გვაუწყებს: „მერმე ინება მეფემან მოქცევა მახვილითა მთიულთა და აუწყა ნინოს და ეპიზკოპოზსა, არამედ წმიდამან არა ნება-სცა; რამე თუ არა ბრძანებულ არს მახვილი, არამედ ქადაგება და ეტყოდა მეფესა: „მე წარვიდე მუნ ქადაგებად“, ხოლო მისრულმან ქადაგა სახარება ქრისტესი; არამედ უმრავლესთა არა უსმინეს და არა შეიწყნარეს. ამისთვის მეფემან დაურთო ხარკსა ზედა ხარკი მთიულთა და ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი და შემუსრნა კერპნი მათნი. ამისთვის ფხოველნი გადაეშენნენ თუშეთს“ [„ქართლის ცხოვრება“, 1973:93].

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ წარმართული ცნობიერება ხალხის მეხსიერებიდან ნელ-ნელა იშლებოდა. თუ ბარის მოსახლეობაში შედარებით მარტივად დათმო პოზიციები წარმართობამ, მთის რეალობაში სხვა ვითარება გვაქვს - ძველმა (წარმართულმა) რელიგიამ ახალს (ქრისტიანობას) მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და დიდი ხნის განმავლობაში ორივე თითქმის ერთდროულად თანაარსებობდა, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ზემოთქმულის ნათელი მაგალითებს ირეკლავს - მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნეა, გუდამაყარში ჯერ კიდევ აწყობენ ფერხისებს, აცხობენ „მგელთკვერებს“, აწყობენ თაგვთა/ჩიტთა მოსაშორებელ თუ მგელთა მოსამადლიერებელ რიტუალებს. მწერალი, ძირითადად, თანამონაწილე და თვითმხილველია ყველა ამ წეს-ჩვეულებებისა, რომლებსაც უზუსტესად გადმოგვცემს თავის ტექსტებში. მისი შემოქმედების ეს ნაწილი დოკუმენტურ პროზას, ე.წ „ნონფიქშენს“ უნდა მივაკუთვნოთ. გოდერძი ჩოხელის შემოქმედება არაერთი ეთნოგრაფის, ეთნოლოგის, ისტორიკოსისთვის აღმოჩნდება წყარო გუდამაყრელთა კულტურულ-სარწმუნოებრივი და ყოფითი ცხოვრების შესასწავლად.

გოდერძი ჩოხელის, როგორც მწერლის, კინორეჟისორის, მოაზროვნის შემოქმედებითი გზა საფუძველს მისი ბიოგრაფიიდან იღებს. მწერლის ცხოვრების პასაჟები ასაზრდოებს „სულეთის კიდობანს“, „წითელ მგელს“, მოთხრობა „ანგელოზღამეობასა“ და სხვა ტექსტებს, რომელთა განხილვა გვარწმუნებს, რომ მწერალმა და მოაზროვნემ თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ობიექტურად შეაფასა როგორც წარმართობის, ასევე ქრისტიანული სარწმუნოების როლი როგორც კონკრეტულად გუდამაყრის, ასევე, ზოგა-

დად, ისტორიის განვითარების ხანგრძლივ და რთულ პროცესში, დაგვიხატა წარმართული სარწმუნოებისათვის დამახასიათებელი რიტუალები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანობას შეერწყა; გუდამაყრის მაგალითზე რეალურად და ობიექტურად გვიჩვენა წარმართულისა და ქრისტიანულის როლი ქართველი ხალხის ისტორიაში, შეაფასა წარმართული რელიგიის დადებითი და უარყოფითი ასპექტები, რომლითაც საზრდოობდა გუდამაყარი, ქრისტიანული რელიგიის უპირატესობა წმინდა გიორგის კულტის საგანგებო ხაზგასმითა და თაყვანისცემით გამოხატა. გოდერძი ჩოხელმა, როგორც მწერალმა, კინორეჟისორმა, დრამატურგმა, მოაზროვნემ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართველი ერის სულიერ და შემოქმედებით ყოფაში, კულტურაში.

თემა მიზნად ისახავს *კომპლექსურად წარმოვადგინოთ* გოდერძი ჩოხელის პროზისათვის დამახასიათებელი სინთეზი წარმართულისა და ქრისტიანულისა - დისკურსი, რომელიც რეალურადაა ასახული მწერლის საკმაოდ ვრცელ შემოქმედებაში, წარმართული ცნობიერებით ნასაზრდოები წეს-ჩვეულებები, რომლებსაც დღემდე სათუთად ინახავს გუდამაყარი. წინაპართა ზნე, ტრადიციები თაობიდან თაობას გადაეცემა, მასში სინთეზირდება სიცოცხლის, სიყვარულის, გამრავლების იდეა, ამ იდეის გარშემო ერთიანდებოდა/დღემდე ერთიანდება წარმართული კულტ(ებ)ი. მთიელი თავის წარმოდგენებს სწორედ ამ კულტ(ებ)ს უკავშირებდა და გარკვეული ფუნქციითაც ტვირთავდა მდგომარეობის, ყოფის გასაუმჯობესებლად, დასაცავად თუ ეკონომიკური ძლიერების მისაღწევად. წარმართული წეს-ჩვეულებების ფონზე გოდერძი ჩოხელი წარმოგვიჩენს ქრისტიანული რელიგიის რთულ გზას - მწერლის თქმით, წარმართული რელიგიით „გაჟღენთილი“ მთიელები ვერ ეგუებოდნენ ახალ რელიგიას (ქრისტიანულს), ამიტომაც ის „ძნელად იკაფავდა გზას.“ ამ ჭიდილის, შეწყობა-შეთანხმების წარმოჩენაცაა ნაშრომის მიზანი.

საკვლევი თემა აქტუალურია იმ მხრივ, რომ მომავალმა თაობებმა იცოდნენ, საიდან მოვდივართ, ვინ ვართ და საითკენ მივდივართ. ხაზგასმულის გააზრება სამომავლო ხედვასაც გააიოლებს, უკეთეს ადამიანებად და ქვეყნად გვაქცევს.

საკვლევი საკითხი საინტერესოა არა მარტო ქართველთათვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც. მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხს, პრიმიტიულსა თუ განვითარებულს, ჰქონდა თავისი რელიგია, რომელიც შეეჯახა ახალ მონოთეისტურ სარწმუნოებას, ამი-

ტომაც ეს თემა საინტერესოა კულტურათა განსხვავებულობისა თუ ერთიანობის აღქმისათვის. ზემოთქმულს მოწმობს სადისერტაციო ნაშრომში მოხმობილი ლიტერატურული პარალელები, ტიპოლოგიური მსგავსებანი, რამაც გააფართოვა კვლევის არეალი.

პრობლემის შესწავლის ისტორიის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი ფართო კვლევის ობიექტი არ გამხდარა ლიტერატურათმცოდნეთა, კრიტიკოსთა მხრიდან. ამ მიმართულებით არსებობს სხვა მწერალთა შემოქმედების მეცნიერული შესწავლის მაგალითები, თუმცა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში წარმართული და ქრისტიანული რელიგიების დისკურსის შესწავლა ფართო სპექტრით, კომპლექსურად არ მომხდარა, არადა, მწერლის შემოქმედების ღრმა და საფუძვლიანი დაკვირვება ცხადყოფს, რომ ეს თემა კვებავს ჩოხელის როგორც ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ასევე პიროვნებასაც.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედების შესახებ არსებობს ნინო ნაზღაიძის დისერტაცია: „გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (2021 წელი), ლალი იარაჯულის დისერტაცია: ,,სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკური საზრისი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“ (2017 წელი), გიორგი ხორბალაძის „გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“ (2013 წელი). დისერტაციებში საკვლევ თემასთან დაკავშირებული საკითხის საფუძვლიანი ანალიზი არ არის წარმოჩენილი, რადგან კვლევა სხვა მიმართულებითაა განხორციელებული, ამიტომაც ამ საკითხს მხოლოდ კონკრეტული თავი/თავები ეძღვნება.

სადისერტაციო ნაშრომში გამოვიყენეთ მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ გამოქვეყნებული წიგნები: ლელა ჯიყაშვილის „გუდამაყრელი იები“, მაია წიკლაურის „შემოქმედება საზღვრებს გარეშე“, ნინო ზედელაშვილის „ნაწილიანი“, მაია წიკლაურის „ერისა და მთის შვილი“. მოვიძიეთ და შევისწავლეთ მწერლის შემოქმედების შესახებ არსებული 40-ზე მეტი კრიტიკული წერილი, გავეცანით მოგონებებს გოდერძი ჩოხელის შესახებ, რომლებიც ძალიან დაგვეხმარა მწერლის ფსიქოლოგიური პორტრეტის, შემოქმედებითი აბრისის შესაქმნელად. გულდასმით შევისწავლეთ თავად მწერლის მოგონებები, რომლებიც მიმობნეული იყო წიგნებსა თუ პერიოდულ პრესაში, ძალზე დაგვეხმარა პროფესორ ლუარა სორდიას წიგნები: „გოდერძი ჩოხელის „მგელი“ (პრობლემატიკა და სახეები)“, „ანტიციპაცია XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“, მარინე

ტურავას „სიცოცხლე შვენობს შენითა“ (სიკვდილის პარადიგმა ქართულსა და უცხოურ მოდერნიზმში)“ და ა.შ.

რაც შეეხება სადისერტაციო ნაშრომის **საგანს, მიზანსა და ამოცანებს,** სადისერტაციო ნაშრომის **საგანს** წარმოადგენს ქართულ ლიტერატურულ დისკურსში წარმართულისა და ქრისტიანულის სინთეზის შესახებ არსებული კონცეპტების შესწავლა, რაც უკავშირდება ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სამყაროს და აქტუალური სწორედ მისი შემოქმედების სიღრმისეული კვლევის თვალსაზრისით გახდა. გამოკვლევის **მიზნად** გვესახება გოდერძი ჩოხელის იმ პროზაული ტექსტების გაანალიზება, რომლებშიც წარმოჩენილია წარმართულისა და ქრისტიანულის წინააღმდეგობა/სინთეზი უკვე მეოცე საუკუნის მიწურულის საქართველოში.

თემა მიზნად ისახავს შემდეგი კონკრეტული **ამოცანების** გადაჭრას:

- წარმართულისა და ქრისტიანულის შერწყმის/სინთეზის ზეგავლენა გუდამაყრელთა და, კერძოდ, გოდერძი ჩოხელის, პიროვნულ აბრისზე, შემოქმედებით კონცეპტებზე; პიროვნული გამოცდილების გამოყენება ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.
- წარმართულ/ქრისტიანულის სინთეზის წარმოჩენა გოდერძი ჩოხელის მცირე პროზასა და რომანისტიკაში.
- კონკრეტული ადათების, წეს-ჩვეულებების ასახვა/გადმოცემა გოდერძი ჩოხელის პროზაულ ტექსტებში.

შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომში **კვლევის ობიექტად** მივიჩნიეთ, ერთი მხრივ, სამეცნიერო მასალა, რომელშიც გადმოცემულია მსჯელობა წარმართული და ქრისტიანული ღირებულებების, ადათების ერთიანობა/შერწყმის შესახებ, მეორე მხრივ, გოდერძი ჩოხელის ის პროზაული ტექსტები, რომლებიც სწორედ ამ დისკურსს მიემართება.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძველს წარმოადგენს გამოჩენილი ქართველი მწერლების, ლიტერატურისმცოდნეთა შეხედულებები, სასულიერო პირთა ეგზეგეტიკური განმარტებები, გოდერძი ჩოხელის შემოქმედების მკლევართა შრომები, ასევე - ლიტერატურისმცოდნეობითი ხასიათის სამეცნიერო ლიტერატურა.

საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, დისერტაციაში კვლევის **სხვადასხვა მეთოდს** მივმართეთ. პირველ რიგში, გამოვიყენეთ ავტორის

სუბიექტურობის თეორია, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა XIX-XX საუკუნეების ხელოვნებაში. ლიტერატურაში ეს თეორია გულისხმობს შემოქმედის პიროვნული მთლიანობის წარმოჩენას. მიხეილ ბახტინის სიტყვებით, მხატვრული ტექსტის გასაგებად მნიშვნელოვანია მისი შემქმნელის „შემოქმედებით საფუძვლამდე" ჩაღწევა. გოდერძი ჩოხელი თავის რომანებში დებდა საკუთარი ბიოგრაფიით, ცხოვრებით შეძენილ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებაც კვლევისას აუცილებელია. გამოვიყენეთ შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდი, გასაანალიზებელი ტექსტების დაჯგუფება-დანაწევრებისთვის. მცირე დოზით, მაგრამ მაინც გამოვიყენეთ ჰერმენევტიკული მეთოდი, რადგან გოდერძი ჩოხელი თავის პროზაულ ტექსტებში ხშირად მიმართავს სახე-სიმბოლოებს.

სადისერტაციო ნაშრომის სიახლედ გვესახება *პირველად ქართულ სამეცნიერო სივრცეში გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა წარმართულისა და ქრისტიანულის სინთეზირების კუთხით,* სხვადასხვა ტრადიციის, უძველესი ადათწესის დეტალური მიმოხილვა, გაანალიზება. მწერლის მთავარი კონცეპტების, მხატვრული სამყაროს სიღრმისეული ანალიზი ხაზგასმული რაკურსით.

დისერტაციის პრაქტიკული მნიშვნელობა - კვლევის შედეგებისა და განზოგადებული დასკვნების გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ გოდერძი ჩოხელის შემოქმედებით დაინტერესებულ მეცნიერ-მკვლევრებს, დაინტერესებულ მკითხველს.

სადისერტაციო ნაშრომი დააინტერესებთ ჰუმანიტარული მიმართულების სტუდენტებს, ახალგაზრდა მეცნიერებს, სასულიერო პირებს.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა შეადგენს 188 გვერდს, შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან (175 ერთეული).

შესავალში წარმოდგენილია შრომის ძირითადი მიზნები და ამოცანები, კვლევის აქტუალურობა, მეცნიერული სიახლე და მეთოდოლოგიური საფუძვლები. წარმოჩენილია თემის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

ძირითადი ნაწილი სამი თავისგან შედგება:

თავი I.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი პორტრეტი

(გუდამაყრიდან დანახული სამყარო);

თავი II.

წარმართულ-ქრისტიანული გოდერძი ჩოხელის რომანისტიკაში

2.1. რომან „ადამიანთა სევდის“ ეგზისტენცია;

2.2. ენიგმა „მგელი“ (რომანი „წითელი მგელი“);

2.3. ქვეყნის გადარჩენის იდეა (რომანი „სულეთის კიდობანი“);

თავი III.

ძველისა და ახლის სინთეზი (მცირე პროზის მიხედვით)

3.1. წარმართული რიტუალების ანარეკლი;

(მოთხრობები „ჩემი წიგნი“, „თოვაში გასვენებული დღესასწაული“);

3.2. ღვთისშვილთა საბრძანისი (მოთხრობა „ხთისშვილი“);

3.3. წმინდა გიორგის კულტი, ძველი და ახალი აღთქმის კონცეპტები

(მოთხრობა „გაცოცხლებული მიცვალებული“) ;

დასკვნაში წარმოდგენილია ნაშრომის ძირითადი პოსტულატები და შედეგები;

გამოყენებული ლიტერატურა.

თავი I

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი პორტრეტი

(გუდამაყრიდან დანახული სამყარო)

ცნობილი მწერალი და კინორეჟისორი გოდერძი ჩოხელი 1954 წელს დაიბადა დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში. მისი ნაწარმოებები 1977 წლიდან იბეჭდება ქართულ პერიოდულ პრესაში, 1980 წელს გამოიცა პირველი წიგნი - „წერილი ნაძვებს.“ გამოცემული აქვს ლექსებისა და მოთხრობების კრებულები: „ბინდისფერი სოფელი“, „თევზის წერილები“, „შემინახე, დედაო მიწავ!“, „არჩევნები სასაფლაოზე“, რომანები: „მგელი“ („წითელი მგელი“), „მღვდლის ლოცვა“, „ადამიანთა სევდა“, „სულეთის კიდობანი“; გადაღებული აქვს 12 ფილმი, უმთავრესად, საკუთარ ნაწარმოებებზე დაყრდნობით.

შემოქმედი გარდაიცვალა 2007 წელს, 53 წლის ასაკში, დაკრძალულია მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში.

გოდერძი ჩოხელის პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტის შესაქმნელად მხოლოდ ბიოგრაფიული პასაჟები არ არის საკმარისი; მასზე, როგორც მწერალზე, მისივე მხატვრული სამყარო, შემოქმედებითი კონცეპტები, პერსონაჟები მეტყველებენ, რომლებიც ავტორის პოზიციას, ადამიანებისა და სამყაროსადმი დამოკიდებულებას ღიად, მკაფიოდ და გასაგებად წარმოგვიჩენენ.

მაია წიკლაურის „ერისა და მთის შვილი“, „შემოქმედება საზღვრებს გარეშე“, ნინო ზედელაშვილის „ნაწილიანი“ და ლელა ჯიყაშვილის „გუდამაყრელი იები“ მეტ-ნაკლებად წარმოაჩენს გოდერძი ჩოხელის პიროვნულ პორტრეტს, შემოქმედებით აბრისს. დასახელებულ წიგნებში თავმოყრილია გოდერძი ჩოხელის ბიოგრაფიული პასაჟები, ამბები, რომელთა ნაწილიც თავად ავტორის ნაამბობს ეყრდნობა, წარმოდგენილია მწერლის ინტერვიუები, ლიტერატურათმცოდნეთა შეფასებები, მოსაზრებები, რომლებიც დაგვეხმარა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი პორტრეტისა და პიროვნების უკეთ წარმოდგენა-აღქმაში.

გიორგი წიბახაშვილი აღნიშნავს: „გოდერძი ჩოხელი ქართულ ლიტერატურაში შემოვიდა, როგორც დიდებული სიმფონია, რომელშიც მრავალი თემა ჟღერდა ღრმად და ძალუმად, ყველა ახალი იყო და ყველა - ქართული, უაღრესად ეროვნული და უაღრესად საჭირბოროტო“ [წიკლაური, 2006:7].

გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა არა მხოლოდ დიდებული სიმფონიაა, არამედ მთელი ორკესტრია, რომელშიც სხვადასხვა საკრავზე შესრულებელი მუსიკა ერთიანდება, რადგანაც მწერლის მიერ შექმნილი პერსონაჟები განსხვავებული სულისკვეთებით, მისწრაფებებით, ოცნებებით, სევდითა და ფიქრით არიან შეპყრობილი. მათში ერთდროულად ისმის სიმებიან საკრავთა ჟღერაც, სასულე საკრავთა მქუხარე ხმაც და ხალხურ საკრავთა მრავალხმიანობაც.

მწერალ გურამ დოჩანაშვილის შეხედულებით, გოდერძი ჩოხელის მთელი შემოქმედება ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული [დოჩანაშვილი, 2012:134]. მწერლის შემოქმედების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ ამ მოსაზრებას სრულიად ვიზიარებთ. მკვლევართა უმრავლესობა სრულიად სამართლიანად მიიჩნევს, რომ გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობას სწორედ ეროვნული, ქართული სატკივარი და ფესვები კვებავს, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურაში ის არის ერთ-ერთი ყველაზე ქართველი ავტორი. ლოკალური დროსივრციდან, ქრონოტოპოსიდან დანახული პრობლემები ზოგადადამიანურია, ის, რაც აწუხებთ ჩოხელის პერსონაჟებს, ყველაზე ახლოს არის სწორედ ჩვენს ეროვნულ თავისებურებებთან, მაგრამ გასაგებია ყველა ეროვნების მკითხველისთვის, უნივერსალურია.

ვინ არის გოდერძი ჩოხელი, როგორი მწერალია ის? ამ კითხვას მკვლევარი მაია წიკლაური ასე უპასუხებს: „იგი ქართული მთის შვილია, მთის, რომელმაც არაერთხელ გამოაბრწყინა ქართველი კაცის გენია, არაერთხელ დაამტკიცა, რომ დღესაც საიმედოდ ინახავს ქართულ გენს, ქართულ სულს, ქართულ ნამუსსა და ზნეობას, ქართულ შემართებას“ [წიკლაური, 2006:16]. მკვლევრის აზრით, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ყველა ლიტერატურულ მიმართულებას ენათესავება, მაგრამ ყველაზე ახლოს კრიტიკულ რეალიზმთან დგას, რადგანაც მწერლის პერსონაჟთა პროტოტიპები რეალურები არიან, თავიანთი სიკეთით, სიტკბოთი თუ სიმწარით, ჩოხელი ამ ხალხთან ერთადაა ქველობასა თუ ცოდვაში. მწერალი მკითხველს

მომხდარ-ნაფიქრის გააზრების, გააზრებულის გადაფასებისა და საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალებას უტოვებს, რაც ავტორის, როგორც შემოქმედის, ოსტატობის მაჩვენებელია; ის, რაც გენიალურია, არასოდეს იძლევა მხოლოდ ერთი პასუხის გაცემის, სწორხაზოვანი გააზრების საშუალებას. ჩოხელის ტექსტების აღქმა ბევრი განსხვავებული რაკურსით (ხშირად მოულოდნელით) არის შესაძლებელი.

მაია წიკლაურს მიაჩნია, რომ გოდერძი ჩოხელმა თავის გმირებს „გადასდო“ პესიმიზმი, რაც მთიელისთვის უცხოა - იმედგადაწურული ვერ გაუძლებს მთის მკაცრ ბუნებას. ჩოხელი მთაში გაიზარდა, ჩამოუყალიბდა გამძლე ხასიათი, დედაქალაქში ეზიარა ქართულ კულტურას, ქართულ ხელოვნებას; გოდერძი ჩოხელის წინაშე ორი უკიდურესობა გამოიკვეთა, ერთ მხარეს - „რწმენისა და სიკეთის ცნებებით გაზავებული, წარსულის პატივისმცემელი და ტრადიციების მიმდევარი გუდამაყარი, მეორე მხარეს - რწმენადაკარგული და ტრადიციების უარმყოფელი დედაქალაქი“ [წიკლაური, 2006:27]. სოფელი/ქალაქი, ტრადიცია/ინოვაცია მუდამ ის არჩევანი იყო, რომელიც იდგა მწერლის წინაშე და რომელმაც რეალურად განსაზღვრა მისი შემოქმედებითი და პიროვნული პოზიციაც. პირველის დაკარგვა და დავიწყება არ უნდოდა, მაგრამ ებრძოდა დრომოჭმულს, რეგრესულს, მეორე მისი თბილისური ცხოვრების ბუნებრივ ნაწილად იქცა.

მწერლის მიერ შექმნილი გმირები ნამდვილი, რეალური ადამიანები არიან რეალური ცხოვრებით, აღელვებთ მიტოვებული და ბანჩამორღვეული კერიები, სიცოცხლეჩამქრალი სოფელი, რომლის ხილვაც თავისთავად მოჰგვრიდა ყველას დარდს, საფიქრალს, პესიმისტურ განწყობაზე დააყენებდა; დაცლილი კერიები სიცოცხლის სურვილს უკარგავდა მწერალს, უიმედობას აჩენდა მთაში მცხოვრებლებს შორისაც. სწორედ ამ ტკივილის გამომხატველია რომანი „ადამიანთა სევდა“, რომელშიც კომიკურ-გროტესკული, „დონკიხოტური“ ბრძოლების მიღმა დაცარიელებული სოფლების დიდი ტრაგედია იკითხება. ერთ დროს სოფლებში სიცოცხლე დუღდა, უყვარდათ, სძულდათ, იბრძოდნენ, „საღმთოს“ იხდიდნენ, ჯვარსა და ხატს ემსახურებოდნენ, ერიდებოდნენ დევსა და ეშმაკს, ახლა დაცლილ სოფლებს, ჩამქრალ კერიას უკანასკნელ მოჰიკანებად, აჩრდილებად გადაქცეული მოხუცებიღა დაჰკანკალებენ.

ჩოხელი მთის ტრადიციებზე აღზრდილი მწერალია, გუდამაყრული ფოლკლორი და მითოლოგია მისთვის ახლობელია, შთაგონების წყაროა, მწერლის სულიერი სამყაროს ნაწილია. გოდერძი ჩოხელის დამოკიდებულება ფოლკლორთან არ ჰგავს არც მოდერნისტთა, არც პოსტმოდერნისტთა მიმართებას ხალხურ სიტყვიერებასთან, შეიძლება ითქვას, რომ ჩოხელი თავისი მისტიციზმითა და ადათების ერთგულებით თავადაც გუდამაყრული მითოსის, ჩოხის ახალ მითისმქმნელად წარმოგვიდგება.

როგორც რამდენიმეგზის აღვნიშნეთ, გოდერძი ჩოხელის ნიჭი მრავალმხრივ გამოვლინდა - ის იყო მწერალი, პოეტი, კინორეჟისორი, სცენარისტი.

ვაჟა-ფშაველას ცხოვრების მკვლევარმა, გიგი ხორნაულმა წიგნში „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ ვაჟა-ფშაველას პიროვნების შესაფასებლად გამოიყენა სიტყვები კონსტანტინე გამსახურდიასი, რომელსაც პირიქით ხევსურეთში, მუცოს ციხის სანახებში უზარმაზარი ლოდი უნახავს, ლოდის მოყვანილობას დიდად გაუკვირვებია დიდი მწერალი და ვაჟასთვის შეუდარებია: „ვაჟა მომაგონა ამ უტოლო ლოდმა“, [ხორნაული, 2014:9]. მეტაფორულად რომ ვთქვათ, თუ უტოლო ლოდი ვაჟაა, ლოდიდან ჩამოტეხილი ქვა გოდერძი ჩოხელია, მშენებლობისას დედაბურჯად, ქვაკუთხედად გამოყენებული „საკიდური“.

ჩოხელის შემოქმედებას მთის სიწრფელე, ბუნების უსაზღვრო სიყვარული, ქალის, დედის კულტი და სამშობლოს თემა კვებავს. მწერლის ბელეტრისტიკას გამოარჩევს კავშირი ძველ (წარმართულ) და ახალ (ქრისტიანულ) რელიგიას შორის; მწერალმა ათასწლეულობის წინათ ჩამოყალიბებული ტრადიციები, უძველესი ჩვეულებები გააცოცხლა და მკითხველს შთამბეჭდავად წარმოუდგინა. როგორც ჩოხის ყოფაა აღსავსე წარმართულისა და ქრისტიანულის, ძველისა და ახლის სინთეზით, ასეთივეა გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა - არქაულიცა და თანამედროვეც, მისტიკურიცა და გამჭვირვალეც.

გოდერძი ჩოხელი დაფიქრებით წერდა, ცდილობდა წამოსროლილი, უნებური, გაუაზრებელი არ ყოფილიყო მისი სიტყვა, მნიშვნელოვანი (განსაკუთრებით, ფინალური) პასაჟების აღწერას დიდ დროს ანდომებდა, ცდილობდა, ის ფრაზა, წინადადება ეპოვა, რომელსაც ადვილად და ყველგან ვერ შეხვდები. ცნობილია, რომ დიდხანს ფიქრობდა „ადამიანთა სევდის“ დასასრულზე, უნდოდა განსაკუთრებული ყოფილიყო რომანის ფინალური ნაწილი, თუმცა არანაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ნაწარმოების დასაწყისს, ექსპოზიციურ პასაჟებს. ამის შესახებ თავად გვიამბობს ბიოგრაფიულ მოთხრობაში „ანგელოზთღამეობა“: „რომ არ დავწერო, არ შემიძლია, არადა, რა დავწერო, როგორ დავწერო... ერთი კია, როგორც არის, ისე ვწერ, არაფერს გამოვტოვებ, მაგრამ დაწყება მიჭირს. ალბათ, შემოქმედსაც ძალიან უჭირდა დაწყება, როცა სამყაროს წიგნის წერა დაიწყო. როგორ მინდა, ზუსტად ისევე დავიწყო და არ დავამთავრო... ყველაფერზე მინდა ისე ვილაპარაკო, როგორც ვხედავ და როგორც განვიცდი. თანმიმდევრობა ხომ ჩემი საქმე არ არის, მოთხრობაზეა დამოკიდებული, იმათ კი ასეთი უცნაური ზნე ჭირთ, სულ არ მეკითხებიან არაფერს“ [ჩოხელი, 2016:4].

როგორია გოდერძი ჩოხელის დამოკიდებულება სიცოცხლისა და სიკვდილის მიმართ, რაში ხედავს ის ცხოვრების საზრისს და როგორ უყურებს გარდაცვალებას?! ყველა მწერლისთვის ამოსავალი კონცეპტები „ადამიანთა სევდაშიც“ თავისებურად ვლინდება, საკითხისადმი პერსონაჟთა არაერთგვაროვან დამოკიდებულებაზეც გვიყვება და საკუთარ სუბიექტურ განცდებზეც. სიცოცხლე სწყუროდა, მაგრამ ინტერესი დიდი იყო შეუცნობელი, მიღმიერი სამყაროს მიმართაც, მწერლის მსოფლმხედველობით, სიკვდილით არაფერი მთავრდება, პირიქით, ახალი კარი იხსნება - გოდერძი ჩოხელის, როგორც ადამიანისა და მწერლისთვის, მიწა და ზეცა ერთიანია, სიკვდილი ამქვეყნიური ცხოვრების გაგრძელება, მარადიულის დასაწყისია.

მკვლევარი მარინე ტურავა საგანგებოდ საუბრობს სიკვდილის ჩოხელისეულ აღქმაზე მონოგრაფიაში „სიცოცხლე შვენობს შენითა“ (სიკვდილის პარადიგმა ქართულსა და უცხოურ მოდერნიზმში)“. მკვლევრის თქმით, „გოდერძი ჩოხელმა შეძლო დაეხატა ადამიანად მიწაზე ჩამოსული ხორციელი სიკვდილი, რომელიც უზარმაზარ სიყვარულს ატარებდა. მწერალი საფლავის ქვებსაც დიდი სიყვარულით ესაუბრებოდა, სიკვდილით დათრგუნული კაცის სასოწარკვეთილება კი არა, დიდი სევდა და სიყვარული იგრძნობოდა მის სიტყვებში. „სულს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრულიო“, სჯერათ ჩოხელის პერსონაჟებს. იმიერ სამყაროს იგი „სულეთის ქვეყანას“ ეძახის, მწერლის თქმით, აქ არის სამოთხეცა და ჯოჯოხეთიც. ნაღვლიანი და სევდიანია კაცთა მოდგმა. სევდიანი და ცოდვიანია სულეთის ქვეყნისკენ მიმავალი მათი გზა“ [ტურავა, 2014:264].

ჩოხელის შემოქმედების არსი ჩანს სიტყვებში: „ადამიანთა სევდა საერთოა, სიკვდილ-სიცოცხლის სევდა. რა არის სიკვდილი, რა არის სიცოცხლე? ორი კითხვა და ორი პასუხი: მე მგონი, სევდაა ადამიანად ყოფნა, მეორე სევდა კი - არყოფნა.“ სწორედ ამ ორ კონცეპტუალურ, არსობრივ/არსებით კითხვას დასტრიალებს თავს მწერალი და სხვადასხვანაირად უპასუხებს მათ თავის შემოქმედებაში.

გოდერძი ჩოხელისთვის დამახასიათებელია დარდის ესთეტიზირება - მწერალი დარდს თაიგულს ადარებს. რამდენადაც ყველა თაიგული განსხვავებულია, განსხვავებულია ადამიანის დარდები და სურვილებიც: „და საერთოდ, ადამიანი დარდებისა და სურვილების თაიგულია, თაიგულები ლამაზია და იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რამდენადაც განსხვავებული ადამიანის დარდები და სურვილები. სევდა დარდის ბიძაშვილია, სევდა ტკბილია, ადამიანის განსაწმენდელი, დარდი ბოღმისკენ

წაგიყვანს, სევდა კი დარდებს წმენდს ბოღმისაგან, სულის მარილივითაა, თან წმენდს და თან ინახავს დარდს“ [ზედელაშვილი, 2012:79]. მწერალი მიჯნავს დარდსა და სევდას, რადგან დარდს შეუძლია ადამიანი ბოღმისაკენ, ბოროტებისკენ წაიყვანოს, სევდა კი წმენდს დარდებს ბოღმისაგან, ამიტომაც გამიხარდაის მიერ შეგროვებული დარდები ადამიანურ სევდათა ციკლში გააერთიანა, რომელსაც სულის დარდისგან გაწმენდა შეუძლია - მარილივით, რათა პერსონაჟები ბოღმისკენ, ბოროტებისკენ არ წაიყვანოს!

მწერლის შემოქმედება კოლორიტული, საინტერესო, რეალური ცხოვრებიდან გადმოსული ცოცხალი პერსონაჟებითა და გუდამაყრის ყოფის ასახვით გამოირჩევა. ჩვეულებრივ ჩოხელებს, თავისი კუთხის, სოფლის მკვიდრთ მწერალმა ახალი - ლიტერატურული სიცოცხლე აჩუქა. ამირან არაბული ჩოხელის შემოქმედებას ასე აფასებს: „საქვეყნოდ გამოაჩინე და შენეული შტრიხები შემატე მთიელთა ზნე-ხასიათს, პიტალ პატიოსნებას, მედგარ, ვაჟკაცურ ბუნებას; უჩვეულოდ ღრმაზროვანი შემოქმედების შუაგულში ბაჯაღლოდ ჩასვი და აამეტყველე შავი არაგვის ვიწრო, ღორღიანი, მივარდნილი ხეობა“ [არაბული, 2012:138].

მწერლის მასწავლებელი, კინორეჟისორი ლანა ღოღობერიძე დიდად აფასებდა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებით მემკვიდრეობას: „ის სიუჟეტებითა და ისტორიებით არის დატვირთული, ინტუიციით უამრავი რამე იცის, მის მოთხრობებსა და ფილმებში ერთად არსებობს სასაცილო და სატირალი, გროტესკი და ტრაგედია, ბუფონადა და ჩვეულებრივი ყოფა. ამგვარი ყოფა მას დიდ თანამედროვე მწერლებთან აახლოებს“ [ზედელაშვილი, 2012:163]. სწორედ ინტუიციურის, შინაგანი ხმის სიძლიერით გამოირჩევა ჩოხელის შემოქმედება.

ანიმიზმი ჩოხელის პროზის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია, მით უმეტეს, თუ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ მწერალი, გარკვეულწილად, პირველყოფილი რელიგიებიდან, წარმართული ტრადიციებიდან, ანიმისტური მსოფლმხედველობიდან ამოდის. შემოქმედის სიტყვებით, ძველი ადათ-წესები გუდამაყრის ხეობაში კარგადაა შემონახული, მთიულეთისგან განსხვავებით, სადაც ისინი უკვე წაშლილია. ამის მიზეზად მწერალი გზის გაყვანას მიიჩნევს - გზას შემოაქვს ცივილიზაცია და ძველ ადათ-წესებს შლის. გუდამაყარი მოწყვეტილია გარესამყაროს, ცივილიზაციას, ამიტომაც ხეობაში ძველი ჩვეულებები, წესები და რიტუალები დაცულია: „მე შევსწრებივარ თემის ყრილობებს. ასე მგონია, პირველყოფილი თემური წყობილებიდან მოვდივარ, ურთიერთობის სულ

სხვა ფორმებიდან. მერე, როცა მეურნეობები მოიშალა, გუდამაყრიდან ახალგაზრდობა გამოიქცა და მოხუცები დარჩნენ, დარჩა ის ადათ-წესებიც, რომელსაც სალოცავებში ვასრულებთ, მაგ., „ყრმაშეწირვის წესი“ [წიკლაური, 2010:106].

სწორედ ამ ძველის, საკრალურის, იდუმალის, მივიწყებულის შენახვას, თაობებისთვის გადაცემას ემსახურება ჩოხელის შემოქმედება, რაც გლობალისტურ სამყაროში შესაძლოა ბევრს ანაქრონიზმად მოეჩვენოს, მაგრამ მწერლისთვის ნამდვილი ინსპირაცია, შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩოხელის (და მის პერსონაჟთა) რწმენა არ თავსდება ორთოდოქსულ ჩარჩოებში, დამოკიდებულება უფლისადმი ცოცხალი და უშუალოა, რაც არაერთხელ გაცხადებულა. გულწრფელი ლოცვა არაერთხელ მისწვდენია სამყაროს შემოქმედს, ნაცად ადგილს არაერთხელ სტუმრებია და ქვეყნიერების შემოქმედისათვის ხშირად შეუძლებელიც უთხოვია. უფლის ძალა ცხადად განუცდია ფილმების გადაღებისას, როცა თოვლგამშრალი გუდამაყრის კალთებისათვის თოვლი უთხოვია, უფალს კი თეთრი საბანი უხვად გადაუფარებია [ჯიყაშვილი, 2011:129-130].

შემოქმედს უსაზღვროდ უყვარდა ოჯახი, თავისი სოფელი, რომელსაც ვერაფერი შეუცვლიდა - ვერც ქალაქური ცხოვრება, ვერც წარმატებული კარიერა, ჩოხი ასულდგმულებდა და აძლევდა სიცოცხლის ძალასა და სურვილს: „ჩოხი ისე მიყვარს, ვერაფერი შემიცვლის... გვარიც და კუთხეც ერთადერთია ჩემთვის...“ [ჯიყაშვილი, 2011:79].

იმედგაცრუებული კაცის სიტყვებია: ,,ვყოფილიყავი რა, მეცოცხლა რა, თან გამეხარა, რა იქნებოდა!“ [ჯიყაშვილი 2011: 196] - ამ სიტყვებში გულგატეხილი კაცის ამოკვნესაა, გულ-გვამიდან ამოსული, ისეთი გრძნობა გეუფლება, ბევრიც რომ ეცოცხლა, მაინც ამ სიტყვებს გავიგონებდით მისგან. ჩოხელს განსაკუთრებული სევდა, გულღვიძლში გამჯდარი დარდი გამოარჩევს, რაც მის შემოქმედებაშიც ნათლად იკითხება. ეკლესიასტეს „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს“ მწერლისთვის ყველაზე ბუნებრივი მდგომარეობაა. ამაოა შიოს გზა (,,მღვდლის ცოდვა“), მარადიულია ტაძრის გზა, რომელსაც მიჰყვებიან მისი პერსონაჟები: სებაი, გამიხარდაი, უგუმბათო ეკლესიაში მგალობელი სამოთხის გვრიტები, ლუკა, და ა.შ. ბუნების დიდი მოსიყვარულე, ცხოველებისა და ფრინველების, მცენარეებისა და ადამიანების მესაიდუმლე აღარაფერს გრძნობს ქალაქში, უცხო გარემოში, არც ჩიტების გალობა ესმის: „გალობენ ჩიტები, ჩემს გულში

გალობა კი არ შემოდის, თითქოს ტყვიაა, ვერ ვგებულობ იმ გალობის გემოს“ [ჯიყაშვილი, 2011:196].

გოდერძი ჩოხელისთვის ჩოხი მზეც იყო, მთვარეც, სულიც, გულიც და მთელი სამყაროც. მწერლის განწყობა კარგად ჩანს მოთხრობაში „დევების ნასოფლარი“, სადაც დაცარიელებული სოფლების საბედისწერო მომავალია ნაჩვენები - სოფელს დევები დაეპატრონებიან. მოთხრობის მიხედვით, მიტოვებულ სოფლებში დევები უკვე მომრავლდნენ და ახლა დედაც, რომელიც წინდებს აცმევს, დევი ჰგონია: „მაღალო ღმერთო! ეს მოთხრობა აღსარებად ჩამითვალე და ისე ნუ გააფერმკრთალებ სიყვარულს, რომ დევებს უფრო ვეცოდებოდეთ ჩვენი ჩადენილი ცოდვებისათვის, ვიდრე ჩვენ - ერთიმეორე“ [ჩოხელი, 2020:280].

მწერალს იმ ეპოქის მიწურულს მოუწია ცხოვრება, როცა მღვდლებს კრეჭდნენ, ეკლესია-მონასტრებს ანგრევდნენ და ხატებს წვავდნენ, ეს წითელი რეჟიმის - კომუნისტური მმართველობის უღმერთო ხანა იყო. ავტორი გამოდის მამხილებლად რეჟიმისა, რომლის მანკიერი მხარე მთელი სიმძაფრით წარმოაჩინა რომანებში: „მღვდლის ცოდვა“, „სულეთის კიდობანი“, „წითელი მგელი“/„მგელი“, მოთხრობებში: „თევზის წერილები“, ,,ღმერთის შვილები“, ,,ლუკას სახარება“ და ასე შემდეგ.

როცა პირველი მოთხრობები გამოაქვეყნა, საბჭოური ცენზურა არ იყო ისეთი მკაცრი და დაუნდობელი, როგორც ადრე, თუმცა მწერლები სიფრთხილეს მაინც არ კარგავდნენ, სათქმელს შეფარულად, ქვეტექსტურად გამოხატავდნენ. გოდერძი ჩოხელი არასდროს იყო ფრთხილი, პირიქით, პირდაპირ, ზოგჯერ ხისტადაც კი, გამოხატავდა ანტისაბჭოთა განწყობებს, ტრავმულ მდგომარეობას. სწორედ ამაში ხედავდა იგი მწერლის დანიშნულებას. ბაყდარისა და საპყარის მიწერ-მოწერაში ჩანს ჩოხელის შეხედულებები მწერლობის მიზანსა და დანიშნულებაზე, ბაყდარის საზრისი ძირითად კონცეპტს წარმოადგენს მწერლობის მისიისა:

„მწერალი ის არის, ვინც იცის, რას წერს.

მწერალი ის არის, ვინც იცის, რატომ წერს.

- მწერალი ის არის, ვინც იცის, ვისთვის წერს“ [ჩოხელი, 2018:35].

გოდერძი ჩოხელი, როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომის საექსპოზიციო ნაწილში აღვნიშნეთ, ის მწერალი იყო, რომელმაც იცოდა, რას წერდა, რატომ წერდა და ვისთვის წერ-

და - წერდა ადამიანის სულის გაკეთილშობილებისათვის, ზნეობრიობისათვის, სიმართლისა და სიყვარულისათვის, ბუნებისა და ღმერთის დიდი სიყვარულით. „მწერალი გვიჩვენებს რეალობის მაგიური დანახვის შესაძლებლობებს იმ ეპოქაში, საბჭოურ სინამდვილეში, რომელშიც ერთადერთი დასაშვები ხედვა სამყაროს მატერიალისტური ხედვაა, ამ სინამდვილის მხილება გოდერძი ჩოხელის მოთხრობებში თითქოს სრულიადაც არ არის პირველადი ამოცანა, თუმცა ეს თემა მის ტექსტებში მაინც შემოდის და უკავშირდება უწინარესად ინდივიდის ნიველირების პრობლემას. ინდივიდის წინააღმდეგ, წესით, მთის ტრადიციული სოციუმის კანონები უნდა მოქმედებდეს (მაგალითად, ვაჟა-ფშაველასთან ეს სწორედ ასეა), თუმცა გოდერძი ჩოხელთან ჩვენ დავინახავთ, რომ ინდივიდს უპირისპირდება საბჭოთა სისტემა, რომელმაც ტრადიციული სამყაროს ორგანიზების ამოცანა თავის თავზე აიღო და დაარღვია როგორც სოციუმის, ისე პიროვნების არსებობის შინაგანი ლოგიკა. მწერალი მოგვითხრობს ინდივიდის სურვილზე, დაიცვას საკუთარი თავი ნიველირებისაგან და, ნიშანდობლივია, ეს გააკეთოს რეალობის სტანდარტების დარღვევით. საინტერესოა, რომ ინდივიდის/მწერლის ამგვარი პროტესტი სწორედ მაგიური ძალით (სასწაულით, ამოუხსენელი მოვლენით, ამოუხსნელი ადამიანური პოზიციით) რეალობის გარღვევას დაუკავშირდება“ [წიფურია ბ., (ელრესურსი)].

გოდერძი ჩოხელის თვალთახედვით, მწერალი „იმ მზის სხივს უნდა ჰგავდეს, გაზაფხულზე ნაადრევად მოსულ ყვავილს მოყინულ თოვლს რომ გაულხობს, გაყინულ ფესვებში გამლხვარ თოვლს ცრემლებს რო ჩააწვეთებს, წითელ პეპელას ყვავილის მხრებზე დასვამს“ [ჩოხელი, 2018:35].

მთაში ეულად დარჩენილი, კერიის გადამრჩენელი ქალების ტკივილი აწუხებს მწერალს: „თქვენი უდროოდ ჩამობერებული ძვლებიდან ადენილი სუსტი ალი მიკიდია სულში, თქვენი ოხვრა მინათია სანთლად, თქვენს მუხლებში ჩამდგარი სიბერე მაღელვებს, გხედავთ და ასე მგონია, რომ ღმერთთან შესავლელ კარს ვუყურებდე“ [ჩოხელი, 2020:128].

მწერალს აღელვებს სისტემა, რომელშიც ცხოვრობს, დაუნდობლად ამხელს წითელ რეჟიმს, თანაუგრძნობს გამიხარდაის, რომელიც, შრომით ჯანგამოცლილი, რეჟიმის მკაცრი კანონების გამო დაზარალებული წყალში ჩაჯდა, ადამიანად ყოფნა აღარ სურს, რადგან ბრბოდ გადაქცეულ, უსამართლო, უღმერთო ხალხთან საერთო აღარაფერი აქვს. მისი სურვილია „დაიცვას საკუთარი თავი ნიველირებისგან“, იდენტობა შეინარჩუნოს.

„აღარ ჩავაცვამ ჩემს მოთხრობებს ლამაზ ტანსაცმელს“ [ჩოხელი, 2020:151] - ესეც სამყაროსადმი მწერლის დამოკიდებულების კონცეპტია: მხოლოდ ბინდისფერი ფარდის გადაწევა დასჭირდა მწერალს, რომ გუდამაყრის ცხოვრების რეალური ყოფა აესახა, გაეცოცხლებინა და მომავალი თაობებისთვის გადაეცა.

ორიგინალურად წარმოაჩენს მწერალი პერსონაჟის სიყვარულს სამშობლოსადმი მოთხრობით „მეფის დაძახილი“ - სოფლად მარტოდ დარჩენილი არსენა ყოველდღე სოფლიდან არაგვამდე არბის და ჩარბის, რაც საქართველოს სიყვარულისთვის რბოლად მიაჩნია. უქმად არ ზის და, რაც შეუძლია, იმას აკეთებს. ის არ წაიყვანეს ბრძოლაში, თუმცა სირბილითა და მუდმივი მოძრაობით გამოხატავს ბრძოლისათვის, თავდადებისათვის მზადყოფნას, კონფორმისტებს კი ამუნათებს, არ გიყვართ მამული, „თუ გიყვარდეთ, არ ისხდებოდით, ირბოლებდით მაინცა, ირბოლებდითო“ [ჩოხელი, 2020:157].

ბუნების ქომაგი და მოსიყვარულე თავის გმირებსაც იმ განწყობით ასაზრდოებს, რომ გაუფრთხილდნენ და დაიცვან ბუნების ლაღი შვილები. მწარია მექობაური დათვის კვალს წააწყდა, მძინარე დათვის მოკვლა არ იკადრა, გაიღვიძებს და მოვკლავო, არც სხვას მოაკლევინა: „ჩემ კალოში სძინავს და, სხვა თუ არაფერი, სტუმარი ხომ არის ჩემი, ჰოდა, არავის ნება არა გაქვთ, ესროლოთ“ [ჩოხელი, 2020:166].

მთაში სტუმარმასპინძლობის განსაკუთრებული ტრადიციები არსებობდა. სტუმარს, მტერიც რომ ყოფილიყო, არ კლავდნენ. ასეა საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთშიც.

გოდერძი ჩოხელი (ჰუმანიზმითა და ბუნების მძაფრი სიყვარულით გამორჩეული მწერალი) გვეუბნება, რომ მძინარე ცხოველის მოკვლა არ შეიძლება, ეს არაკაცობად მიაჩნია. თუ ცხოველი შენს კუთვნილ ტერიტორიაზე იმყოფება, ის უკვე სტუმარია და მისი ხელყოფა არაღვთიურია. დათვმა, მადლიერების ნიშნად, ველური ყვავილების თაიგული მოუტანა მწარიას ცოლს, რომლისთვისაც არავის არასოდეს უჩუქებია ყვავილები. მაია წიკლაური სიმბოლურად მიიჩნევს ქმრის სახელს - მწარიას, ცოლს კი სახელი არა აქვს და მას განზოგადებულად მოიხსენიებს ავტორი, რაც, მკვლევრის მოსაზრებით, „იმის მაჩვენებელია, რომ ეს მხოლოდ ერთი კონკრეტული ქალის პრობლემა არ არის, ეს, ზოგადად, მთიელი ქალის ბედია. მშვენიერება კი - ყვავილები - ყველას ერთნაირად სჭირდება, ადამიანსაც და ნადირსაც, იმიტომ, რომ ყველას ესმის მშვენიერების ფასი“ [წიკლაური, 2006:79]. ვეთანხმებით მკვლევრის ამ მოსაზრებას. გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მწერალი ზოგადი პრობლემის წარმოჩენისას თავს იკავებს

პერსონაჟების კონკრეტული სახელით მოხსენიებისაგან, თავისთავად მივდივართ დასკვნამდე, რომ ეს კონკრეტული ადამიანის სატკივარი/პრობლემა არ არის, არამედ ზოგადია, რასაც დაკონკრეტება არ სჭირდება.

ჩოხელის გმირები მკვდარი კალმახებისთვის სიცოცხლეს ესალმებიან („თხილობის ღამე“), ქისტებისგან გატაცებულნი კი საქართველოს სანახავად მოიჩქარიან და თავსაც წირავენ. ჩოხელი თვლის, რომ სწორედ ამან - საღი და რაციონალური აზრისთვის გაუგებარმა მიდგომებმა, გადაარჩინა საქართველო („მართა“).

გოდერძი ჩოხელმა შურისძიების უძველესი წესის წინააღმდეგაც გაილაშქრა. მოთხრობაში „აგუნდა“ ხევსური ქალი აგუნდა შვილის დარდმა მოკლა, ანდერძად მკვლელზე შურისძიება დაიბარა, თუმცა საიქიოში მყოფი აგუნდა გაცოცხლდა, შვილის მკვლელთან მივიდა და აკოცა, აღდგომის შემდეგ ახალი ანდერძი დაიბარა: „არ მოკლათ, ხალხო“!

„გაცოცხლებულ მიცვალებულში“ მწერალმა პერსონაჟი (ბერა) სააქაოს მოაბრუნა, რათა სისხლისღვრის უაზრო წესი დაეგმო და გუდამაყრელებისათვის, მთიანი აღმოსავლეთის მცხოვრებლებისათვის, ღირებულებათა გადაფასების მაგალითი ეჩვენებინა. მწერალი შინაგანად წინააღმდეგია სისხლის აღების, როგორც ძველი, არაღვთიური ტრადიციისა, რომელსაც ხშირად რამდენიმე მკვლელობა მოჰყვებოდა ხოლმე. გოდერძი ჩოხელი ჰუმანისტია, რომლისთვისაც ადამიანი სამყაროს გამორჩეული ქმნილებაა, სასწაულია.

„მოხევის სადღეგრძელოში“ მწერალმა ბავშვების შინაგანი სამყაროს სიწრფელე წარმოაჩინა. ბავშვის სული, შინაგანი სამყარო სუფთაა, შეურყვნელი, ადამიანებს შემდეგ გვემღვრევა სული, ცოდვა გვაშორებს უფალს და ვუახლოვდებით ეშმაკს, რომელიც ბოროტების ჩადენისაკენ მოგვიწოდებს. ჩოხელისთვის ცხოვრება დიდი თეატრია ბედისწერისა („ბედისწერის თეატრი“).

გოდერძი ჩოხელს ბედისწერის თეატრის კულისებიდან მხოლოდ კეთილი მოკარნახეების ხმა ესმოდა, რადგან წერდა წიგნებს, იღებდა ფილმებს სიყვარულის, სათნოების, სიკეთის, პატიების, შემწყნარებლობისა და სიცოცხლის გამარჯვებაზე.

მწერალმა „ლუკას სახარებით“ დაგმო რეჟიმი, რომლის განზოგადოებული სახე დირექტორის სასტიკი, უსულგულო, უღმერთო პორტრეტით წარმოგვიდგინა; ამავდროულად, გვიჩვენა სიწმინდე ლუკასი, რომელიც ქრისტეს რწმენისათვის სკოლის მოედანზე აწამეს, შეარცხვინეს, მაინც ვერ გატეხეს. მახარებლის სეხნია ყმაწვილმა შეძლო მამისეული სახარების დაბრუნება, დირექტორის ოთახში შურდულივით შევარდა და ლუკას

სახარება გულზე მიხუტებული გამოიტანა. მწერლისეული პოზიცია ნათელია - რწმენა იმარჯვებს ურწმუნოებაზე!

იდეალური სამყაროს მოდელის შექმნის მცდელობაა მოთხრობა „სამანს იქით დასახლებულნი“. იდეალური საზოგადოების მშენებლობას უყრის საფუძველს შუღლაი - თემის თავი, რომელმაც თავისი კანონები და წესები შეიმუშავა ჰარმონიული ცხოვრებისთვის, მტრედის მიერ მინიშნებულ ადგილზე სამანები აღმართა და ტერიტორია ორ ნაწილად გაყო: დევების სამკვიდრებელი, რომელიც უწმინდურია, და წმინდა ადგილი, რომელიც წმინდა გიორგის საკუთრებად გამოაცხადა. სასტიკია შუღლაის კანონები, რომლებიც შენანებას, სინანულს გამორიცხავს. ყველა ცოდვა, რაც ჩაიდინეს სამანს აქეთ დასახლებულებმა, ის ცოდვებია, რომელსაც ადამიანები ჩვეულებრივი ცხოვრებისას სჩადიან, მაგრამ კაცთ აქვთ მონანიების უფლება. შუღლაის კანონების მიხედვით, ცოდვილებს იმ ადგილას დაბრუნება ეკრძალებათ, სადაც ცხოვრობდნენ - ოჯახთან, თუ სოფელთან. სამანს იქით გადასახლებულნი თავიანთ კანონებს ქმნიან. აქ უკვე ქალი - ზითანდარი თავობს თემს. დევების სამკვიდრებელშიც არღვევენ მიღებულ კანონებს და აქედან დაბლა, მთის ძირისაკენ, არაგვის ნაპირებზე ასახლებენ, სადაც მარხავენ კიდეც გადასახლებულებს.

ჩოხელის მოთხრობა ადამიანის მიერ იდეალური საზოგადოების ჩამოყალიბების ასახვის მცდელობაა, რასაც განხორციელება დედამიწაზე არ უწერია, რადგან ადამიანები კანონებსა და წესებს არღვევენ ყველგან და ყოველთვის, ვისი დაწერილიც არ უნდა იყოს ის, რაც გვარწმუნებს, რომ იდეალური თანაცხოვრების იდეალური მოდელი შექმნილია უფლის მიერ, სინას მთაზე მიცემულ სიპ ქვაზე დაწერილ 10 მცნებაში. ყველა ადამიანს, ვინც მას დაიცავს, უფალი ღირსეულ ცხოვრებას ჰპირდება, ის, ვინც უფალს მიჰყვება, იდეალური ცხოვრების პირობას მიღმიერ სამყაროში იღებს, რადგან დედამიწა სამოთხე არ არის.

ნაწარმოები არ ჰგავს მეოცე საუკუნის დისტოპიურ რომანებს, რადგან ჩოხელი არ არის მოდას აყოლილი მწერალი - ის თავის გზასა და კვალს მიყვება დროსა და სივრცეში.

ხის სიმაღლე ფესვებიდან იზომებაო, ამბობენ. გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაც ფესვებიდან - ჩოხიდან უნდა „გავზომოთ“. მწერალი, მშობლიური კუთხის - გუდამაყრის - შემცნობი და მოყვარული შვილი, ამ განსაკუთრებული, უნიკალური სამყაროს უბადლო

მხატვარია (ისევე, როგორც, მაგალითად, 2013 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში, კანადელი მწერალი ელის მონრო (დაიბადა 1931 წელს), რომელმაც ეს ჯილდო ონტარიოს სამხრეთ-დასავლეთში მდებარე ჰარონ ქანთის პრობლემებისა და მასში მცხოვრები ადამიანების გაცოცხლებისთვის მიიღო).

იშვიათია მწერალი, რომელიც ისე იყოს დაკავშირებული მამაპაპისეულ კუთხესთან, როგორც ჩოხელი. მან საკუთარი ფუძე და მოყვასი უკვდავყო, დედის ჩიქილა გაასხივოსნა, ბრწყინვალედ წარმოგვისახა „რთულ ცხოვრების უარმყოფი“, მაღალი ზნეობით გამორჩეული მთის უბრალო შვილები და მკითხველი დააფიქრა პრაგმატული სამყაროს საჭირბოროტო საკითხებზე, ამაღლებულ ღირებულებებზე და ყალბი პათეტიკის გარეშე შეგვახსენა ღვთის გზა.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები უარყოფენ მწერლის ბიოგრაფიის, ცხოვრების გზის მნიშვნელობას მისი შემოქმედების სრულად გასააზრებლად, მაგრამ გოდერძი ჩოხელი სწორედ იმ ავტორებს მიეკუთვნება, რომლის ლიტერატურული გზა, მთავარი კონცეპტები და გემოვნებაც კი, მისმა დაბადების ადგილმა - ჩოხმა განსაზღვრა.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებით ქართული მთის სივრცე, რომელიც აქამდე ფშავ-ხევსურეთითა და ხევით იყო წარმოდგენილი, გეოგრაფიულადაც გაფართოვდა - ახალი პუნქტი მოინიშნა, გუდამაყარი - სრულიად განსხვავებული, ავთენტ(იკ)ური, განუმეორებელი ტოპოსი.

თავი II

წარმართულ-ქრისტიანული გოდერძი ჩოხელის რომანისტიკაში

2.1. რომან „ადამიანთა სევდის“ ეგზისტენცია

„ადამიანთა სევდა“ კოლაჟური, კონტრაპუნქტის პრინციპით ნაგები რომანია, ფრაგმენტირებული ფილოსოფიური მოსაზრებების ერთგვარი კრებული. ტექსტში უხვადაა ჩანაწერები, ლირიკული ინტერმეცოები (გადახვევები/წიაღსვლები), ჩანართები, რომელთა მთავარი იდეა ადამიანის ამქვეყნიური არსებობის არსში ჩაწვდომაა. ავტორისეული მოსაზრებები ხშირად წინააღმდეგობრივია, რაც მისი ნაფიქრ-ნააზრევის დინამიკაში წარმოჩენას ემსახურება.

მანანა კვაჭანტირაძის აზრით, რომანში ჩანს „აზროვნებისა და განცდის ეპიკური სიღრმეების დაუფლების სურვილი, სწრაფვა ადამიანური არსებობის აზრისა და დანიშნულების, მისი სოციალური და ზნეობრივი ფუნქციის წვდომისაკენ. იგრძნობა ქაოტური მხატვრული ფანტაზიის სასურველ ყალიბში მოქცევის სურვილიც“ [კვაჭანტირაძე, 2012:317].

რომანი ოცდახუთი წლის ასაკში დაუწერია გოდერძი ჩოხელს და 1980 წელს გამოუცია. ტექსტში ჰუმანიზმი და ზოგადსაკაცობრიო, სოციალური, მორალურ-ეთიკური საკითხები ამოიკითხება. ყველა პერსონაჟი სიმბოლურ-ალეგორიული კონტექსტით გადმოგვცემს ადამიანურ სურვილებს, მისწრაფებებსა და აზრს ცხოვრების შესახებ.

გოდერძი ჩოხელი მთელ სამყაროსა და მშობლიურ გუდამაყარს უხილავი შემოქმედის ხელით დაწერილ დიდ წიგნად წარმოგვიდგენს. სიკვდილ-სიცოცხლის არსის, ადამიანისა და ღმერთის, ადამიანისა და სამყაროს ურთიერთმიმართების გააზრება, სულის საიდუმლოს ძიება მწერლის მსოფლმხედველობას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს.

რომანი გუდამაყრის მივარდნილი სოფლის - ჩოხის პოპულარიზაციის მცდელობაცაა. სოფლის ისტორიას ჩოხის მკვიდრთა სახელის აღსადგენად წარმოებული ლაშქრობების ფონზე ვეცნობით; სიუჟეტი ანკეტირების მეთოდზეა აგებული და იმ საკითხებს წარმოაჩენს, რომლებიც ჩოხის მოსახლეობას აღელვებს. ავტორის პოზიციაც ყველგან იგრძნობა - ის ალეგორიულად მმართველობის სტილს აკრიტიკებს, ამავდროულად, გუდამაყრელთა უძველეს წეს-ჩვეულებათა ერთგვარ სინქრონიზაციას ახდენს და კარტოთეკის პრინციპით ინახავს.

როგორც, თავის დროზე, ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩაწერამ, ქაღალდზე გადმოტანამ გადაარჩინა მსოფლიო ხალხების ფოლკლორი, მეორე მხრივ, კი ბუნებრივი მდინარებიდან ამოაგდო იგი, ასევეა გოდერძი ჩოხელისა და გუდამაყრის შემთხვევაშიც. გადარჩენილმა, ლიტერატურული ცხოვრების წიაღში გადმონაცვლებულმა, მხატვრულ ტექსტში ფიქსირებულმა ტრადიციებმა სიცოცხლე შეინარჩუნეს, მარადიულობას ეზიარნენ, სიტყვაში დაუნჯებულნი.

„ადამიანთა სევდას'' გამოკვეთილი, ცენტრალური პერსონაჟი არა ჰყავს, ვის გარშემოც მთელი სიუჟეტი გაიშლებოდა. რომანში ჩართულ ყველა ნოველას თავისი გმირი ჰყავს. მანანა კვჭანტირაძე ნაწარმოების მთავარ გმირთან დაკავშირებით იშველიებს ემერსონის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც: „ნაწარმოების გმირი ის არის, ვინც არ მოქმედებს და მაინც ნაწარმოების ცენტრშია“ [კვაჭანტირაძე, 2012:317].

ერთადერთი, რაც გუდამაყრის სამყაროში არ მოქმედებს, მაგრამ უძრაობასაც არ ნებდება, ესაა ადამიანის სული - რწმენა, სიკეთე და სიყვარული, სწორედ ეს ქმნის ჩოხელის ჰუმანისტური კონცეფციის ბირთვს, რომანის ემოციურ და ზნეობრივ საფუძველს, რომელსაც „მზა“ სახით რომანული ამბის გარეთ, რომანის *შესავალსა* და *დასაწყისში* ვეცნობით“ [კვაჭანტირაძე: 2012:319].

მწერლისეული ჩანართები, ჩანაწერების ყდებზე სათაურების ზედმიწევნით ზუსტად დასახელება ჩოხელთა ლაშქრობას რეალურ (მაგრამ სტილიზებულ) ამბად გააზრების წინაპირობად აქცევს; ყოველი ჩანაწერი/ჩანართი/მინაწერი ერთ მთავარ მიზანს ემსახურება - გუდამაყრის მოსახლეობის მსოფლმხედველობისა და კულტურული ყოფა-ცხოვრების ასახვასა და გაცნობას ფართო საზოგადოებისათვის.

მანანა კვაჭანტირაძის აზრით, რომანი *უცნაურია (განსაზღვრება მკვლევრისეულია* - მ.ა.), იკვეთება *გარკვეული ირონიული დამოკიდებულება რომანის საგანგებოდ ორგანიზებული, ინტელექტუალიზებული და ესთეტიზირებული ფორმის მიმართ, რომელსაც ჩოხელი თანამედროვე ადამიანის რაციონალური ყოფის მხატვრულ შესატყვისობად აღიქვამს და უპირისპირებს „ადამიანთა სევდის“ სტიქიურად მდინარე ეპიკურ საფუძველს - ღრმა, ძლიერ სევდას ადამიანის არსებობაზე* [კვაჭანტირაძე, 2012:317]. ჩოხელის აზრით, ქაოტური მოუწესრიგებელი დრო და სივრცე ასეთივე ქაოტური, არაორგანიზებული ტექსტით უნდა გადმოიცეს.

ავტორი დიდი სიბრძნითა და ალეგორიული წიაღსვლებით კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ადამიანის დანიშნულებაზე, სიკვდილ-სიცოცხლესა და სხვა მარადიულ თემებზე, რომლებიც რომანში მთელი სიმძაფრით წარმოჩნდება. გოდერძი ჩოხელმა რომანში მაღალმხატვრულად წარმოაჩინა ადამიანისა და შემოქმედის ურთიერთმიმართების საკითხი. მწერლის მსოფლმხედველობით: „დედამიწა არის მზით და მთვარით განათებული დიდი წიგნი, სადაც უამრავი ცოცხალი მოთხრობა დადის. ოო, იცი, რა დიდებულია ეს წიგნი! თვითონ მოთხრობები უდგამენ კარგ მოთხრობებს ძეგლებს, უხილავი შემოქმედის ხელით იწერება და იშლება ეს წიგნი და ნეტა ვიცოდე, რა მემართება - ახლა წარმომიდგა, რომ დედამიწა ამ დიდი წიგნის ფურცელია, რომელსაც სამყარო ჰქვია, ნეტა მაცოდინა, სად არის ის დალოცვილი მწერალი, რომლის ხელითაც იწერება ეს დიდი წიგნი. ან დასაწყისი სადა აქვს ამ დიდ წიგნს, ან დასასრული, ან იქნებ არც ერთი აქვს და არც მეორე... დედამიწა მისი ერთი ფურცელია, გუდამაყრის ხეობა კი - ალბათ სხვა, უამრავი მცირე მოთხრობების ქვესათაური“ [ჩოხელი, 2016: 3-4].

რომანის პრელუდიაშივე წარმოჩნდება ავტორის ქრისტიანული მსოფლმხედველობა, შესაქმის ისტორია, უფლის მიერ უკიდეგანო სამყაროს შექმნა, რომელსაც არა აქვს დასაწყისი და დასასრული, განუზომელია, დაუსაზღვრავი, ჰყავს „დამწერ“-შემქნელი - უფალი, დედამიწა დიდი წიგნია, ამ დიდი წიგნის ერთ-ერთ ფურცელს კი გუდამაყარი წარმოადგენს. მკვლევარი მანანა კვაჭანტირაძე გამოთქვმს ვარაუდს, რომ მწერალს, გუდამაყრის მოდელით სინათლე შეაქვს მთელ რეალურ სინამდვილეში. „ადამიანთა სევდაში“ იგი დიდი სამყაროს მიკრომოდელად არის აღქმული“ [კვაჭანტირაძე, 2012: 318].

გოდერძი ჩოხელისთვის გუდამაყარი მიკროკოსმოსია, დედამიწასთან - მაკროკოსმოსთან შედარებით. „ალბათ, შემოქმედსაც ძალიან უჭირდა დაწყება, როცა სამყაროს წიგნის წერა დაიწყო“ [ჩოხელი, 2016:4]. უკიდეგანო სამყაროს ლაბირინთებში ჩაკარგული მწერალი არიადნეს ძაფის მოლოდინშია და თეზევსივით გზის გაგნებას/ჩვენებას შემოქმედისგან მოელის. ჰაგიოგრაფი ავტორების, რუსთაველის მსგავსად, ისიც მოითხოვს წერის დაწყებამდე შეწევნას.

ჩოხელს ახასიათებს ამბის სიკვდილით დამთავრება, რადგან „სიკვდილი ისევე ალამაზებს მოთხრობების სიცოცხლეს, როგორც მზე და მთვარე ალამაზებენ წყვდიადს“ [ჩოხელი, 2016:5]. მწერლისთვის მარადიულია მზეც, მთვარეც და სიკვდილიც. მისი რომანები და მოთხრობები შელამაზებულ, ზღაპრულ დასასრულს არ ითვალისწინებს, სადაც

ბოროტი მუდამ დამარცხებულია და კეთილი - გამარჯვებული. აქ სევდა მძლავრობს და ადამიანთა გულებსა და სულებს აფორიაქებს. პერსონაჟები იხოცებიან ბუნებრივად ან ძალადობრივად, ზოგი უგზო-უკვლოდ ქრება, ზოგს ღვთაებები ღუპავენ, ზოგს - აჯილდოვებენ; მრავალფეროვანია გმირთა ისტორიები და ბედი. ავტორისთვის მოთხრობების ტრაგიკული დასასრულია მისაღები, თუმცა სიკვდილს სინანულიც ახლავს; ჩოხელს სურს, მის მიერ შექმნილი პერსონაჟები მკითხველს დიდხანს დაამახსოვრდეს, რაც ტრაგიკული აღსასრულით/დასასრულით უფრო ადვილად მიიღწევა.

ლელა ჯიყაშვილი წიგნში „გუდამაყრელი იები“, გოდერძი ჩოხელის ნაამბობიდან გამომდინარე, სვამს კითხვას: „სიკვდილთან დაძმობილებული გინახავთ ვინმე? სიკვდილის შეყვარება შესძლებია ვინმე კაცთგანს?“ [ჯიყაშვილი, 2011:26]. მკვლევრის მოსაზრებით, მწერალი სიკვდილს ეძმობილებოდა, რომანში ჩართული „სიკვდილთან ღრეობის“ ეპიზოდი სიკვდილთან პირადი დამოკიდებულების გამჟღავნებაა. ჩოხელის ბიოგრაფიისა და შემოქმედების კვლევა გვაძლევს საშუალებას ერთმნიშვნელოვნად დავასკვნათ, რომ ავტორი ინტერესდებოდა ამ (სიკვდილის - მ.ა.) საკითხთით, მისი შემეცნება/შეცნობა, ამოხსნა, გარკვევა ყოველთვის სურდა, სიკვდილი ანდამატივით იზიდავდა თავისკენ, ამოუცნობის ამოცნობას სთხოვდა. თუ ის არ მოდიოდა, თავად ცდილობდა მისულიყო მასთან. ქოზიფას მონასტერში მომხდარშიც თვალნათლივ ჩანს ავტორისეული ლტოლვა, ამოხსნას ამოუცნობი - სიკვდილი. მწერალი, ექიმის მსგავსად, თითქოს ახლადაღმოჩენილი დაავადების ანამნეზს იწერდა, რათა მომავალში ამ სენით შეპყრობილის სამკურნალოდ გამოეყენებინათ.

რომანის კომიკურ-ირონიული გააზრების წინაპირობა მოლაშქრეთა რიგებში სხვადასხვა პროფესიისა თუ უბრალო, რიგითი ადამიანების (სიძე, დიასახლისი, მესაიდუმლე) ყოფნაა, ჩოხელები ლაშქრობის „ამაღლებული“ მიზნისა და მისიისთვის გაერთიანებულან და გულმხურვალედ „იბრძვიან“. ავტორმა რომანში თოთხმეტი დარდი ჩაწერა, დანომრა ისინი, მაგრამ ნუმერაცია არათამიმდევრულია და გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ ადამიანთა დარდები გაცილებით მეტია, ვიდრე ჩაწერილი; „ანკეტირებისას“ ჩაწერილი დარდები კონკრეტული ადამიანების გამოკითხვისას მიღებულ ინფორმაციას ეფუძნება. მთავარი კითხვაა: „რაი გადარდებთ?“ ამ კითხვის ფარგლებში თითოეული პერსონაჟი თავის სატკივარს გვიზიარებს. მათი ნაამბობით ავტორი გუდამაყრის ხეობის პრობლემებს, ზოგადად, ადამიანურ სატკივარს გადმოსცემს და განაზოგადებს.

პირველი დარდი, რომელიც ჩაიწერა დარდების შემგროვებელმა 1671 ნომრითაა აღნიშნული, ბოლო დარდი 1-ელია და რომანის ბოლო ნაწილშია მოქცეული, ამ დარდს ავტორი მთავარ პრობლემად მიიჩნევს. როგორც აღვნიშნეთ, რომანი ორიგინალურია კომპოზიციური თვალსაზრისით - ჩართულია ნოველები, პერსონაჟებთან დაკავშირებული ისტორიები, თითოეული ამბავი დასრულებული მხატვრული ტექსტია, მაგრამ, ამავდროულად, რომანის ორგანული ნაწილიცაა. პირველი ისტორია ვაჟი გოგის უკავშირდება, პერსონაჟისა, რომლის მხატვრული სახეც რომანის ფინალამდე იძერწება. ზღაპრული წარმოსახვით, იმაგინაციური ხერხითაა წარმოჩენილი მისი პიროვნება, შესანიშნავი მატყუარა თავის თავში გმირს ხედავს, თანასოფლელებსაც არწმუნებს ამაში და სახელისა და ღირსების აღსადგენად წარმოებულ ლაშქრობას სათავეში მხედართმთავრის სტატუსითაც ჩაუდგება, წყალქვეშა და დედამიწისზედა გამოცდილებას იყენებს მხედართმთავრობისათვის. ორატორული ნიჭს წარმოსახული წყალქვეშა სამყაროს აღსაწერად შესანიშნავადაც გამოიყენებს: „მაგრამ რა გამოგივათ?! არაფერი! თქვენ იმათი ენა არ იცით და იმათ - თქვენი... ვერ შეეწყობით; ისევ აქ გირჩევნიათ ყოფნა'' [ჩოხელი, 2016:11].

ტბის ქვეშ გაშენებული ქალაქები ილია ჭავჭავაძის ქრესტომათიული ტექსტის - „ბაზალეთის ტბის“ ალუზიას აღძრავს, ვაჟი გოგის წარმოსახვაში აღთქმულ ქვეყნად ვლინდება, რომელიც მხოლოდ მან შეიცნო. პერსონაჟის აზრით, მიწიერი ადამიანებისთვის ის სამყარო მიუწვდომელია.

სახელდახელოდ მოგონილი, არაფრისმთქმელ სიტყვათა კომბინაცია -„აისერიო მისერიო მისერ“ [ჩოხელი, 2016:11], თანასოფლელთა დარწმუნებასთან ერთად, ვაჟი გოგის ავტორიტეტსაც ზრდის. პერსონაჟისეულ რეპლიკაში ავტორის სათქმელიც მჟღავნდება: „კაცს ისე არ აფასებენ, როგორც უნდა აფასებდნენ“ [ჩოხელი, 2016:11]. გოდერძი ჩოხელის ბიოგრაფიის გათვალისწინებით, ვვარაუდობთ, რომ ვაჟი გოგიმ ავტორის სატკივარი გაახმიანა: ნიჭიერ მწერალს შესაბამისად არ აფასებდნენ, არადა, დიდხანს ელოდა ლიტერატურული მემკვიდრეობის სათანადოდ აღიარებას. მწერალი გამორჩეული იყო განსაკუთრებული თავმდაბლობით, გულისტკივილს ხმამაღლა ვერ განაცხადებდა, მწერლობის მაღალი ტრიბუნიდან კი ბრძანა: „ეგ ხომ წყალზედა მყოფების დარდიც არის'' [ჩოხელი, 2016:16]. გამიხარდიას რეპლიკა ალეგორიულად გვახსენებს, რომ დაუფასებლობა მხოლოდ ერთი ადამიანის წუხილი არ არის, ზოგადი სატკივარია, მასობრივი მოვლენაა, რასაც უსამართლო პოლიტიკური იდეოლოგია, ცხოვრება ასულდგმულებს. ვაჟი გოგის

წუხილში იკვეთება განსხვავებული ადამიანის კრიზისი საზოგადოებაში. ვაჟი გოგი გამორჩეულია თავისი სწრაფვით, ოცნებებით, თითქოს დედამიწიდან გაქცევას ცდილობს: ან წყალშია, ან ცაში, სადაც ადამიანები არ ცხოვრობენ. ვაჟი გოგი თვითმფრინავიდან იმ იმედით გადმოიხედავს: „იქნებ ხატობა აქვთ-მეთქი“ [ჩოხელი, 2016: 12]. სიმბოლურად გვეჩვენება ეს პასაჟიც, გმირობისმაძიებელი რწმენასთან დაბრუნების იმედით დედამიწისაკენ იხედება, იქ, სადაც უკეთესი საზოგადოება ელოდება. იმედგაცრუებული ადამიანის გმინვა გამოსჭვივის ვაჟი გოგის სიტყვებში: „ - ჰოდა, რომ გადმოვიხედე, იმიტომაც ვზივარ თქვენთან, -თქვა და გაჩუმდა“ [ჩოხელი, 2016: 12].

ვაჟი გოგის ცაში ფრენის სურვილი ადამიანის თავისუფლებისაკენ ლტოლვის სიმბოლური გააზრებაა. ცა ღვთის ტახტი და საბრძანებელია და ვაჟი გოგის სურვილიც უფალთან ყოფნაა, ხოლო წყალში ყოფნა სიმბოლურად დედამიწიდან გაქცევის მცდელობაა. გოგისნაირი ადამიანების გაგება რთულია, პერსონაჟი თითქოს სხვა/განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს, მისი გაგება ვიწრო მსოფლმხედველობის მქონე თანასოფლელებს უჭირთ.

ვაჟი გოგის პერსონაჟი რეალური პიროვნებაა, ის გოდერძი ჩოხელის „დედისძმა“/ბიძა იყო, გვარად ბუბუნაური, ამ ვაჟი გოგისაც, როგორც პერსონაჟს, დიდად ჰყვარებია ტყუილი, რომელსაც დიდი სიამოვნებით ისმენდა მწერალიც, ბიძას მოუტყუებია ომში წყალქვეშა ნავზე ვმუშაობდი და ერთხელ ნარანაის ტბაში ამოვყავი თავიო. ისიც მოუტყუებია: „ერთი ჩვენზე მივარდნილი ქვეყანა არიო, იქაო, რასაც უცხო სახელს გაიგონებენო, ბალღებსა ჰქვივნობენო“ [ჯიყაშვილი, 2011:94-95]. ასე რომ, გოდერძი ჩოხელმა ვაჟი გოგის პერსონაჟი რეალურ სახეზე დაყრდნობით გამოძერწა.

ირონიითა და სარკაზმით გვიხატავს მწერალი სოფლის დეკანოზის, ბიბღას, სახეს, მის სადარდებელს საერთო სახლის მშენებლობა წარმოადგენს. დეკანოზი თავის ბუნებრივ, ჭეშმარიტ საქმიანობას (ხატის სამსახური) მოწყვეტილია, ახალი იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოქცეული, სოფლის სულიერი მესაჭის სადავეებს ჩაბღაუჭებია და ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს პატივიცა და თანამდებობაც. მორიგებისა და მშვიდობიანობის ქადაგების ნაცვლად, ჩოხელთა სახელის აღდგენისათვის ამბოხს თავისებურად „ამწყალობებს'' და მეზობელი სოფლების დამონება-დამორჩილებისკენ ისწრაფის. ბიბღაი ფსევდო-დეკანოზია, დროის შესაფერისად მჭევრმეტყველებს და მომხვეჭელობის ვნებას ერთგვარი აზარტით ემონება - უნდა საერთო სახლი, ხუთასოთახიანი. ამ დიდ სახლში დიდი ნაწილი ოთახებისა სასადილოს ეთმობა, თუ ჭამაა, ჭამა იყოსო.

დეკანოზის სახეც ილია ჭავჭავაძის ლუარსაბის ალუზიაა. სიმაძღრის მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელია, რადგან ზოგიერთი საჭმელი ზამთარში არაა, ისეთი რამის შენახვას გეგმავს, რაც სიცივეშიც გაძლებს და მადააღძრულ დეკანოზს მუცელს ამოუყორავს, ბრჭყვიალა სახურავის წადილიც მისი მხატვრული სახის წარმოჩენას ემსახურება:

„თუნუქი დავახუროთ, რომ ბრჭყვიალი დაიწყოს და ჩვენ მტრებს თვალები დაეჭრას, დაუბრმავოს“ [ჩოხელი,2016:18]. ბიბღას სურვილში წუთისოფელს, ამსოფლიურს დამონებული ადამიანის სურვილი იხატება, *საერთო სახლი* არსებული წეს-წყობილების ანარეკლია, ენიგმაა - კერძო საკუთრება მიუღებელია, ხალხს აკულაკებენ, ართმევენ შრომით შექმნილ დოვლათს და სახელმწიფოსაგან ნაალაფარს კოლექტივს აკუთვნებენ.

შემთხვევითი არ უნდა იყოს დეკანოზისაგან ამ იდეის ქადაგება, ცნობილია, რომ არსებულმა პოლიტიკამ რელიგია *ოპიუმად/ბანგად* გამოაცხადა და სასულიერო პირების დიდი ნაწილი დახვრიტა, გადაასახლა, გაპარსა. საერთო სახლი, საერთო საკუთრება და აქცენტირება ჭამა-სმაზე, რაც ბედნიერი ცხოვრების ილუზიას ქმნის, საბჭოთა მმართველობის სტილია, დეკანოზი ბიბღა ალეგორიულად ამ იდეოლოგიის მქადაგებლად გვევლინება, რომაული გამონათქვამი - „პური და სანახაობა“ ფსევდომოძღვრის პოზიციას, სათქმელს უზუსტესად გამოხატავს.

გოდერძი ჩოხელმა სამხარაულის მხატვრული სახით გუდამაყრელთა სატკივარი გაახმიანა - მშობლიური კუთხის მივარდნილობა, მივიწყებულობა. ჩოხი თითქოს მთელ სამყაროსაა მოწყვეტილი. მწერალი თავის ბიოგრაფიაშიც გულისტკივილით ეხება ამ თემას, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ერთგვარი მცდელობაა ამ პრობლემის მოსაგვარებლად: გუდამაყარი „ისტორიულად და გეოგრაფიულად მივიწყებული და მოუხვედრელი ადგილია. ხევსურებს იცნობენ, ფშაველებს იცნობენ, თუშებს იცნობენ, მთიულებს იცნობენ, მოხევეებს იცნობენ და რომ თქვა, გუდამაყრელი ვარო, ყველა სიცილით მოკვდება“ [ჩოხელი, 2016:19-20].

აღმოსავლეთ მთიანეთის ყველა კუთხის ყოფა-ცხოვრება, კულტურა მეტ-ნაკლებად ასახულია ისტორიულ დოკუმენტებში, მწერალთა შემოქმედებაში, გუდამაყრის შესახებ ჩანაწერები ისტორიულ მასალებშიც მწირია და გოდერძი ჩოხელის შემოქმედებამდე ლიტერატურულ ტექსტებშიც არ ასახულა. ამ მხრივ მწერალი ნოვატორია, ფასდაუდებელია გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული და სარეჟისორო საქმიანობა, რაც მთლიანად გუდამაყარს უკავშირდება, გუდამაყრითაა შთაგონებული. მშობლიური კუთხის ყოფა-

ცხოვრების, კულტურისა და ტრადიციების ასახვა მივარდნილი კუთხის პოპულარიზაციის მცდელობაა. მისი ცნობადობის ამაღლებას ემსახურება 1795 წლის კრწანისის ბრძოლის გახსენებაც: „იმ სამასი არაგველიდან, კრწანისის ველზე რომ დაეცნენ, უმეტესობა გუდამაყრელები იყვნენ“ [ჩოხელი, 2016: 20]. გოდერძი ჩოხელმა შემოქმედთაგან პირველმა მონიშნა ქართული ლიტერატურის რუკაზე ახალი ტოპონი - გუდამაყარი და მას თავისი მყარი ადგილი დაუმკვიდრა. ჩოხელთან ყველაფერი ერთ მთავარ მიზანს ემსახურება, დაარწმუნოს მკითხველი მშობლიური სივრცის მნიშვნელობაში. სამხარაულის (პერსონაჟის) და თავად ავტორის პიროვნული მისწრაფებაც ასეთია: „დროა, ბოლოს და ბოლოს, მსოფლიომ გაიგოს, რომ არსებობს ხეობა, რომელსაც გუდამაყარი ჰქვია“ [ჩოხელი, 2016: 20].

ბიბლიური ცოდნაა გამჟღავნებული ქიმბარის თეოლოგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებებშიც, რომლებშიც სიკვდილ-სიცოცხლის, დასაწყისისა და დასასრულის მარადიული თემები წარმოჩნდება: „დასაწყისი სად არის, ის არ ვიცი“ [ჩოხელი, 2016:20], „სიკვდილიც დასაწყისია, მაგრამ - მთავარი არა. მთავარი დასაწყისი სხვა რამეა“ [ჩოხელი, 2016:21]. ბიბლიის მიხედვით, დასაწყისი უფლის სიტყვაა, სამყაროს იქმნება უფლის სიტყვით, ლოგოსით: „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა'' [იოანე1,1. 1989: 1045].

ჩაღის უსიყვარულობა გამიხარდიას ტრაგიკული სიყვარულის ისტორიის ინსპირაცია გახდა, რასაც ფონად გუდამაყრის უძველესი ადათ-წესები და ჩვეულებები გასდევს, რომლებსაც ავტორი ყოველგვარი შელამაზების გარეშე გვიხატავს. დიდებათში მცხოვრები ნინოსა და გამიხარდიას სიყვარულის ისტორიაში ავტორის დამოკიდებულებაც იკვეთება - ძალით დამორჩილებული ქალი უბედურია, მას მომავალი, ოჯახის შექმნის პერსპექტივა არ აქვს: „გზაზე ყაჩაღები დახვდნენ და გააუბედურეს. იმან ჯერ არაფერი თქვა, ერთი დღე უხმოდ იჯდა და უხმოდ მიყურებდა. ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი და მუხლებზე მაკოცა. მე ჩავიხვიე. ხელიდან გამისხლტდა და წავიდა. წავიდა და ეგ იყო... წავიდა და ადევებულ არაგვში ჩაეხრჩო თავი“ [ჩოხელი, 2016:22].

ნინო უბედურების პირისპირ მარტოა, საყვარელი მამაკაცის წინაშე უსიტყვოდ მყოფი, მდუმარე, სინამდვილეში ხმამღლა გაჰკივის და შველას ითხოვს. მისი ტრაგედია ყველა მსხვერპლის ტრაგედიაა. მთის ტრადიციებით, უმწიკვლო რეპუტაცია აუცილებელია ოჯახის შესაქმნელად. ჩოხელის მიერ დახატული ქალი უმწეოა, გამომსარჩლებელი არც

საზოგადოება ჰყავს და არც საყვარელი მამაკაცი, რომელიც ქალის სინდისს-ნამუსს ხმლით უნდა იცავდეს. ასეთი ქალების სიცოცხლე ხშირად თვითმკვლელობით სრულდება, ეს ერთადერთი გამოსავალია. უფრო მკაცრი, მიუღებელი წესები დასაფლავების ჩვეულებებში ვლინდება, მწერლის ცნობით, გუდამაყარში არსებული წესებით თავისმკვლელებს ცალკე კრძალავენ: „საფლავებიდან ცოტა მოშორებით დამარხეს“ [ჩოხელი, 2016:23]. ეს ერთი, კერძო შემთხვევა არ არის, მიღებული, გაზიარებული და დაკანონებული ჩვეულებაა, რომელსაც მთელი გუდამაყარი მონდომებით ასრულებს ყოველთვის, ყველასთან და ყველა დროში! ცალკე დამარხეს მზექალიც („სულეთის კიდობანში“).

(ზემოთქმული არ არის მხოლოდ გუდამაყრული/ქართული ჩვეულება - მაგალითად, ჯონ გოლზუორთის „ვაშლის ყვავილშიც“ ინგლისური სოფლის სასაფლაოზე კი არა, გზასაყარზე კრძალავენ თვითმკვლელ მეგენს - მ.ა.).

ჩოხელის გუდამაყარში ჩვილებსაც განცალკავებით ასაფლავებენ. ამავე რომანში ცალკე დამარხეს თადეოზის ჩვილი ძმა, რომელიც 40 დღისაც არ იყო. მთიან გუდამაყარში, მშობიარობის მკაცრ წესებთან ერთად, დასაფლავების უმკაცრესი წესებიც ჰქონდათ დადგენილი - ამ წესებით, დაკრძალვისას, ქალს საფლავზე მისვლაც ეკრძალებოდა. წესი უძველესი რწმენა-წარმოდგენებიდან იღებს სათავეს, რადგან ქალი უწმინდურად ითვლებოდა. ჩოხელისათვის მიუღებელი ეს მიდგომა არაერთხელ აირეკლა მის პროზაში.

ქრისტიანულ რელიგიაში თვითმკვლელს წესს არ უგებენ, იგმობა ღვთის მიერ ბოძებული სიცოცხლის მოსპობა, ღვთის შიში აიძულებს ადამიანს ყოველგვარი გასაჭირიდან გამოსავალი მოძებნოს და სიცოცხლე არ მოისწრაფოს, რადგან სიცოცხლე უფლის საჩუქარია და მხოლოდ მასვე აქვს უფლება დაასრულოს ის, რაც მანვე გიბოძა. ჩოხელის მიერ გადმოცემული თვითმკვლელობის ისტორიები უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და ქრისტიანული სწავლების ნაზავია. გამიხარდიას ცრემლი დაგვიანებული ყვავილების ტოლფასია, ჩოხელის მამაკაცი პერსონაჟები თითქოს საკმარის გულისხმიერებასა და თანაგრძნობას ვერ იჩენენ საყვარელი ქალისადმი და გარკვეული „წვლილიც“ შეაქვთ თვითმკვლელობაში უმოქმედობით, ტრადიციების ფარული და თუ აშკარა დაცვით.

შემთხვევითი არაა, რომ მწერალმა გამიხარდიას სადარდებელიც ჩართო რომანში, ისიც ტექსტის ნაწილად აქცია. სხვისი დარდების შემგროვებლის პირადი დარდის

გაზიარებით ჩოხელი გვიჩვენებს, რომ ყველა ადამიანს საკუთარი, პირადი განსაცდელი აქვს. უდარდო ადამიანი არც არსებობს.

გოდერძი ჩოხელმა გარახტინას მხატვრული სახით ჩოხის მკვიდრთა უძველესი წეს-ჩვეულება გაგვაცნო: „ისე იყო დაკანონებული, რომ ჩოხის წმინდა გიორგის ყმა, კოჭლი იქნება ის თუ ბრმა, ვის კარზედაც უნდა მივიდეს ქალის სათხოვნელად, უარი არ უნდა უთხრან“ [ჩოხელი, 2016: 24]. ამ ჩვეულების ამბებს ჩოხელის ბიოგრაფიიდანაც ვიგებთ. მისი წინაპრები მხარის უძველესი მოსახლეები იყვნენ, რის გამოც ჩოხელები, ტრადი-ციულად, გუდამაყრის ბატონ-პატრონად მოიაზრებოდნენ, რომანში ამ უპირატესობის დაკნინების საბაბითაა წარმოებული ტრაგიკომიკური „ლაშქრობა.“ მწერალი თავისი გვარის პატივისმცემელია, მაგრამ მწერლობის დიდი ტრიბუნიდან ახსენებს მთიან მო-სახლეობას, რომ ახლა სხვა დროა.

საერთო აღტკინებისათვის უადგილობის წარმოსაჩენად გამოიყენა მწერალმა სათემო ხატი, რომელსაც ადრე მხოლოდ საგანგებო შემთხვევების დროს გამოაბრძანებდნენ - ამის უფლება, არსებული წესით, მხოლოდ წმინდა ადამიანს ჰქონდა. დეკანოზის უარი სათემო ხატის გამობრძანებაზე აიძულებს აღშფოთებულ ვაჟი გოგის, სებაისა და სამხა-რაულს გულხელდაკრეფილი არ ისხდნენ და სასურველის მისაღებად იმოქმედონ: „თუ მთა არ მიდის მუჰამედთან, მაშინ მუჰამედი მივა მთასთან“ (ელ.რესურსი). წესის მიხედ-ვით, სალოცავის მიმდებარე ტერიტორია წმინდა იყო და მისი გადალახვა ხალხს არ შეეძლო, ხატთან გავლებული სამანი ყველა ზღუდეზე მტკიცედ ითვლებოდა. სამანების, დაწესებული საზღვრების თემა აქტუალურია ჩოხელის მთელ შემოქმედებაში და არა-ერთ ტექსტში თავისებურად წარმოჩნდება.

როგორც აღვნიშნეთ, ლაშქრობის „ამაღლებულ“ მისიაზე მეტყველებს სათემო ხატის გამობრძანება. წამძღვარებული ხატი მოლაშქრეთა მისიას ძლევამოსილების ნიღაბს არ-გებს, რაც სატირულ/კომიკურისა და ტრაგიკულის ერთგვარი ნაზავია. სამანების თვით-ნებური გადალახვა ბრბოს ინსტინქტებს აღვიძებს - თემი ეტანება, თელავს და არღვევს ყველა ბარიერს, რაც მიზნის მიღწევაში დაეხმარება (სათემო ხატი) ან ხელს უშლის (სა-მანები).

სათემო ხატი დაკარგული ძალაუფლების განმტკიცების მთავარ საშუალებად იქცევა. „ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავ გორაში სამანებია ჩაცემული, აქ მკაცრი წესები მოქმედებს. თუ ჩოხელი ჩოხელს უღალატებს, დარისხებულია, თუ ვინმე ჩოხელის

გვარის გოგოზეც ცუდს გაივლებს გულში, ისიც დარისხებულია“ [შაიშმელაშვილი, 2012:17].

მწერალი თამარ შაიშმელაშვილთან საუბრისას, ერთ შემთხვევას იხსენებს - როცა მამასახლის ქარჩაიძეს დღეობიდან ხალხი სამხედრო გზის მშენებლობისათვის წაუყვანია, დაურისხებიათ, „არც გაწყდეთ და არც გამრავლდეთო'' და სამანიც ჩაუციათ. მალე დაბრუნებულან ქარჩაიძეები შესაწირავი ხარით და უთხოვიათ სამანის ამოღება. არ ვიცით, რომელია და, თუ სხვა ამოვიღეთ, დარისხება მათზე გადავაო. ჩანს, დარისხებული ბევრი ჰყოლიათ, მათ მიმართ არავინ იჩენდა შემწყნარებლობას.

ირონიულ-კომიკურის ნაზავია სათემო ხატით გუდმაყრელთა დაშინების გადაწყვეტილება. დაცარიელებულ-დაცოტავებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალია და უნდა დააშინონ სათემო ხატით, რომელიც რწმენის სიმბოლოა, მაშინ, როცა მის წინაშე ადამიანები სიყვარულით, სიკეთითა და თავმდაბლობით უნდა იდრეკდნენ მუხლს.

ავტორის ცნობით, „გუდამაყრის ხეობაში პირველად ჩოხლები დასახლდნენ და სოფელს ჩოხი დაარქვეს. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ქრისტიანობა და ჩოხლებიც კერპთაყვანისმცემლები იყვნენ, ხოლო როცა ქრისტიანობა მიიღეს, თავიანთ მთავარ სალოცავად მთვარის ღვთაება - წმინდა გიორგი იწამეს“ [ჩოხელი, 2016:26].

გოდერძი ჩოხელი თავისი კუთხის მეისტორიედ გვევლინება, რაც, ისევ და ისევ, სივრცის ცნობადობის გაზრდას ემსახურება. სოფლების გაშენებისა და სალოცავების მშენებლობის თემა მნიშვნელოვან მასალას შეიცავს მთიანი გუდამაყრის სარწმუნოებრივი მრწამსის განსასაზღვრად: „წმინდა გიორგი სამას სამოცდასამ ნაწილად დაშლილა. ჩოხლების წმინდა გიორგი - ენა არის“ [ჩოხელი, 2016:26].

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ჩოხლებს დღეობების დროს ჩხუბიც სცოდნიათ, რადგანაც ჩოხლების წმინდანი გიორგი - ენა ყოფილა.

ხატი მთავარი ფუნქციის გარეშე - ასე წარმოაჩინა ავტორმა თემის სიწმინდე. ადრე თუ მტერთან საბრძოლველად მიმავალი ვაჟკაცები ემთხვეოდნენ სიწმინდეა, მუხლს იდრეკდნენ, ახლა დიდი მისიის სათემო დროშა ბანალური საკითხის, ხეობის შიგნით გაჩენილი კონფლიქტის მოგვარების საშუალებადღა ქცეულა.

რომანში ასახულია გუდამაყარში ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების ისტორია. საკითხთან დაკავშირებით თვალშისაცემია ისტორიული დოკუმენტებისა და

მხატვრული სინამდვილის თანხვედრა, გოდერძი ჩოხელი თავისი კუთხის ჭეშმარიტ მეისტორიედ გვევლინება, იკვეთება უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და ახალი - ქრისტიანული რელიგიის თანაარსებობა, ჩანს, რომ ორივე მრწამსი ერთდროულად არსებობს, თანაარსებობს, მათი განცალკევება ჭირს: „გუდამაყარში ერთმანეთშია არეული კერპთაყვანისმცემლობა და ქრისტიანობა. ახლაც აცხობენ პურისაგან მგლებს, რომელთაც აგურის კბილებს უკეთებენ, პურის მგელი საქონლის ბაგაზე მიაქვთ, ჯერ წნელით შეუკრავენ პირს და ულოცავენ“ [ჩოხელი, 2016:39].

კვერებს საქონელსაც აჭმევენ, რაც ასევე წარმართული ჩვეულების ნაწილია. ისტორიული მასალების მიხედვით, ქრისტიანობა მთიან აღმოსავლეთში, მათ შორის, გუდამაყარშიც, რთულად იკაფავდა გზას, რაც აისახა კიდეც რომანში: „ქრისტიანობა უცნაურად შემოდიოდა აქ. ჯერ კიდევ ვერ ურიგდებოდნენ ახალ სარწმუნოებას. მერე თანდათან იწამეს“ [ჩოხელი, 2016:40].

ეს „თანდათან“ ძალიან დიდხანს, თავად მწერლის თანამედროვე ეპოქამდე გაგრძელდა გუდამაყარში.

გოდერძი ჩოხელი ორი რწმენა-წარმოდგენის თანაარსებობის ზოგად სურათს ხატავს. მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი - მთიან რეგიონებში, გარკვეული დროის მანძილზე ერთდროულად არსებობდა ძველი და ახალი რწმენა. ამბავში სწორედ ის დროა არეკლილი, როცა ქრისტიანული რელიგია ფართოდ გავრცელებული არ არის - აქ ჯერაც მარხავენ მკვდრებს მღვდლის, ყოველგვარი ქრისტიანული რიტუალის გარეშე. ტრაგიკომიკურად წარმოაჩენს ავტორი ათნოხის მკვიდრის, აკაი თამნიაურის დაკრძალვის ამბავს - თორმეტი ქისტის „მომკლავ“ გუდამაყრელ სახელიან ვაჟკაცს კათოლიკოსის გამოგზავნილი მღვდელიც ჩააყოლეს მიწაში, ძველი წარმოდგენებით მცხოვრებმა მთიანი კუთხის შვილებმა საფლავს ყარაულიც დაუყენეს - „ავი სულები რომ არ დაპატრონებოდნენ.“

ახალ სარწმუნოებაში ფეხშედგმულმა გუდამაყრელებმა, ქრისტიანული სწავლების მიხედვით, მღვდლის ლოცვაც მოისმინეს: „მიწა ხარ და მიწად იქეც!“ [ჩოხელი, 2016:40].

ავტორის მიერ წარმოჩენილი სინამდვილე გვარწმუნებს, რომ მთიან აღმოსავლეთში თანაარსებობდა ახალი და ძველი რწმენა-წარმოდგენები, რომლებსაც მწერალი თავის შემოქმედებაში შეულამაზებლად გვიხატავს.

ტრაგიკომიკურია დუმაცხოში გარდაცვლილი ხუთი ქისტის მომკლავი გიგილაის ამბავიც - ვაჟკაცის დასამარხად გუდამაყრელები მცხეთაში კვლავ ჩავიდნენ მღვდლის

მოთხოვნით. გუდამაყრელთა თავის მართლება, მთიანი აღმოსავლეთის მკვიდრთა გულუბრყვილობასთან ერთად, მათ სივრცეში ქრისტიანული სარწმუნოების ჯერაც არცთუ მყარ პოზიციაზე მეტყველებს, რაც საუკეთესოდ წარმოჩნდა რომანში.

გოდერძი ჩოხელი დახოცილი ქისტების რიცხვს განუსაზღვრელი რიცხვითი სახელით კი არ გადმოსცემს, არამედ ზუსტად გვისახელებს - თორმეტი და ხუთი, რაც შემთხვევითი არ არის - საგანგებოდ დასახელებული რიცხვი მთიანი აღმოსავლეთის დამოკიდებულებას გვიჩვენებს მტრის მიმართ. მთიელებისათვის დიდ ვაჟკაცობას წარმოადგენდა მტრის მოკვლა, დახოცილთა რაოდენობაც ზუსტად ჰქონდა დათვლილი.

„სულეთის კიდობანში“ გამიხარდიასთან დაკავშირებული ამბავი „სახელი ქმნის“ დამკვიდრების წესს გვაცნობს - გამიხარდია ქალებს იმიტომ არ მოსწონთ, რომ იარაღით არ დადის, მტრის მოკვლა არ შეუძლია. სახელის ძიებას, მოხვეჭას გაუმართლებლად ეწირებოდა მთის მოსახლეობის ნაწილი, ხშირად ეს თვითმიზნად იქცეოდა.

სოფელ ლიდაში მცხოვრები ოთხმოცი წლის ბათილა ლიდიაურის თვალსაზრისში სულისა და სიკვდილის შესახებ ღრმა ქრისტიანული მსოფლმხედველობა იკითხება. კითხვაზე, თუ სად მიდის სული სიკვდილის შემდეგ, ბათილა ასე უპასუხებს: „სული? სული არ დაიკარგება, ხორცს გაეყრება და სიზმარივით იქნება. სულ სიზმარივით იქნება. ცხონებული ვინც არის, ის სულ ნათელში იქნება, ბოროტებს სხო ადგილი ექნებათ“ [ჩოხელი, 2016: 42].

სამოთხისა და ჯოჯოხეთის ბიბლიური გააზრება საუკუნეს მიღწეული გუდამაყრელი გლეხის ცნობიერებაში სიღრმისეულია, მწერალმა ბათილას სახით ქრისტიანული მსოფლმხედველობის მქონე პერსონაჟი წარმოაჩინა. აქვე მწერალი აღგვიწერს უშვილობასთან დაკავშირებულ დისკრიმინაციულ წესს, რომელიც ძველი აღთქმიდან უნდა მომდინარეობდეს.

უშვილობის დარდი ნოდარ დუმბაძის „ხაზარულაში“ ასე იკითხება: ,,დროა, აწი შეეგუო გლეხის ფილოსოფიას, სამ რამეს არ აყენებს გლეხი ოჯახში, ბერწ საქონელს, უნაყოფო ხეს და უშვილო...“ [დუმბაძე, 2011:203].

უშვილობა დანაშაულის ტოლფასია, ასეთივე შეხედულებაა მთიან გუდამაყარშიც, რაც სიღრმისეულად აისახა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში. გუდამაყრელთა წარმოდგენები უფრო შორს მიდის: უშვილოთა ადგილი საიქიოშიც განსხავებულია. ამ პოზიციის სათავე ძველ აღთქმაშია საძიებელი, ბიბლიურ სარას 90 წლამდე შვილი არ

ჰყოლია: „ბერწი იყო სარაი, შვილი არ უჩნდებოდა“ [ბიბლია, დაბადება, თ.11-13. 30. 1989:21].

რადგანაც სარას არ შეეძლო შვილის გაჩენა და შთამომავლობის გამრავლება, აბრაამს ცოლად შერთო თავისი მხევალი, ეგვიპტელი აგარი, რომელიც დაორსულდა. სარამ ინანა თავისი გადაწყვეტილება: „მაშინ უთხრა სარაიმ აბრაამს: შენზეა ჩემი შეურაცხყოფა. მოგიწვინე ჩემი მხევალი და, როცა შეატყო, რომ ორსულადაა, დავმცირდი მის თვალში. ახლა უფალმა განგვსაჯოს“ [ბიბლია, დაბადება, თ.14-16. 5. 1989:23].

ძველი აღთქმის კონცეფციიდან იკვეთება, რომ უშვილო ქალი დამცირებული და დაჩაგრული იყო. ცნობილია, რომ იოაკიმესა და ანას, ღვთისმშობლის მშობლებს, დიდი ხნის განმავლობაში შვილი არ ეძლეოდათ, გადმოცემის მიხედვით, ებრაელებში უშვილობა ღვთის სასჯელად ითვლებოდა. [,,ღვთისმშობლის შობა იყო დასაწყისი კაცობრიობის დასაწყისისა“ (ელრესურსი)].

გოდერძი ჩოხელის გუდამაყარში უძველეს შეხედულებას ტრანსფორმირება არ განუცდია, უშვილოთა სატკივარი მწერლის შემოქმედებას სისხლხორცეულად კვებავს - არა იმიტომ, რომ მისთვის ეს ტრადიცია მისაღებია, პირიქით, მიუღებელია და თავის მოვალეობად მიიჩნევს, კალმით გამოესარჩლოს დაჩაგრულ ქალს.

გოდერძი ჩოხელს განსაკუთრებით ეცოდება ქალები, რომელთაც დედობის მადლი არ ეწყალობათ. რომანის მიხედვით, ასეთი ქალები მეტად არიან დაჩაგრულები. ავტორი მოუშუშებელი იარაზე, რომელსაც *უშვილობა* ჰქვია, ღიად და გახსნილად საუბრობს.

მწერალი რომანში კიდევ ერთხელ განსაკუთრებული სიღრმით ეხება სიკვდილის თემას, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე აწუხებდა, სულს უმღვრევდა, სხვადასხვა ტექსტში სხვადასხაგვარად განიხილავდა. სიკვდილის განცდის ჩოხელისეული გააზრება რომანში ამჯერად *ბუნებასთან უშუალო კავშირში* განიხილება: „სიკვდილზე რას იტყვი? ქვებსა და ხეებს თუ აქვს სიკვდილის განცდა? სიკვდილი რომ გამოიგონა ღმერთმა, იფიქრა, მოდი, გამოვცდიო და ჯერ ქვას მიარგინა იმის განცდა. ქვებმა ისე განიცადეს, იმდენი იდარდეს, დარდისაგან სუ იფშვნებოდნენ, აღარ ივიწყებდნენ თანამოძმის სიკვდილს და ყველანი იფშვნებოდნენ. ღმერთმა იფიქრა, ამათთვის ეს განცდა არ შეიძლება, ამისათვის სუსტებიაო, აარიდა ქვებს სიკვდილი და ახლა ხეს მიარგინა, იმათაც ძალიან განიცადეს, მთელმა ტყეებმა ტოტები ჩამაილეწეს და აღარ ივიწყებდნენ. ხეებსაც აარიდა და ახლა წყალს მიარგინა. ვერც წყალმა გაუძლო, დაშრობა დაიწყო, ადგა ღმერთი და

ადამიანებს მიარგინა სიკვდილი. ადამიანმა იტირა, იტირა... მერე დამარხა მკვდარი და ტირილით გადაიმგლოვა კიდეც. ჰოო, ამის მერე ღმერთმა ადამიანს მიაკუთვნა სიკვდილის განცდა“ [ჩოხელი, 2016:42].

მკვლევარ გიორგი ხორბალაძის აზრით, „გოდერძი ჩოხელი ამ ციტატით ხსნის სამყაროს ბრუნვისა და მარადიულობის არსს, ხაზს უსვამს იმას, რომ მხოლოდ ადამიანს აქვს ნიჭი სიკვდილის დაძლევით გაიკაფოს გზა მარადიულობისაკენ, სიკვდილის დაძლევის ერთადერთი მეთოდი კი ღირსეულად გატარებული სიცოცხლეა“ [ხორბალაძე, 2013:63]

გოდერძი ჩოხელის შეხედულებით, მხოლოდ ადამიანს შესწევს ძალა იგვემოს და კვლავ დადგეს ფეხზე, ცხოვრების გასაგრძელებლად, სიკვდილის გამანადგურებელი ზეგავლენის მიუხედავად, ის წვრთნის და აძლიერებს სულს. ლევან ბებურიშვილის აზრით, ხილულ სამყაროში ყველა და ყველაფერი ემორჩილება მიწის, ბუნების წესს - დაბადებისა და კვდომის კანონს. მხოლოდ ადამიანის სულზე არ ვრცელდება მისი ხელმწიფება, რადგან სულს საკუთარი სამფლობელო აქვს მარადისობაში და *„თავის გზა კარგად იცისა“* [ბებურიშვილი, 2018:26].

მაია წიკლაურის აზრით, ჩოხელი სიკვდილის ადამიანს „მიკუთვნებით“ ხაზს უსვამს ადამიანის სულიერ სიძლიერეს - ადამიანს აქვს „იმედი და რწმენა იმისა, რომ ადამიანი *გარდაიცვალა,* მხოლოდ სული არ გამქრალა... სული უკვდავია, მარადიულია და ადამიანიც სხვა განზომილებაში და სრულიად სხვა სახით განაგრძობს არსებობას“ [წიკლაური, 2010:163].

ქვა, ხე და წყალი სამუდამო გაქრობისათვის არ არიან განწირულნი, ისინიც *სხვა სახით* მოდიან დედამიწაზე *(ხის გადანაჭერზე აღმოცენებული ყლორტი, წყლის სამი აგრეგატული მდგომარეობა...),* მაგრამ მათ არა აქვთ უფლისგან მინიჭებული უკვდავი სული, მათი მოსვლა მხოლოდ ფიზიკური კანონზომიერებითაა განსაზღვრული, ადამიანი კი ღვთის ხატია და დაჯილდოებულია უკვდავი სულით, მეორედ მოსვლისას იმავე სახით მოევლინება სამყაროს. ეს რწმენა და იმედი აძლევს ადამიანს ძალას „გამოიგლოვოს“ გარდაცვლილი და ცხოვრების გასაგრძელებლად, მარადიული სიცოცხლის რწმენით, ძალები მოიკრიბოს. ეს იდეა ასულდგმულებს ლიდელი ბათილას პერსონაჟს, რომელიც მწერლისეული მსოფლმხედველობის წარმომჩენია „ადამიანთა სევდაში“.

ბათილას სადარდებელიც გამიხარდიას რჩეულ დარდთა შორის ხვდება, ამიტომაც ჰპირდება, ღმერთთან შეხვედრისას პირველ თუ არა, მეორე დარდად მაინც ვამცნობ

უფალსო. ბათილას დარდს ავტორი მყარი არგუმენტით ამაგრებს: „ამაზე მეტი დარდი რაღა გინდა, ცოცხალი იყო და შენი არსებობის გამგრძელებლად შვილს ვერ ხედავდე?! რა დავუშავეთ იმ დალოცვილ ღმერთს, რომ აქ შვილი არ გვაღირსა, იქ კიდევ *პირქვე უნდა იწვნენ უშვილოები?!“* [ჩოხელი, 2016:43].

სამანებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების წარმოჩენისას, ჩოხელი ცალკე მდგომ უშვილო დედაკაცებსაც გვიხატავს, რომელთაც მთელი არსებით თანაუგრძნობს. არსებულ ტრადიციას დისკრიმინაციულად რომ მიიჩნევს, ამაზე ზემოთაც ვისაუბრეთ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ გოდერძი ჩოხელს ჰუმანური ბუნებიდან გამომდინარე, უშვილოების გამოყოფა საზოგადოებისგან დისკრიმინაციად მიაჩნია.

ტრაგიკულია ყანისფერთმიანი სალომე ლიდიაურის ამბავი. სევდისა და ტკივილის განცდას იწვევს ნოველის დასაწყისი: „სოფელ ლიდის ზემოთავში ჩამონგრეული სახლკარია“ [ჩოხელი, 2016:43].

შურს ყველაფრის განადგურება შეუძლიაო, კიდევ ერთხელ და განსხვავებულად გვითხრა ჩოხელმა. ბათირასა და სალომეს ანკარა, ნათელი სიყვარულის ფონზე მწერალმა ადამიანთა მანკიერი თვისებები წარმოაჩინა: ცილისწამება, მოშურნეობა, გულგრილობა ის მანკიერებებია, რომლებსაც ეწირება გუდამაყრელი ქალიშვილი.

სულხან-საბა ორბელიანი ქართულ სიტყვათა ლექსიკონში განმარტავს: „შური არის მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“ ზედა“ [ორბელიანი, 2013:392].

შურის დამღუპველი ზეგავლენით კლავს გაგი ჯარჯის. განა შურმა არ დაუბნელა გონება კაენს, რომლის შესაწირიც უფალმა არ მიიღო და მუხანათურად მოკლა საკუთარი ძმა აბელი?!

საღირა არღვევს უფლის მეცხრე მცნებას: „არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუითა“. მეცხრე მცნების განმარტებაში ვკითხულობთ: „რა ითვლება ცილისწამებად? ყალბი ჩვენება, როდესაც სამსჯავროზე ვიღაცას ტყუილად დაასმენენ, უჩივლებენ ან ცრუმოწმედ დაუდგებიან“ [,,ათი მცნების განმარტება“ (ელრესურსი)] - ასეთ ცრუმოწმედ დადგა საღირაც.

ჩოხელის სამყაროში ქალს გამომსარჩლებელი არა ჰყავს. ზოგი თვითონვე ცდილობს დაიცვას თავი და სიწმინდე რაიმე ხერხით, თუნდაც უკიდურესით! ასე გადის სალომე აღელვებულ არაგვზე თვალახვეული. ცილისწამების, დამცირების, შეურაცხყოფის შედეგად ჩოხელის გმირი ქალები ბრძოლას თავისებურად იწყებენ, ხშირად მათი სიცოცხლე

თავხეზე[1] ჩამოკიდებით ან აღელვებულ არაგვში დახრჩობით სრულდება. შეყვარებულ ვაჟთა გამოფხიზლებაც ტრაგედიის შემდეგ ხდება, ადიდებულ არაგვში მხოლოდ ბათილამ გაბედა შევარდნა: „იმისი თმაი ეგრე ლივლივებდა მდინარის ტალღებზე, როგორც მოსამკალი პურის ყანა - ქარში...“ [ჩოხელი, 2016:45]. მოსამკალი პურის ყანა დადებით ემოციას უნდა აღძრავდეს, მაგრამ აღნიშნულ კონტექსტში მწერლის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხი - შედარება - უდიდეს ტკივილს იწვევს მკითხველში.

ლევან ბრეგაძე წერილში „სამი ეტიუდი გოდერძი ჩოხელზე“ მეორე ქვეთავს („ბინდისფერი ხეობის სურათები“) მწერლის პერსონაჟების სიკვდილის თავისებურების განსაზღვრას უთმობს. მკვლევრის აზრით, გოდერძი ჩოხელის გმირები „სპეციფიკური“ სიკვდილით იხოცებიან - ესეც მჭიდროდ არის დაკავშირებული მათი ცხოვრების პირობებთან. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მწერალი იოლად იმეტებს თავის პერსონაჟებს. სინამდვილეში ასე არ არის. გოდერძი ჩოხელის პერსონაჟი კვდება მაშინ, როცა ეს აუცილებელია რაღაც მნიშვნელოვან გარემოებაზე, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენაზე ყურადღების გასამახვილებლად; მწერლის გმირები, ფიგურალურად რომ ვთქვათ, უყოყმანოდ წირავენ თავს, რათა მთელი სისრულით წარმოაჩინონ პრობლემა“ [ბრეგაძე, 2012:278].

ვფიქრობთ, სალომეს თავგანწირვაც ქალის დაუცველობის წარმოსაჩენად სჭირდება მწერალს.

ელისო ცუცქუნაურის აზრით, „ღმერთს დაუწერია, როგორ, რატო? ღმერთმა ჩაგვბერა სული და ღმერთი ამოგვაძრობს ისევ სულსა“ [ჩოხელი, 2016:51].

ელისოს შეხედულებით, ღმერთი სულყველაშია, რადგან მთელი სამყარო, ხილული და უხილავი, ღვთის შექმნილია. პერსონაჟის მსოფლმხედველობა გოდერძი ჩოხელის მსოფლმხედველობის გამოძახილია, რომლის მიხედვითაც, სიკვდილი გარდაუვალია, ისევე, როგორც ვალი, რომელიც უნდა მოიხადო: „სიკვდილი ვალია, უნდა მოიხადო კაცმა თავისი ვალი“ [ჩოხელი, 2016:52].

ადამიანი თავისი წილი მიწის ამოვსებას მხოლოდ ვალის მოხდის შემდეგ შეძლებს, „ვალი“ კი სიკვდილია. საფლავი, მიწა დედამიწისქვეშა სამყაროა, რომელსაც ავტორი „შავეთად“ მოიაზრებს. მანანა კვაჭანტირაძის აზრით, „ჩოხელთან სიკვდილს ვერ გაექცევი, ვერაფერზე გადაიტან ყურადღებას, მოთხრობის დრო-სივრცითი განსაკუთრებული

[1] თავხე - სახლის მთავარი ბოძი, გულთაბოძი, დედაბოძი

ორგანიზაციით და თხრობის რიტმის მონაცვლეობით ჩოხელი ძლიერ ემოციურ ეფექტს აღწევს“ [კვაჭანტირაძე, 2012:324].

უძველესი რწმენა-წარმოდგენების მსხვერპლი გახდა მართაი ცუცქუნაური, რომელიც ოთხმოცდაათი წლის მამამთილის ბრძანებას - ჩამოიტანოს მოჭრილი ბოჩოლას თავი, - უსიტყვოდ და მონურად ემორჩილება. ადრე ღვთაებას ბალღებს სწირავდნენ, გოდერძი ჩოხელის გუდამაყარში ძველ წესს მოდიფიცირება განუცდია: „ეხლა აღარა კლავენ. პირველგაჩენილ ბოჩოლებსა კლავენ იმათ მაგიერ“ [ჩოხელი, 2016: 53].

რომანის მიხედვით, ბოჩოლას ასაკიც განსაზღვრულია. ბავშვების მსხვერპლად შეწირვისა და ადამიანის ცხოველით ჩანაცვლების ისტორია აბრაამისა და ისააკის ბიბლიური ისტორიის ასოციაციას იწვევს. მსხვერპლშეწირვის რიტუალით მართაი წესს ასრულებს, მაგრამ წესის დამცველი მისი დამრღვევი ხდება „ჩემს სახლში არ დავინახო შენი ფეხი“ - ასეთია მამამთილის უმკაცრესი განაჩენი.

მართებულად შენიშნავს მ. კვაჭანტირაძე: „გულგრილი და დესპოტურია ის ძალაც, რომელიც მართა ცუცქუნაურის სიბეჩავეს მგლებით სავსე სალოცავისაკენ მიერეკება“ [კვაჭანტირაძე, 2012:325].

მამამთილი ოჯახის თავი, მესაკუთრე და ბატონ-პატრონია, ერთპიროვნულად, მკაცრად მართავს ოჯახს, მისთვის უპირატესი წესის სიწმინდე და მისი დაცვაა, ამიტომაც რძლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არაფრად აგდებს. გადამეტებული ძალაუფლება და „წესის“ დაცვის მოთხოვნილება მამამთილს გულქვა, დაუნდობელ პერსონაჟად აქცევს. მანანა კვაჭანტირაძის აზრით, „მართა ცუცქუნაურის შემაძრწუნებელი აღსასრული სოციალური ბოროტების წიაღიდან მოდის - ეს ადამიანის დასაცავად შექმნილი და ადამიანისავე უზნეობით გაუკუღმართებული ადათია, რომელიც გუდამაყარში ცინიკურ, მომნუსხავ და ფატალურ ძალად ქცეულა“ [კვაჭანტირაძე, 2012:325].

საინტერესოა ნინო ნაზღაიძის მოსაზრება: „ჩვენი აზრით, ცოდვის მთლიანად ძველი რელიგიისათვის დაბრალება არ უნდა იყოს გამართლებული, აქ სიბნელეს, გაუნათლებლობასა და ბრმა რწმენას (საითაც არ უნდა იყოს მიმართული, აკი აბრაამმაც აიღო ხელში დანა შვილის დასაკლავად) უპირისპირდება ჩოხელი და არა ე.წ. *წარმართობას“* [ნაზღაიძე, 2021:39].

ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან აბრაამი ბრმა რწმენით არ მოქმედებდა, ჭეშმარიტ მორწმუნეს უფალმა მოუწყო გამოცდა, სწორედ იმ რწმენის დასტურად, რაც

ძველი აღთქმის სიბრძნეს ასაზრდოებს. თუ ეს სიბნელე და გაუნათლებლობაა, მაშინ გოდერძი ჩოხელი ამ სიბნელისა და გაუნათლებლობის მქადაგებელი გამოდის, რასაც ვერ დავეთანხმებით, მწერლის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის გათვალისწინებით.

ვაჟა-ფშაველა „ბახტრიონში“ ბებერ სანათას აკისრებს მამაკაცის მოვალეობას, სანთელს ანთებინებს და ხატის შესაწირავსაც აკვლევინებს. ასე მოიქცა მართაც, თუმცა მამამთილისათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა დაკანონებული წესიდან გადახვევა და რძალი სახლიდან გააგდო. გოდერძი ჩოხელი მიგვანიშნებს, რომ ამგვარ ტრადიციებს დიდი ხნის წინ გასვლია ყავლი.

მწერალმა თორმეტი წლის გიგია ბუბუნაურის ისტორიაში, სისხლის აღების უძველეს ტრადიციასთან ერთად, ძმადნაფიცობის წეს-ჩვეულებებიც ასახა. ავტორმა უჩვეულო ოსტატობით წარმოაჩინა გიგიასა და არწივის მეგობრობა, ადამიანი და ფრინველი დაძმობილების ისეთივე წეს-ჩვეულებით დააკავშირა, როგორც ადამიანთა შორის იყო მიღებული, ფიცვერცხლით დაუკავშირდა გიგია არწივს და შესაბამისი ფიციც წარმოთქვა:

,,შენი დედაი - ჩემი დედაი!

შენი დაი - ჩემი დაი! შენი ძმაი - ჩემი ძმაი!

შენი სიხარული - ჩემი სიხარული! შენი დარდი - ჩემი დარდი!

შენ ვინც გაწყენინას, მე მაწყენინას! შენ ვინც მაგკლას, მე მამკლას!

შენი სიცოცხლე - ჩემი სიცოცხლე! შენი ფიცი - სამარადისო!

ჩვენი ძმობა უკუნისამდე! ამინ!“ [ჩოხელი, 2016:80].

გიგიას ტრაგედიაში იკვეთება მოსისხლეთათვის დამახასიათებელი ჩვეულების სიმტკიცე, რაც ითვალისწინებს სისხლის, როგორც ვალის, გადახდას. ბიჭის მამაც ამ ჩვეულების მსხვერპლია - მთისიქითა ხევსურებმა მოკლეს. „გვარი არ შეგვირცხვინოვო, ბალღოო!“ [ჩოხელი, 2016: 79] - წინაპართა ხმა სისხლის აღებას ავალებს ბიჭს. უპატრონოდ დარჩენილი ბუბუნაური პატრონსა და მეგობარს არწივში ხედავს, პირად განცდებს გულღიად უყვება: „მყავს მოსისხლე. როგორც წეღან გითხარი, ბუბუნაურთა შორის მეღა დავრჩი გვარის გამგრძელებელი. ჩემი წინაპრების უმეტესი ნაწილი მტრებმა დახოცეს. მამაჩემიც მთასიქითა ხევსურებმა მოკლეს. ზამთარი იყო, მიცვალებული თოვლში ვერ ატარეს და ნაწილ-ნაწილ გადმოიტანეს ხურჯინებით, მაშინ ხუთი წლისა ვიყავი. თაგვაურები არიან ჩემი მოსისხლეები. იმ მთაზე ასვლას ყოველთვის ვერიდები. არ გეგონოს,

მოსისხლეებისა მეშინია. მე ახლაც შემიძლია სისხლის აღება, მაგრამ მრცხვენია, წინაპრებისა მრცხვენია. არ მინდა უაზროდ შევწყვიტო მათი გვარი. ჯერ ცოლი უნდა მოვიყვანო და მოგვარე გავიჩინო, მერე სისხლს ჩამოვირეცხავ, და თუ მომკლავენ, არაფერია, გვარის გამგრძელებელი ხომ დამრჩება“ [ჩოხელი, 2016:79]. აღსარებას ვისმენთ პატარა ბუბუნაურისაგან, არწივთან ხსნის გულისკარს და იმას უმჟღავნებს, რაც სხვისთვის ვერ გაუმჟღავნებია.

ფიცვერცხლით დაკავშირებული ძმობა მტკიცე და ურყევია, ეს კავშირი თავდადებასაც გულისხმობს, ბიჭი არწივის გადასარჩენად საკუთარ სიცოცხლეს თმობს ისე რომ, წინაპართა უძველესი ტრადიციის აღსრულებასაც ვერ შეძლებს, არწივი არ მოშორდა ძმადნაფიცის საფლავს, ცემაც იგემა, დამცირებაც და ჰაკი აძბას ერთგულებით ზედ დააკვდა სამარეს. გოდერძი ჩოხელმა ფიც-ვერცხლით დაკავშირებული არწივისა და ბიჭის მეგობრობის უბადლო მაგალითი წარმოაჩინა, რითაც მიგვანიშნა, რომ ბუნების ლაღი შვილი ადამიანთა მიერ გასაფრთხილებელი და დასაცავია. ბუნების ქომაგმა ღრმა ექსპრესიულობით წარმოაჩინა ძმობილის სამუდამო სამყოფელს ჩახუტებული არწივის ეპიზოდი, ადამიანებს კი თავგანწირვის, ძმობის, ერთგულების უზადო მაგალითი გვიჩვენა.

ჩოხელს განსაკუთრებულად უყვარს მარტოსული პერსონაჟები. გიგიას მსგავსად, მარტიაც მარტოსულია, ხშირად ხალხშია, მაგრამ მაინც მარტო გრძნობს თავს, იმედგაცრუებიდან ღრმა დეპრესიამდე - ასეთია გზა მარტოობისა ჩოხელის სამყაროში: „ადამიანი ხშირად ხალხშია, მაგრამ, მაინც მარტოდ გრძნობს თავს. ზოგჯერ თავის თავიც ეუცხოვება, საკუთარ თავს გაურბის, რატომ ხდება ეს? არ ვიცი, საიდან მოვედით ან სად მივდივართ? არც ეს ვიცი“ [ჩოხელი, 2016:83]. ბარათაშვილისეული სევდა და მარტოსულობა, მწერალთან ერთად, მის პერსონაჟებსაც აწუხებთ, თუმც, ისიც იცის, რომ „ჭირსა შიგან გამაგრებაა“ საჭირო: „სული ნამგალსა ჰგავს, ჩაჟანგება იცის ადვილად, სულს ეკიდება შენი წარსული, ხანდახან სული ისე უნდა გააფხავო, როგორც მახვილს აფხავებენ ქასურით“ [ჩოხელი, 2016:83].

მარტიას თვალსაზრისი სიკვდილ-სიცოცხლეზე ბიბლიური სიბრძნითაა ნასაზრდოები. პერსონაჟის აზრით, ხანშიშესული ადამიანის სხეულს მიწა თავისკენ ეძახის, „მიწა თავისას მოითხოვს“, ქართული ფოლკლორის განაზრებით, რაც, იმავდროულად, როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიური მსოფლმხედველობაა: „მიწა ხარ და მიწად იქეც“ - სიკვდილი გარდაუვალი აუცილებლობაა.

სიცოცხლეზე შეყვარებული ბათილას ისტორიით ავტორი გვარწმუნებს, რომ სიცოცხლე უპირატესი მოთხოვნილებაა, სხეულს განშორებული ბათილა სიცოცხლეს ებღაუჭება და „ჩაკირკილულ-ჩაჭიავებულ“ ტანს იმ იმედით ამზეურებს, რომ საიქიოდან მობრუნდება და ცხოვრებას კვლავ გააგრძელებს: „აემ ჩემ სხეულს ხომ ხედავთ, ამას შავიტან სახლში; ზემოთავში მივაყუდებ და მე საიქიოს წავალ. მანამ მოვბრუნდები, ამას ხელი არავინ ახლოთ, მიწაში არ დამარხოთ, თორემ ვაი თქვენი ბრალი!“[ჩოხელი, 2016:84] - კიდევ ერთხელ შემოდის ტექსტში ფანტასტიკური, ირეალური პასაჟი.

ბაგილას ტრანსფორმაცია გაუგებარია, წარმოუდგენელი, რაც იწვევს ნახევარი სოფლის გაგიჟებას. ფანტასმაგორიულია პასაჟიც: „ეს გველი საიქიოს მიეცათ და ეთქვათ: წაიყვანე, სხეულში ჩაისვი და, რაც არ უნდა მოგივიდეს, ეგ არ მოგკლავს, მაინც მოგარჩენსო. თუ ადამიანად ყოფნა მოგწყინდეს და აქ გამოგიწიოს გულმა, გველს კუდი მოაწყვიტე, ამასაც ძალა დაეკარგება და შენც მოჰკვდები და ისევ აქ მოხვალო“ [ჩოხელი, 2016:85].

ალექსანდრე ყაზბეგი თავის შემოქმედებაში ხევის ყოფა-ცხოვრებას სიღრმისეულად წარმოაჩენს, მათ შორის, საქორწინო ადათ-წესებსაც. „ხევისბერი გოჩა“ გვაცნობს მეჯვარეობის წმიდათაწმიდა ტრადიციასაც. ონისეს აკრძალულ სიყვარულს ტრაგიკული შედეგი მოჰყვა, რითაც ავტორმა ჩვეულების სიწმინდის დაცვის აუცილებლობას, საკრალურობას გაუსვა ხაზი.

გოდერძი ჩოხელთან წმიადათაწმიდა ჩვეულების დამრღვევი, ვნებებმოძალებული ათნოხელი გორია არაზნეობრივი პერსონაჟია. წმინდა ტრადიციის დამრღვევთა მიმართ გუდამაყრელთა პოზიცია მკაცრია, მაგრამ - არა კატეგორიული! ღენჯა ცოლის ნამუსის ახდისთვის მხოლოდ მარჯვენის მოჭრით კმაყოფილდება, ამგვარად ცდილობს ოჯახის ღირსებისა და პატივის აღდგენას.

თუ არსაკიძეს სვეტიცხოვლის „კარგად აგებისათვის“ მოაჭრეს მარჯვენა, გორიას მარჯვენა (მტევანი) ტრადიციისა და ზნეობრიობის უარყოფას შეეწირა. პერსონაჟი ავხორცული სურვილების ფონზე სიკვდილ-სიცოცხლის თემას პოეტურად განიხილავს: „მე მინახია, როგორ ჰყვაოდნენ იები მიწიდან ამოჩრილ კაცის ძვლებში. სიცოცხლეში რომ ეკითხათ ამ ძვლების პატრონისთვის, რას ინატრებდიო, ალბათ, ვერც ინატრებდა ასეთ რამეს. მე კი ვინატრებდი“ [ჩოხელი, 2016:89].

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართება გოდერძი ჩოხელთან ბუნების გამარჯვებაში ვლინდება, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს მწერალი რწმენის რაკურსით

განიხილავს, საუბრობს ღმერთზე, რომელსაც ორივე (სიკვდილიცა და სიცოცხლეც) ეკუთვნის: „სიცოცხლე ღმერთია, ღმერთისაა ერთიც და მეორეც, -ცალკ-ცალკე ღმერთეზია სიცოცხლე და სიკვდილი და ერთად - ღმერთისებია“ [ჩოხელი, 2016: 88].

რომანში ჩართულ ამბავს პერსონაჟისა (ქეთინოსი) ავტორი რეალისტურად წარმოაჩენს, თხრობა ქალაქში გადააქვს. ცივ ქალაქს თავისი კვალი დაუჩნევია შეყვარებულთა ურთიერთობაზე: „ნათქვამია, როგორც თოლშორა, ისე - გულშორაო“ [ჩოხელი, 2016:91]. გულგადასხვაფერებული მიხოს გულცივობა ხდება მიზეზი შეურაცხყოფილი, დამცირებული და უარყოფილი ქეთინოსათვის თვითგამორკვევისა - ის ცხოვრების გაგრძელების მიზანს ვერ ხედავს.

მანანა კვაჭანტირაძის აზრით, „ქეთინო უზნეო სამყაროს მსხვერპლია. ვაჟი გოგიცა და მიხოც ამ სამყაროდან ნასწავლ საომარ ტაქტიკასა და სიყვარულის წესს ავრცელებენ გუდამაყარში. ისინი უცხო, *ექსპორტირებულ* უზნეობას განასახიერებენ - ღამურისებური პატივმოყვარეობითა და დათრგუნული თავისუფლებით ნაკვებს“ [კვაჭანტირაძე, 2012:325].

შეხედულებას სრულად ვერ გავიზიარებთ - მიხოსნაირი ადამიანი ნამდვილად უზნეოდ წარმოგვიდგება და მის ქცევას საზოგადოება არასოდეს თანაუგრძნობს, რაც შეეხება ვაჟი გოგის, მას „ექსპორტირებულ“ უზნეო პერსონაჟად ვერ აღვიქვამთ - ვაჟი გოგის ტყუილი უწყინარია და ხალხს ართობს; რაც შეეხება ლაშქრობის „მთავარსარდლობას“, აქაც გამოვესარჩლებით პერსონაჟს - ამ შემთხვევაში იგი სიყვარულის გამარჯვების მოსურნედ მიგვაჩნია, მეზობელი სოფლების „დამორჩილების“ ქმედებას კი ასაზრდოებს წინაპრებისაგან გადმოცემული წეს-ჩვეულება, თვალსაზრისი ჩოხელთა გვარის უპირატესობის შესახებ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მწერალმა ვაჟი გოგის პერსონაჟი რეალური ადამიანის (თავისი ბიძის) პორტრეტის მიხედვით შექმნა, ცხადია, ავტორი მას „ექსპორტირებულ უზნეოდ“ არ წარმოუდგენდა მკითხველს.

თვითმკვლელობას ახალი ტრაგედია მოსდევს: „ქეთინოს საფლავი საერთო საფლავებთან არ ამოათხრევინა სოფელმა, თავისმკვლელიაო“ [ჩოხელი, 2016:92]. ქალის ახალგათხრილი სამარე „შავ წერტილად დააჩნდა თოვლით გადათეთრებულ გუდამაყარს“ [ჩოხელი, 2016:93].

ავტორმა ქეთინოს ტრაგიკული ისტორიით ჩოხელთა ლაშქრობის უაზრობაც წარმოაჩინა, სოფლელებიც გამოაფხიზლა და დააბრუნა ცხოვრების ჩვეულ კალაპოტში, რითაც მიგვანიშნა, რომ, ყველაფრის მიუხედავად, სიცოცხლე გრძელდება.

გამიხარდიამ ღმერთთან „მისვლა“ შეძლო და ამორჩეული დარდებიც წარუდგინა, ყოველდღე ადიოდა მთის წვერზე - „ღმერთებს სიმაღლეები უყვართ და შეიძლება რომელიმე მთის წვერზე დამხვდესო“ [ჩოხელი, 2016:93].

უძველესი რწმენა-წარმოდგენების წარმომჩენია მთის წვერზე მრავალი ღმერთის მოლოდინიც. მწყემსის გარდასახვა მთავარი დარდის გაჟღერებას ისახავს მიზნად, რაც მწერლის სურვილებსაც ახმიანებს: უპირველეს დარდს (დარდი N1) გიორგი ბექაურის პერსონაჟი ახმიანებს - მშვიდობის სურვილს: „ამბობენ, ომი იწყება, კრეფენ სამხედრო ძალებსა, დაჰბუგავენ დედამიწასა. ჩამოაგდებენ მთვარესა“ [ჩოხელი, 2016: 94]. ეს დარდი განუქარვებია ღმერთსაც, რომელსაც „ებევრა“ დარდები.

„დიდება მაღლათა შინა ღმერთს, და მშვიდობა ქვეყნად, და სათნოება კაცთა შორის“ [ბიბლია, სახარება ლუკასი 2:14. 1989:1013]

ანგელოზთა საგალობლის ქრისტიანული კონცეპტი გოდერძი ჩოხელისათვის გაზიარებულია, ეს სულისკვეთება ასაზრდოებს არა მარტო რომანს ,,ადამიანთა სევდა“, არამედ მთელ შემოქმედებას.

გოდერძი ჩოხელი მაია ბარამიძესთან საუბრისას იხსენებს მწერალთა კავშირში მიღების ამბავს. უთქვამთ, უპირველესი („ნომერ პირველი“) დარდი სამშობლო უნდა იყოსო. დაუდასტურებია ავტორს, ჩემი პირველი დარდი სამშობლოა და მეგონა, აღარ იქნებოდა დაპირისპირება, არ დავხოცავდით ერთმანეთს, არ დავკარგავდით საქართველოს კუთხეებს და „ქართული“ პროვინციულ და სალანძღავ სიტყვად არ იქცეოდაო. დასძინა თურმე: „ეროვნულობა საქილიკოა და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მითოლოგიური სატანა ბატონობს საქართველოზე, ამ სატანამ გამოხრა ჩვენი წინაპრების ძვლები. რომ არ დაბადებულან, იმათ ძვლებსაც ხრავს, ბობოქრობს, ყველგან ხელი ჩაყო, ეს ჩემი დიდი დარდია. უპირველესი და საყოველთაო - არ მინდა ისეთი უგუნურება მოხდეს, არ მინდა მოხდეს ისეთი ომი, რომელიც გაანადგურებს დედამიწას, ადამიანთა წარსულს, აწმყოს და მომავალს“ [ბარამიძე, 2012:123].

გოდერძი ჩოხელის თვალსაწიერი გაცილებით ფართოა - ავტორმა წინასწარ განჭვრიტა ნომერ პირველი დარდის არსი, დედამიწაზე გლობალური ომის საშიშროება, რომელიც „ვარსკვლავს ჩამოაგდებს, და თუ არ იქნება დედამიწა, ვინღა გადარჩება?!“

მკვლევარ მარინე ტურავას აზრით, „სიკვდილი ლიტერატურულ ნაწარმოებში არ არის მხოლოდ სიუჟეტის ნაწილი. მისი მეშვეობით მწერალი ცდილობს საკუთარი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, კონცეპტუალური საკითხების განსაზღვრას. სიკვდილის პროექციით იკვეთება მისი დამოკიდებულება პერსონაჟთა მიმართ, სიკვდილი გმირის ავთენტურობის ინდიკატორი ხდება“ [ტურავა, 2012:7]. *სიკვდილთან ღრეობის* ეპიზოდში ავტორი ჩოხის აღმოსავლეთით მდებარე ელიას მთას გვიხატავს. გუდამაყრელებს ღვთის საბრძანისად მიაჩნიათ მწვერვალი, სადაც სალოცავი ნიშიცაა. ამ ნიშთან სრულდება მსხვეპლშეწირვის უძველესი რიტუალი, ცოცხლდება დეკანოზის მიერ ციკნის დაკვლის სცენა და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები. თუ მამაკაცები სალოცავთან ახლოს მიდიან და პირჯვარს იწერენ, ქალებს, ტრადიციის მიხედვით, ეკრძალებათ საწმინდართან მიახლოება. სამ-სამი სანთლის ჩამოკრება ქრისტიანობას უკავშირდება - პასაჟში ირეკლება სამების ქრისტიანულ სიმბოლიკა, ტრადიციულია მსხვერპლშეწირვისას სახალხო ლხინი (სმა-ჭამა).

უჩვეულო გამოდგა ეს დღე გუდამაყრელთა ცხოვრებაში, რადგან უცნობი სტუმარი სიკვდილი აღმოჩნდა, მისი „პეპელაისფერი სამოსელი“ [ჩოხელი, 2016:99]. ვფიქრობთ, სიმბოლურად ხანმოკლე სიცოცხლის მანიშნებელია. სტუმარი სახალხო მხიარულებას უერთდება, მაგრამ დალევასა და ჭამაზე უარს აცხადებს, თუმცა დამუნათებას ვერ უძალიანდება და არაყს სვამს. ამისკენ, ალბათ, უბიძგებს მოვალეობის სიმძიმე, რომლის აღსრულებასაც ფხიზელი გონებით ვერ ახერხებს (ადამიანებიც ხომ მივმართავთ ამგვარ ხერხს, როცა რეალობიდან გაქცევა გვინდა). რეალობას გაურბის სიკვდილიც, თავდავიწყებისათვის შეჯიბრშიც იღებს მონაწილეობას. სიკვდილმა სიკვდილის ძალა აგრძნობინა გუდამაყრელებს და ყველა გადაიბირა იმ ძალით, რომლითაც ყველა მოკვდავს თავისად დაგვიგულებს: „ეგეც თქვენთვის გავაკეთე - უამისოდ ვერ დაინახავდით ისეთს, როგორც საჭიროა, თქვენ ეს დიდი ბოროტება გგონიათ. იცი დედი, მე კი არ გკლავთ, თვითონ ვკვდები თქვენში“ [ჩოხელი, 2016:105]. არაერთ მწერალთან ვხვდებით პერსონიფიცირებულ სიკვდილს, ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია გვიანდელი ამერიკული რომანტიზმის წარმომადგენლის, ედგარ ალან პოს (1809-1849) მცირე პროზა.

სიკვდილის საიდუმლოც გაცხადდა: „დღეს მე ადამიანად მაქცია ღმერთმა და მზის ჩასვლამდე ასე იქნება, ჩემი მოკვლა შეიძლება მარტო, სხვა დანარჩენი არავის და არაფრის“ [ჩოხელი, 2016:103].

სიკვდილის სადღეგრძელოთი, ცეკვაში ჩართულობითა და სოფლის გაგრძელებული მხიარულებით ავტორმა აჩვენა, რომ გუდამაყრის მოსახლეობისათვის სიკვდილის გულწრფელი აღიარება გაზიარებულია, სიკვდილთან ძმად გაფიცვაც ამ მიზანს ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილის ეშინიათ, მას ოჯახის წევრივით იღებენ, უმასპინძლდებიან და ეძმობილებიან კიდეც. „შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა“ - ბრძანებს ვაჟა-ფშაველა.

სიკვდილის მკვლელი ჯღუნა საქციელის გამართლებას, წყალობას ჭეშმარიტი ღმერთისგან არ ელის, ამიტომაც ხატის გორაზე ელიას მთისაკენ გარბის. სიმბოლურად დააკავშირა ავტორმა მკვლელი და „ღმერთები“ ერთმანეთს. სოფლის სინანული სიკვდილის მნიშვნელობის წარმომჩენია, მისი დატირება მთიანი გუდამაყრის ზნეობრიობას, რელიგიურობას წარმოაჩენს:

„ჩვენთან რა გინდოდა, ჩემო შვილო,
ჩვენთან შენნაირებს ვერ იხდენენ,
აგრემც შენ სიყმეს შემოვევლე, მიწაში როგორღა მოისვენებ?!
ავად ჩაგეშლება ასოობა, თვალებს გველები წაგიღებენ,
ნუღარ მოიგონებ აქაობას, აქ შენნაირებს არ იხდენენ,
არა, ჩემო შვილო, არ გვიწყინო, წადი, ჩემ შვილებთან დაისვენე....“

[ჩოხელი, 2016:106].

სიკვდილი შვილმკვდარმა დედამ დაიტირა, მან იცოდა ყველაზე მეტად ამ ტკივილის სიმძიმე - ხალხურ ლექსში („ლექსი ვეფხისა და მოყმისა“) ვეფხვის დედასთან სწორედ შვილმკვდარი დედა მიდის. უფლის დადგენილი სიკვდილი ჩოხელმა ამ ქვეყნად ერთი დღით მოავლინა და სიკვდილის ვალიც ისე მოახდევინა, როგორც იხდიან მწერლის სხვა პერსონაჟები. მიწაზე ჩამოსული, პერსონიფიცირებული სიკვდილი, გიორგი ლეონიძის მარიტას მსგავსად, პეპელასავით გაფრინდა: „ხალხური ლექსი იტყოდა, მარიტას სული პეპელასავით გაფრინდა და ანგელოზები ზარის რეკვით შეეგებნენო“ [ლეონიძე, 2011:208]. მარიტას დასაფლავებაც სიკვდილის დასაფლავების ასოციაციას ქმნის: „სამარის პირად, როცა დადგა უკანასკნელი წუთი გამოთხოვებისა და მიწის მიყრისა, იმ

წამს კუბოსთან მიჯრილმა მარიტას შეურაცხმყოფელმა ხალხმა, ახლა შეშინებულმა, უეცრივ უკან დაიხია, თითქოს ამაზე სხვა უფრო საზარი დაინახა, კინაღამ ერთმანეთი გადათელეს და გათქერეს... რადგან ერთი მუჭა მიწის მიყრა ვერავინ გაუბედა ამ ღვთიურ სილამაზეს. ვერავინ... ვერავინ...“ [ლეონიძე, 2011:207].

ვერც გუდამაყრელებმა გაუბედეს მიწის მიყრა სიკვდილს და მინდვრის ყვავილები გაუხადეს სასთუმლად. ლეონიძის ტექსტში სოფელი შერცხვენილია მარიტას შეურაცხყოფის გამო, ჩოხელის გუდამაყარი სინანულშია იმ სირცხვილის გამო, რომ სტუმარი და ძმადნაფიცი ვერ დაიცვა იმ ვალდებულებით, რასაც მთის ადათ-წესები ითვალისწინებდა.

რომანში სიკვდილის მოკვლის ეპიზოდი მანანა კვაჭანტირაძემ საკმაოდ მკაცრად შეაფასა: „გუდამაყარს სიკვდილი სძულს და საშინელი ძრწოლით ეგებება მას. ასეთი საზარელი შიში კი იქაა, სადაც რწმენა ამოწურულია და ადამიანური ღირსების ხმაც - ჩაწყვეტილი“ [კვაჭანტირაძე, 2012:328].

მკვლევარი ნინო ნაზღაიძე მანანა კვაჭანტირაძის მოსაზრებას არ ეთანხმება: „გუდამაყრელები ხატობაში მოსულ სიკვდილს ძმად ეფიეცებიან, საკარგყმოს სვამენ მის სახელზე და შვილივით დასტირიან ბოლოს. ერთადერთი ადამიანი, რომელიც მის მოკვლას მოინდომებს და აასრულებს კიდეც, გარბის ხატიდან, რადგან მშვენივრად ხვდება, რომ მის საქციელს არათუ მხარდაჭერა არ ექნება მოთემეებში, არამედ შეიძლება ისიც მოკლული სტუმრის გზას გაუყენონ. ჩვენთვის ძნელი მისახვედრია, სად დაინახა მკვლევარმა მოთხრობაში სიკვდილის სიძულვილი, რწმენის ამოწურვა და ადამიანური ღირსების *ხმის ჩაწყვეტა“* [ნაზღაიძე , 2021:120].

ვეთანხმებით მკვლევრის ამ მოსაზრებას - სიკვდილის ზღვარგადასული სიძულვილი გუდამაყრელებს დიალოგის გამართვის საშუალებას ვერ მისცემდა, რადგან ვინც და რაც ძალიან გძულს, მასთან ვერ შეძლებ საუბარს, მხიარულებას. მისი მოკვლა ერთი კონკრეტული ადამიანის გადაწყვეტილებაა და საერთო გადაწყვეტილებად და სურვილად ვერ მოვიაზრებთ. სტუმრის ხელშეუვალობის ტრადიცია შეილახა, ფინალში გამოხატული სინანულის განცდაც ამის მანიშნებელია.

მარინე ტურავას მოსაზრებით, თანამედროვე ცხოვრებაში სიკვდილი გაუბრალოვდა, იდუმალება და ინტიმიც მოაკლდა, ჩვეულებრიც მოვლენად იქცა: „ჩვენმა დრომ სიკვდილი ჩვეულებრივ მოვლენად აქცია, გააუბრალოვა, პომპეზურობა და იდუმალება,

ინტიმი მოაკლო. გაქრა სიკვდილისადმი მოწიწება, მოკრძალება, დარჩა მხოლოდ ინსტინქტური შიში გაურკვევლობის, შეუცნობლის მიმართ, დაიკარგა როგორც გამორჩეული სიცოცხლის, ასევე სიკვდილის უნარი“ [ტურავა, 2012:270]. ამავეს ვერ ვიტყვით გოდერძი ჩოხელის პერსონაჟებზე - მწერლის პერსონიფიცირებული სიკვდილი, არაერთი გმირი მხოლოდ თავისი, ერთადერთი სიკვდილით აღესრულება. სპეციფიკურია მიცვალებულთა დაკრძალვასთან დაკავშირებული წეს-რიტუალებიცა და ჩვევებიც - აქაც განუყოფლად ერწყმის ერთმანეთს წარმართული და ქრისტიანული, ტრადიციული და შედარებით ახალი.

მანანა კვაჭანტირაძე აღნიშნავს, რომ სიცოცხლის სიმძაფრეს სწორედ სიკვდილი გვაგრძნობინებს, რაც ჩვენში ახალ ცოდნას აღვიძებს: „ეს ცოდნა შემწყალე, თანამგრძნობი ბუნებისაა. როცა ქვესკნელიდან ამოსული მზე ცოცხალთა ქვეყანას სითბოს და სინათლეს უგზავნის - ეს ნუგეშია და ადამიანის ხვედრის შესამსუბუქებლად არის მოხმობილი. ამ სინათლით მკვდრებისა და ცოცხლების სამყარო ერთიანდება და დაუსრულებლად არსებობის რწმენას გვინერგავს“ [კვაჭანტირაძე, 2012:330].

ლევან ბრეგაძის აზრით, „ადამიანად ყოფნიდან“ „ადამიანად არყოფნაში“ გადასვლა, კავშირი ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს შორის გოდერძი ჩოხელის მუდმივი საფიქრალი იყო. ალბერტ აინშტაინისათვის უკითხავთ: „სიკვდილის გეშინიათ? პასუხი: მეშინია... ისე, საინტერესო უნდა იყოს...“ სიკვდილის საიდუმლო აინტერესებდა გოდერძი ჩოხელსაც, საერთოდ, სიკვდილის და კერძოდ, ცოდვილის სიკვდილის საიდუმლო [ბრეგაძე, 2012:366].

გოდერძი ჩოხელის მხატვრული ოსტატობა სიკვდილის ხატვის განსაკუთრებულობაშიცაა - ყოველთვის ახლავს სინანული და სევდა. სიკვდილის სიკვდილის ეპიზოდში უდიდესი მხატვრულობით წარმოჩნდა ეს ტკივილი. სიკვდილის ჭირისუფლად, გუდამაყრელებთან ერთად, ჩოხელმა ბუნების გვრიგვინი, მზეც, წარმოგვიდგინა. სიკვდილის მოკვლის მიუხედავად, ავტორმა მზე სიკვდილის საფლავიდან ამოიყვანა, გუდამაყარს კი იმედის ნაპერწკალი დაუტოვა - ნიშნად იმისა, რომ სიცოცხლე გაგრძელდება.

ხელოვანი დაფიქრებით წერდა, ცდილობდა, წამოსროლილი, უნებური არ ყოფილიყო მისი სიტყვა, მნიშვნელოვანი საკითხების დასასრულის, ფინალური პასაჟების წერას დიდ დროს ანდომებდა, ეძებდა სიტყვას, ფრაზას, წინადადებას, რომელსაც ადვილად და ყველგან ვერ ვიპოვით. ცნობილია, რომ დიდხანს ფიქრობდა „ადამიანთა

სევდის“ დასასრულზე. ძალიან უნდოდა მწერალს ორიგინალური, განსაკუთრებული ყოფილიყო ფინალური ნაწილი, არა და არ მოდიოდა შესაბამისი აზრი, რომელიც რომანს განუმეორებელ ხიბლს შესძენდა. მაინც მიაგნო. ამის შესახებ ბიოგრაფიულ მოთხრობაში „ანგელოზთღამეობა“ გვიამბობს: თურმე სათიბში მიდიოდა, თივა უნდა დაებინავებინათ. ამ დროს „ადამიანთა სევდას“ წერდა. ორი თვე სიმშვიდე დაკარგვია, კითხვებზე - რა არის სიცოცხლე? რა არის სიკვდილი? პასუხებს ეძებდა. წინ დედა მიდოდა, უკან კი - გოდერძი, უყურებდა, მთებს შორის როგორ ანათებდა ბადრი მთვარე და დედის ჩრდილს აგრძელებდა. დაკვირვებით იცოდა, რომ მთვარემ იცის ჩრდილის დაგრძელება, უსასრულობაში გადაღუნვა; დაინახა, თუ როგორ ჩაუყვა დედის ჩრდილი ხევს, იქიდან ამოვიდა, აუყვა ფერდობს, მერე მთაზე გადავიდა და მის მწვერვალებს გასცდა. ჩრდილს თვალი მოარიდა და დედას შეხედა გოდერძიმ, გამხდარი, ჯაფით ჩამოლეული, უმწეო და უსუსური მოეჩვენა თავის ჩრდილთან შედარებით, სწრაფადვე დაეშვა ფერდობზე, დაეშვა ძახილით: ვიპოვე, ვიპოვე! - ყვიროდა გოდერძი, გაჰკვირვებია ლელას, რა იპოვა, ნეტავ, გოდერძიმო? ის კი ქვემოდან ამოსძახოდა: „ადამიანთა სევდის“ დასასრული ვიპოვე! გაკვირვებული და შეშფოთებული დედა ვერც მიხვდებოდა რა დაკარგა, რომ ეპოვნა შვილს, მაგრამ, ის რაც „იპოვა“, „ადამიანთა სევდის“ ფინალური ნაწილის გვირგვინია.

„ - რა არის სიცოცხლე?

- სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.
- სიკვდილი?
- სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის ტკბილი სევდა“ [ჩოხელი, 2016:107].

არაა გასაკვირი, რომ რომანის ორიგინალურ დასასრულის პოვნას ორი თვის ლოდინი დასჭირდა. ხშირად ელოდა საჭირო სიტყვას, ფრაზას, პასაჟს, აზრს, რომელიც ეპიზოდისათვის გამოადგებოდა. „ადამიანთა სევდის“ ფინალური ფრაზა დიდი ფიქრის შედეგად შეიქმნა და მასში ადამიანობის არსის მთავარი კონცეპტი გამჟღავნდა.

რით იყო შთაგონებული გოდერძი ჩოხელი, როცა ამ ეგზისტენციალურ კითხვას სვამდა? რატომ არის ადამიანად ყოფნა სევდა, როცა ის სიცოცხლეს მოიცავს? თუმცა ტკბილი, მაგრამ - მაინც სევდა, ადამიანი ხომ დღემუდამ ებღაუჭება სიცოცხლეს, როგორც გოდერძი ჩოხელის საიქიოდან მობრუნებული გმირები. „სულეთის კიდობანში“ ანუელი არ ამჟღავნებს „სამ სიტყვას“, რომელიც იქ (საიქიოში) უთხრეს (რომ არ მოკვდეს);

გარსია გველეშაპს საიქიოში ჩაჰყვება და იქიდან ამოსვლის გზას ეძებს, ბრუნდება კიდეც; საიქიოში მოგზაურობს ბათილა და, უკან მობრუნებული, უკვდავებას ესწრაფვის, დიდ ტანჯვას აყენებს სოფელი, რომ გასცეს საიდუმლო, ტანჯვის ფასად კი უკვდავებას მოიპოვებს.

და რატომ არის სიკვდილი ადამიანად არყოფნის ტკბილი სევდა?

მაია წიკლაურის შეხედულებით, ადამიანად არყოფნის სევდა სამ განზომილებაში შეიძლება მოვიაზროთ: „პირველი, როდესაც ცოცხალი ადამიანი შეჰხარის სიცოცხლეს, ქვეყანას, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ კვდება; მეორე, ადამიანი ცოცხალია, მაგრამ დაკარგული აქვს ადამიანის თვისებები, ადამიანური სახე და, ფაქტობრივად, ცოცხალი მკვდარია და მესამე, ძალიან აბსტრაქტული მოცულობა - ადამიანი, რომელიც საერთოდ არ დაბადებულა, რადგან ჩვენ ამის დაშვება შეგვიძლია, ე. ი. ის ადამიანი არსებობს, მაგრამ არ მოხდა მისი განსხეულება“ [წიკლაური, 2010:155].

გოდერძი ჩოხელი ადამიანად არყოფნის სევდაში, ალბათ, უფრო პირველ ასპექტს მოიაზრებს. მისი შემოქმედების მთვარი თემა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს ეხება, მისი გმირების ნააზრევი ამ საკითხის საინტერესო რეფლექსიაა, იკვეთება ჩოხელის მხატვრული სამყაროსათვის ნიშნეული წარმართულ-ქრისტიანულის სინთეზი. „ადამიანად ყოფნაა სიცოცხლის გვირგვინიც და სიკვდილისაც. სწორედ აქ იშლება ზღვარი სიკვდილ-სიცოცხლეს შორის. ადამიანი თუ გქვია, ამ წოდებას თუ ამართლებ, ორივე იპოსტასს მაშინ აქვს აზრი - სიკვდილის შემდეგაც ცოცხალი ხარ, ადამიანად რჩები“ [წიკლაური, 2010:157].

ლელა ჩხარტიშვილის კითხვის („სიცოცხლე და სიკვდილი ერთი დიდი დაუსრულებელი ოცნებაა?“) პასუხად გოდერძი ჩოხელმა თავისი პოზიცია ღიად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა: „მეც ძალიან მაინტერესებს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა. ჩემი ტკივილი და მარად უპასუხო კითხვა ის არის, რომ თუ ადამიანის სულს, გულსა და გონებას იმქვეყნად არ ემახსოვრება, ვინ იყო ამქვეყნად, რა სტკიოდა, რაზე ფიქრობდა, ვინ და რა უყვარდა, მაშინ რაღა გაგრძელება იქნება?! მაშინ ის იგივე ადამიანი აღარ არის და აბსოლუტურად სხვა ვინმეა. მინდა, იმქვეყნად წასულ კაცს ისევე ახსოვდეს ეს ქვეყანა და ისევე ფიქრობდეს, როგორც აქ ფიქრობდა; ისევე უყვარდეს, როგორც აქ უყვარდა; ისევე განიცდიდეს, როგორც აქ განიცდიდა, მაშინ აქვს, ჩემი აზრით, ყოფნას გაგრძელება, შეიძლება სხვანაირად არის, მაგრამ მე რატომღაც მინდა, რომ ასე იყოს: აქაური ამბავი იქ

გრძელდებოდეს; აქ მომხდარი ამბები სულს იქ არ ავიწყდებოდეს, თუ დაავიწყდა, ესე იგი, აქაური ამბავი გამქრალა და ეგ არის. თუ აღარ ახსოვს, აქ რას აკეთებდა და რა უხაროდა, მაშინ ჩალის ფასი ჰქონია აქაურ ყოფნას, მეცოდება აქაური ყოფნა დასავიწყებლად“ [ჩხარტიშვილი, 2012:107].

გოდერძი ჩოხელმა „ადამიანთა სევდაში“ ჩოხელთა გროტესკული „ლაშქრობის“ ფონზე გუდამაყრელთა მსოფლმხედველობაც წარმოაჩინა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, კუთხის პოპულარიზაციას ემსახურება. ტრაგედიებითა და სადარდებლით სავსე ისტორიებში მთიანი აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ახალი და უძველესი რწმენა-წარმოდგენებიც აისახა. ქრისტიანული რწმენით შთაგონებული გმირები სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ თემას ფილოსოფიურად განიხილავენ. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი სიცოცხლეს ამარცხებს, მას სიყვარულზე ჯერ არ გაუმარჯვია. სიკვდილთან შეხვედრის შემდეგ სიცოცხლე უნდა იზეიმო გოდერძი ჩოხელის კონცეფციით. სევდაა ადამიანად ყოფნა, სევდაა ადამიანად არყოფნაც - ამ აღმოჩენით, მიგნებითაა შთაგონებული არა მხოლოდ რომანი „ადამიანთა სევდა“, არამედ - მწერლის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

2.2. ენიგმა „მგელი“ (რომანი „წითელი მგელი“)

„წითელი მგელი“ გოდერძი ჩოხელის გამორჩეული რომანია - მთაში გავრცელებული მითების ერთგვარი ლიტერატურული სტილიზაცია-პერიფრაზი მგელზე არსებული თქმულებებისა. რომანში ჩართული თქმულებები განსხვავებულია და ერთიანდება ე.წ. *ჩართული მოთხრობების* ციკლში, რომლებიც ერთგვარ „მატრიოშკას“, ჩინურ ყუთს გვაგონებს, „ჩარჩო-ნაწარმოებს“ ქმნის. ჩანართებს საერთო თემა აქვთ - მგელი და მასზე არსებული ამბები, რომლებიც ავტორს თავად მოუსმენია მოხუცებისაგან მშობლიურ გუდამაყარში.

რომანი „წითელი მგელი“ გოდერძი ჩოხელმა ოცდათოთხმეტი წლის ასაკში (1988) გამოსცა; ნაწარმოები თავიდან ამ სათაურით გამოვიდა, შემდეგ მწერლისთვის სათაურის შეცვლა ურჩევიათ. როგორც ჩანს, ავტორსაც გაუთვალისწინებია ეს „კეთილი რჩევა“ - რომანს ,,მგელი“ ეწოდა.

ძველი სათაურით ტექსტი 2007 წელს გამოვიდა. ცხადია, რომანში ალეგორიული ხერხით საბჭოთა *(„წითელი“ - მ.ა.)* სისტემის კრიტიკა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ამა ქვეყნის ძლიერთ, რადგან რომანში წითელი ფერის დომინირება საბჭოთა მმართველობის

ფერს გამოხატავდა. იშვიათი შეფერილობის წითელი მგელი, მგლადყოფილი თევდორეს პერსონაჟი, ალეგორიულად სწორედ სისტემას უკავშირდება.

„მოვა დრო, ადამიანები გამოვლენ ბუჩქებიდან, ნამდვილ სახეს, ნამდვილ ბუნებას გამოავლენენ, რადგან ბევრ ადამიანშია დამალული მგელი“ [შაიშმელაშვილი, 2012:19], - ამბობდა მწერალი, ამ აზრს ატარებს რომანშიც.

ავტორი დიდი სიმპათიითაა განწყობილი ამ ცხოველის მიმართ. თავის მოგონებებში მგლის ფენომენს არაერთხელ უსვამს ხაზს, დადებითი კუთხით წარმოაჩენს.

მაია წიკლაური წიგნში „შემოქმედება საზღვრებს გარეშე“ მწერლის მგლისადმი დამოკიდებულებას გვიზიარებს: „მგელი რაღაცით ადამიანურია, მთიელი კაცის ბუნებისაა - ძლიერი, გაუტეხელი, ოჯახის ერთგული, მაღალი ზნეობისა, მუხლმაგარი და მარტოხელა. თან საშიშია, თან - ადამიანივით კეთილი. ალბათ, მთიელი კაციც ისეთ პირობებში იყო, როგორც მგელი; მგელი ძალიან წესრიგიანია და მამაცი, მგლის ვაჟკაცობა ითვლებოდა კაცის ვაჟკაცობის საზომად“ [წიკლაური, 2010:179]. როგორც ვხედავთ, ჩოხელი მგელს ადამიანურ პრიზმაში განიხილავს და დადებითი თვისებებით გვიხასიათებს; თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მეწყვილის შერჩევას ორ წელს ანდომებს, არის მონოგამური, ერთგული, ზრუნავს ოჯახზე, მგელი ზნეობრივ არსებად წარმოგვიდგება.

დიდი მოწიწებისა და სიმპათიის დასტურია მწერლის მიერ მგლის თემაზე შექმნილი არაერთი თხზულება. მოთხრობები: „მგელი“, „მამა მგელი“ და „მგელი და სიკვდილი“ გვეხმარება ჩავწვდეთ გოდერძი ჩოხელის დამოკიდებულებას. მოთხრობაში „მგელი“ გამიხარდა მგლის გაბმულმა ყმუილმა შეაწუხა და დასახმარებლად მისკენ გაეშურა. „მგელს რაღაც უჭირს და შველას ითხოვს“, - ფიქრობს კაცი. მთის მკვიდრი არ უშინდება მხეცს, თათიდან ეკალს გამოუღებს. მწერალი თანაგრძნობის უბადლო მაგალითს აჩვენებს მკითხველს. ბუნების ინტიმურ სიახლოვეს, სიყვარულს ნაზიარები გოდერძი ჩოხელი მგლის დამხმარე გამიხარდას სახე-პორტრეტის ჩვენებით ცდილობს „სიკეთის ყმუილი“ მოჰფინოს არემარეს, გვიჩვენოს, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი მგლისადმი თანადგომა უმაღლესი ადამიანობის გამოვლინებაა, რაც არ არის უცხო არც ქართული ფოლკლორის, არც მხატვრული ლიტერატურისათვის.

ამირან არაბულმა 2011 წელს გამოსცა ნაშრომი „ვაჟკაცობისას ამბობენ“, რომელშიც ქართული ფოლკლორისა და მხატვრული ლიტერატურის გამოცდილება ერთ წიგნად აკინძა, ყურადღება აქამდე უცნობ ამბებზეც გაამახვილა. წიგნის მიხედვით, ცხოველთა

მიმართ შემწყნარებლობა შორს სცდება ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობათა პროფანულ სფეროს. ჩოხელის მიერ დახატული მადლიერი მგლის მხატვრული სახე ორიგინალურია გამოსახვის თვალსაზრისითაც.

მოთხრობა „მამა მგელი“ თაობათა შორის აღქმისა და შეხედულებების განხვავებულობაზე მოგვითხრობს - თუ ერთ თაობაში შვილი „გამგელებულ“ მამას არ უშინდება, შემდგომი (მესამე) თაობის შემთხვევაში წარმოსახვა რეალურ სახეს იძენს, შვილი ხისტად იგერიებს „გამგელებულ“ მამას.

მაია წიკლაური აღნიშნულ ისტორიას თაობათა გადაძახილად მიიჩნევს, ღირებულებათა გადაფასება და „კაი ყმის“ ცნების დევალვაცია მკვლევრისთვის „მესამე თაობისათვის“ დამახასიათებელი ნიშანია, რასაც ძველი თაობა ძნელად ეგუება.

მოთხრობის „მგელი და სიკვდილი“ ფაბულა ზეპირსტყვიერებიდანაა ამოზრდილი - ქორწილის დღეს სიძე მგელმა უნდა შეჭამოს, ასეა ნაწინასწარმეტყველები და, რამდენადაც უნდა ეცადოს სიძე, შეუძლებელია მისი თავიდან აცილება. ჩოხელმა მოთხრობაში შემოიტანა ცნება: „ბედისწერის მგელი“ - ეს ის მგელია, რომელიც მუდამ ჩასაფრებულია და შესაბამის დროს ელოდება, „ძუ მგელივით“ „მოგიხტეს“, რათა აღსრულდეს წინასწარმეტყველება. სიკვდილს ვერავინ გაექცევა, ვერავინ შეაჩერებს.

ქართულ თუ უცხოურ მითოლოგიაში მგელი გამორჩეული პერსონაჟია. მისი სახე და ბუნება ხშირად წინააღმდეგობრივია: ერთი მხრივ, მგელი სიმამაცისა და ძალის სიმბოლოდ გვევლინება, მაგალითად: „მუხლი მოიბი მგლისაო“ - ზღაპრული ეპოსის გმირს, ამირანს ხომ სწორედ „მგლის მუხლი“ დაანათლეს; აღსანიშნავია სიტყვათშეთანხმება „მგელივით მუშაობს“, კონოტაცია დადებითია - მშრომელი, გამრჯე ადამიანის აღსანიშნავად გამოიყენება.

მეორე მხრივ, ქართველ კაცს უარყოფითი კუთხითაც გამოურჩევია მგელი და ასეთი სიტყვათშეთანხმებებიც დამკვიდრებულა: „მგელივით გაუმაძღარი“, „გამგელებული“. მაია წიკლაურის დაკვირვებით, გამოთქმები - „მარტოხელა მგელი“ და „ბებერი მგელი“ ცხოველს დადებითი კონტექსტით წარმოაჩენს. [წიკლაური, 2006:123]. მგლის ბუნებიდან გამომდინარე, ქართველი კაცი ალგეთზე „მგლების“ (ვაჟების) დაბადების მოლოდინითაა აღვსილი, რათა სამშობლოს მტერს სათანადო - მგლური - სიძლიერითა და გამბედაობით გაუსწორდეს.

მკვლევარი მაია წიკლაური წიგნში „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“ საგანგებოდ ჩერდება „წითელ მგელზე.“ ავტორი სიღრმისეულად მიმოიხილავს რომანს, აკეთებს გარკვეულ ინტერპრეტაციას, გამოაქვს დასკვნები, ავლებს პარალელს ქართულ და უცხოელ მწერალთა ნაწარმოებებთან. შესწავლილი მასალის გათვალიწინებით, მკვლევარი აცხადებს, რომ მწერლის შემოქმედება ორგანულად არის დაკავშირებული ქართულ მითოსთან. მაია წიკლაურის მოსაზრებით, გოდერძი ჩოხელისთვის მგელი მთიულური მითოსის გმირზე მეტია. მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების გათვალისწინება გვაძლევს საშუალებას დავეთანხმოთ მკვლევარს - გოდერძი ჩოხელისათვის მგელი მხოლოდ მთიულური ან, ზოგადად, მითოსის გმირი არ არის, ვაჟკაცობის, ზნეობის, სიმამაცის სახეა და მისი ენიგმა ადამიანურის, კაცობრივი ბუნების გასაგებად, ამოსაცნობად სჭირდება მწერალს, თუმცა, ამ რომანის შემთხვევაში, მგლის პარადიგმას ცალსახად და სწორხაზოვნად ვერ მივუდგებით - *რომანში* ცხოველის რთული, წინააღმდეგობრივი ბუნება უფრო თვალშისაცემია, ვიდრე *მცირე პროზაში (ზემოაღნიშნულ მოთხრობებში)* გაცხადებული თვალსაზრისი.

მგლისადმი ინტერესი მხოლოდ ქართული მითოსისათვის არ არის დამახასიათებელი. მგლის სახე წარმოდგენილია მსოფლიოს ხალხთა ზეპირისტყვიერებაში, ყოფით კულტურაში, რაც ნათლად წარმოაჩენს ამ ცხოველისადმი განსაკუთრებულ პატივისცემასა და ინტერესს. ზოგიერთ ერს მგელი იდეალად უქცევია, გამოუსახავს გერბებზე, დროშებსა თუ მონეტებზე. მგლისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, ერთგვარი მოწიწება წარმართული ეპოქიდან ქრისტიანულშიც გადმოსულა.

ქართველთა მეფეს, ვახტანგ გორგასალს (ქართლის მეფე V საუკუნის მეორე ნახევარში) მგლისთავიანი მუზარადი ეხურა, რადგან მგელი ტოტემურ ცხოველად მიიჩნევა. მეფე ვახტანგის ფარზეც მგელ-ლომი იყო გამოსახული, „გორგასალი“ კი სპარსულად ,,მგლისთავას“ ნიშნავს, რაც უთუოდ გამოხატავდა ამ ცხოველისადმი დიდ სიმპათიას.

სვანური ზეპირსიტყვიერების მიხედვით, მგლები წმინდა გიორგის ძაღლებად არიან მიჩნეული, რომელთაც „მამბერებს“ უწოდებენ. „ბერ“ ძირი მგლის აღმნიშვნელია [მიქელაძე, 2014:150]. მერაბ მიქელაძის მოსაზრებით, ცნება „მამბერი“ ორი ნაწილისაგან შედგება - „მამ“ უნდა ნიშნავდეს „მამას“, ხოლო „მამბერი“ მგელთა მბრძანებელია, უნდა ნიშნავდეს „მამა მგელს“ [მიქელაძე, 2014:12].

რომაული ზეპირსიტყვიერების თანახმად, რომულუსსა და რემს მგელმა აწოვა ძუძუ, მგლის მიერ გამოზრდილმა კი სათავე დაუდო მარადიული ქალაქის - რომის დაარსებას [რომულუსი და რემუსი - ისტორია და მითოლოგია, (ელრესურსი)]. რომაელთათვის მგელი არა მარტო მზის მაცნეს წარმოადგენდა, არამედ საიმპერატორო ტახტის მესვეურთა თაყვანისცემის ობიექტსაც წარმოადგენდა. [მგელი, როგორც სოლარული სიმბოლო, (ელრესურსი)].

მაია წიკლაური ფართოდ მიმოიხილავს მგლის ტოტემის საკითხს მსოფლიოს ხალხთა ზეპირსტყვიერების მაგალითზე. „ბოზ ჰურდი“ თურქული ტომების მთავარი ტოტემი ყოფილა, მგლის შესახებ არაერთი მითია აზერბაიჯანშიც. სლავურ მითოლოგიაში არსებობდნენ ადამიანი-მაქციები - Volkodlak, რომლებსაც მგლად გადაქცევის უნარი ჰქონდათ; იყვნენ ჯადოქრებიც, რომელთაც შეეძლოთ ადამიანთა მთელი ჯგუფი გადაექციათ მგლებად. მათ დაბადებიდან თავზე მგლის ბალანი გამოარჩევდათ. სიტყვა Volk რუსულ დიალექტიკურ ფორმაში ქორწილში ნეფის ხელისმომკიდეს აღნიშნავდა. სიტყვის მნიშვნელობა ინდო-ევროპულ-ხეთურ ტრადიციას უკავშირდება, რომლის მიხედვით, სასიძო მგლად გადაიქცეოდა და საპატარძლოს იტაცებდა. [წიკლაური, 2010: 184-185].

მგელი არის ევრაზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ხალხთა მითოლოგიისა და კოსმოლოგიის ფუნდამენტური პერსონაჟი, გამოარჩევს მტაცებლის ბუნება და ასოცირდება სისასტიკესთან, ერთგულებასთან, მკვეთრ ინტელექტსა და თავისუფლებასთან, რაც მას, ერთი მხრივ, მეომრის სიმბოლოდ აქცევს, მეორე მხრივ, კი - მოხერხებულობისა. მგელს დიდი მნიშვნელობა აქვს მომთაბარე ხალხების კულტურებსა და რელიგიებში როგორც ევრაზიის სტეპებში, ასევე ჩრდილოეთ ამერიკის დაბლობებში მგლებს ხანდახან ჯადოქრობას უკავშირებდნენ როგორც ჩრდილოეთ ევროპულ, ასევე - ინდიელთა თუ სკანდინავიურ ფოლკლორში. ზოგიერთ კულტურაში ითვლებოდა, რომ მგლებთან კონტაქტს ფსიქიკური დაავადება და სიკვდილი მოჰყვებოდა.

შავი მგლების შესახებ ერთ-ერთი ყველაზე ადრეული წერილობითი ცნობა გვხვდება ბაბილონურ ეპოსში გილგამეშზე. ტიტულოვანი პერსონაჟი უარყოფს ქალღმერთ იშთარს, შეახსენებს და უსაყვედურებს მას, რომ მან წინა საყვარელი, მწყემსი, მგლად აქცია, რომელსაც თავისივე ფარის განადგურება შეეძლო.

მგელი ჩეჩნეთის ეროვნული სიმბოლოა. ფოლკლორის მიხედვით ჩეჩნები „მგლისგან დაბადებულები არიან“, რაც მითის ცენტრალურ ხაზს შეადგენს.

„მარტოხელა მგელი“ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოა. მელასა და დათვისაგან განსხვავებით, ფინეთში მგლის ეშინოდათ და სძულდათ დიდი ხნის განმავლობაში - მგელი ითვლებოდა განადგურებისა და გაპარტახების სიმბოლოდ. ფინურ ენაზე მგლის აღმნიშვნელი სიტყვა ასევე ნიშნავს „უსარგებლო ნივთს“.

დათვი ფინელების წმინდა ცხოველი იყო, მგლებზე კი დიდი ხნის განმავლობაში ნადირობდნენ და უმოწყალოდ ხოცავდნენ. მგელი წარმოდგენილია, როგორც დაუოკებელი და მავნე მტაცებელი, რომელიც მეტს კლავს, ვიდრე ჭამას ახერხებს. მგლის სიმბოლიკაზე საფუძვლიანად საუბრობს თავის ნაშრომში მირჩა ელიადე. [მირჩა ელიადე, „მითის ასპექტები“ (ელექტრონული რესურსი)].

საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობისთვის მგელი ტოტემური ცხოველი იყო. მას თაყვანს სცემდნენ, მისი მოკვლა არ შეიძლებოდა. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში, რიტუალური თვალსაზრისით, კლავდნენ. მთიული მგლის წინააღმდეგ ასრულებდა გარკვეულ რიტუალს, რომელსაც „მგელთკვერაობას“ უწოდებენ. სერგი მაკალათიას ცნობით, დიდმარხვაში ოჯახში იმდენ მგელთკვერს აცხობენ, რამდენი წევრიცაა; მგელთკვერი მგლის გამოსახულებისაა, უკეთებენ აგურის კბილებს, გამოცხობის შემდეგ აგურს აძრობენ და ნაყავენ, იმ რწმენით, რომ მგელსაც ასე დაენაყება კბილ-პირი, გამომცხვარ მგელთკვერს თოფებს უშენენ, ამ რიტუალის თანახმად, მგელიც ისე დაიხვრიტება, როგორც ეს მგელთკვერი [მაკალათია, 2005:165].

ხევსურეთშიც ასრულებენ გარკვეულ რიტუალს მგლის წინააღმდეგ - პირუტყვის დაცვის მიზნით „მგელთუქმეს“ იცავენ; დიდმარხვის შაბათ საღამოს დიასახლისი აიღებს ქვას და ყორეზე შემოდებს, რომელსაც ცულის ტარს დაუშენს, თითქოს მგელს ურტყამდეს, ამ რიტუალით სახლი მთელი წელი მგლისგან დაცულია. უქმეს მკაცრად იცავენ და ფიქრობენ, ვინც უქმეს გატეხს, მის საქონელს მგელი შეჭამსო [მაკალათია, 2005:54-55].

სვანური ზეპირისტყვიერების მიხედვით, „მამბერს“, მგლების მეუფეს, ეთაყვანებოდნენ და მის საპატივცემულოდ გარკვეულ რიტუალსაც ასრულებდნენ. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავდა მგლის მომადლიერებას. თუ „მამბერი“ კმაყოფილი იყო ადამიანების ქმედებით, მგლებს პირს აუკრავდა, აუკრძალავდა შინაურ საქონელზე თავდასხმას, უკმაყოფილო კი საქონელზე მიუშვებდა ხროვას, რომ დაესაჯა ადამიანები, მათი საქონელი გაენადგურებინა. „მამბერისადმი“ თაყვანისცემა დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება, მაგალითად, ლეჩხუმში, რაჭაში...

მერაბ მიქელაძე მგელ-ძაღლის კულტის კვლევისას სვანურ ჩვეულებას ეხება, რაც მგლის ტოტემურობას უსვამს ხაზს: „ამ ცხოველის ტყავის ტარების უფლება მხოლოდ ასაკოვან სვანებს შეეძლოთ, ვინაიდან, უძველესი ტოტემური კონცეფციის გათვალისწინებით, მხოლოდ გვარის უხუცესი, ბრძენი მმართველი და ხევისბერი შეიძლებოდა ყოფილიყო გაიგივებული საკრალურ, წინაპარ ტოტემ ცხოველთან, ჩვენს შემთხვევაში, მგელთან“ [მიქელაძე, 2014:148]. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ქართულ ხალხურ ლექსში „გაგვიძეღ, ბერო მინდიავ, მუხლი მოიბი მგლისაო“, იგივე დედააზრი უნდა იყოს ჩადებული. მისი მოსაზრებით, ფოლკლორული პერსონაჟი „ბერი მინდია“ იგივე „მგელი მინდია“ უნდა იყოს, რომელიც ტოტემს განასახიერებს [მიქელაძე, 2014:148].

გიორგი ცოცანიძის კვლევის თანახმად, „მგელთ შაბათს“ ფშაველები მარხვის პირველ შაბათს იცავდნენ, „ამ დღეს პირუტყვის ხელმმყოფ მტაცებელთა, როგორც ნადირის, ისე ყაჩაღი მოძალადის წინააღმდეგ მიმართულ *მგელთუქმეს* ინახავდნენ“ [ცოცანიძე, 2005: 103]. მკაცრად იკრძალებოდა მჭრელი იარაღის ხმარება, ამიტომაც წინა საღამოსვე მაკრატლებს, დუქარდებს, დანებს პირზე ბაწარს დაახვევდნენ. სწამდათ, რომ რიტუალით მგელს პირი შეეკვრებოდა. ლოცვასაც წარმოთქვამდნენ, დედაკაცებიც გარკვეულ რიტუალებს ასრულებდნენ მგლისგან დასაცავად.

აღსანიშნავია, რომ ვაჟა-ფშაველაც გვაწვდის ცნობებს შესახებ ფშავში არსებული წესისა, რომელიც საქონლის მგლის კბილისაგან დაცვას ეხება; ვაჟას ცნობით, ფშაველი დედაკაცი საგანგებო რიტუალს ასრულებდა: „როდესაც საქონელი დარჩება ღამე გარეთ, ფშაველი ულოცავს: რომ მგელს კბილი ანუ პირი შეუკრას. თევდორობა ღამეს მარილის სანაყს ქვას (გურჩს) მიაბამენ ფშაველები ბოძზე წნელით, ჩაუდებენ ნაღვერდალს, სრულად დარწმუნებულნი, რომ მგელს ამითი პირი დაეწეპებაო *(ტრანსლიტერაცია ვაჟასეულია - მ.ა.);* ამ ღამეს დედაკაცი გამოაცხობს კვერებს მგლის სახისას, რომელსაც *მგელთ კვერებს* ეძახიან. მეორე დღეს ბალღები მგელთ კვერებს ისრით ჰკოდენ“ [ვაჟა-ფშაველა, 1961:12].

როგორც ზემოთქმულით დასტურდება, მთიელი კაცი კიდეც ეთაყვანებოდა მგელს, კიდეც იცავდა მისგან თავს რიტუალების საშუალებით. მგლის მიმართ დამოკიდებულება ჩვენშიც და უცხოეთშიც არაერთგვაროვანი, არასწორხაზოვანი იყო, როგორც არაერთგზის მივუთითეთ. მგელი ორმაგი ბუნებისაა, რაც კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, წარმართმა ქართველებმაც.

მგლის ენიგმა ზეპირსიტყვიერებიდან მხატვრულ ლიტერატურაშიც გადმოვიდა და არაერთი ტექსტის ამოსავალ თემად იქცა. დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, რომელიც ძველი და ახალი ლიტერატურის მიჯნზე დგას და რომლის ავტორიც იტალიური, ზოგადად, ევროპული, რენესანსის წინამორბედად ითვლება, მგელი, ორ სხვა ცხოველთან ერთად, ადამიანური ვნების სიმბოლოა. მისი თანამგზავრი, „ჩიჩერონე“ ვერგილიუსი დანტეს აშორებს მგელს ჯოჯოხეთის კანტონში (სტრიქონები 87-88). სწორედ ეს სცენა დახატა 1861 წელს ფრანგმა მხატვარმა, მოქანდაკემ და გრაფიკოსმა გუსტავ დორემ (1832-1883).

ენიგმა სათაურად გაიტანა ჰერმან ჰესემ გახმაურებულ რომანში „ტრამალის მგელი.“ 1927 წელს გამოცემული რომანი ჰესეს ყველაზე პოპულარული ნაწარმოებია, მისი მთავარი პერსონაჟი კი, ოცდაათი წლის ჰარი ჰალერი, რომელშიც ადამიანური და მგლური მარტოსულობა ერწყმის ერთმანეთს, მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე ამოუცნობ და რთულ პერსონაჟად ითვლება.

ლუარა სორდია ნაშრომში ,,გოდერძი ჩოხელის *„მგელი“* (პრობლემატიკა და სახეები)“ მიმოიხილავს რომანს, წვდება ჩოხელის პერსონაჟთა სულის ღრმა ლაბირინთებს და ასკვნის: „ჭასავით ღრმა და მზერაჩაუწვდენელია გოდერძი ჩოხელის პერსონაჟების სული. მათში მგლური ინსტინქტები თვლემს, მხეცური კომპლექსები იფურჩქნება, მაგრამ, ამავე დროს, *ნაწილიანთა* სულის ყვავილის სურნელიც გვაბრუებს. ამ სამყაროში გულქვაობის ყინულით გათოშილ სულს მარადიულ ცეცხლზე ითბობენ, არსობის წყალსა და პურს გულით ადღეგრძელებენ და გონიერ, სულიერ ცას გაჰყურებენ. აქ სასწაულების სჯერათ და ტოტალური ცოფის მკურნავ წამალს ეძებენ, საბედისწერო შავისა და წითელი ფერის მოძალებას უთეთრესისა და უწმინდესის მოვლინება ენაცვლება, გამოცხადების მადლი კი, ნათლის შემოქმედის წყალობით, საწაღმართო გზაზე აყენებს იჭვნეულთ“ [სორდია, 2009:3].

ლუარა სორდიას შეფასებით, მწერალი ზეციურ სამყაროსთან არის წილნაყარი, იგი თითქოს ყველაზე დიდი „მწერლის“ - უზენაესის ზეციდან ნაკარნახებ მანუსკრიპტს კითხულობს და სწორედ ეს გადააქვს ქაღალდზე.

რომანი „წითელი მგელი“ წმინდა წერილის სიბრძნით, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით, ქართველი თუ უცხოელი კლასიკოსების ნააზრევით არის ინსპირირებული. ტექსტი ორი ნაწილისაგან შედგება - პირველი მცირე მოცულობისაა და სოფლიდან ქალაქში ჩასული ლუკას ქალაქური ცხოვრების ძალზე მოკლე პერიოდს

ასახავს. ქალაქური ცხოვრების ეპიზოდები გამდიდრებულია მწერლის ბიოგრაფიული პასაჟებით, რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი ლუკა, ისევე, როგორც გოდერძი ჩოხელი, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია. რომანში იკვეთება ლუკას რთული და საკმაოდ დაძაბული სამთვიანი ქალაქური ცხოვრების გამოცდილება, აწყდება უსამართლობას, ძალადობას, რასაც ფიზიკური ანგარიშსწორება მოჰყვება, მოძალადეები მხოლოდ ძალის წინაშე ხდებიან უძლურნი - ასეთია მწერლის პოზიცია.

მკვლევარი მაია ჯალიაშვილი აღნიშნავს: „რომანის მთავარი გმირი ლუკა, მწერლის ალტერ-ეგო, მთხრობლის ნიღბით შემოდის ტექსტში და წუთისოფლის ხლართებში გარკვევას ცდილობს. ამ ნიღაბს სხვათაგან უპირველესად გამოარჩევს დიდი, გაკვირვებული და სუფთა თვალები. რომანი წარმოადგენს საკუთარი ცნობიერების მიმოხილვას, სადაც უხვადაა დალექილი როგორც პირადი, ასევე - ერისა თუ კაცობრიობის გამოცდილების არქეტიპები“ [ჯალიაშვილი, „კაცი ყვავილით მგლების რკალიდან“ (ელრესურსი)].

ლუკას ქალაქური თავგადასავალი გვარწმუნებს, რომ ადამიანები უფრო დიდი მგელები არიან, ვიდრე თავად მგელი. ჩოხელის ქალაქი ღრმა ჭაობია, რომელიც თავის სიღრმეში ითრევს ყველასა და ყველაფერს. მისგან თავისდაღწევა მხოლოდ გაქცევითაა შესაძლებელი და გმირიც უკანმოუხედავად გარბის სოფლისაკენ, იქ, სადაც დედა და სიწმინდე ეგულება.

რომანში ჩართულია ჩოხელის ბავშვობისდროინდელი სიზმარი. მწერლის ქვეცნობიერში ღრმად ჩამარხული ზმანება ნაწარმოებში სიმბოლური დატვირთვით ირეკლება: „უცებ ატყდა მტრედების ფართხალი და ზარების რეკვა, სოფლისთავს მდგარი ეკლესიიდან გამოვიდა თეთრი მოხუცი, რომელსაც თმა-წვერიც თეთრი ჰქონდა, ტანსაცმელიც თეთრი ეცვა, თეთრი ყავარჯენი ეჭირა და სოფლისკენ მოდიოდა“ [ჩოხელი, 2016 :20].

ყველა ბალღი გარბოდა, მხოლოდ ლუკა ვერ ახერხებდა გაქცევას, მივიდა მოხუცი - ყვავილი მისცა და უთხრა, გაიქეციო. სიმბოლური მნიშვნელობისაა მტრედი, რომელიც მშვიდობის მაუწყებელია, თეთრწვერა მოხუცი ღმერთის პარადიგმაა, ყვავილი კი უფლის სიტყვად, ღვთის ძედ გაიაზრება, რწმენის სიმბოლოდ. ყვავილი მზრუნველმა მამამ სულის გადასარჩენად გაუწოდა ლუკას, რადგან გზაზე, რომელზეც ის იდგა, გადარჩენის ერთადერთ საშუალებას რწმენა წარმოადგენდა.

ქალაქური ძალადობების სია უსასრულოა. მთასავით მაღალი და ანკარა წყაროსავით წმინდაა ლუკას შინაგანი სამყარო. დისა თუ უცხო ქალიშვილის პატიოსნებისა და

სახელის დაცვა ერთი და იგივეა მისთვის. მთაში გაზრდილი ბიჭი ვერ ეგუება ქალის დამცირებას, მანკიერებას სათანადოდაც უპასუხებს.

ვფიქრობთ, შემთხვევითი არაა სახელი „ვასია“, რომელიც მოძალადის სახით გვევლინება. ჩოხელის მიერ დახატული ქალაქი ამ „ვასიებითაა“ სავსე, რომელთაც მგლობის ბეჭედი აზით და მგლურ საქმეებს სჩადიან. ვასიას მხატვრული სახით კაცისსახიანი მგლური ბუნების ადამიანი წარმოაჩინა ავტორმა. ჩოხელი გვარწმუნებს, რომ ადამიანის ტყავში გახვეული მგელი უფრო საშიშია, ვიდრე მაქცია - მგლადყოფილი თევდორე. მძივის კაკლებივით ასხმულ ბოროტებას სათვალავი არ აქვს. ლუკა ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად დატოვოს ქალაქი - ბოროტების ჭაობი. სიმბოლურია ის პასაჟიც, როცა გაქცეულ ლუკას უკან მოსდევს მთელი ქალაქი ყვირილით: „აღარ ჩამოხვიდე, აღარ ჩამოხვიდე აქ...“ [ჩოხელი, 2016:31].

მწერალი გვიჩვენებს, რომ ლუკასნაირი ადამიანების ადგილი ქალაქში არ არის, რადგან კეთილი და ბოროტი შეუთავსებელია. აქ სრულდება ლუკას სამთვიანი ქალაქური ოდისეა და იწყება სოფლის გზაზე თოვლის უდაბნოში მომწყვდეული გმირის ისტორია მგლადყოფილი თევდორეს ჭერქვეშ.

მაია ჯალიაშვილმა ლუკას ქალაქიდან სოფელში გაქცევის მიზეზზე გაამახვილა ყურადღება. მკვლევრის შეხედულებით, თუ აქამდე ლუკასთვის არსებობდა მხოლოდ სოფლის (წუთისოფლის ერთგვარი მოდელის) განზომილება, სადაც ბუნება სრულ ჰარმონიაში იყო ადამიანთან, ახლა მის ცნობიერებაში შემოიჭრა სხვა - ერთგვარი ბოროტი განზომილება, რომელმაც მისი ჩანთქმა დააპირა, ამიტომაც გარბის ლუკა ქალაქიდან და იწყება გაცნობიერება-გააზრება ცხოვრებისა“ [ჯალიაშვილი, 2012: 336].

ლუკას პორტრეტის შესაქმნელად მწერალი, ზოგადად, ჩოხელთა და, ამავდროულად, პირად თვისებებს იყენებს, „ჩოხელი თუ ქვაზე შეჯდა...“ - გაჯიუტებული ლუკაც მეზობელ სოფლამდე მიღწევას ცდილობს, მიუხედავად იმისა, თოვლის მოსვლა გარდაუვალია. უჩვეულო ფერებითაა დახატული თოვლის მოსვლა თოვლიან უდაბნოში, ავტორი ზეციური საგალობლის ხმას ადარებს ამ პროცესს, რომელსაც დედამიწა სულგანაბული უგდებს ყურს:

„ზეცა მოიწევდა ქვემოთ.

დედამიწა ემზადებოდა მის შესახვედრად.

ლუკა იყო მგზავრი“ [ჩოხელი, 2016:37].

ქართული ლიტერატურისთვის არც ისე ორგანული თოვლის პარადიგმა არაერთხელ გამოკრთება ჩოხელთან. ისევე, როგორც პოეზიის მეფესთან _ გალაკტიონთან, („თოვლი“). ადამიანები „წუთისოფლის მგზავრები ვართ.“ ქრისტიანული სწავლებით, დედამიწა არის მოსამზადებელ-გამოსაცდელი ადგილი მარადიული ცხოვრების მოსაპოვებლად. ამის გათვალისწინებით, *მგზავრია* ლუკაც. წარსულისა და აწმყოს სინთეზირება ლუკას ფიქრთა უჩინარ ლაბირინთებში სიღრმისეულად ირეკლება, მისი ნაფიქრ-ნააზრევი რომანის სიუჟეტური ხაზის კონცენტრირებას უწყობს ხელს.

ერთ-ერთი მოგონება საკიდობნიას ტყეს უკავშირდება, სადაც ღამღამობით ჯერ ერთი მგელი დაიწყებდა ყმუილს, მერე სხვა მისცემდა ბანს. დღისით იშვიათად ყმუოდნენ. ამ ყმუილს უერთდება სოფლის დედაკაცი, რომელიც რაღაცას ატყობინებს ხროვას. ხალხმა იცოდა, ვინც იყო, მაგრამ ვერ ააშკარავებდნენ. ჩოხელი გვაჩვენებს, რომ ადამიანისსახიანი მგლის გამოაშკარავება ძნელია, რადგან მას შესწევს უნარი შეინიღბოს იმგვარად, რომ ვერავინ ამხილოს. ასევეა გამგელებული დედაკაციც - თავს მგლური სიმარჯვით მალავს, დღისით, სხვა ქალებივით, ჩვეულებრივად ქსოვს ხალხთან ერთად, წინდებს აჭრელებს წითელ-ყვითელი ყვავილებით, ბალღს აწოვებს ძუძუს. სოფელი ერთვება გამოაშკარავების პროცესში, მაგრამ არასოდეს არაფერში მჟღავნდებოდა მხეცური ნიშანი. მგლობის წინაშე უძლურად წარმოგვიჩინა ავტორმა მთელი სოფელი, მას სათანადო ძალა არ აღმოაჩნდა მაქციის გამოსააშკარავებლად.

მორწმუნე პირჯვრის წერით ცდილობს დაიცვას თავი დიდი ბოროტებისაგან, ასევე დაგვიხატა ავტორმა სოფლის მკვიდრნიც - ბოროტებასთან დამარცხებულნი პირჯვრისწერით ცდილობენ თავის დაცვას. ხმამაღლა ვერ ბედავენ საუბარს, მხოლოდ ჩურჩულებენ ამ გაუგონარი ამბის შესახებ, სოფელმა სახელიც დაარქვა გამგელებულ ქალს, „მგელშავას“ ეძახდნენ. ქალის შოლტივით ტანი და მაყვალივით შავი თვალები ატყვევებდა სოფლელებს. მგელქალა გრძნობდა სოფლის დამოკიდებულებას და, სადაც მასზე საუბრობდნენ, განგებ ახლოს ჩამოჯდებოდა, ღიმილიანი სახით. გამგელებული ქალი ადამიანობას ოსტატურად თამაშობს, მხოლოდ მისი თვალები ვერ ისვენებენ და მუდამ რაღაცას დაეძებენ. ბავშვები გრძნობენ ამ თვალების სიავეს, უარყოფითი ენერგიის ძალა აკრთობს უცოდველ, უზაკველ ყრმებს და შიშით ეცლებიან იქაურობას.

ბოროტი თვალის ძალა მწყემსმაც გამოსცადა. მაქციის ამოსაცნობად გამწკრივებულ ქალთა შორის მგელქალააცა, ბალღს ძუძუს აწოვებს, დინჯად, აუღელვებლად, იმის

საჩვენებლად, რომ ის დედაა, უპირველესად. დედა ვერ იქნება ბოროტი არსება, მით უფრო, მაქცია, ესეც შენიღბვის ოსტატობის მაჩვენებლია: „იმის წინ შეჩერებულ მწყემსს მარტო ერთხელ ამოხედა, ყველამ დაინახა, როგორ შეკრთა მწყემსი და გასცილდა ქალს“ [ჩოხელი, 2016:41].

ვერ იცნო... მრავლისმთქმელია ეს „ვერ იცნო“ - ამ ორ სიტყვაში ჩატია მწერალმა მაქციათა ეშმაკისეული ძალის არსი. იცნო და ვერ გაამჟღვნა, ვერ გაბედა, ერთხელ ამოხედვაც საკმარისი აღმოჩნდა მწყემსისთვის, დაჟინებული მოთხოვნა ამოცნობისა უკან წაეღო, „თვალი თვალში გაუყარა“ - სწორედ ის იდიომაა, რომელიც მთელი სიმძაფრით გვაგრძნობინებს ამ თვალთა ავ ძალას.

„თვალი ეცა“ - ხალხური რწმენა-წარმოდგენებით ჩამოყალიბებული სიტყვათშეთანხმება გვაფიქრებინებს, რომ სწორედ უარყოფითი ენერგიით დამუხტული, ავი თვალის მატარებელი განაიარაღებს ღვთის მადლის მაძიებელს. ხალხური თქმულებებისა და ჩოხელის მაქციას ერთნაირი მეტამორფოზა ახასიათებთ - ისინი ადამიანის სახეს იღებენ იმ ადგილას, სადაც გამგელდნენ.

გიორგი ცოცანიძის მიხედვით, თუშებს სწამთ, რომ ეშმაკებს ადამიანთა შორის თანამდგომელნი ჰყავთ - ავსულების, კუდიანებისა და ბოროტი ძალის მატარებელთა სახით. მათ აქვთ გარდასახვის უნარი, ადამიანისა და ცხოველისათვის ზიანის მოტანა შეუძლიათ. მათი რწმენით, ბავშვს დაბადებიდანვე დაჰყვებოდა ეშმაკის ნიშანი - კუდუსუნთან ჩაღრმავება, ხერხემლის კუდისებურად წაგრძელება და კუდუსუნის თავზე დახვეული ბეწვები, რაც, ხალხური წარმოდგენით, ეშმაკს ახასიათებს. თუშთა რწმენით, თუ ასეთი ჩვილი გაჩნდებოდა და ამას დედა გაამჟღავნებდა, ბავშვი ეშმაკეულის უნარს დაკარგავდა. ამიტომაც თავის კუდიანობას ყველა მალავდა, თუ იძულებული გახდებოდნენ ეღიარებინათ კავშირი ავსულებთან, მაშინაც კარგავდნენ ამ უნარს, ასევე, არ უნდა მოეყოლათ ეშმაკობისდროინდელი თავგადასავალი. ფშაველთა შეხედულებით, ეშმაკებს მეთაურიც ჰყავთ, რომლის ბრძანებებსაც ასრულებენ, ებმებიან „ერულაში“ და ადამიანს ზიანს აყენებენ, თუშეთში კუდიანი ადამიანის უფრო ეშინიათ, ვიდრე - თვით ეშმაკის [ცოცანიძე, 2005:112].

ჩოხელის „მგელშავა“ პროტაგონისტია თუშური „ავკაცისა“ ან „ავქალისა’’, რომელიც არავის ინდობდა. არც თეთრუა დაინდო, მის ერდოში მთელი სოფელი იხილავს, როგორ გაძვრა ხვრელში მგელი და მაღლიდან ჩამოანათა თვალები“ [ჩოხელი, 2016 :43].

სოფელი ბედს ემორჩილება, ასეთია ავტორის გადაწყვეტილება, „ჩურჩულითაც კი არავინ ჩურჩულებდა მგელქალის კუდზე“ [ჩოხელი, 2016:43]. მწერალი ამ პასაჟით გვიხატავს ბოროტების წინაშე შეშინებული და დამფრთხალი სოფლის სახეს, რომელიც ვერ ახერ-ხებს ბოროტის დამარცხებას. ეპოქის ნიშანი ადევს ბედსშერიგებული სოფლის სახის წარმოჩენას, უუნაროები კარგავენ უმთავრესს - რწმენას უფლისას.

საყოველთაო დუმილის ფონზე მხსნელის ფუნქცია თეთრუას მამას ეკისრება, შვი-ლის დაცვას შინაგანი და გარეგანი ძალების კონცენტრაციით ახერხებს და მაქციას ააშ-კარავებს.

მაქციათა ლეგიონში, რწმენა-წარმოდგენებით, კატაც ირიცხება. სწორედ კატად მეტამორფოზირებული გამგელებული ქალის გამოაშკარავება ხდება. ამით თითქოს და-მარცხდა ბოროტება, მაგრამ ფინალამდე მგელშავას ისტორია ფარულად გაჰყვება ტექსტს. ცხადია, რომანის გააზრებისათვის ბოროტი სახის ხსოვნას დიდი როლი ეკის-რება. ნაცემი მგელშავას სიტყვები - „დღეის მერე დაგასვენებ, ქალო“ [ჩოხელი, 2016: 45] - ბოროტების დასასრულსაც გვაუწყებს თითქოს, მაგრამ ასე მარტივად არ ხდება მისი დავიწყება/დასრულება.

მგელშავას არ მარხავენ, საფლავის ღირსი არ გახადეს ბოროტების სიმბოლო, საფ-ლავი ხომ წმინდა ადგილია ქართველი კაცისთვის - წინაპართა საფლავს იფიცებენ, სა-ლოცავის ძალასა და მადლს ანიჭებენ, განსაკუთრებით, მთიან აღმოსავლეთში, სადაც წი-ნაპართა საძვალეებთან ჯერ კიდევ საკლავს კლავენ და ფერხულს აბამენ. მოხუცი მამაც არ ტოვებს თეთრუას მარტო, სანამ შვილიშვილს მიწას არ მიაბარებს, იქ არ დაიგულებს, როგორც სიწმინდეს. ამის საპირისპიროდ, დამარხვის ღირსი ბოროტება არაა, ის უსაფ-ლავოდ უნდა დარჩეს! უსაფლავობა მარადიული დავიწყებისა და გაქრობის პირობაცაა, ამიტომაც მაქცია ხევში გადააგდეს. ისევე, როგორც ვარლამ არავიძე თენგიზ აბულაძის საკულტო ფილმში „მონანიება.“

ვარლამი ტოტალიტარული ეპოქის შვილია, მისი გზა ეშმაკის გზაა და ტაძრამდე არ მიდის, ასევეა ეშმაკთან წილნაყარი მგელშავას გზაც, რომელიც სოფლის ღრმა ხევ-ხუვებისაკენ მიდის. ამის დავიწყება არც ისე ადვილია, ლუკას ტრავმული მეხსიერები-დან პერიოდულად ამოდის ავადმოსაგონარი ამბავი. წინააღმდეგობრივ გარემოში აღმო-ჩენილი, მთელი სიმძაფრით განიცდის მაქციათა არსის ლუციფერულ გამოვლინებას.

ლუკას მგლის ხმა წარსულში აბრუნებს. მგელშავას შვილები გაიხსენა, რომლებიც მამამ სოფლიდან გადაკარგა, იმ ქალის შვილებიც მგლები იქნებოდნენ, მათი ძუძუ ჰქონდათ ნაწოვი, გამჟღავნებული მგლის შვილობა რთული სატარებელია, რადგან სოფელში მგელი ცოტაა, დაფარვაც შეუძლებელია, ქალაქი კი, „ქალაქი დიდია, უამრავი ხალხი ირევა. ნუთუ მართლა შეიძლება მგელი კაცივით დადიოდეს?!“ [ჩოხელი, 2016:47], - რიტორიკულ კითხვას დასვამს მწერალი და იქვე უპასუხებს: „მგელი ხომ შეჭამს ადამიანთა წილ სიყვარულს, კაცივით მათ შორის იტრიალებს და ნელ-ნელა გამოსწოვს, რაც კი რამ წმინდაა მათ შორის. მგელს ასეთი ხასიათი აქვს, სისხლს გამოსწოვს და მძორს დასტოვებს, მერე მძორი თვითონვე გაიხრწნება“ [ჩოხელი, 2016:47-48]. [2]

ჩოხელის სამყაროში მგლობა ჩვეულებრივ ამბად ქცეულა; მგელი ისე შერწყმია ადამიანს, გარჩევა გართულებულია. მგლის სათარეშო გამხდარა არა მხოლოდ ბუნება, არამედ - ადამიანებით დასახლებული ადგილებიც. სოფელიც მგლებითაა სავსეა და ქალაქიც, კაცთა მოდგმაში გარეული მგელი უშიშრად სწოვს სისხლს ადამის შვილს და ფიტავს, სულიერებას აცლის. ესეც ეპოქის ნიშანია, მისი სახე.

ტრაგიკომიკურად გადმოსცა ჩოხელმა დედაბრის ისტორია, რომელმაც დროის საზომი დაკარგა. მოხუცი, გულისწორის მოლოდინში, პატარძალივით მორთულ-მოკაზმული, დამშეული მგლების საკბილო ხდება.

გოდერძი ჩოხელის ნეოლოგიზმია „შემომგლისფერდეს.“

რომანში ახალმოსული თოვლის სურნელი ტრიალებს, მაგრამ ლუკას მგლების სუნი უფრო „ესმის“ - მოულოდნელი სიტყვათშეხამებაა, როგორ უნდა მოგესმას მგლის სუნი?! შესაძლებელია, რადგან მგელს, როგორც ნადირს, თავისი სუნი აქვს და ის იგრძნობა, მაგრამ „სუნის ხმა“, გამოხატვის თვალსაზრისით, ორიგინალური ხერხია, რომლითაც მწერალი ცდილობს მკითხველს მგლის სახე მკვეთრად შეაგრძნობინოს.

ჩოხელი თავისებურად ასახავს მთვარისა და მგლის ურთიერთობასაც - მგლებს მძორის სუნი „ესმით“ და ამ სუნს უფრთხიან - ასე ხსნის მწერალი მთვარისა და მგლის შეუთავსებლობას. ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში „ამოდის, ნათდება!“ ტოტიას თანამოძმენი სწორედ მთვარის შუქმა დაჰფანტა. „ნუთუ მთვარეა სიკვდილის ადგილის დედა?!“

[2] სისხლი - სული, მძორი - ხორცი;

[ჩოხელი, 2016:53], - კიდევ ერთ კითხვას დასვამს გოდერძი ჩოხელი. უძველესი წარმოდგენებით, ყველა ადგილს თავისი პატრონი - „დედა“ ჰყავდა. მთვარე სიკვდილის დედა უნდა ყოფილიყო, რადგან მას შეჰყმუიან მგლები, როცა სიკვდილის (მკვდრის/ლეშის) სუნს გრძნობენ, ჩოხელთან კი მგლებს მძორის სუნი „ესმით“, რაც სმენას უკავშირდება და, ცხადია, უფრო მძაფრად აღიქმება.

სასწაულის საბურველით შემოსა ავტორმა ლუკას ბავშვობისდორინდელი მოგონებები. სასწაულია დონატას ამოფრენა მლოცველთა ჯგუფიდან.

წარმართული და ქრისტიანული რელიგიის ნაზავია ხატობისას ჩატარებული რიტუალი. თეთრმიტკალაკრული კურატების სამხვეწროდ მიყვანა წარმართული ცნობიერების აღქმაა, მკლევარ მერაბ მიქელაძის მიხედვით, „ხარის რქებს შორის არსებული სივრცე ღვთაებრივ-მანათობელი კარის გაგებით აღიქმება“ [მიქელაძე, 2014:79].

კურატის დაკვლა დეკანოზის მოვალეობაში შედიოდა, სწორედ დეკანოზი ატარებდა გარკვეულ რიტუალს, მას ეკისრებოდა ხატის სამსახურიც. ჩვეულების მიხედვით, დეკანოზებსა და ხატის მსახურებს ხალხი ირჩევდა. მატერიალურ წახალისებას დადგენილი კანონები არ ითვალისწინებდა, რადგან დროებითი ფუნქცია იყო. ვახტანგ ითონიშვილის ცნობით: ხუცესი თუ დეკანოზი თანასოფლელებისა და თანამემამულეებისაგან მხოლოდ თავისი დროებითი ფუნქციით - კულტის მსახურებით გამოირჩეოდა და არა უპირატესი ქონებრივ-უფლებრივი პრიორიტეტით“ [ითონიშვილი, 2003:292].

მკითხველის წინაშე ჩვეულებრივი დღესასწაულის ფონზე ვითარდება კონფლიქტი პიროვნებასა და თემს შორის. ვაჟა-ფშაველას შემდეგ გოდერძი ჩოხელმა კიდევ ერთხელ წარმოგვიდგინა კურატის შეწირვის რიტუალი და წარმართულ-ქრისტიანულის ნაზავი ამ კუთხით.

მსგავსება ამით არ დასრულებულა, გოდერძი ჩოხელმა გუდამაყრელთა ყოფაცხოვრების ასეთი სურათი დაგვიხატა: ხატის მოედანზე, დღეობისას, ღვინომოძალებულმა მთიელმა დეკანოზს ხანჯალი წაჰგლიჯა და საკლავს თავი მოაჭრა, ეს კი წინაპართა ჩვეულების შელახვა იყო, რაც მთაში მიუღებელი და აკრძალული გახლდათ. დრამატულად განვითარდა მოვლენები მთის ტრადიციის შემბღალავსა და გუდამაყრელთა შორისაც, მოჩხუბრებს ვერც დეკანოზის სიტყვა აშოშმინებს და ვერც ჩამორეკილი ზარი. ირღვევა წინაპართა დაწესებული კანონები, კანონი ირღვევა ქალების მხრიდანაც, განსაკუთრებით, სამანებთან დაკავშირებით.

ეგზალტირებული მასის დასაწყნარებლად ავტორმა სასწაული შემოიტანა - დონატას გუმბათამდე ამაღლება ჯადოსნურ ძალას იძენს და ბრბოს აწყნარებს. ავტორმა ამაღლების დღესასწაულს სიმბოლურად დაუკავშირა დონატას ამაღლება, რამაც სოფლელთ თვითგამორკვევისკენ უბიძგა და რწმენის გზაზე დააყენა. ლუკას ნააზრევში მწერლისეული პოზიცია იკვეთება, ის ავტორის იდეების მატარებელია, მისი ერთგვარი „alter ego". პერსონაჟი იზიარებს უფლის ნებელობას: „ისე, უბრალოდ, არაფერი არ ხდება" [ჩოხელი, 2016:57]. აზრთა და ფიქრთა ჭიდილით აფორიაქებული პერსონაჟი დასკვნასაც აკეთებს: „თუ ყველაფერი წინასწარ დაკანონებულია, მაშინ მოსასვლელი მაინც მოვა" [ჩოხელი, 2016:57], მოსახდენი მოხდება.

სოლომონის იგავთა კონცეფციით, „მრავალი განზრახვაა კაცის გულში, მაგრამ უფლის გადაწყვეტილება ასრულდება" (იგავნი 19, 21).

მგლების რკალში მოქცეულ ლუკას მხსნელად მგლადყოფილი თევდორე ევლინება. ფილოსოფიური აზრითაა გაჯერებული სიტყვები: „წამოდი, წინ ვერ აღუდგები ცოდვა-მადლის გამჩენს" [ჩოხელი, 2016:65]. თევდორეს სიტყვებში ფატალურობის შეგრძნება, უფლის დადგენილის/პროვიდენციულის გარდაუვალობა შეინიშნება, რუსთაველს რომ დავესესხოთ: „განგებით ქმნილსა რისხვასა ვერავინ დაჰრიდებია!" [რუსთაველი, 2016:165].

სამფეხა სკამსა და ტაბლას ერთი და იმავე დატვირთვით მოიაზრებდნენ - როგორც მიცვალებულთა სამყაროსთან მაკავშირებელს. ყვავილი უფლის პარადიგმაა, ის რწმენის სიმბოლოა, ერთმანეთს უკავშირდება უფალი, მამა და სულეთის ქვეყანა. სწორედ ამ აზრით შემოაქვს სამივე პარადიგმა ამ ეპიზოდში ჩოხელს.

მერაბ მიქელაძე ტაბლის სიმბოლურ დანიშნულებას იკვლევდა. მისი მოსაზრებით, თუ „ტაბლას" ასტრალურად გავიაზრებთ, შესაძლოა ის მზეს უკავშირდებოდეს, ფუნქციური დატვირთვის გამო - ხთონურ „მკვდართა მზესაც"; ტაბლა იგივე სამფეხა მაგიდაა, ის სუფრაა, მიცვალებულთა სახელზე გამომცხვარი საწესო პურია, რასაც მზიურ-ცეცხლოვანი დატვირთვა აქვს, მზიური-სამფეხა ტაბლა, რომელიც მიცვალებულთა სამყაროსთან, იგივე „სულეთთან მაკავშირებელია", რაღაც სახით აპოლონის ,,სამფეხა სკამთანაც" იჩენს სიახლოვეს, რომელსაც ხთონურ სამყაროსთან დაკავშირებისა და მისნობის ფუნქცია აქვს [მიქელაძე, 2014:276].

ტაბლა ფიგურირებს ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალურ პასაჟშიც, რომელშიც მარადიული სტუმარმასპინძლობის წესი აღესრულება და პოემის სამივე გმირის მარადიული ერთიანობა იკითხება.

მკვლევარი ნანა კუცია უფლის პარადიგმას - „ყვავილს“ ეხება და განმარტავს, რომ ჯერ კიდევ იოანე საბანისძემ „აბო თბილელის წამებაში“ საღმრთო სახელებში მოიხსენია ეს პარადიგმა. მრავალთა შორის, *ყვავილსაც* უთითებს მწერალი საღმრთო სახელად: „ყვავილ ეწოდა, რამეთუ ძირისაგან იესეისა ყვავილად აღმოცენდა ეკლესიასა წმინდისა ქალწულისასა მარიამისაგან, ხოლო სულნელებითა მით ღმრთეებისაითა სული იგი მოჰფინა ჩვენ ზედა“ [კუცია, 2012: 258]. „ძირისაგან იესეისა აღმოცენებული“ „სულნელი ყვავილი“ იესო მაცხოვარია და სახისმეტყველებითი უწყვეტობა წარმოჩნდება მერვე საუკუნის ჰაგიოგრაფიასა და მეოცე ასწლეულის მწერლის ნააზრევთა გააზრებისას. უფლის პარადიგმად ყვავილის გააზრებას ჩვენც ვიზიარებთ.

თევდორეს მამას, თანდილას, დიდხანს უცოცხლია. თანდილას დღეგრძელობასაც ალუზიურად ხედავს ნანა კუცია და მას გიორგი მერჩულის პერსონაჟთან - გრიგოლ ხანძთელთან აკავშირებს, რადგან ხანძთელიც, თხზულების მიხედვით, „ფრიად გარდარეულად დაბერდა“.

ლუარა სორდია თანდილას ორთოდოქს ქრისტიანად მოიხსენიებს, მკვლევრის მოსაზრებით, ის სულიწმინდის მადლით იყო ცხებული - განდევნა ეშმაკი, ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, შვილს კი ანდერძად ყვავილის პოვნა დაუტოვა. შვილს ეშმაკმა გამოცდა მოუწყო და სულის წაწყმედის გზას დაადგა: „როგორც ჩანს, ყოველ ადამიანს უდგება ცხოვრებაში ურთულესი მომენტები და მისი სამუდამო მომავალი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გაუძლებს იგი ცდუნებას, რამდენად წარმატებულად ჩააბარებს იგი გამოცდას“ [სორდია, 2009:85].

ყვავილების თაიგულად ქცეული თანდილა ბუნების მოყვარული მუდამ იყო და მის ნაწილადაც იქცა. გაფრენილ ყვავილებს თანდილაც მიჰყვა, შვილს კი ყვავილის პოვნა უანდერძა. თევდორე მამის სულის ხშირ გამოცხადებას თავისებურად ხსნის და მიცვალებულისათვის ორმოცსაც და წლისთავსაც დროულად იხდის. შესაბამის რიტუალებსაც ატარებს, მაგრამ არ ასრულებს მთავარ ანდერძს - იპოვოს ყვავილი! მისი შეუსრულებლობა გზიდან აცდენას იწვევს და რომანის პერსონაჟს ცოდვათა ჭაობში ითრევს. თევდორეს მთავარი საქმიანობა ნადირობით იფარგლება, რაც მასშტაბურ ხასიათს იღებს.

მერაბ მიქელაძის აზრით, „ნადირობის პროცესი, მითოსური თვალთახედვით, მამრული და მდედრული საწყისების ურთიერთშეპირისპირებას, ბუნების კვდომა-აღორძინების სიმბოლურ გადმოცემას წარმოადგენს“ [მიქელაძე, 2014:126]. თევდორე ხოცავდა შეუბრალებლად, ნადირთა ღვთაება დალი გადაიმტერა. დაპირისპირება, მითოლოგიის მიხედვით, უმეტესად მონადირის ტრაგიკულად დაღუპვით სრულდებოდა.

მითოლოგიურმა ცნობიერებამ ყველაფერს თავისი ღმერთი განუჩინა. ნადირთმფარველად თავდაპირველად „მდედრული კორელატი“ - დალი მიიჩნეოდა, ქალი ღვთაება. მერაბ მიქელაძის მოსაზრებით, იგი შემდგომ წმინდა გიორგის კულტმა ჩაანაცვლა: „ნადირღვთაების მდედრული კორელატი თანდათან წმინდა გიორგის მზიურ-გამანაყოფიერებელმა კულტმა ჩაანაცვლა, რომლის მითო-რელიგიურ სახეში მგელ-ძაღლის სიმბოლო ასევე აქტიურად ვლინდება“ [მიქელაძე, 2014:132].

ზღვარგადასული ნადირობის სურათი ცის ღმერთის განრისხებას იწვევს „ვეფხისტყაოსანში“: „დახოცეს და ამოწყვიდეს, ცათა ღმერთი შეარისხეს, ველნი წითლად შეეღებნეს, ნადირთაგან სისხლი ისხეს“ [რუსთაველი, 2016:24]. როსტევანისა და ავთანდილის ნადირობა დადგენილ წეს-ჩვეულებას გასცდა და მასშტაბური სახე მიიღო, იმდენად მასშტაბური, რომ ცის ღმერთიც კი განარისხეს მონადირეებმა. ასეთივე განრისხება გამოიწვია თევდორეს მიერ ნადირთა შეუბრალებელმა ხოცვამ, მანაც დაარღვია ზომიერება. ზომიერებადაკარგული სასტიკი და შეუბრალებელი ხდება. ასე დაგვიხატა მწერალმა ადამიანის მეტამორფოზა მგლობამდე, ასეთი კი არანაკლები მგელია ჩოხელის სამყაროში. ადამიანი სიბრალულის გარეშე ადამიანი არ არის, ასე ნელ-ნელა კარგავდა თევდორე ადამიანურს და მგლობას უახლოვდებოდა: ცოცხალ შველს ისე გამოჭრიდა ყელს, ძარღვიც არ აუტოკდებოდა. უგულობისა და სისასტიკის მიზეზი მამის კვალიდან გადახვევა, ანდერძის დავიწყებაა, რაც სიმბოლურად უფლის გზის აცდენას ნიშნავს.

სერგი მაკალათიას ცნობით, მთიულეთში შინაური პირუტყვის მფარველად თევდორე ითვლება და მას თევდორობას უხდიან, ხადას ხეობაში, სოფელ გომურთას ბოლოსაა დაბრძანებული მისი ხატი, რომელსაც საქონლის გამრავლება-მფარველობას ევედრებოდნენ [მაკალათია, 2005:163]. ჩვენი ვარაუდით, ავტორს სახელი *თევდორე* შემთხვევით არა აქვს არჩეული, ხალხური რწმენა-წარმოდგენებით, პირუტყვის მფარველად მიჩნეული ღვთაება რომანში საპირისპირო ფუნქციით გვევლინება.

გულქვა და შეუბრალებელი თევდორე ზღვარგადასული ნადირობით არ ერიდება ნადირთღვთაების წყენას, მაგრამ „ადგილის დედას“ თავს აბარებს, დარწმუნებულია, რომ ყველა ადგილს თავისი კეთილი დედა ჰყავს, რომელიც დაიცავს, მაგრამ ასე არ აღ-მოჩნდა - ბოროტი „ადგილის დედა“ დაუხვდა და თევდორე ამქვეყნიური ჯოჯოხეთის გზას აზიარა. ეს გზა კი მგლობა იყო. ეშმაკი საყოველთაოდ აღიარებული ცივი ფერით დაგვიხატა ავტორმა. ბოროტს თავისი „ნათელი“ ახლავს, ვერცხლისფერია, რომელიც, სიმბოლურად, ცივია, სიცივეს ასხივებს. ასე აღმოჩნდა დორაისხეველთა თავყრილობაზე თევდორე, ეშმაკმა ეშმაკურ, მგლურ კანონებსა და წესებს აზიარა დორაისხეველთა სა-მეფოში.

ჩოხელმა ჩვენ წინაშე სიბნელის მსახურთა მთელი რიგები წარმოადგინა: მგლები, კატები, ალები. ხევში გადაგებული მგელშავაც დორაისხეველთა „საძმოშია“. საოცარი დამაჯერობლობით გადმოგვცა ავტორმა ეშმაკის კარის მსახურთა წესები: დორაისხე-ველი იჯდა თავში, როგორც უძლეველი ბელადი და ბრძანებებს იძლეოდა, „ნათლობის“ გზით თევდორე მგლად აკურთხეს. მგლობა იყო გზა საბოლოო გაბოროტებისა. სხვა ვერსიები ყვავილის პოვნის რისკს შეიცავდა, რაც, თავისთავად, მიუღებელია ეშმაკთა ლეგიონისათვის. ყვავილის პოვნა უფალთან დაბრუნების სიმბოლური გამოხატულებაა, ეს იდეა ჩანასახშივე ჩაახშო დორაისხევმა. ნათლობა დორაისხევულად, თავისი დემაგო-გიით, გვაგონებს კომუნისტური პარტიული კრების გადაწყვეტილებას:

„ინათლება მგლად... - დაიწყო წესის გამრიგემ.

დღეის მერე ევალება:

იყოს მგელი და მხოლოდ მგელი. სახე მისი არა კაცის ფერი, არა სხვა რამის მსგავსი, არცა კატის, არცა ეშმაკის“ [ჩოხელი, 2016:75].

გიორგი ცოცანიძის ცნობით, რომელიც ფშაველი კობე ხაპრიძის ნაამბობს ეყრდნო-ბა, ეშმაკებს თავისი მეთაური ჰყავთ, რომელსაც „დორაისხეველს“ ეძახიან: „დორაისხე-ველს“ შუბლში ერთი თვალი უზის და რომ მოდის, მთელ ხეობას მოანათებს“ [ცოცანიძე, 2005:109].

გოდერძი ჩოხელმა ეშმაკთა სამკვიდრო - დორაისხევი განსაკუთრებული წეს-წყო-ბის სამკვიდროდ დაგვიხატა, მგლობა დიდი ბოროტების სიმბოლოდ გაიაზრა. დორაის-

ხეველთა „კანონმდებლობით“, მგელს არ უნდა დაენდო ადამიანი, ესვა მხოლოდ სისხლი, მძორს მორიდებოდა, დორაისხევში მიღებული კანონების უპირობო შემსრულებელი ყოფილიყო, არ ეღალატა მგლებისთვის, არ დაერღვია რკალი;

ავტორი სიმბოლურ დატვირთვას აკისრებს მგლების რკალს, ასევე, ალდახს, რაც გუნდურობის, ერთიანობის მაჩვენებელია. თევდორეს „ნათლობა“ მგლის სისხლით ასევე სიმბოლურ ხასიათს ატარებს - მთელი რიტუალი ეშმაკთან, ბოროტებასთან წილნაყარობის მაჩვენებელია. თევდორემ ანდერძის უარყოფით უფლისკენ მიმავალი გზა გაიმრუდა, შეკრა ზავი ეშმაკთან.

მკვლევარ ლუარა სორდიას ნათლობის ასეთი რიტუალი კომუნისტების პარტიულ წესდებას აგონებს, ხოლო მკვლევარი ნანა კუცია აღნიშნავს, რომ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში აღწერილ „სისხლით ნათლობას“ დორაისხევულ „სისხლით ნათლობასთან“ არავითარი კავშირი არა აქვს, მათე მახარებლისა და წმინდა კირილე იერუსალიმელის სიტყვებით, ,,ცეცხლითა და სულით ნათლისღება ქრისტეს ნათლობაზე მიანიშნებს“ [კუცია, 2012:251] - ნათლობა სულიწმინდით აღესრულება, ხოლო სისხლით ნათლისღება მოწამეთა და მამულისთვის მებრძოლთა ხვედრია, რაც იმავე მადლის მოპოვებას ნიშნავს, როგორიც წმინდა სამების სახელით ნათლობის დროს - წყალში შთაფლვისა ან კიდევ წყლის პკურებასას აღესრულება, მკვლევარი აქვე წმინდა კირილე იერუსალიმელის განმარტებასაც გვათავაზობს: „რომელმან არა ნათელ იღო, მას ცხოვრებაი არა აქუს, გარნა მარტვილთა ხოლო, რომელთა თვინიერ წყლისა ნათლისღებისა დაიპყრან სასუფეველი, რამეთუ რაჟამს იხსნიდა ჯვარითა სოფელს მაცხოვარი და გვერდსა უგმირეს, გამოხდა სისხლი და წყალი, რაითა რომელთამე ჟამსა მშვიდობობისასა სულით წმინდით და წყლით ნათელ-იღონ და რომელნიმე კუალად ჟამსა დევნისა თვისთა *სისხლითა ნათელ იღონ“* [კუცია, 2012:251]. ვიზიარებთ მკვლევართა მოსაზრებებს, დორაისხევული ნათლობის წესი, თავისი მკაცრი წესდებით, კომუნისტთა რიგებში გაწევრიანებულთა პარტიულ წესდებას ნამდვილად ჰგავს; არც ეს ნათლობაა უფლის ნათლობის მსგავსი, რადგან ბნელეთის მსახურებს ნათელთან (უფალთან) არაფერი აკავშირებთ.

„წითელი მგელი,“ ერთი მხრივ, წარმართულისა და ქრისტიანულის მიზანმიმართული ნაზავით, ამავე დროს, ანტისაბჭოთა განწყობებით გამორჩეული რომანი-პარაბოლაა.

„ნათლობის“ რიტუალი საკმარისი არაა მგლობისათვის. „პროზელიტებს“ გარკვეული გამოცდების ჩაბარებაც უწევთ, საბოლოოდ კი, ადამიანადყოფილი მგელი არა მარტო

ფიზიკურად, რკალით (ალდახი) იკვრება ეშმაკთან, არამედ სულიერადაც. ფიზიკური და სულიერი საკვრელით შეკრულნი მგლობის ბეჭედსაც ატარებენ. მკლევარი ლუარა სორდია თევდორეს მგლადყოფნის მთელ საშინელებას სულიერ მიძინებასა და სიფხიზლის მოდუნებას უკავშირებს: „სოფლის ცდუნებებს აყოლილი, საღვთო მადლის დამკარგავი თევდორე მგლადყოფნის საშინელებას გამოცდის. ეს მისი სულიერი მიძინების, სიფხიზლის მოდუნების, მიწიერი ინსტინქტების გაფეტიშების შედეგია“ [სორდია, 2009:18].

ღვთის რწმენის განმტკიცება სასწაულებს უკავშირდება სასულიერო მწერლობაში, დონატას აფრენასთან დაკავშირებული ზემოხსენებული ეპიზოდიც ამ მიზანს ემსახურება - განამტკიცოს რწმენა ხალხში, რწმენაშერყეული ადამიანები უფალთან დააბრუნოს. მას შემდეგ, რაც ფრენა ვეღარ შეძლო, ჭკუიდან შეიშალა კინაღამ, ვეღარ ეგუებოდა მიწაზე სიარულს. ადამიანი, რომელიც ფრენის ძალასა და გემოს იგემებს, ვეღარ ეგუება დაბლა დაშვებას, ფრენა ცასთან ასოცირდება, იქ ღვთის ტახტი და საბრძანებელია, მიწაზე დაბრუნება კვლავ ადამიანად ყოფნაა, რაც ცოდვით დაცემის ტოლფასია ჩოხელის სამყაროში. დონატა ცოტა ხნით წმინდა ბერების მთაზე გამოჩნდა, სადაც მგლების საკბილო გახდა. ავტორმა ალეგორიულად მიგვანიშნა, რომ მგლები ყველგან მომრავლდნენ, მათ შორის, წმინდა ადგილებშიც, სადაც სიწმინდით მცხოვრები ბერები ფრენით ამოწმებდნენ თავიანთ სულიერ სიმაღლეს. გვახსენდება ილიას განდეგილი ბეთლემის გამოქვაბულში, სიწმინდეს ლოცვანის მზის სხივზე დაყრდნობით რომ ამოწმებდა, ორივე შემთხვევაში სასწაული უფლის ძალით ხორციელდება.

რომანში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რიცხვთა სიმბოლიკას.

მგლობის შვიდი წელი საკრალურ დატვირთვას იძენს რომანში, შვიდი წმინდა რიცხვია ასტრალური გაგებით და მას აუცილებლად კეთილი მოსდევს. წინამძღვრობისათვის აუცილებელი დავალება - სამი ლოლუას ჩამოგდებაც სიმბოლურად მიგვაჩნია, მას ვუკავშირებთ სამებას, მისი ჩამოგდებაც უფალთან დაპირისპირების მაჩვენებელია.

წარსულიდან გამოყოლილი მძორის სუნიც ალეგორიულია, უთუოდ საბჭოთა მმართველობის იდეოლოგიას უკავშირებს ავტორი სიმყრალეს. მკვლევარი ლუარა სორდია პარალელს ავლებს ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელთან“, რომლის გმირსაც „დამპალი ჟამგასულობისა“ და „უკმაყოფილების მყრალი სუნი ასდიოდა“, ასევე გვახსნებს, რომ თეიმურაზ ხევისთავი, მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“, ცხოვრების

ტრაგიკულობას აყროლებული ძაღლის ლეშად განიცდის, რომელიც კისერზე ჰკიდია [სორდია, 2009:82].

უნდა აღინიშნოს, რომ ჩოხელისთვის სუნს/სურნელებას განსაკუთრებული მხატ-ვრული დატვირთვა, სიმბოლური შინაარსი აქვს.

ავტორმა უდიდესი ოსტატობით შეაპირისპირა მგელი და გამგელებული კაცის მხატვრული სახე, მის მიერ პოზიტიურად წარმოჩნდა მგელი, გამგელებული თევდორეს მხატვრული სახის ფონზე. მგლური ბუნების წარმოსაჩენად ჩოხელს რომანში შემოაქვს მისტიკა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ხარის შემოყვანა ნაწარმოებში. მას დიდი ადგილი უკავია და გამომსარჩლებლის ფუნქციით გვევლინება. ლუკას ბავშვობისდროინდელი მოგონებები ხარს უკავშირდება, დამცველი და მეგობარი ბოჩოლა მეზობელი სოფლიდან მოყვანილ, „გემივით“ წითელ ხართან მარცხდება, რაც სიმბოლურია და კომუნისტურ მმართველობას გამოხატავს. ჩოხელის ბოჩოლა ვაჟას ხარის ასოციაციას ქმნის: „ბოჩოლა ყველგან გრძნობს პირველობას და რქით მიწასა ჩხვერს, საჩხუბრად ილესება, გორზე გადმომდგარი ბუბუნებს, ქშინავს“ [ჩოხელი, 2016:93].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩოხელის თხზულებებში დიდი ადგილი ეთმობა თოვლის პარადიგმას. წითელი თოვლი ალეგორიულია, მასში ეპოქის ნიშანი შეიცნობა. ქრესტომთიულ ლექსში თოვლი დაუკავშირა კოლაუ ნადირაძემ 1921 წლის თებერვლის მოვლენებს:

„თოვდა.. და თბილისს ებურა თალხი,

 დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

ძილ-ღვიძლად იყო ქალაქი ჩვენი,

საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი“ [ნადირაძე, 1969:25].

რომანში ხან წითლად თოვს, ხან შავად წვიმს, ორი ფერი დომინირებს გამუდმე-ბით. ლუარა სორდია ამ მოვლენებს უღმერთო იმპერიის ეფემერულობის ფონზე ხედავს, თეთრ თოვლს უფლის წყალობას უკავშირებს (მკვლევრისავე მოსაზრებით, ალბერ კა-მიუმ „შავი ჭირის“ სახით ფაშიზმი გაიაზრა) [სორდია, 2009:58].

როგორც აღვნიშნეთ, რომანში უხვადაა ბიოგრაფიული პასაჟები. შველზე მონადირე ზოოლოგიის მკაცრი მასწავლეებლი მოსწავლეობის იმ ეპიზოდის გამოძახილია, ქრის-

ტეს რწმენისათვის სასატიკად რომ დასაჯა დირექტორმა მომავალი მწერალი. ეს ეპიზოდი, თანაკლასელთა დევნა გვარწმუნებს, რომ კომუნისტური იდეოლოგია განათლების სისტემასაც მეტასტაზებივით მოსდებია და ბავშვებშიც ასამარებს ყველაფერს ღვთიურს, შლის მათი მეხსიერებიდან უფლის რწმენას, ღმერთთან დაკავშირებულ ყოველგვარ ცოდნას.

ზემოთქმული განსაკუთრებული სიმძაფრითაა ასახული მოთხრობაში „ლუკას სახარება“. ავტორმა გააცოცხლა აღდგომის ქრისტიანული დღესასწაულის აღნიშვნა, რომელსაც ორგანულად ერწყმის მიცვალებულთათვის კვერების ცხობის უძველესი რიტუალი: „აღდგომა დღეს მიცვალებულის სულებს კვერებს უდგამდნენ სამიზნეზე პატრონები, ამ ქადის კვერებს ხალხი შვილდითა და ბოძლებით ისრებს ესროდა მიზანში.’ ვინც მიზანში მოარტყამდა, იმის იყო მიცვალებულის კვერი“ [ჩოხელი, 2016:125].

აღდგომისათვის მოემზადა ლუკა, მშვილდისთვის ხეც მოძებნა, გამოთალა, ვარჯიშობდა კიდეც, სასწაულიც იხილა - ხეს სისხლი წამოუვიდა, სკოლაც გააცდინა, რომ კვერის დასაკუთრებისათვის ღირსეულად ებრძოლა. ხის სისხლი ალეგორიულია და ეპოქის ნიშანს ვხედავთ, ლუკას ბავშვური-უმწიფარი გონებისათვის ამის აღქმა და გააზრება შეუძლებელია, ამიტომაც არავის უმჟღავნებს ნანახს.

გოდერძი ჩოხელი სულიერების მიღმა ტოვებს განათლების „ამაგდარს“, რომელიც სასტიკი, უღმერთო და უსულო თაობის აღზრდის მესაჭედ გვევლინება. დიდი მეიგავე, სულხან-საბა „სიბრძნე-სიცრუეში“ ჯუმბერის სპარტანული აღზრდის სიკეთეში ღრმად გვახედებს: ახალგაზრდა ლეონმა მეფისწული ჯუმბერის აღზრდა იტვირთა. მკაცრად ზრდის ჯუმბერს, ფინეზის ერთადერთ იმედს, ფეხშიშველიც არბენინა და მშიერიც ამყოფა და ,,ერგასი“ - ორმოცდაათი ჯოხიც დაჰკრა, საკუთარ თავზე გამოაცდევინა ქვეშევრდომთა ტკივილი, რათა მეფობისას უმოწყალოდ არ დაესაჯა ყმები. „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთაო“ [ორბელიანი, 2013:33], გვმოძღვრავს ორბელიანი, მაგრამ აღზრდის ამ პრინციპთან ჩოხელის დირექტორის აღზრდის მოდელს საერთო არაფერი აქვს, დირექტორი სიბრძნესა და სულიერებას სრულიად მოკლებულია. ის განათლების იმ სისტემის სახეა, რაზეც უღმერთო, კომუნისტური მმართველობის იდეოლოგია იყო დაფუძნებული.

გოდერძი ჩოხელის გმირები, ხორცზე დაგეშილი, სულიერებისაგან დაცლილი პედაგოგები შველს ტყეში მიჰყვებიან, აქ განსაკუთრებულ აქტიურობას ზოოლოგიის

მასწავლებელი იჩენს - დიდი ირონია შეინიშნება ამ პასაჟში, ზოოლოგიის მასწავლებელს, პროფესიიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად ეკისრება ბუნების მოფრთხილება და დაცვა, ის კი „წითელ წიგნში“ შეტანილი ცხოველის მოკვლისკენ გამეტებით ისწრაფის, რათა ცეცხლზე აშიშხინებული მწვადი იგემოს და მერე კი მგლურებ გაილოკოს გაქონილი ტუჩები. მწერლის თვალთახედვით, ასეთ ადამიანებში მგელია ჩასახლებული: „ნუთუ ზოოლოგიის მასწავლებელსაც მგელი ეჯდა სულში, გეომეტრიის მასწავლებელსაც და სიმღერის მასწავლებელსაც?“ [ჩოხელი, 2016:128].

ესთეტიკური ღირებულებების მქადაგებელი სიმღერის მასწავლებელიც „ესთეტიკურად“ შეექცევა მწვადს. გოდერძი ჩოხელისთვის მრუშობაც მგლობაა, დაუნდობლობაც, კაცთა სისხლის სმაც; ვინ უნდა გაბედოს ხმის ამოღება, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა, დაუპირისპირდეს მგლად ქცეულ ადამიანებს, რომელთაც გარეგნული იერი ადამიანისა აქვთ, მაგრამ საქციელი კი - მგლური?!

ილია ჭავჭავაძე იკითხავს: „მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი?!“ [ჭავჭავაძე,1987:185].

სწორედ გმირის ძიებაა ჩოხელის პროზაც. ასეთი გარსია აღმოჩნდა.

სავაჟკაცო საქმეებით გამორჩეული გარსია ახერხებს სოფლის მაწიოკებელი დათვის ჩამოშორებას. დათვი, სიმბოლურად, „ზესახელწიფოს“ გვაგონებს, ჩვენს ქვეყანას თავს რომ არ ანებებს. მის ჩამოშორებას გმირის დაბადებაც მოჰყვა: „მე ისიც მეპატიოს, სახლში რო შევუვარდი, დანარჩენი შედით და თქვენ ნახეთ“ [ჩოხელი, 2016:121]. გარსიას სიტყვებით ნათლად იკვეთება სტუმარ-მასპინძლობის, ოჯახის, კერიის თაყვანისცემა, გაიდეალება, რაც უძველესი რწმენა-წარმოდგენებიდან იღებს სათავეს.

სოფელი ცდილობს დაკარგული გმირის დაბრუნებას, მაგრამ გველეშაპი ქვესკნელში გაიყოლებს მას. ჩოხელს ოსტატურად შემოაქვს გველეშაპის, როგორც მითოსიდან, ფოკლორული ცნობიერებიდან გადმოსული და ბევრი ერისთვის დამახასიათებელი სახე-სიმბოლო. სიკვდილისმაძიებელი ანუელი ხდება მიზეზი იმედის საბოლოო მოსპობისა, როგორც ილია იტყოდა: „გმირის დამბადი დიდი საგანი, თქვენში სპობილა და წარწყმედილა.“ [ჭავჭავაძე, 1987:185].

ხვრელის ამოქოლვით საბოლოოდ მოისპო გმირის კვლავ დაბადების იდეაც.

წარმართული მითოლოგიით, მგლები მორიგე ღმერთის დამხმარენი იყვნენ, მოგვიანებით წმინდა გიორგის სამსახურში ჩადგნენ და მისი მცველის ფუნქცია იტვირთეს;

ხშირად მგელს ენაცვლება ძაღლი, ამ კონტექსტში მგელი და მგლობა დაუნდობლობა და სისასტიკეა, სისხლის წყურვილია, ადამის ძის დამღუპველი და გამანადგურებელია; ძაღლი კი, როგორც წმინდა გიორგის მცველი, თოვლის უდაბნოში მოქცეული, ლუკას მხსნელად გვევლინება.

გოდერძი ჩოხელმა საბჭოთა იდეოლოგიის დამღუპველობა ნათლად დაგვიხატა ქორას მაგალითზე. ქორა დორაისხეველებმა თავიანთ რიგებში მხოლოდ იმიტომ არ მიიღეს, რომ მღვდლებისა და მოღალატეების შვილებს არ ვიღებთო, მამა - გიმსის ეკლესიის მღვდელი, ეკლესიის ქონებას მალავს, გადარჩენას ცდილობს, როგორც იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები, შვილი დორაისხეველთა რიგებში მოხვედრას ცდილობს, მამასაც კრეჭს, ყელზე საბელმოხვეული მიჰგვარა უღმერთოებს. გაგვახსენდება ლექსი „თუ პარტია დამავალებს," ეპოქის სახოტბო ლირიკის ნიმუში, რომლის მიხედვითაც ოჯახის წევრების სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანი სწორედ პარტიული დავალების, დაკვეთის შესრულებაა. მამის გაფრთხილება („მოგეკითხება!") გზასაცდენილ ქორას ვერ აფხიზლებს და მგლების მარაქაში ერევა - საბოლოო გამგელებისთვის.

ჯარჯისა და მისი ობლად დარჩენილი ძმისშვილების ისტორიაში მგლები მაგიური რიტუალით - ჯადოქრობით ხელმძღვანელობენ, დორაისხევში ადამიანის დაღუპვის ყველანაირ წესსა და საშუალებას იყენებენ (უფრო სწორედ, ყოველნაირ უწესობას), რაც მგლობის სინდრომის მაჩვენებლია: „დორაისხევში ვერ იტანდნენ, თუ ქვეყანაზე სადმე გულადი კაცი დაიარებოდა. იმდენს ეცდებოდნენ, სანამ კაცს სულს არ გააყიდვინებდენ და სათავისოდ არ მოაქცევდნენ, ზოგს თავიდანვე იშორებდენ გზიდან, ან მგელებს მიუსევდნენ, ან რაიმე ხიფათს გადაჰყრიდნენ. ამ კანონს ყველა ახალი მბრძანებელი უცვლელად სტოვებდა დორაისხევის სამსჯავროზე" [ჩოხელი, 2016:174].

დორაისხევული „სამართალი" ვაჟკაცის არსებობას გამორიცხავდა, დორაისხევში მბრძანებლების ცვლილება ცვლის კანონებსაც, მაგრამ გამგელების „ფორმულა" უცვლელია.

რწმენაშერყეულის პოზიციიდან გვესმის კითხვა - ნუთუ, მართლა დაიკარგა და მგლების ლუკმად მიატოვა თავისგანვე შექმნილი კაცი შემოქმედმა?!: „თუ შესძლებ და ამისთვის გეყოფა შენ თავში რწმენა და ძალა, მიდი, გაარღვიე ეს წრე, თუ არა, დანებდი, შენც მგლად იქეცი, შენც იმათ წრეში ჩადექი და სხვას ჩაუსაფრდი. მერე მგლად იქეცი, განა ერთი და ორი მგელია შენს გარშემო? ქვეყანა სავსეა მგლებით, იმათია ასპარეზი,

ხოლო, ვინც კაცი გააჩინა, დაკარგულია, სადღაც იმალება, იშვიათად თუ ვინმემ იცის მისი ადგილ-სამყოფელი. იმალება გამჩენი“ [ჩოხელი, 2016:186].

ნუთუ ასეთი მწირი არჩევნის წინაშე დატოვა ღმერთმა თავისივე შემოქმედების გვირგვინი, უფლის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანი?!

სიზმრის სახით, ქვეცნობიერიდან მოსული სიგნალი, უჩვენებს ლუკას გადარჩენის გზას: დედამიწაზე მხოლოდ ცეცხლი, კვამლი, ხანძარი მძვინვარებს, ხსნა არ ჩანს, მერე „დაკარგული ღმერთი“ გამოჩნდება და დაიძახებს, „უცოდველნი ამოფრინდითო.“ ხალხი ვერ მიფრინავდა, ლუკა ეეედრებოდა შველას, ღმერთმა მხარზე ხელი დაადო და უთხრა, წადი, იპოვე ყვავილიო.

ვერავინ ახერხებდა უფალთან აფრენას, ეპიზოდი ალუზიურია და ლოტის ოჯახის სოდომ-გომორიდან გამოყვანის ბიბლიურ ამბავს გვაგონებს. სოდომ-გომორივითაა ჩამოშორებული უფლის მადლს გოდერძი ჩოხელის მიერ დახატული გუდამაყარი, რომლის ცოდვით დამძიმებული მცხოვრებლები უფალთან აფრენას ვერ ახერხებენ, ეს მხოლოდ უცოდველთ შეუძლია, ახალთაობას, რომელმაც უნდა „იპოვოს ყვავილი“ - მხოლოდ უმანკონი, უზაკველნი შეძლებენ იპოვონ დაკარგული ღმერთი. ასეთია ავტორის პოზიცია.

გოდერძი ჩოხელმა ბაბუის პერსონაჟით კაენისა და აბელის ბიბლიური სიუჟეტიც წარმოგვიდგინა ალუზიურად. ამბავი ბიბლიური არქეტიპისა და გამონაგონის ნაზავია, ავტორმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი შურის ნეგატიურ ზეგავლენას. ეს გრძნობა აბრმავებს ადამიანს, საკუთარ სისხლსა და ხორცსაც აწირვინებს: „უთხრა კაენმა თავის ძმას, აბელს: გავიდეთ ველად. და როცა ველად იყვნენ, დაეცა კაენი აბელს და მოკლა“ [ბიბლია, დაბადება. თ. 4. 8. 1989:15].

ბიბლიაში გადმოიცა დედამიწაზე პირველი მკვლელობის ისტორია, რაც შურმა განაპირობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში „სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“, შურს ასე განმარტავს: „შური არის მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“ [ორბელიანი, 2013:392]. მწერლისეული პოზიციით, ადამიანები შურს ვატარებთ, ესე იგი, კაენივით, პოტენციური მკვლელებიც ვართ. ის რომ კაენმა ყვავს მიჰბაძა, ძმა დამარხა და ამით გადამალა გვამი, მწერლის გამონაგონია, ამას უკავშირებს მთიელი კაცი ყვავისადმი უარყოფით განწყობას, სიკვდილის მაუწყებლად მიიჩნევს მას.

თევდორეს შეფასებით, ყველა ცოდვა, რაც მგლობისას ჩაედინა, საპატიებელი იყო, რადგან ეს მგლობისას გააკეთა - ეს ცხოველის ქმედებაა, რომელსაც კავშირი აქვს ინსტინქტურ მოთხოვნილებასთან. მგლობისდროინდელი საქმეები ადამიანობადაკარგულის ქმედებაა და მისი პასუხისმგებლობა ადამიანს არ აკისრია, ამიტომაც, უკვე ადამიანად მოქცეული, მგლობამდე ჩადენილსაც განიცდის, თითქოს თავსაც იმართლებს - „ნადირი ვის არ უხოცია?!“

გოდერძი ჩოხელის გმირები ჩადენილ ცოდვა-მადლს წონიან და თვითონვე აანალიზებენ, რომელი ცოდვა თუ მადლი დაღუპავს ან გადაარჩენს.

მოთხრობაში „გაცოცხლებული მიცვალებული“ იმ ქვეყნიდან მობრუნებული ბერა თანასოფლელთ ცოდვების შესახებ უყვება და მათგან სამ შემთხვევას არჩევს, რომელიც საიქიოში შესვლის უფლებას არ აძლევს. ამ წუხილითაა შეპყრობილი თევდორეც. შეუბრალებელ მგელთა შორის ძუმგელ ფაცას ისტორიასაც ვისმენთ, რომელსაც ქუდის ტარება პირით ჰყვარებია. სხვა მგლებისაგან განსხვავებით, ფაცა არ მონაწილეობს ავ საქმეებში, ცრემლიც ჩნდება მის თვალებზე, მაგრამ ფაცა ერთია, წინააღმდეგობას ვერ ბედვას, სულ მშიერი დადის, ქუდის ტარებასაც უშლიან. ამ ქუდში, რომელსაც ტყეში მალავს, ჩიტს სამი ვარდისფერი კვერცხი დაედო, სანამ არ დაიჩეკნენ და არ გაფრინდნენ, ქუდს ხელი არ ახლო. შეუთავსებელია მგლისგან ასეთი გულჩვილობა, ასეთი მგელი განწირულია, ნამდვილი მგლები კი მრავლად არიან, ჯალაბასნაირები ვერ ეგუებიან თავშეკავებას მგლურ საქმეში. ფაცა ინტელიგენციის იმ ნაწილს განასახიერებს, რომელიც მგლურ კლანჭეში მოქცეული ადამიანობის „ანთებას“ ვერ ახერხებს.

ქუდს გამოდევნებული ფაცა წითლად ღებავს კლდეს, იღუპება. ჩოხელი ღრმად გვახედებს საბედისწერო რეალობაში.

გარსიაც მთელი არსებით ცდილობს უკან დაბრუნებას, „წესი არ არის, აქ ჩამოსული უკან დაბრუნდესო, ძალიან დავღონდი, ძალიან გული შამიწუხდა, ისე რო, მეტი არ შეიძლებოდაო“ [ჩოხელი, 2016:217]. მიწაზე დაბრუნების წყურვილი იმდენად ძლიერია, რომ გველეშაპსაც ეძებს დასახმარებლად, რადგან მხოლოდ სამი სკნელის ერთიანობის სიმბოლოს შესწევს უკან დაბრუნების ძალა, ვისი მიზეზითაც იქ მოხვდა. გარსიას თვალით ნანახი მიწისქვეშეთი იმ გველეშაპივით წითელია: „მდინარეები და წყაროებიც წითელი მოდენილა, ცაც წითელი ყოფილა და მიწაც, მარტო ხალხი ყოფილა შავად, ლანდისფერი, ისეთივე, როგორც გარსია იყო ახლა“ [ჩოხელი, 2016:217].

გმირი ისაა, ვინც გამოსავალს პოულობს. რაც შეუძლებელია ჩვეულებრივი მოკვდავისაგან, ის გმირმა უნდა შეძლოს. ქვესკნელიდან დაბრუნებული, აჩრდილად ქცეული უსხეულო გარსია სასარგებლო ხდება ადამიანებისათვის. გარსიას მიერ აღწერილი ქვესკნელი დაკავშირებულია „წითელ რეჟიმთან“, რომლის იდეოლოგია მის მიმდევრებს აგუზგუზებულ ცეცხლს მოაპოვებინებს, რაც ურწმუნოთა ხვედრია. „იმქვეყნად“ ნამყოფი გმირი არა მხოლოდ ღვთაებრივ სიძლიერეს იჩენს, არამედ - სიკეთესაც.

მარადიულობა, სიბრძნე, ძალმოსილება, „იქ ნამყოფობა“ ადამიანს გარკვეულ მისტიკურ საბურველში ხვევს. ასეთ საბურველშია გახვეული გარსიაც, უხორცო, აჩრდილადქცეული პერსონაჟის სახით მწერალი ალეგორიულად თავის სათქმელს გვიმჟღავნებს - აჩრდილები უფრო თავისუფლები და დამოუკიდებლები არიან, ვიდრე ცოცხალი ადამიანები, რომელნიც, სასტიკი რეჟიმის კლანჭებში მოქცეულნი, უწყლო თევზებით ფართხალებენ.

რუსუდან ჩოლოყაშვილის მოსაზრებით, „სამივე სკნელის გავლა, სამივე გამარჯვების მოპოვება მხოლოდ ღვთაებრივი წარმომავლობის გმირს შეუძლია. ადამიანი, და საერთოდ მოკვადავი არსება, მხოლოდ ერთხელ განიცდის მეტამორფოზას - ეს მისი გარდაცვალებისას ხდება. რამდენჯერმე სახეშეცვლილი არსება ისევ თავის პირვანდელ სახეს რომ იბრუნებს, გენეტიკურად ღვთაებაა. ე.ი., სამი სახით მოევლინო სამყაროს, ეს უნარი მხოლოდ ღვთაებრივს აქვს“ [ჩოლოყაშვილი, 2004:41].

ბოროტება დაუსჯელი არ რჩება ჩოხელის სამყაროში, ქორაც შეიპყრეს და დანარჩნებიც, ყველანი ორმოში ჩაცვივდნენ, ეს ცხოვრების სასჯელია, მახეა, ცოდვის ჭაობია, რომლიდანაც თავდასხსნა შეუძლებელია. კაცადმოქცევა შემთხვევითობამ განაპირობა, მეთაურად მოვლენილ თევდორეს საბოლოო გამგელებისაგან ავტორი იხსნის - ყელზე მოხვეულ ალდახს მარგილზე ჩამოკიდებით უწყვეტს, მწერალი ერთმნიშვნელოვნად გადაიხარა ადამიანობისაკენ, რაც მოსალოდნელია.

მკვლევარი ნანა კუცია აღნიშნავს: „ძელზე დაკიდებისას ალდახის გაწყვეტაც ბიბლიურ ასოციაციებს იწვევს - ძელი თითქოს ჯვარია, ალდახი - მიწიერი, ცოდვისმიერი საკვრელნი“ [ჩოხელი, 2012:253]. ჩვენ ალდახი კომუნისტური მმართველობის ერთ-ერთ სიმბოლოსთან - ყელსახვევთანაც დავაკავშირეთ.

თევდორეს გზა მოწამეობრივია: კაცობიდან მგლობამდე და მგლობიდან კაცობამდე. ეს გოლგოთაა, რომელიც თევდორემ გაიარა; მამის წმინდა გზიდან გადახვევისა და

მისი ანდერძის დავიწყების გზა. თევდორე ოკეანეში ჩარჩენილი მეზღვაურის მსგავსია, გემს მშობლიური ქვეყნის ნაპირთან ახლოს რომ მიაცურებს, მაგრამ დადარაჯებული პოსეიდონი შუაგულ ოკეანეში აბრუნებს. სიმბოლურია მწყემსების მიერ მისი შეფარება. მიღმიერი სამყაროდან კვლავ მამა ცდილობს ღვთის გზაზე დააყენოს გზასაცდენილი შვილი, თევდორეს სიზმარში ისევ ყავავილის მოძებნას ავალებს, მხოლოდ ის იხსნის საბოლოოდ ბოროტებისგან. ეს ერთადერთი სწორი - უფალთან დაბრუნების გზაა.

თევდორე ყვავილის პოვნას ახერხებს და ამით გადარჩენის გზასაც გვიჩვენებს.

ზემო მთიან აჭარაში არსებობს ასეთი დალოცვა, რომელსაც ასაკოვანი ადამიანები მადლიერების ნიშნად გამოხატავენ - „აგაყვავა ღმერთმა“, „აგიყვავა ოჯახი.“ როგორც ჩანს, საქართველოს იმ კუთხეში, სადაც ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ქრისტიანული სარწმუნოება ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ (გონიოშია დასაფლავებული) იქადაგეს, ხალხის ცნობიერებაში ღრმა კვალი დააჩნია ყვავილი-უფლის სიმბოლურმა გააზრებამ - აჭარელი უფალთან ყოფნას, უფალში ყოფნას, ,,აყვავებას“ უკავშირებს.

ბოროტების ნიშნისგან *(ალდახი-ყელსახვევი - მ.ა.)* განთავისუფლებულს ეხილება ცნობიერი თვალი და მამის ანდერძის შესრულებას ცდილობს, ახერხებს კიდეც, „ვინც ეძებს, პოულობს“ და იპოვა კიდეც - სახლის ჭერხოში მიაგნო.

„თუ სადმე მგლები წამომაწყდებოდნენ, დაინახავდნენ თუ არა ამ ყვავილს, კუდამოძუებულნი გარბოდნენ“ [ჩოხელი, 2016:241].

თევდორემ ყვავილის პოვნით საკუთარი სულიც გადაარჩინა და მთელი ქვეყანაც. ყვავილის სურნელი მაკურნებელია, ეს სურნელი უფლის სიტყვაა - მადლითა და სიკეთით სავსე.

ცოდვების ჭაობს - ქალაქს გამოქცეული ლუკა, სოფლის გზაზე, თოვლის უდაბნოში გამომწყვდეული, საკუთარი ყურით ისმენს თევდორეს დაუჯერებელ ამბავს, სიღრმისეულად შეიგრძნობს მგლურ დაუნდობლობას, ავ საქმეებს, გამოივლის შიშს და განწმენდილი მშობლიურ ბუდეს - სოფელს უბრუნდება, იქ დედა ეგულება.

ლუკას გაჩენასა და მასთან დაკავშირებულ ისტორიებს უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან მივყავართ კიდევ ერთხელ: გველის მოკვლა აკრძალულია, მას დედის ძუძუსაც აწოვებენ და შვილივით უვლიან. მთის მოსახლეობაში არსებული რწმენა, რომ გველი

ოჯახის ფუძის დამცველია, უთუოდ მყარადაა ფესვგადმული, მის ხელმყოფს კი სიცოცხლე აღარ უწერია. სწორედ ამიტომ სანადიროდ წასული გუჯია შინ ვერ ბრუნდება და უკვალოდ ქრება.

ქალაქიდან გამოქცეულ ლუკას სოფელში საშინელი სურათი ხვდება - ცოფი გაჩენილიყო, ცოფი შეჰყროდა არა მარტო ცხოველებს, არამედ - ადამიანებსაც. ცოფი, როგორც სიგიჟის, შეპყრობილობის ნიშანი, ეპოქის ანარეკლია.

სოფელი გადარჩენის გზის ძიებაშია, მაგრამ უშედეგოა ყველა მცდელობა. ჩაკეტილ წრეში მოექცა სოფელი, ჩაკეტილი წრის გამრღვევთა მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა. რკლაის გარღვევა კვლავ უსხეულო და უსისხლო აჩრდილად ქცეულმა გმირმა იტვირთა - გარსია კვლავ მხსნელად მოევლინა სოფელს.

თევდორე მამის ნაანდერძევ ყვავილს ლუკას უტოვებს, ყვავილს შესწევს ძალა ბოროტება - ცოფი დაამარცხოს და გზასაცდენილი ხალხი უფალთან დააბრუნოს. ხალათის გულისპირზე გამოსაჩენად დაკერებული ყვავილი ცოფსაც ამარცხებს და თანასოფლელებსაც განკურნავს იმ ბოროტებისაგან, რასაც ათეისტური იდეოლოგია ერქვა (გავიმეორებთ, ცოფი უღვთოობის, ურწმუნოების სიმბოლოა რომანში).

ავტორი გვიჩვენებს, რომ ბოროტება ძალადობით ვერ დამარცხდება, მხოლოდ უფლის რწმენითა და მასთან ყოფნით: „სოფელი აავსო ყვავილის სურნელმა, წამოვიდა ლუკა, დადიოდა სოფელ-სოფელ; ქალაქიდან - ქალაქში. დადიოდა ანას სიყვარულით ანთებული, ხელში ყვავილი ეჭირა და იმის დანახვაზე გარბოდნენ მგლები, გარბოდნენ სოფლებიდან, გარბოდნენ ქალაქებიდან. მგლებისგან იცლებოდა ქვეყანა.“

მაია ჯალიაშვილი აღნიშნავს: „მწერალს სჯერა, მიუხედავად ბოროტებისა და მგლების სიმრავლისა, მადლი მაინც გადასწონის უკეთურობასა და ცოდვას, რადგან თაობიდან თაობას გადაეცემა რწმენა-ყვავილი. ლუკასნაირი ნაწილიანი ადამიანებიც არ დაილევიან ქვეყანაზე“ [ჩოხელი, 2012:340].

ასეთია ფაბულა გოდერძი ჩოხელის რომანისა - ისტორია მგლადყოფილი კაცის, თევდორესი, რომლის თავგადასავლიც მძაფრად გვაგრძნობინებს მგლობის, მგლად ყოფნის ტრაგედიას, სისხლის ეპოქალურ წყურვილს, ინდიფერენტული საზოგადოების ყოფის ტრაგიზმს, რომელსაც, ასევე, ეპოქის ნიშანი ადევს.

რომანში უხვადაა თავმოყრილი ამბები, რომლებსაც ქართული მითოლოგია იმარხავს. მთაში გაგონილი თუ მოსმენილი მწერალს გულდაგულ შეუკრებია, სულიერ

ქურაში გაუტარებია და საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოუდგენია მკითხველისთვის. ნაწარმოებში მთის წარმართული ყოფა და ტრადიციები დომინანტურია, სიზმრები, გამოცხადებები, სასწაულები თუ მითოლოგიური პასაჟები ჩოხელს რეალური და ირეალური, არსებული და გამოგონილი, გამჭვირვალე და იდუმალი მხატვრული სამყაროს შემქნელად აქცევს. სწორედ ეს არის მისი შემოქმედების უმთავრესი ნიშანიც - იგი თითქოს „სამანების“ მწერალია.

გოდერძი ჩოხელი მითის, ლეგენდისა და ზღაპრის ჯადოსნურ კიდობანში ღრმად გვახედებს. მგალდყოფილი თევდორეს ისტორიით ადამიანური ყოფის უნივერსალურ კანონზომიერებას გვითვალსაჩინოებს.

რომანში სიკვდილისა და სიცოცხლის ღრმა საზრისი სიყვარულისა და სიძულვილის, ცოდვისა და მადლის პრიზმაშია განხილული. ავტორი მგლადმოქცეული კაცის ტრაგიკულ ყოფას სიღრმისეულად განგვაცდევინებს, კაცისსახიანი მგლის ადგილს კი არ ტოვებს თავის სამყაროში, რადგან ასეთი ადამიანები ასვამენ დაღს საზოგადოებასა და ეპოქას, რომლის სიმბოლური აღქმა „წითელი მგლის“ გააზრებითაცაა შესაძლებელი.

2.3. ქვეყნის გადარჩენის იდეა (რომანი „სულეთის კიდობანი“)

რომანი „სულეთის კიდობანი“ ერთგვარი ფრაგმენტულობით გამორჩეული ნაწარმოებია, ტექსტი-ფაზლი. მთავარმა გმირმა მომავალი თაობებისათვის სახსოვრად, საკუთარი ინიციატივით, მუზეუმი ააშენა, რომელსაც „გუდამაყრელთა მუზეუმი“ დაარქვა, მუზეუმისთვის მნიშვნელოვანი ნივთებიც შეაგროვა, რომელთაც თავისი ისტორია აქვთ და მთიანი გუდამაყრის ყოფა-ცხოვრების, ეთნოკულტურის, რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას ატარებენ. რომანში წარმართული რწმენა-წარმოდგენები ქრისტიანულ რელიგიასთანაა სინთეზირებული. სებას ნაშრომნაწვალევს მალე სხვა მმართველი გამოუჩნდა, მელია-შელიას სახით, რომლის საქმიანობისა და მმართველობის „სტილი“ საქართველოს ახლო წარსულის პოლიტიკური მმართველობის სტილს გვაგონებს.

მუზუმის ახალმა მმართველმა ინფორმაციის შემგროვებლად სადგისი გაიჩინა. „ყველგან შემრჭობმა“ სადგისმა მუზეუმში განთავსებული ნივთების შესახებ ინფორმაცია გულმოდგინედ შეაგროვა. დიდებული ისტორიის ნივთები ახალმა მმართველმა კიდობანში გამოკეტა, რომანის ბოლოს მთავარი გმირი ცდილობს გადაარჩინოს ფარდაგი, რომელიც საქართველოს ფორმისაა, მასზე კი ვახტანგ მეფის ანდერძია ამოქარგული.

„სულეთის კიდობანში“, ერთი მხრივ, ძველისა და ახლის, წარმართულისა და ქრისტიანულის სინთეზია ნაჩვენები, მეორე მხრივ კი, ეს არის ანტისაბჭოთა განწყობებით გამორჩეული ტექსტი, რომანი-მხილება.

ქრისტიანულმა რელიგიამ არსებობის უკვე ოცი საუკუნე მიითვალა. ამის მიუხედავად, აღმოსავლეთ მთიანეთის მკვიდრთა ცნობიერებაზე ღრმა კვალი დაუჩნევია წარმართულ რწმენა-წარმოდგენებსა და მასთან დაკავშირებულ რიტუალებსა თუ ტრადიციებს, რომლებსაც გუდამაყრელები დღესაც ჯეროვნად ასრულებენ და იცავენ. რომანის ეპიგრაფი სიმბოლურად უკავშირდება უფლის მიერ სამყაროს შექმნას - დაბადებას; ნოეს ცხოვრების, წარღვნის მაუწყებელია, რაც რომანის გააზრების ერთგვარ გასაღებსაც წარმოადგენს, მწერალი ალეგორიულად გვთავაზობს ქვეყნის გადარჩენა-განახლების იდეას.

„სულეთის კიდობანი“ აღსავსეა ბიბლიური სიბრძნით, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით, კლასიკოსთა ნააზრევითა და ხალხში აფორიზმ-მარგალიტებად გაფანტული სიბრძნით. სიმბოლურ-მეტაფორული მეტყველებით, ორმაგი მნიშვნელობის სიტყვებითა და ფრაზებით ჩოხელი მთავარ სათქმელს შეფარულად გვიცხადებს, მეტაფორულად აღგვიწერს თანადროულ ეპოქას. სამართლიანად შენიშნავს მისი შემოქმედების მკლევარი ლუარა სორდია, რომ გოდერძი ჩოხელი ბიბლიურ წინასწარმეტყველებს ენათესავება და მომავალს ნათელხილვისა და ნათელსმენის უნარით გვიმჟღავნებს [სორდია, 2011:286].

რომანის მიხედვით, ძირითადი მოქმედება სებას მიერ აშენებულ „გუდამაყრის მუზეუმში“ მიმდინარეობს, სადგისის მიერ „მოპოვებული“ თითოეული ინფორმაცია დამოუკიდებელ ამბად გვევლინება და ნოველებს წარმოადგენს; მათ ერთგვარი „მატრიოშკას“ ანუ „ჩინური ყუთის“ სახე აქვთ. თითოეული ნივთის ისტორია ლაკონიურია, მაგრამ - ამომწურავი. რომანში ჩართული ყველა ამბავი სიუჟეტის განვითარებას ემსახურება. ტექსტში გამოყენებული ბიბლიური სიუჟეტები და ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ოსტატურადაა ჩართული საერთო ქსოვილში და რომანის მხატვრულ ღირებულებას საუკეთესოდ წარმოაჩენს.

წარმართულმა ცნობიერებამ კვალი დატოვა მთიანი აღმოსავლეთის ყოფიერებაში, ადამიანის არქეტიპული რწმენა-წარმოდგენები უკავშირდებოდა მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს. მწერალ ნოდარ წულეისკირის (1932-2015) შეხედულებით, ადამიანისათვის მცენარე და ცხოველი მახლობელი იყო, მცენარე ხილს აძლევდა, ხოლო ცხოველი - საკვებს. ასწლოვანი უნაყოფო ხეები აცვიფრებდა, აზრს აღუძრავდა, ხე თუ ქარ-წვიმისაგანაც

დაიფარავდა, მას „მფარველადაც“ წარმოიდგენდა. მწერლის აზრით, ასე ნელ-ნელა იქმნებოდა ცხოველთა კულტ(ებ)ი, შემდეგ ადამიანმა უფრო „შორს გახედვა“ დაიწყო. ხეთა და ცხოველთა კონკრეტულობამ არ დააკმაყოფილა და მათი მსგავსი კერპები შექმნა [წულეისკირი, 1990:38-39]. მწერალი გვიანდელ მოვლენად მიიჩნევს ცის ბინადართა გაღმერთებას: „უფრო გვიან [ადამიანი] უფრო დიდ ბუნებრივ მოვლენებს დააკვირდა, მიწიერ არსებებს ზურგი უჩვენა და ცისკენ გაიხედა, მზე, მთვარე და ვარსკვლავები გააღმერთა, სული ვერც ზეცამ დაუშოშმინა, ჭეშმარიტ ღვთაებას დაუწყო ძიება, შექმნა უამრავი ღმერთი მიწისა, წყლისა, მთისა, ტყისა და ა.შ.“ [წულეისკირი, 1990:39].

ელდარ ნადირაძის შეხედულებით, „წინაგვაროვნული ხანის ადამიანმა საკმაოდ ხანგრძლივი, რთული და წინააღმდეგობებით სავსე ეპოქა გამოიარა“ [ნადირაძე, 2008:5]. ბუნებასთან უშუალო კავშირს დაეფუძნა ადამიანის რელიგიური აზროვნების უზარმაზარი სისტემა: „რელიგიურმა აზროვნებამ დიდი გზა განვლო, დაწყებული პრიმიტიული რელიგიური შეხედულებებით, რთული თეოლოგიურ-ფილოსოფიური კონცეფციით დამთავრებული“ [ნადირაძე, 2008:5].

XX საუკუნეში რელიგიის სოციოლოგიაში აღიარება მოიპოვა რობერტ ბელახმა და მისმა ახალმა თეორიამ, რომელმაც მოგვცა რელიგიათა ახალი კლასიფიკაცია, პრიმიტიულიდან - თანამედროვე მოძღვრებამდე, ევოლუციის მიხედვით გამოიყო ხუთი ძირითადი კატეგორია: პრიმიტიული, არქაული, ისტორიული, ადრეულ მოდერნისტული და მოდერნისტული; განიმარტა რელიგიურ წარმოდგენათა სისტემები, თითოეულის წარმოშობის მიზეზები. პოლითეიზმი[3] ანუ მრავლღმერთიანობა ადრეული რელიგიების დამახასიათებელი თვისებაა და ყველა დროის ხალხთა რელიგიაში გვხვდება. „ადამიანი უფალმა გონიერ არსებად შექმნა. სამოთხისეულ ყოფიერებაში უძველესი ადამიანი უფალთან ჰარმონიულად იყო დაკავშირებული. ცოდვით დაცემამ გამოიწვია სულიერი ცხოვრების მოშლა, რაც ცოდვის მომძლავრებით აღინიშნა. ადამიანური აზროვნება დაზიანდა. სამოთხის გარეთ დარჩენილმა ადამიანმა არამართებული გზით დაიწყო ღმერთის ძიება და ამ პროცესში სინამდვილის ასახვის არატრადიციული სურათი შექმნა. ეს იყო წარმართული, ღმერთს დაშორებული, ყალბი შეხედულებების დასაბამი. ადამიანი ბუნების ყველა ძალაში ხედავდა დამოუკიდებელ ძალას. მისი აზრით, წყალს თავის

[3] პოლითეიზმი-„პოლი“ - მრავალი, „თეოს“- ღმერთი.

მფარველი ღმერთი ჰყვადა, კლდეს - თავისი, ჭექა-ქუხილს სხვა ღვთაება განაგებდა“ [უიარაღო, 2013:10].

ადამიანები ღვთაებრივ სამყაროსთან აიგივებდნენ აგრეთვე სხვადასხვა პლანეტას, ვარსკვლავებს, კომეტას, მზეს, მთვარეს (ასტრალური ღვათებები); აღმერთებდნენ ცხოველებს (ზოომორფიზმი), დედამიწას, მცენარეებს, ბუნებრივ ქვებს (ხთონური არსებები).

გოდერძი ჩოხელის რომანის მიხედვით, აღმოსავლეთ მთიანეთში, გუდამაყარში, ქრისტიანული სალოცავები დგას და ხალხი მათში ლოცულობს, უფალს ადიდებს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, მასთან ერთად, ადიდოს და თაყვანი სცეს ისეთ საგნებს, არსებებს, რომლებსაც ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან კავშირი არ აქვთ, მაგალითად: ხეს, ქვას, მგელს, და ასე შემდეგ, აღასრულონ წარმართული რიტუალები. გოდერძი ჩოხელის შემოქმედებამ კიდევ ერთხელ გამოკვეთა, რომ მთაში *(გუდამაყარში - მ.ა.)* თანაარსებობს ქრისტიანული და წარმართული ტრადიცია თუ რიტუალი. გუდამაყრელთა შეხედულებები და დამოკიდებულება განსხვავებულია არა მარტო ბარის მოსახლეობის ტრადიციებისა და რიტუალებისგან, არამედ - მათ მეზობლად მცხოვრები მთის მოსახლეობისგანაც.

რომანში ორიგინალურად წარმოჩნდა ჩოხელის მეზობლების, თანასოფლელების, ნაცნობების შეხედულებები სამყაროსა და ვარსკლავებზე, კოსმოგონია. მათთვის ვარსკვლავი ცოცხალი არსებაა და ციდან მის ჩამოვარდნას „გათხოვებას“ ეძახიან; ვარსკვლავის მოწყვეტა, მათი რწმენით, ადამიანის გარდაცვალების ნიშანია: „ხანდახან ზეცას ვარსკლავი *(ტრანსლიტერაცია ავტორისეულია - მ.ა.)* მოსწყდება და სადღაც ჩაიკარგება. გუდამაყრელები ამას *ვარსკლავის გათხოვებას* ეძახიან. გათხოვება, ამ შემთხვევაში, სხვაგან წასვლას, უფრო კი გარდაცვალებას ნიშნავს. ვინც ვარსკლავის გათხოვებას თვალს შეასწრებს, დარდობს. ვარსკლავი გათხოვდა - ეს იმის ნიშანია, რომ ვიღაც გარდაიცვლება გუდამაყარში. იმათი რწმენით, ყველა ადამიანს საკუთარი ვარსკლავი ჰყავს და როცა ეს ვარსკლავი თხოვდება, აქ ადამიანი გარდაიცვლება; თუმცა ზეცა სავსეა ვარსკლავებით, გუდამაყრის ხეობა კი პატარაა და ადამიანებიც ძალიან ცოტანი არიან, ამ ვარსკლავებთან შედარებით.“ [ჩოხელი, 2016:4].

ასტრონომიის არმცოდნე გუდამაყრის მოსახლეობას ცის კაბადონზე განლაგებული ცთომილები საკუთარი შეხედულებებისა და რწმენის სამსახურში ჩაუყენებია და სიცოცხლისა და სიკვდილის განმსაზღვრელ ბარომეტრად დაუდგენია. ღრმად აღბეჭდილა

მთიელი და (არა მარტო მთიელი) კაცის გონებაში ვარსკვლავთა ამოუცნობი სრბოლა უხილავ სამყაროში, მრავალი გამოთქმაც ჩამოყალიბებულა ამაზე. „უბედურ ვარსკლავზე დაბადებული“ - ეს იდიომა მიემართება ადამიანს, ვისაც ბედი, ცხოვრება უკუღმა წაუვიდა, არ გაუმართლა ან უფრო მეტიც, მოხუცებულობამდე გარდაიცვალა, ყრმობისას ან ახალგაზრდობაში. იდიომა უძველეს რწმენა-წარმოდგენას უკავშირდება, რომლის მიხედვითაც, ყველა ადამიანს საკუთარი ვარსკვლავი ჰქონდა ცაზე, რომელიც მისი დაბადებისას ჩნდებოდა, გარდაცვალებისას კი ცას მოსწყდებოდა. ყველაფერს, რაც ბუნებაში არსებობდა, ადამიანი ღმერთებს, ღვთაებებს უკავშირებდა; შეუცნობელსა და ამოუხსნელ სამყაროს აკვირდებოდა, მეცნიერულად ვერ ხსნიდა, რადგან საკმარისი ცოდნა არ გააჩნდა ამ მიმართულებით, ბედი თუ უბედობა ვარსკვლავებთან იყო დაკავშირებული. არსებობდა საწინააღმდეგო გამოთქმაც: „ბედნიერ ვარსკლავზე დაბადებული“ - იგი ბედნიერ, წარმატებულ ადამიანს მიემართებოდა. ჩოხელის შემოქმედების მიხედვით, ვარსკვლავს პროვიდენცი(ალ)ური ფუნქცია ეკისრება, ის განაგებს ადამიანის ბედსა და უბედობას.

აღმოსავლელმა მოგვებმა სწორედ მოკაშკაშე ვარსკლავით ინიშნეს უფლის დაბადება და ბეთლემში შობის მისტერიის შემსწრენი გახდნენ: „და თქვეს: სად არის იუდეველთა ახალშობილი მეფე? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას“ (მათე, თ. 2.2) [ბიბლია, 1989:959].

მკვლევარი ზურაბ კიკნაძე აღნიშნავს: „ქრისტეს დაბადებისას ცაში გაბრწყინდა კაშკაშა ვარსკვლავი, რაც აღმოსავლელმა მოგვებმა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მოვლენის საწინდრად მიიღეს და გაჰყვნენ მნათობის ციალს, რათა ნაწინასწარმეტყველევი ეხილათ. ვარსკვლავის გამოჩენის სასწაული შესაძლოა ჩვეულებრივ ასტრონომიულ მოვლენად ჩაითვალოს, რომლის მსგავსი არაერთხელ მომხდარა სამყაროში“ [კიკნაძე, 2008:157-158].

ზურაბ კიკნაძე იესოს დაბადების მაუწყებელი მოკაშკაშე ვარსკვლავის გამოჩენას შესაძლო ასტრონომიულ მოვლენად მიიჩნევს. ქრისტიანი მორწმუნენი მას სასწაულად თვლიან, რომელმაც მესიის დაბადება ამცნო კაცობრიობას.

გოდერძი ჩოხელის მიერ აღწერილი რწმენა გუდამაყრელებისა უფრო ძველ წარმოდგენებს უკავშირდება, რომლის მიხედვითაც, ვარსკვლავებს ღვთაებრივი ძალა და უნარი აქვთ, შეუძლიათ ადამიანის ბედის განსაზღვრა, სიკვდილისა და სიცოცხლის,

ბედნიერებისა თუ უბედურების წინასწარმეტყველება. საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობის წარმართული წარმოდგენებით გაჯერებულ რწმენას ავტორი ნაწილობრივ იზიარებს, რაც მისი ბიოგრაფიიდანაც ირკვევა. ჩოხელი ამ ხალხის, ამ წარმოდგენების, ამ ჩვეულებების, ამ კულტურის ბუნებრივი ნაწილია, რაც მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას განსაკუთრებული ნიშნით აღბეჭდავს.

მერაბ მიქელაძის კვლევის მიხედვით, ადამიანი, როგორც კოსმიური არსება, წილნაყარია მაკროკოსმიურ სამყაროსთანაც“ [მიქელაძე, 2014:152]. მკვლევარს მაგალითად მოჰყავს მეგრული რიტუალი, როცა ახალგაზრდა დედა შვილს ჰაერში ისვრის, თითქოს ბავშვს ღვთაებებს ავედრებსო, შემდეგ კი ლექსს (რეალურად - ლოცვას) წარმოთქვამს: „თუთა, თახა, ჯუმა, ცა, ვობი, საბატონი, ბჟა“ [მიქელაძე, 2014:152], სადაც ბჟა - მზეა, თუთა - ვარსკვლავები. მეგრული ზეპირსტყვიერების ნიმუში მზეს მთავარ ღვთაებად აღიარებს და დედას უწოდებს, მთვარეს კი - მამას.

ივანე ჯავახიშვილმა მონოგრაფიულ ნაშრომში „ქართული წარმართობა“ გამოიკვლია, რომ წმინდა გიორგის საქართველოში მთვარის, მთავარი ღვთაების, ადგილი უკავია, ხოლო, მეგრული ზეპირსიტყვიერების ნიმუშის მიხედვით, მზე ქალია, ამის დასტურად მკვლევარს ქალის ფართოდ გავრცელებული სახელები მოჰყავს: მზია, მზექალა, გულთამზე და ა.შ. [ჯავახიშვილი, 1979:98].

,,ბჟა - დიდა [რე] ჩქიმი,
თუთა - მუმა ჩქიმი,
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი -
და დო ჯიმა ჩქიმი“
(„მზე დედაა ჩემი,
მთვარე - მამაჩემი,
მოციმციმე ვარსკლავები
და და ძმაა ჩემი“) [ჯავახიშვილი, 1979:99].

ზოგი მკვლევრის შეხედულებით, მზის მთავარ ღვთაებად და ქალად აღქმა უძველესი ადამიანის შეხედულებიდან იღებს სათავეს, როცა კაცობრიობა მატრიარქატის საფეხურზე იდგა და ქალი მოიაზრებოდა ოჯახის, ტომის ლიდერად, მამოძრავებელ ძალად.

საინტერესოდ არის დახატული რომანში „ერთმორწმუნე“ რუსეთის სახე. „ერთმორწმუნეობის“ ნიღბით სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს რელიგიას, რიტუალურ ყოფას, ზოგადად, სულიერებას, გულმოდგინედ ცდილობდნენ ხალხის მეხსიერებიდან ამოეშალათ რელიგიური გრძნობები, იდეოლოგიური კერპებით ჩაენაცვლებინათ; წარმართულ ნიშებთან ერთად, ქრისტიანული სალოცავების განადგურება დაისახეს მიზნად. ამ მიზნით ჯერ პირიმზის სალოცავს ანგრევენ და მის ადგილზე ბასტიონს აშენებენ, სადაც ჯარი ჩააყენეს. „პირიმზე“ თავდაპირველად ფუძის ანგელოზის მოედნად ითვლებოდა, სალოცავად მოსული ხალხი აქ ღამეს ათენებდა, „ერთმორწმუნე“ რუსები სწორედ ამ სალოცავს ანგრევენ. ქვეყნის იავარქმნის სიმბოლოა სალოცავების ნგრევა და მათ ადგილზე ბასტიონების აშენება.

ტრადიციულად, მთის ყველა სალოცავს თავისი მიწა გააჩნდა, მინდორი, ტყე, ჭალა და ა.შ. რომანის მიხედვით, პირიმზის სალოცავის ზემოთ გაშენებული ტყე ხატის საკუთრება იყო. სალოცავის სახელს უკავშირდებოდა მის სახელზე არსებული მიწის სახელწოდებაც, მაგალითად, ხევსურეთში სალოცავს შეწირულ მიწას „ჯვრის მიწას“ ეძახიან, სხვაგან სალოცავის აღსანიშნავად იყენებენ „ხატს“, ხოლო შეწირულ მიწას „ხატის მიწას“ უწოდებენ. მთიანეთის ყველა კუთხეში, სადაც რელიგიური დღესასწაულები იმართება, ,,ხატობის“ სახელით მოიხსენიებენ.

აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობისთვის წმიდათაწმიდა იყო სალოცავის საკუთრებაში არსებული მიწა. ხატის ტყით სარგებლობა იკრძალებოდა. ხევსურეთის მოსახლეობა ხატის საკუთრებაში არსებულ „ჯვრის ტყეს“ საგანგებოდ უფრთხილდებოდა. მკვლევარი ალექსი ოჩიაური წიგნში „ქართული ხალხური დღეობების კალენდარი“ აღმოსავლეთ მთიანეთის (ხევსურეთი) მოსახლეობის რიტუალებსა და წეს-ჩვეულებებს აღწერს, გვაწვდის ინფორმაციას „ჯვრის ტყის“ შესახებ. მათი წეს-ჩვეულებები გუდამაყრის მოსახლეობის წეს-ჩვეულებების იდენტურია, თუმცა ხევსურები მეტი კრძალვით ეკიდებოდნენ ტყეს, არც ხეს ჭრიდნენ და არც საქონელს უშვებდნენ შიგნით, წმინდად იცავდნენ ამ წესს. თუ ვინმეს საქონელი შევიდოდა ჯვრის ტყეში, ქალი არ შეჰყვებოდა, სოფლიდან ბავშვს ან მამაკაცს მოიყვანდა და საქონელს მას გამოარეკინებდა. უძველესი წარმოდგენებით, თუ ეს წესი დაირღვეოდა, საქონელს მგელი შეჭამდა. ტყე დაცული უნდა ყოფილიყო ყოველგვარი უწმინდურებისგან. რადგან, ხევსურთა რწმენით, ქალი უწმინდური არსებაა, მას ეკრძალება ტყეში შესვლა. ოჩიაურის ცნობით, არხოტის ჯვრის

ტყე დღესაც დაცულია: „ერთი ტყეა, რომელსაც განსაკუთრებით დიდ პატივს სცემენ, ეს ტყე ეკუთვნის არხოტის ჯვარს, იგი დღესაც დაცულია“ [ოჩიაური, 1988: 197]. სერგი მაკალათიას ცნობით, ხევსურეთში ხატებს საკუთარი მამულები ჰქონდათ და მათი სიძლიერეც მამულების რაოდენობით განისაზღვრებოდა. ტყეში შესული საქონლის გამოსაყვანადაც არ შედიოდნენ, ამიტომაც საქონელი იქ იღუპებოდა [მაკალათია, 2025:72].

რომანის მიხედვითაც, გუდამაყრელები მტკიცედ იცავდნენ ხატის ტყეს, სადაც ხეები საკმაოდ გაზრდილიყო, ტყის განახლების მიზნითაც, არავინ ახლებდა ხელს. „ერთმორწმუნე“ რუსები არაფრად აგდებდნენ სალოცავის შიშსა და რიდს, უზარმაზარ წიფლის ხეებს უმოწყალოდ ჩეხდნენ. ქვეყნის განადგურების მეტაფორაა რუსების მიერ ხატის ტყის ამოძირკვა. ავტორმა გველეშაპი მოუვლინა სოფელს მხსნელად, რუსი ჯარისკაცებს დამსჯელად. რომანში გველეშაპშემოსალტული წიფლის ხე ღვთაებრივ სიკეთეს იძენს და ურწმუნო რუსი ჯარისკაცების გუდამაყრიდან გადაკარგვის მიზეზი ხდება. რასაც ვერ ახერხებენ გუდამაყრის მაჟარიანი ვაჟკაცები, ფაფარაშლილმა გველეშაპმა მოახერხა. ზეპირისტყვიერებაში გველეშაპი, ძირითადად, ბოროტების სიმბოლოა, თუმცა გველვეშაპი-გველი განძის მცველადაც წარმოგვიდგება. ასეა „სულეთის კიდობანშიც.“

ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან ცნობილია პირიმზის ტყის გაჩეხვის ისტორია. ნინო აბაკელიას ცნობით, არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვით, პირიმზის სალოცავს მისი ტყის გამკაფავი ჯარისკაცები სასტიკად დაუსჯია; ამ თემაზე მთაში მღეროდნენ კიდეც:

„დიდია ჩვენი პირიმზე,

ხმალს ირტყამს ლერწამ ტანზედა,

არ მოიხდინა მოძალე, მისული თავის კარზედა'' [აბაკელია, 1991:109].

მკვლევარ რუსუდან ჩოლოყაშვილის შეხედულებით: „გველეშაპიც მთისა და ხის არსებაა, რომელიც თავის თავში აერთიანებს სამივე სკნელის ნიშნებს: აქვს გველის სხეული - ხის ფესვები ცხოველისა, ტოტების არსების - ფრინველთა ფრთები; აგრეთვე, როგორც მისი იკონოგრაფიიდანაც ჩანს, ხის ტანის ცხოველის - ცხენის ან სხვა ჩლიქოსან არსებათა სახე, ზოგჯერ აქვს რქებიც“ [ჩოლოყაშვილი, 2004:39]. გველი-გველეშაპი ქართულ მითოლოგიურ სამყაროში ხან ბოროტია, ხან - კეთილი.

გველი, წმინდა წერილის მიხედვით, ბოროტების საწყისია, ევა აცდუნა და აკრძალული ხილი გაასინჯა; უძველესი რწმენა-წარმოდგენებით, გველი ფუძის მცველია და

ოჯახის ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენს. მგლის მსგავსად, მისი სწორხაზოვნად, ერთი მიმართულებითა და შინაარსით აღქმა შეუძლებელია. ასევეა ის წარმოდგენილი მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაშიც. მკვლევარი გიორგი ხორბალაძე სადისერტაციო ნაშრომში „გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“ პარალელს ავლებს ჩოხელისა და ოქროს საწმისის მცველ გველეშაპთან. მითოლოგიის მიხედვითაც, გველეშაპს კეთილშობილური მისია - ეროვნული საუნჯის დაცვა აკისრია [ხორბალაძე, 2013:87].

პირიმზე გუდამაყრის მთავარი ხატი და სალოცავია, მთაში ამ ხატისადმი თაყვანისცემის ტრადიცია დომინანტურია. პირიმზის - ფუძის ანგელოზის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ნინო აბაკელია წიგნში „ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი“. მკვლევარი აღნიშნავს, რომ პირიმზე გუდამაყრის მთავარი ხატი იყო, მაგრამ ის ბექაურებისა და წიკლაურების საგვარეულო ხატადაც ითვლებოდა. გადმოცემის მიხედვით, ეს გვარები, რომელთაც თავიანთი საგვარეულო ხატი და ფუძის ანგელოზი ჰქონდათ, ხევსურეთიდან გუდამაყარში გადმოსახლებულან; მათ დაუარსებიათ ხატის ნიში გუდამაყარში, სოფელ ჩოხში, რომლისთვისაც პირიმზე უწოდებიათ. ხევსურეთის ნიშს ფუძის ანგელოზი ეწოდებოდა. გადმოცემის მიხედვით, ფუძის ანგელოზი და პირიმზე და-ძმანი იყვნენ: „თუ პირიმზეს დღეობა შუა კვირაში მოუვიდოდა, მომდევნო კვირის პარასკევს მიდიოდა მლოცველი ხევსურეთში ახოობაზე, ანუ ფუძის ანგელოზობაზე, სადაც შაბათს უნდა დაკლულიყო საკლავი. ხალხი მას ცის ნაპირამდე მოარულს, უყმო ყმის მშველელს ეძახდა და ძლიერ ხატად მიიჩნევდა“ [აბაკელია, 1991:109].

სერგი მაკალათიას ცნობით, პირიმზე მთიულეთში მთავარი ხატია, პირიმზის ეკლესიაში „ცხრა-ათი“ ხატობაა დაწესებული. ყველაზე დიდი ხატობა 30-31 აგვისტოს იმართება, როცა იქ თავს მრავალი მლოცველი იყრის. მკვლევარი თავადაც დასწრებია პირიმზის ხატობის რიტუალს, სადაც თეთრ ხილაბანდწაკრული დეკანოზი გულზე ჯვრებითა და გასისხლიანებული ხანჯლით უნახავს, რომლითაც უამრავი კურატი და ცხვარი დაუხოცავთ, უნახავს გასისხლიანებული დასტურები, რომელთაც ხელში ანთებული სანთლები ეჭირათ და დასალოცავად გამწკრივებულ ხალხში წესრიგს იცავდნენ [მაკალათია, 2005:170-171].

გელა ქისტაური წიგნში „მთიულეთის სინკრეტული რელიგიის ისტორიულ-ეთნოლოგიური ნარკვევი“ ცხავატის ცეცხლისჯვრის სათემო სახლის დანიშნულებასთან,

პირიზმის სალოცავთან მიმართებით როლანდ თოფჩიშვილის გამოკვლევას იზიარებს, რომლის მიხედვითაც გუდამაყარში ჩოხის სალოცავში დაცულია ჯვარი, რომელსაც ადგილობრივები „სათემო ჯვარს'' უწოდებენ. გადმოცემის მიხედვით, ეს ჯვარი „საბურთველოს წმინდა გიორგის'' საკუთრება იყო, მერე ჩოხში გადაუტანიათ; მკვლევარს მტკიცებულებად დეკანოზის ლოცვა მიაჩნია: „საბურთველოს წმინდა გიორგის გაუმარჯოსო, სათემო საიმედოსაო...“ ამ ჯვარს მიეწერება გუდამაყრის მოსახლეობის დაცვა უბედურებისგან; მისივე მოსაზრებით, სანამ პირიმზე ფუძის ანგელოზი გახდებოდა, მანამ გუდამაყრის ხეობის სალოცავი „საბურთველოს წმინდა გიორგი“ იყო [ქისტაური, 2021:48].

კომპოზიტი „პირიმზისა“ შესაძლოა განვიხილოთ, როგორც „მზის პირი'', ანუ მინდორი, რომელსაც პირიმზისა ეწოდება; მთის რელიეფური მდგომარეობის გათვალისწინებით, ადგილი, სადაც მზის სხივები დიდხანს რჩება, მზისპირია. ცას შეკიდული მთიელებისათვის მზის სხივი სანატრელიც იქნებოდა და სასურველიც, ამიტომაც ასეთი ადგილი სწორედ სალოცავებისათვის იყო გამოსადეგი - შეწირულობის თვალსაზრისითაც, რადგანაც ყველაზე კარგი ადგილები ხატის საკუთრებას წარმოადგენდა.

რომანის მიხედვით, მთავარი პერსონაჟი სება წინაპართა წესების დამრღვევია - მისთვის ხატის მოედანზე მუზეუმის გახსნა, კეთილშობილური მიზნიდან გამომდინარე, მისაღებია.

წინაპართა წეს-ჩვეულების მტკიცე დამცველია აპარეკა, მას სებასაგან განსხვავებული პოზიცია აქვს. მისი აზრით, ხატის მოედანზე არც ფერმა უნდა იყოს და არც მუზეუმი, თუნდაც მის დაარსებას კეთილშობილური მიზანი ჰქონდეს. აპარეკას სჯერა, რომ წყალი წაიღებს ყველაფერს, მათ შორის, მუზეუმსაც სწორედ ღმერთი გაატანს წყალს. აპარეკას შეხედულება ნასაზრდოებია წინაპართა უძველესი რწმენა-წარმოდგენებით, რომლის მიხედვით, ხატის საკუთრებაში არსებული მიწის ხელყოფა დაუშვებელია, რაც არ უნდა კეთილი მიზანი ამოძრავებდეს ადამიანს. ჩვენი აზრით, ეპიზოდი გოდერძი ჩოხელმა სიმბოლურად დაუკავშირა ბიბლიური წარღვნის ისტორიას. როგორც ნოეს დროს მოიმატა უკეთურობამ დედამიწაზე, ასევ მოიმატა სიავემ გუდამაყარში: „თქვა უფალმა: მიწისაგან პირისა აღვგვი ადამიანს, რომელიც შევქმენი, ადამიანიდან დაწყებული პირუტყვამდე, ქვეწარმავლამდე, ცის ფრინველამდე, რადგან ვნანობ, რომ გავაჩინე“ (დაბადება, 6, 7) [ბიბლია, 1989:17]. უფლის დაშვებით, ნოე და კიდობანი გადარჩნენ, მაგრამ სებას აშენებული მუზეუმი - არა. რომანში მუზეუმი ბოროტების სიმბოლოდ, ჭაობად ქცეულა. სასჯელს

ვერ გადაურჩა კიდობანში გამოკეტილი დიდებული ისტორიის მქონე ნივთებიც. სება ბიბლიურ ნოეს ენათესავება, მას ევალება დიდი ისტორიის ნივთების გადარჩენა, რაც რომანში ეროვნული იდენტობის, თვითმყოფადობის სიმბოლური გამოვლინებაა.

„ნოეს წარღვნის კიდობანი ცისქვეშეთის განსახიერებაა, კიდობანი გაიაზრება საშოდ, წარღვნის დასრულების შემდეგ კი ხელახლა უნდა დაბადებულიყო ძველი ქმნილება“ [კიკნაძე, 1989:23]. სებას მუზეუმმა ვერ იტვირთა დიდი მისია, ვერ მოხდა ძველი ქმნილების კვლავ მოვლინება, წყალდიდობამ კიდობანი გაიტაცა, სიმბოლურად, ეროვნული იდენტობის იდეაც საფრთხეშია. უძველესი რწმენა-წარმოდგენების გავლენა იგრძნობა სებას ლოცვაში, ის მუზეუმს „ადგილის დედას“ აბარებს. წინაპართა რწმენით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა ადგილს თავისი „ადგილის დედა'' - მფარველი ჰყავდა, მთიელი მათ სთხოვდა მფარველობას, უსაფრთხოებას, დაცვას. თქმულებებიდან ცნობილია, რომ „ადგილის დედა“, ძირითადად, კეთილი სული იყო, მაგრამ იყო შემთხვევებიც, როცა ბოროტი აღმოჩნდებოდა და მიბარებულს გასწირავდა, დაღუპავდა კიდეც. რომან „წითელ მგელში“ სანადიროდ წასული თევდორე, „ადგილის დედას“ მიებარა, რომელიც ბოროტი აღმოჩნდა. ბოროტმა „ადგილის დედამ“ თევდორე მამის კვალს ააცდინა, მგლად აქცია.

„სულეთის კიდობანში“ გველეშაპი ნეგატიურადაა წარმოდგენილი. თუ ურწმუნო რუსები გველეშაპად გადაქცეულმა ხემ ცხრა მთას იქით გადაკარგა, ამ პასაჟში ბოროტების ალეგორიული სახეა. აკაკი წერეთლის მოთხრობა ,,ბაში-აჩუკის“ პერსონაჟის - კირილე მღვდლის სიზმრის ალუზიაა სებას ნაამბობი გველეშაპზე, რომლის მიხედვითაც, ერთ სოფელში, შაბათ დილით, მღვდელი ეკლესიაში წირვას ატარებდა, ამ დროს გველეშაპი მოცურდა, ეკლესიას შემოერტყა გარს ისე, რომ კუდი და თავი შესასვლელში დარჩა; ფანჯრებს რკინის გისოსები ჰქონდა დატანებული, ხალხი შეშინებული იყო, გარეთ გამოსვლას ვერავინ ბედავდა. გველეშაპი, წმინდა გიორგის შიშით, ეკლესიაში ვერ შედიოდა და მისი შიშით ხალხი გარეთ ვერ გამოდიოდა. ტაძარში გამომწყვდეულები ლოცულობდნენ, მაგრამ უფალი მათ ლოცვას არ ისმენდა, რადგან ბევრი ცოდვა ჰქონდათ ჩადენილი. ხსნა არ ჩანდა. უფალი არც მღვდლის ლოცვას ისმენდა. გველეშაპი დამსჯელი - ამ სახით წარმოგვიდგინა ჩოხელმა იგი ამ ეპიზოდში, მას ეკისრება ხალხის გამოფხიზლებისა და რწმენის გზაზე დაყენება.

ეკლესიაში გამოკეტილ მორწმუნეთა ლოცვის ძალა, სიწმინდე და გულწრფელობა არასაკმარისია გველეშაპის მოსაშორებლად, რადგან აღმსარებლობა წინაპართა ტრადიციის ინერციად ქცეულა. უღმერთო მმართველობას უფლის ჭეშმარიტი არსის წვდომა ამოუშანთავს, გამომწყვდეულთა ლოცვა უფლამდე ვერ აღწევს და ბოროტების სიმბოლოს - გველეშაპსაც ვერ თრგუნავს. უიმედო მდგომარეობაში მყოფთ მხსნელად სებას შვილისტოლა ბიჭი გამოუჩნდათ, რომელსაც სწამს უფლის, მაგრამ თხოვნით არ აწუხებს. დანარჩენების მსგავსად, ბიჭსაც მოშივდა და მოსწყურდა, როგორც ხორციელს, მაგრამ ეს არ მიაჩნია ღმერთის შეწუხების მიზეზად. ბიჭი ცოცხალი, გადარჩენილი რწმენის გამოხატულებაა. ჩოხელი გვიჩვენებს, რომ ეკლესიაში გამომწყვდეული ხალხის ლოცვის ძალა მცირეა, რადგან ის ეყრდნობა იმ წუთს, იმ დროს ბოროტის მოშორებას, მაგრამ საკუთარ ქმედებას თავიდანვე არ განჩხრეკს, რათა განსაცდელის მიზეზი იპოვოს. თვითჩხრეკა, თვითანალიზი, საკუთარ თავში ჩაღრმავება მათთვის უცხოა, ჭეშმარიტი რწმენა კი, ამის გარეშე წარმოუდგენელია.

ბიოგრაფიული პასაჟითაა ინსპირირებული ბიჭისა და უფლის ურთიერთობა, რაც არაერთხელ გაცხადებულა - გოდერძი ჩოხელი ხშირად შეუძლებელს სთხოვდა სამყაროს შემოქმედს, სწამდა, რომ „შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელია ღვთისაგან.“

ერთხელ, შუა ზაფხულში, ღმერთს თოვლი სთხოვა და გათოვდა კიდეც, მაშინ, როცა მზე ზენიტში იყო და კინაღამ გადახმა ქვეყანა. გოდერძი ჩოხელი თავის მოგონებებში იხსენებს, რომ კინოგადაღების დროსაც დასჭირვებია თოვლი, რომელიც უკვე დნებოდა; სწორედ იმ სამანებთან ულოცია, რომელსაც ვერავინ გადალახავდა; ულოცია და თოვლიც მოსულა: „მაშინ ჩემში უცნაურ ძალას ვგრძნობდი, ისეთს, შეუძლებელსაც რომ შეგაძლებინებს“ [ჩოხელი, 2012:17]. მხოლოდ ამით არ გაცხადებულა ბიჭისა და უფლის პირდაპირი, უშუალო კავშირი, სხვა თხოვნაც შეუსრულებია: ბიოგრაფიულ პასაჟს ცვლის ბიბლიური სიუჟეტი, შუა ზამთარში ერთ დღეში ვაშლის ხის აყვავება, ნაყოფის დამწიფება უკვე წმინდა წიგნის ამბავია. ქრისტიანული დისკურსი რწმენის გამყარებას ემსახურება, მხოლოდ სასწაულს შესწევს ძალა, ურწმუნო რწმენაში დააბრუნოს. ბიჭი ახალი თაობის სახე-სიმბოლოა - მისი ლოცვა აღწევს უფლამდე და გველეშაპისაგან თავდასაღწევად ეკლესიას, თავის ხალხიანად, ცაში ააფრენს, უფლის საბრძანებელში: „დარჩა წითელი გველვეშაპი დედამიწაზე“ [ჩოხელი, 2016:115]. წითელი გველეშაპი, როგორც

აღვნიშნეთ, ბოლშევიზმის სახე-სიმბოლოა. ავტორმა ჯერჯერობით მიწაზე დატოვა ბოროტება, ადამიანები ზეცაში დაამკვიდრა. ფანტასტიკური ელემენტის შემოტანა ბუნებრივია მწერლისთვის, ნამდვილისა და დაუჯერებლის შერწყმა მას ხშირად პოზიციის, სათქმელის გამოსახატად სჭირდება. რეალისტური ხედვის მიუხედავად, ჩოხელი ამ ხერხს არ ერიდება, ასე იქცევა არა მხოლოდ მხატვრულ ტექსტებში, არამედ კინოშიც.

„სულეთის კიდობანში“ სებას მიერ აშენებულ მუზეუმში ცენტრალური ადგილი ფარდაგის ენიგმას უკავია - მას საქართველოს სულიერი გადარჩენის მისია აკისრია. სიმბოლურია ერდოებიდან ჩამომავალი მზის სხივი, ის საქართველოს ფორმის ფარდაგს ეცემა და გვიქმნის განცდას, რომ ფარდაგი განახლდება და ადამიანებს გადარჩენის გზასაც დაანახებს. მზის სხივი უფლის სიმბოლოა, სხივი ჩაკეტილ სამყაროში (კიდობანში) ძნელი გზით (ერდოდან) ჩამოდის და ბნელეთის მსახურთ აფრთხობს.

იოანეს სახარების მიხედვით, ქვეყნიერების ნათელი/სინათლე უფალია: „და კვლავ ამბობდა იესო, და უთხრა მათ: მე ვარ ნათელი ქვეყნისა; ვინც გამომყვება, არ ივლის ბნელში, არამედ ექნება სიცოცხლის ნათელი“ (იოანე, 8. 12) [ბიბლია, 1989:1054].

მზე ნათლის გამომცემი უფლის მეტაფორული სახე-სიმბოლოა. სიმბოლურია ფარდაგზე ამოქარგული საქართველოს რუკა, ვახტანგ მეფის ანდერძით: „მტკიცედ სდექით სარწმუნოებასა ზედა და ეძიებდით ქრისტესათვის სიკვდილსა, რათა მარადიული დიდება მოიპოვოთ“ [ჩოხელი, 2016:88].

გუდამაყრელთა გადარჩენის ერთადერთი გზა ანდერძის დაცვაა. ქრისტესთვის სიკვდილი სამშობლოსთვის სიკვდილსაც ნიშნავს, ეს ორი ცნება ერთმანეთსაა გადაჯაჭვული. ფარდაგის მოვლა-პატრონობა სიმბოლურად სებას ნაბოლარას ეკისრება, მწერალმა ამგვარად უჩვენა მომავალ თაობას გადარჩენის გზა.

რუსუდან ჩოლოყაშვილის მოსაზრებით, ფარდაგი სამყაროს ხესთანაა დაკავშირებული: „ფარდაგისა და ხალიჩის არაჩვეულებრივი ძალაც სამყაროს ხესთან პოულობს საერთოს, კერძოდ, მის არსებას - ცხვარს უკავშირდება, რადგანაც ის ცხვრის მატყლისგან არის მოქსოვილი. მატყლს და, საერთოდ, ამა თუ იმ არსების ნაწილს თუ მის პროდუქტს, მითოლოგიური აზროვნების მიხედვით, ისეთივე თვისებები მიეწერება, როგორიც თვით ამ არსებას“ [ჩოლოყაშვილი, 2004:38]. არგონავტების მითში ვეცნობით ოქროსმატყლიან ვერძს, რომელსაც ჯადოსნური თვისება - ფრენა მიეწერება. ვერძი ფრიქსეს კოლხეთში გადმოაფრენს და დედინაცვლისაგან დაიხსნის, ის გადამრჩენელია. მითის მიხედვით,

ვერძი მსხვერპლად შესწირეს ღმერთებს, ხოლო მისი ტყავი, ანუ ოქროს საწმისი მდინარე ფასისის (რიონის) ნაპირას არესის ჭალაში გამოჰკიდეს დიდ მუხაზე, მცველად გველეშაპი მიუჩინეს. მითის მიხედვით, ვერძი ჯადოსნური ცხოველია, გველეშაპი კი - განძის მცველი [არგონავტების მითი (ელრესურსი)]. ჩოხელთან სამყაროს ხესთან დაკავშირებული ფარდაგი ჯადოსნურ თვისებას იძენს - მას შეწევს ძალა გადაარჩინოს სულიერების გზაზე შემდგარი სება და მისი შვილი, მამა-შვილს სიმბოლურად ქვეყნის სულიერი გადარჩენის მისიაც ეკისრებათ. ხალიჩის სიმბოლიკაშიც სინთეზირებულია წარმართული და ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები.

გოდერძი ჩოხელი მშობიარობასთან დაკავშირებულ ადათ-წესებზე არაერთ თხზულებაში ამახვილებს ყურადღებას. მწერლისთვის გაუგებარი და მკაცრია ეს რწმენა-წარმოდგენები. გარკვეული თვალსაზრისით, ტექსტებში მათი მოდიფიცირების სურვილიც იგრძნობა, როგორც ვაჟა-ფშაველასთან. „სულეთის კიდობნის“ ფინალურ ნაწილში, ბენიამენის ისტორიაში ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა. ჩართული ნოველა დამოუკიდებელ ამბად გვევლინება და წმინდა მთაზე მოღვაწე ბერების შესახებ გვიყვება. ნოველაში მძაფრად იგრძნობა საბჭოთა სისტემის კრიტიკა. რეჟიმის მამხილებლებელს „სტრაჟნიკები“ ცემით კლავენ. ჯერ კიდევ ყმაწვილი თადეოზი ელვის სისწრაფით ბოსლის მიმართულებით, დედისკენ გავარდება. ქალი „მირეულია“ და მშობიარობასთან დაკავშირებული წესების მიხედვით, განცალკევებით, საგანგებოდ ბოსელშია გამოკეტილი. მშობიარე უწმინდურად მიიჩნეოდა ორმოცი დღის განმავლობაში და მასთან ურთიერთობა ყველას ეკრძალებოდა. რომანის მიხედვით, თადეოზი აკრძალულ წესს ვერ იცავს და ხიდზე გადასვლას ცდილობს, დედა არჩევნის წინაშე დგება - წინაპართაგან დაწესებული, მთიანი თოვლივით მკაცრი წესი დაიცვას თუ შვილის სიცოცხლე?! ძლიერი აღმოჩნდა დედური ინსტინქტი, შვილის სიცოცხლის გადარჩენის სურვილმა ყველაფერი დათრგუნა. რომანში ერთმანეთს ებმის ტრაგედიები, რითაც ავტორი ამ წესის ნეგატიურ ზეგავლენაზე მიუთითებს.

დასაფლავების წეს-ჩვეულებებიც გაუგებარი და მიუღებელია - ჩვილს ცალკე, ხიდის გადაღმა, სამშობიარო ქოხთან მარხავენ, ხოლო დედას - მოშორებით. უძველესი რწმენა-წარმოდგენით, სამრევლოში ნამყოფი ქალი უწმინდურად ითვლებოდა, დადგენილი ვადის ამოწურვამდე, ამიტომაც დედა-შვილს განცლაკევებით მარხავენ. როგორც ჩანს, ჩოხელი ბევრს ფიქრობდა ამ საკითხზე. მიხეილ ჯავახიშვილმა „თეთრ საყელოში“

გაგვაცნო მშობიარობის მკაცრი წესები. რომანში ხევსურები უგულო ადამიანებად წარმოჩნდებიან, რადგან ასეთ ადგილას საქონელსაც არ შეაგდებს ძუნწი გლეხი, ესენი კი თავიანთ დედებს, ცოლებსა და დებს ამყოფებენ: „რიგისა და მოლოგინების“ დროს ქალი უწმინდურია. შინ რომ დარჩეს, ყველას და ყოველივეს წაბილწავს. თუ ბოსელში მოკვდა ვინმე, სხვაგან მარხავენ - უწმინდურიაო. რიგის დროს ქალს შეუძლიან ყველაფერი მოაჯადოვოს. რასაც კი მიეკარება, გაფუჭდება, გახმება, დაიშრიტება, წაიბილწება. იმ დროს მას იდუმალი ავი ძალა აქვს, სისხლში და სულში შხამი უდგას და კაცს მოშორებით უნდა ჰყავდეს“ [ჯავახიშვილი, 2011:246]. როგორც ვხედავთ, ჯავახიშვილის მიერ დახატული ხევსურეთი და ჩოხელის მიერ წარმოდგენილი გუდამაყარი ამ მხრივ იდენტურია. „მშობიარეს ისე ერიდება ხალხი, როგორც უწმინდურს, თვითონ დედაკაცები საჭმელს ქოხის სარკმლიდამ ჩააწოდებენ... დედაკაცი უწმინდურად ითვლება შვიდ კვირას’“ [ვაჟა-ფშაველა, 1964:11].

ვაჟას აზრით, ეს წესი მოსეს რჯულს ეთანხმება. უფალმა მოსეს დაავალა ებრაელი ხალხისთვის მშობიარობასთან დაკავშირებული განჩინება გადაეცა, რომლის თანახმად, ქალი მშობიარობიდან შვიდი დღე უწმინდურია.

სხვა ჩვეულებებთან ერთად, მთის ყოფაში გარდაუვალია სისხლის აღების ტრადიცია. ავტორის ჰუმანური ბუნება ვერც ამ წესს ჰგუობს, რაც „ადამიანთა სევდაში“, „წითელ მგელში“ განსაკუთრებულად წარმოაჩინა.

„სულეთის კიდობანში“ ჩოხელი ათნოხელ გამიხარდიაზე გვიამბობს, რომელსაც სიცოცხლე უყვარდა. წმინდა კაცზე იტყვიან, ჭიანჭველასაც არ ადგამს ფეხსო, სწორედ ასეთი იყო გამიხარდიაც; უყვარდა სიმღერა და ცეკვა. როცა სათარსოდ გადმოსულ მტერს სოფლელები დაედევნებოდნენ და ესროდნენ, თავად არ ესროდა: „რაღაცა იდუმალი ძალა არ აძლევდა კაცისკვლის უფლებას“ [ჩოხელი, 2016:143]. უფლის მცნება - „არა კაც კლა“ გამიხარდიაში მტკიცედ იყო ფესვგადგმული, მის სოფელში კი სახელიანი და ვაჟკაცი მხოლოდ ის იყო, ვისაც ბევრი მტერი (კაცი) ჰყავდა მოკლული; ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდანაც ცხადი ხდება, რომ ფშავშიც „კაი ყმობა“ სწორედ მტრის ხოცვას უკავშირდება.

ხევსურული ტრადიციები აისახა კონსტანინე გამსახურდიას ნოველაში „ხოგაის მინდია.“ მინდია ძმისშვილს - საღირას სამეკობრეოდ ამზადებს, ქისტებისგან მამის სისხლი უნდა აიღოს, რასაც შესაბამისი წვრთნა და ვარჯიში სჭირდება: „უამბობს ამას ყოველივეს მინდია საღირას, ასწავლის, როცა მტერი თოფისმისაწვდენ მანძილზეა მოსული,

მდევარი თუ გამოუდგა, გვირაბები როგორ გამოიყენოს, გაწოლილმა როგორ ისრიალოს, როგორ დაცუცქდეს ტალავერის კალთაზე და გადაეშვას დაცერებულ ქარაფებიდან“ [გამსახურდია, 2012:310]. ეს რომ შეძლოს, ნადირობის წესიც უნდა შეისწავლოს: „ნადირობა საშუღლედ ვარჯიშობაარ, ხოლო შუღლობა - საომარი ვარჯიში. მტერი და მავნე არ უნდა შეგებრალოს. თუ მტერი შეგებრალება, დიაცს დაგარქმევენ, სამაგიეროდ, არც მტერი დაგინდობს მოსისხარს'' [გამსახურდია, 2012:310].

მტრის შეუბრალებლობა აღმოსავლეთ მთიანეთის, ზოგადად, ქართული ცნობიერების სისხლხორცეული ნაწილია - მცირერიცხოვანი ერი სხვაგვარად ვერც გაუძლებდა სხვადასხვა რჯულის მტრის შემოსევას და დღემდე ვერ მოაღწევდა.

ხევსურული ტრადიციები აისახა მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრ საყელოშიც'', სადაც ხევისბერი მოშუღლართა ჩხუბს სასმელს უკავშირებს და არიგებს თავის სამწყსოს, სასმელს მოერიდონ, რადგან მომეტებულ სასმელს სიკეთე არ ახლავს. გონივრულია ხევსურის არგუმენტი: „სასმელ ბევრას ცუდს ჩადის, - გააწყვეტინა ერთმა ხევსურმა, - მაგრამ სასმელ რომ არ იყოს, მაკეთე რაღაით გავიგათ, მტერნ რაით შავარიგნათ“ [ჯავახიშვილი, 2011:130].

მთიანი აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ხატობები და მასთან დაკავშირებული რიტუალები ლუდის სმით ითვალისწინებდა არა მარტო დღესასწაულების აღნიშვნას, არამედ მოჩხუბართა შერიგებასაც.

თანამედროვე ალბანელი მწერლის, პოეტის, დრამატურგისა და ესეისტის - ისმაილ კადარეს (დაიბადა 1936 წელს) რომანი „გახლეჩილი აპრილი“ მთიანი ალბანეთის ზეგანზე გვიყვება, სადაც სისხლის აღების ისეთივე ტრადიციები არსებობდა, როგორც საქართველოს მთიან აღმოსავლეთში; უფრო მეტიც, საკმაოდ მკაცრად გაწერილი მკაფიო „კანუნებით“, რომლებიც ალბანელ ხალხს უხსოვარ დროში შეუმუშავებია. მეოცე საუკუნის მწერალი ამ ტრადიციებს აცოცხლებს და მკითხველს გასაოცარი მხატვრულობით წარმოუდგენს. „გახლეჩილი აპრილი“ 1978 წელსაა დაწერილი, როდესაც გოდერძი ჩოხელი 24 წლის იყო. ისმაილ კადარე ცნობილი ალბანელი მწერალია, უამრავი ლიტერატურული პრემიის, მათ შორის, ბუკერის მფლობელი, ნობელის პრემიის ნომინანტი. მის შემოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროპული ლიტერატურისთვისაც. იგი დაუპირისპირდა ადგილობრივ ტოტალიტარულ ხელისუფლებას, რაც მის ნაწარმოებებშიც აისახა.

რომანის მიხედვით, მთავარმა გმირმა, ალბანეთის მთიანეთის მკვიდრმა ჯორჯ ბერიშამ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბეული ადათების კოდექსის - „კანუნის'' მიხედვით, ძმის სისხლი უნდა აიღოს, მკვლელს გზაზე უნდა ჩაუსაფრდეს და სიცოცხლეს გამოასალმოს. 26 წლის ბერიშას გამუდმებით აჩვენებენ მოკლული ძმის გასისხლიანებულ პერანგს, რომელიც კულაზე[4] წელიწად-ნახევარი ეკიდა; რათა მუდმივად შეეხსენებინათ ასაღები სისხლი! ამას „კანუნი" მოითხოვდა, მთის მცხოვრებთათვის კი ერთადერთ მიზანს ღირსების დაცვა წარმოადგენდა. მესისხლეთა ფოკუსში მოქცეული პერანგი უცდომელი ბარომეტრივით მიუთითებდა შურისძიების ჟამს. ძმის სისხლის აღება ჯორჯს არ უნდა, მაგრამ ტრადიცია ავალებს, დაიცვას ოჯახის ღირსება. ისმაილ კადარეს რომანში სისხლის აღებასთან დაკავშირებული ყველა პუნქტი ზედმიწევნითაა ჩამოყალიბებული: „კანუნი ითვალისწინებდა იმ შოკს, რომელშიც მკვლელი შეიძლებოდა თავისივე მოქმედებისაგან ჩავარდნილიყო და ამიტომ ნებას რთავდა გამვლელებს, გაეკეთებინათ ის, რის გაკეთებაც მკვლელს არ შეეძლო" [კადარე, 2017:7]. სისხლის აღების მკაცრი წესები ყველა დეტალსა და თავისებურებას ითვალისწინებდა და ნიუანსებამდე იყო გათვლილი.

რომანის მიხედვით, „ოჯახის წევრებს თაობიდან თაობაში ახსოვდათ აუღებელი სისხლი. ეს იყო კლანის არსებითი მეხსიერება და დავიწყება მხოლოდ გრძელვადიანი შედეგების მომტან, რაიმე ისეთ განსაკუთრებულ მოვლენებს თუ შეიძლებოდა გამოეწვია, როგორებიც იყო: უეცრად თავს დამტყდარი საყოველთაო უბედურება, ომები, გადასახლებები, შავი ჭირის ეპიდემიები, როდესაც სიკვდილი უსაფრდებოდათ, სიდიადეს, წესებსა და მარტოობას კარგავდა და, ამგვარად, გახშირებული და საყოველთაო ხდებოდა, ბანალურ რამედ იქცეოდა'' [კადარე, 2017:141-142].

ქორწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, მხიარულ გარემოში მიმდინარეობდა, ხშირად უდებდა სათავეს ჩხუბებსა და ვენდეტებს, მაშინ, როცა დაკრძალვები, რომლებიც მუდამ აუცილებლად სევდიანი იყო, თითქმის არასდროს იწვევდა ჩხუბს. ალბანელი მწერლის მიერ წარმოდგენილი ამბები, წესები, ადათები სრულიად შეესაბამება საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთის ყოფა-ცხოვრებას, მათ შორის, გუდამაყრისასაც. სისხლის აღებასთან დაკავშირებული ადათ-წესები, „კანუნები" მხოლოდ ქართული კულტურის ნაწილი

[4] კულა - კოშკი. წააგავს სვანურ კოშკს, აქვს სათოფურებიც.

არ არის; მას ფართო ფესვები ევროპის შუაგულში, ალბანეთის მთიან ზეგანზეც გაუდგამს, რაც იმის დასტურია, რომ მსოფლიოს ხალხთა წარმოდგენებში ბევრი იდენტური ღირებულებაა. კადარეს შემოქმედებაც სწორედ ამიტომ აინტერესებთ ასე ევროპელებს.

მკვლევარი ნოდარ ნათაძე, ამ ჩვეულებასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ მტრის შებრალების ნებას თემი თავის თავს ვერ მისცემდა, რადგან ეს ელემენტარულ საარსებო და სათავდაცვო მოთხოვნილებებზე ხელის აღებას ნიშნავდა: „თემის მკაცრი მორალი - „მტერს მტრულად მოექეც, თვითონ უფალმა ბრძანაო!“- უბრალო კაპრიზის ან შეუბრალებლობის ნაყოფი კი არ არის, არამედ ნაკარნახევია ცხოვრების მკაცრი აუცილებლობით“ [ნათაძე, 230].

გოდერძი ჩოხელმა სისხლის აღებასთან დაკავშირებული სხვა ჩვეულებაც _ კეჭნაობაც ასახა თავის პროზაში. ეს ტრადიცია ვაჟკაცობის დემონსტრირების სურვილს უკავშირდება. რომანიდან ჩანს, რომ ყველას ჰქონდა ხანჯლით ან ხმლით ჩაკეჭნილი თავ-პირი, კეჭნაობდნენ ხატობაშიც და ქორწილებშიც. დადგენილი წესების მიხედვით, დამჭრელი დაჭრილს საზღაურს უხდიდა, ამ პროცესში თემის თავკაცები მონაწილეობდნენ, გაზომავდნენ ნაჭრილობევს მარცვლით, რამდენი მარცვალიც ჩაეტეოდა ჭრილობაში, იმდენ ცხვარ-ძროხას უხდიდა დამჭრელი დაჭრილს. რომანის პერსონაჟი ბათარეკაი კეჭნაობაში ისე დახელოვნდა, შემოსავლის წყაროდაც აქცია. საზღაურით გამდიდრებული ბათარეკაი საბოლოოდ სიხარბემ დაღუპა, მისი 76 ნაჭრილობევი „გაზომვასაც“ აღარ საჭიროებდა.

ბათარეკაის პერსონაჟს უკავშირდება გამიხარდას ისტორია. რომანიდან იკვეთება, რომ მთაში ვაჟკაცობის გარეგან ნიშანს ხმალი წარმოადგენს, გამიხარდა ხმალს არ ატარებს, ამის გამო „უიარაღო ქალებსაც არ მოსწონდათ და გამიხარდას ალმაცერად უყურებდნენ“ [ჩოხელი, 2016:44].

უიარაღო კაცს გუდამაყრელი ქალიშვილი არაფრად თვლის და მასთან ცეკვასაც თავს არიდებს, (ზურგს აქცევს); ხატის მოედანზე გამართული დღესასწაული სახალხო ტრაგედიაში გადაიზარდა. ქართველი ქალი მუდამ იყო მშვიდობის მოსურნე, მანდილს აგდებდა მოჩხუბართა შესაჩერებლად, მაგრამ გუდამაყარში სხვა რეალობაა. ქალები ახალისებენ კიდეც ძალადობას. რომანში გამოიკვეთა, რომ ქალის, დედის როლსა და დამოკიდებულებას კირივით გაუმაგრებია მავნე ჩვეულება და გამიხარდიას ძალისხმევაც

უშედეგო ხდება, რაც მიუღებელია მწერლისთვის. ის ებრძვის მთის მოძველებულ დრო-მოჭმულ, რეგრესულ ადათს.

ზეპისიტყვიერების ნიმუშებიდან ცნობილია ხატობისას წარმოშობილი კონფლიქ-ტები, რაც აისახა ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაშიც. კონსტანტინე გამსახურდიამ ნოველაში „ხოგაის მინდია“ ხახმატის ათენგენობა ასახა. აქაც კლავენ საკლავს, ხარშავენ ლუდს. ლუდმა ჭინჭარაულებსა და ოჩიაურებს ძველთაძველი სისხლი შეახსენა, ატყდა ხმლების ქნევა: „სტექურას გადაღმა მოქცეულმა დიაცებმა ხატის წესი დაარღვიეს, სტე-ქურა გადმოლახეს და ჩაერიენ მებრძოლებს კივილით“ [გამსახურდია, 2012:304]. აქაც და-ირღვა დაწესებული საზღვრები, ხევსურთათვის მოშუღლეთა გაშველება უფრო მნიშვნე-ლოვანი ხდება, ვიდრე წინაპართა დაწესებული სამანი. მოშუღლართა გაშველება ვერც შვიდმა ცოლმა შეძლო, ვერც ხევისბერის დროშებმა და ვერც წმინდა მანდილმა.

„სულეთის კიდობანში“ ჩართულია ისტორია წმინდა მთის შესახებ. ჩოხი წმინდა ადგილია, აქ ცხოვრობდნენ წმინდა ბერები. მათი სახე არაერთ თხზულებაში გააცოცხლა მწერალმა. მისი ცნობით, ჩოხში ახლაც შეხვდებით უშველებელი ლოდებით ნაშენებ შე-ნობებს - საბერლოებს, დგას დიდი ისტორიის უტყუარი ნიშანი - ქვის ჯვარი, მართალია, ეკლესია აღარ არსებობს, მაგრამ ქვის ჯვარი ეკლესიის არსებობას მოწმობს. ქრისტიანუ-ლი სარწმუნოების სიმბოლოს გვერდს უმშვენებს წარმართული ცნობიერების უტყუარი ნიშანი - ურთხმელის ხე, მასზე ჰკიდია უამრავი დიდი და პატარა ზარი, მლოცველთაგან შეწირული. მისტიკურ გარემოს ქმნის ქარის წამოქროლებაზე აწკრიალებული ზარები, სალოცავის წმინდა გორაზე შეყრილი მლოცველები სურათს რეალურობის ელფერს სძე-ნენ: მკითხველს არ უნდა დაიჯეროს, რომ მფრინავი ბერების უკანასკნელ მოდგმას ეთხო-ვება. ჩოხის წმინდა მთის ტრადიცია გაგრძელდება და კვლავ იფრენენ ბერები - სიწმინ-დის დასტურად.

გოდერძი ჩოხელი თავის მოგონებებში ზარის ხეს იხსენებს და მას რელიგიურ დატვირთვას ანიჭებს: „ჩვენთან ერთი ხე იყო. წმინდა გიორგის გორაზე, ზარის ხე. ხატს რომ საქონელს შესწირავდნენ, იმისი კისრიდან ჩამოხსნილ ზარს ხეზე ჰკიდებდნენ, უამ-რავი ზარი ეკიდა ზარის ხეზე, შეწირული ზარები, უფრო ზემოთ კი - ირმის რქებითა და ზარებით დახუნძლული, მერე ქალაქიდან დაიწყეს ამოსვლა და გაძარცვეს ზარის ხე. ყველას თითო ზარი მიჰქონდა სამახსოვროდ. გუდამაყრელებს გვწამდა - ხატიდან არ უნ-და წაგვეღო რამე. მათ არ სწამდათ. არაფრის არ ეშინოდათ. ეგ ხე მე ფილმში გადავიღე,

„მეკვლეში.“ გაღატაკდა და მოიწყინა ზარის ხემ. ბოლოს გახმა კიდეც. მოუტანით ახალი ხე, დაურგავთ - ახლა ერთი-ორი ზარიღა ჰკიდია ახალ ზარის ხეს“ [ჯიყაშვილი, 2011:101].

ბერების ისტორიაში სინთეზირებულია ქრისტიანული და წარმართული რწმენა-წარმოდგენები; ხე, წარმართული წარმოდგენით, სამი სკნელის ერთიანობის სიმბოლოა, ფესვები დაკავშირებულია ქვესკნელთან, ტანი - შუასკნელთან და ტოტები - ზესკნელთან; ზარი ამ და იმქვეყნიურის მაკავშირებელია. ურთხმელის ხისათვის შეწირულ ირმის რქებს ქალღმერთ დალის უძღვნიდნენ, უძველესი რწმენა-წარმოდგენით, ირმის რქების საშუალებით ადამიანს უფალთან კავშირის დამყარება შეეძლო. ირმის რქები ერთგვარ კარიბჭეს წარმოადგენდა უხილავთან კავშირის დამყარებისა.

წმიდა ბერები ბარში მცხოვრებთ თხილის კალათებით წყალს უგზავნიდნენ, კალათს ერთი წვეთი არ აკლდებოდა, სიწმინდის უტყუარ საზომად ქცეულიყო წყლიანი კალათა: „ამას ღვთის შეწევნით აკეთებდნენ და წმინდა ცხოვრებით აღწევდნენ ბერები“ [ჩოხელი, 2016:54].

ჯადოსნურ საბურველში ეხვევა მთიდან კალათით ჩამოტანილი წყალი, რომელსაც წვეთი არ გავარდებოდა. წყალი წმინდა სითხეა და მას ბარძიმით ასმევდნენ ყველას. მთიდან კალათით ჩამოტანილი წყალი სიმბოლურ სახეს იღებს და ქრისტიანული რიტუალის - ზიარების - საიდუმლოდ წარმოგვიდგება.

ზაზა აბზიანიძის განმარტებით, „მთა - ესაა ვიზუალური გამოხატულება ადამიანის ზესწრაფვისა; მიწისა და ზეცის შერწყმის ადგილი, ღრუბლითა და ნისლით მოსილი იდუმალი *სვეტნი ცათანი,* სადაც ღმერთები ბინადრობენ, ღმერთობენ და, დროდადრო, ადამიანებს ამცნობენ თავიანთ ნებას“ [აბზიანიძე, 2006: 145].

თამაზ ჩხენკელის აზრით, „მთა იგივე ცაა, წვერი ამ მთას ზესკნელში აქვს, ხოლო ფესვი - უფსკრულში... ეს მთა მითოსური ქვეყნის ვერტიკალია, რომელზეც სამი სკნელის გავლით მოძრაობენ ზეაღმავალი ან ქვედამავალი ღვთისშვილები და ღმერთები“ [ჩხენკელი, 205].

ამირან არაბულის შეხედულებით, მითოსური გაგებით, მთა ვერტიკალური კოსმიური მოდელის ცენტრალური ფიგურაა, რომელიც, სიმბოლურად, ცასა და დედამიწას აერთებს. ამ ვერტიკალური გზით ადი-ჩამოდიან ანგელოზები, რომელთაც ადამიანთა საჩივარი მიაქვთ სამყაროს უზენაეს გამგებელთან - „მორიგესთან“ და პირუკუ - ხალხს მის ნება-სურვილს ამცნობენ“ [არაბული,273].

მთის წვერზე მცხოვრები ბერები წელიწადში ერთხელ, ჩოხის წმინდა გიორგის ეკლესიის მოედანზე გამართული დღესასწაულის დღეს, ჩამოფრინდებოდნენ, გოდერძი ჩოხელის შეფასებით, ეს იყო არაჩვეულებრივი სანახაობა.

წმინდა გიორგის მოედანზე ჩატარებული რიტუალი უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და ქრისტიანულის ნაზავია. ქრისტიანული სანთელი და წარმართული კვერები რიტუალის მთავარი ატრიბუტებია. ამ ტრადიციის ასახვა ავტორის სურვილიც იყო, ამიტომ ამბობდა, თუ ვიცოცხლე, საჩოხლო ხატის წმინდა გორაზე ჩატარებული დღეობა ისეთივე სიყვარულით უნდა დავწერო, როგორც სხვებიო [ჩოხელი, 2016:55]. ციტატიდან კარგად ჩანს, რამდენად ღრმად იყო აღბეჭდილი მწერლის ცნობიერებაში ჩოხის უძველესი ტრადიციები.

გოდერძი ჩოხელი ბერების ჩამოფრენის მიზეზს ერთ-ერთ ტრადიციულ რიტუალს უკავშირებს. მასში იკვეთება ჩოხელთა წარმართული რწმენა-წარმოდგენებიც. ტრადიციის მიხედვით, ყოველ წელს, ჩოხელების გვარი შესაწირ ყმაწვილს უზრდიდა ბერების წმინდა მთას. იქ, სადაც ადამიანი ფეხს ვერ დააკარებდა, უტარებდნენ ყრმას რიტუალს: ღვთისგან რჩეულ ყმაწვილს აზიარებდნენ ფრენის წესებს და ყველაფერს, რაც მფრინავ ბერებს გამოადგებოდათ. ბერადრჩეულს გარკვეულ ინსტრუქციას აცნობდნენ, რომლის მიხედვით, მას ყველაფერი ამქვეყნიური უნდა დაევიწყებინა, მეხსიერებიდან უნდა ამოეშალა ახლობელი ადამიანები, განსაკუთრებით, დედა, რომლის სახელიც არ უნდა ეხსენებინა. ახლაც ასეთივე რიტუალით ხდება ბერადრჩეულის დამოძღვრა, მაგრამ პატარას სულში შფოთვა შეინიშნება, სიტყვებით დამაკმაყოფილებელ პასუხებს სცემს, რომ დაივიწყებს დედას და ამის ფასად ფრენის ნიჭსა და უნარს მიჰმადლებს მამაზეციერი, მაგრამ ამ დროს თვალები დედას დაეძებს, სიტყვა „არა“ უკვე არაფრისმთქმელია, მისი სულის სარკე - თვალები საწინააღმდეგოს ამბობს. ეს რიტუალი ნათლობის ცერემონიალს გვაგონებს, ღვთის წიაღში დასაბრუნებულ კათაკმეველს რამდენჯერმე რომ უმეორებს მოძღვარი: „განაგდებ სატანასა?'' მღვდელი ამ სიტყვებს ნათლობის დროს სამჯერ წარმოთქვამს - ამ რიტუალით, სიმბოლურად, მონათლული განშორებულია ბოროტ ძალას. ასეთივე დაჟინებით მოითხოვენ პატარასაგან დედის სახელის დავიწყებას. რაში სჭირდება უფალს მოჰმადლოს ადამიანს ფრენის ნიჭი საკუთარი მშობლის, დედის სახელის დავიწყების ფასად?! მაშინ, როცა უფლის ათი მცნებიდან მეორე

დედ-მამის პატივისცემას ეფუძნება. „აი, კალათი, რომელიც ბერების მთაზე ნაჟური წმინდა წყლით არის სავსე და წვეთი კი არ გასდის, ყოველი წვეთი, რომელიც შენ რწმენას მოაკლდება და როცა გავფრინდებით, ამა სოფლისაკენ მოგახედებს უკან, იცოდე, რომ ბერების საძმოს და ბერების რწმენას მოაკლდება, ამიტომ დავკარგავთ იმას, რაც ბერების მთის მცხოვრებთ დღემდე მოგვიტანა. მომავლის გარეშე წარსული არ არსებობს, გენდობით, შვილო, უკან არ მოიხედო, მანამ მთაზე არ ავალთ“ [ჩოხელი, 2016: 56].

ბიჭი დადებულ პირობას ვერ ასრულებს, ანდამატური ძალა დედისკენ იზიდავს და მისკენ ახედებს, დედაშვილობის უხილავი ძაფი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ცაში ფრენის სურვილი. მოცელილივით დაეცნენ ბერები მიწაზე და ისხდნენ; ჩოხელმა ბერების ფრენის დაკარგვის უნარი არაჩვეულებრივად შეადარა ფრთებდამტვრეულ არწივებს. როგორც ფრთებდამტვრეული არწივები ცდილობენ წამოდგომას, ისე ცდილობდნენ ბერები წამოდგომას. სურათი დრამატულია, მკითხველში დიდ ემოციას იწვევს. წმინდა ბერებისთვის მიუღებელი საქციელი - ბიჭის სასტიკად ცემა აძლიერებს ფრენის უუნარობის ტრაგიკულობას. რომანი ბერებს უკვე მადლდაკარგულ, მიწიერ ადამიანებად წარმოგვიდგენს, ავტორი კი მერამდენედ გვახსენებს, რომ მიწიერი ადამიანები ცოდვილები ვართ.

„განა, ღმერთს იმაზე მეტად არ ვუყვარვართ, ვიდრე ჩვენ გვგონია, რომ ორ ფეხზე დგომა და სიარული დაგვიწესა დედამიწაზე“ [ჩოხელი, 2016: 58]. მწერლის პოზიცია გვარწმუნებს, რომ ასეთი ფრენა არ არის უფლის სურვილი, რადგანაც სამყაროს შემოქმედს არ გაუჭირდებოდა ადამიანის შექმნისას ამ უნარის ჩადებაც. როგორც ბერების ისტორიიდან ჩანს, ჩოხელთა შთამომავლისთვის შემუშავებული წესები წმინდანობის გარანტი ხდებოდა და გვარს სიამაყის განცდას უყალიბებდა _ ყოველწლიურად ფრენის ნიჭმიმადლებულ ყრმათა მომრავლება ამის მყარი საფუძველი იყო. უკანასკნელი რიტუალი წმინდა ბერებისათვის საბედისწერო აღმოჩნდა: ჯიუტი გვარის ჩამომავალმა, ბერადრჩეულმა ყველაზე რთული აკრძალვის აღსრულება - საყვარელი დედის დავიწყება ვერ შეძლო, რითაც საბოლოოდ დაესვა წერტილი ბავშვთა გულიდან დედაშვილური სიყვარულის ამოშანთვას. ავტორი თანაუგრძნობს „ფრთებდამტვრეულ'' წმინდა ბერებს, მაგრამ წინააღმდეგია დედის სიყვარულის დათმობის სანაცვლოდ ფრენის ნიჭის მომადლებისა. ბერების გამორჩეული უნარიც ამაო ხდება ამ ფონზე.

ელდარ ნადირაძეს სამონადირეო მაგია ერთ-ერთ უძველეს სარიტუალო ფორმად მიაჩნია, რომელიც ადამიანმა გამოიყენა: „ადამიანის ცხოვრებაში დიდი როლი ეჭირა ნადირობას, რომლის წარმატებაზე ბევრად იყო დამოკიდებული მისი მატერიალური მდგომარეობა, სამონადირეო მაგია იყო ერთი უძველესი ფორმა, რომელსაც პირველყოფილმა ადამიანმა მიმართა“ [ნადირაძე, 2008:22-23].

საქართველოში ბევრი თქმულებაა, სადაც ქალ-ღვთაებისა და მოკვდავი კაცის სიყვარულის ისტორიაა გადმოცემული. ამ ისტორიებში ნადირთ პატრონი, ანუ ნადირთ ღვთაება სასურველ მამაკაცს ირჩევდა, მას საჩუქრებით ავსებდა, ბოლოს კი კლავდა. ნადირთ ღვთაება ნადირობის მფარველი იყო, მასთან შეხვედრა მონადირეებს ხშირად უწევდათ, ისიც მონადირეს ლამაზი ქალის სახით გამოეცხადებოდა და თავის წესებს სთავაზობდა; ეს, ძირითადად, აკრძალვები იყო. მონადირეს არსად უნდა გაემჟღავნებინა ეს ამბავი, თორემ დაიღუპებოდა. ვაჟა-ფშაველას ცნობით, „ფშაველს ზოგი კაცი ზოგს ხატზე იღბლიანი ჰგონია, უყვარს ნადირობა და ჰგონია, ნადირსაც თავისი პატრონი ჰყვავს. ის ევედრება ნადირთ პატრონს, წარმოადგენს იმას პატარა ქალად, რომ ხელი მოუმართოს; სწამს სიზმარი. მონადირე სიზმრით იგებს, რომ ნადირს მოჰკლავს“ [ვაჟა-ფშაველა, 1961:11].

ნინო აბაკელიას კვლევით, ნადირთ პატრონის ზოგადი სახელებია: „ტყის ანგელოზი“, „კლდის ანგელოზი“, „ტყაში მაფა“ (მეგრული - ტყის მეფე), „დიოფალი“ და სხვა“ [აბაკელია, 1988:12]. მკვლევარი იზიარებს აზრს ელენე ვირსალაძისა, რომელსაც მიაჩნდა, რომ ნადირთ პატრონის ზოგადქართულ სახელს „ალი“ და სვანური „დალი“ წარმოადგენს. დალი ღვთაების, უფლის, პატრონის, ერთ-ერთი უძველესი სახელია და სათავეს მატრიარქალური პერიოდიდან უნდა იღებდეს, ამავე დროს, კავკასიის ზოგიერთ ხალხთან დარჩა კიდეც ღვთაების აღმნიშვნელადო [აბაკელია, 1988:12]. ნინო აბაკელიას კვლევის თანახმად, ნადირთ ღვთაება დაკავშირებული იყო კლდეთა და ბუნების კულტთანაც, „ნადირთ პატრონი, აგრეთვე, უკავშირდებოდა ბუნების სხვა მოვლენებს“ [აბაკელია, 1988:12].

ელდარ ნადირაძის კვლევით იკვეთება, რომ „ქართულ წარმართულ პანთეონში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს სამონადირეო მაგიის პერსონაჟებს: დალის, ოჩოპინტრეს, ტყაშიმაფას, რომელთა მიმართ შემუშავებული იყო რიტუალი სათანადო სავედრებელი ტექსტითურთ. ამ პერსონაჟებმა სასტიკი განრისხება იცოდნენ, თუ მონადირე

დაარღვევდა სამონადირეო წესს, შეეძლოთ არათუ ხელი შეეშალათ ნადირობაში, არამედ დაეღუპათ კიდეც“ [ნადირაძე, 2008:23].

გელა ქისტაურის მოსაზრებით, „მზეს დედამიწაზე განასახირებს ღვთაება დალი, რომელიც გარეულ ცხოველებს მფარველობს“ [ქისტაური, 2014:118]. მკვლევარი ხალხური ცნობების შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ შემდგომ პერიოდში დალი დედამიწაზე მზეს აღარ წარმოადგენდა, ხალხის ცნობიერებაში ის უკვე თმაგაშლილ მავნე სულად წარმოდგება, რომელსაც ოქროს თმები აღარ აქვს, აშინებს მზესაც, რომლის სახესაც ადრე განასახირებდა. ნადირთღვთაება და ბეთქილი ღვთიურ არსებებად მიაჩნია ელენე ვირსალაძეს, მათ ბუნების განახლებას, გაზაფხულის დღესასწაულს უკავშირებს.

ნადირობის ღვთაების ერთ-ერთ ატრიბუტს ძაღლი წარმოადგენდა. ქალღმერთი თავის ნება-სურვილს სწორედ ძაღლის საშუალებით ახორციელებდა, მონადირის თხოვნის შესასრულებლად ან დასასჯელად ამ ცხოველს იყენებდა. მითოლოგიის მიხედვით, ძაღლს მეტამორფოზის უნარიც გააჩნდა, მონადირეს ხან ქორის, ხან მიმინოს სახით ეცხადებოდა. ძაღლს ჰქონდა ასევე ვერძად და ალად გადაქცევის უნარიც.

ელენე ვირსალაძის აზრით, ნადირთპატრონი ქალისა და მონადირის სიყვარულის სიუჟეტი შემთხვევითი არაა ქართულ ფოლკლორისთვის. ამას ეთნოგრაფიული მასალაც ადასტურებს. ქართულ ეპიკურ ძეგლებში ამ სიუჟეტის განვითარებაცაა ასახული: „ეს სიუჟეტი ქართულ ფოლკლორში აღმოცენებულია უძველესი ხანის სამონადირეო პერიოდში შემუშავებულ წარმოდგენებზე ნადირთ პატრონის შესახებ. იგი გამაგრებულია საქართველოში ნადირთ პატრონი ქალის მყარი კულტის არსებობით, რომლის ცალკეულმა გადმონაშთებმა ჩვენს დრომდე მოაღწია. ნადირთ პატრონი, მის მიერ დაღუპული მონადირე და ძაღლი ყურშა ქართველურ ტომთა მითოლოგიის უძველესი პერსონაჟები არიან“ [ვირსალაძე, 1969:117].

სხვადასხვა ხალხთა მითოლოგიაში არაერთხელ გამოვლინდა დედა ღვთაების რჩეულთა ტრაგიკული სიკვდილი: „ამგვარი კულტების მამაკაცი გმირები იყვნენ ატისი, ოსირისი, დიონისე, თამუზი და სხვა, რომლებიც მანამდე ჩვეულებრივ ადამიანებს, მწყემსებს ან მონადირეებს წარმოადგენდნენ და ნადირობის დროს დაიღუპნენ ამა თუ იმ ცხოველისაგან. ეს ცხოველები დიდი დედა ღვთაების პროტოტიპებად ითვლება, რომელიც მოგვიანებით კიბელედ, ასტარტად და ა. შ. იქცა, ხოლო მწყემსები თუ მონადირეები

ამ სიკვდილის შემდეგ იქცნენ მზის, ქვესკნელის ღმერთებად, სამყაროს უზენაეს მმართველებად“ [აბაკელია, 1988:15] მონადირეთა წესი ნადირობისას უფროსუმცროსობას ეფუძნებოდა - თუ უფროსი და უმცროსი ასაკის მონადირეები ნადირს ერთდროულად დაინახავდენენ, იერარქიას იცავდნენ, რომლის მიხედვითაც ნადირისათვის უფროსს უნდა ესროლა; მაგრამ ამის საპირისპირო წესიც არსებობდა, უფროსებს განგებ მიჰყავდათ ახლად წვერულვაშაშლილი ვაჟები, რომლებსაც პირველს ასროლილებდნენ. ეს წესი სწავლა-სწავლების პრინციპზე იყო დაფუძნებული, რითაც გამოცდილი მონადირეები ნადირობის წესსა და რიგს უმცროს თაობას გადასცემდნენ, ნადირობის რიტუალთან ერთად.

ნადირობის დროს მონადირეები ხშირად არჩევნის წინაშე დგებოდნენ: თუ მოჩხუბარ ჯიხვებს გადააწყდებოდნენ, მონადირეს ორივეს მოკვლის საშუალება ეძლეოდა, მაგრამ ის ზნეობისა და მორალის კანონით ხელმძღვანელობდა და სიყვარულისთვის შეჯახებულ ჯიხვებს მოსაკლავად ვერ იმეტებდა. რომან „სულეთის კიდობნის“ პეროსონაჟი ბერდია მონადირეობის წესებს იცავს და მოჩხუბარ ჯიხვებს არ ესვრის: „საიქიოს შესასვლელ კარში აღარ შემიშვებენ, შვილო, ხო ხედავ მაგათ დანდობილობას, იქნებ ეხლა ეგენი სიყვარულისთვის ჩხუბობენ, ნდობაზე დიდი კი არც სიყვარული არ არის, შვილო“ [ჩოხელი, 2016:62].

ბერდია ნადირობისას ზნეობრივი კანონით ხელმძღვანელობდა, „წითელი მგლის“ პერსონაჟის, თევდორესაგან, განსხვავებით. უძველესი რწმენა-წარმოდგენებით, დაუნდობელი მონადირისათვის საიქიოს კარები დახშულია. აკრძალვები გარკვეულ წესრიგს აყალიბებდა სამონადირეო საქმეში. ბერდია არჩევნის წინაშე მაშინაც დგება, როცა ჯიხვისა და მგლის შერკინებას შეესწრება, ჯიხვის მომნადირებელი სოფელში სახელიანი დაბრუნდება, ამაღლდება თანასოფლელთა თვალში. ჯიხვის მონადირება განსაკუთრებულ ძალას საჭიროებს - მონადირემ ფრიალო კლდე უნდა დალაშქროს და მოიხელთოს ჭიუხების მკვიდრი ლაღი ცხოველი.

რომან „მღვდლის ცოდვაში“ გუდამაყარში არსებული სამონადირეო წესები სხვა რაკურსითაა წარმოდგენილი. ამ წესების აღწერა ზეპირისტყვიერებაში მრავლად მოგვეპოვება, ისინი წარმართული რწმენა-წარმოდგენების ცნობიერებითაა ნაკვები. რიტუალებით გამდიდრებული უძველესი ტრადიცია მონადირეთა საქმიანობაში გარკვეულ წესრიგსა და ერთმანეთზე ზრუნვას აყალიბებდა. „ადგილის დედისთვის“ შეწირული

ჯიხვის რქებიც წარმართული რწმენა-წარმოდგენების ნაშთია, ირმის რქები ღვთაებრივი სარკმლის სიმბოლოდ აღიქმებოდა.

ჩოხელის შემოქმედებაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ წესებს ყველა მონადირე ასრულებს, სამონადირეო საქმიანობაში მნიშვნელოვანია გადამალული დურბინდიც, მისი საშუალებით მონადირე ჯიხვთა გადაადგილების ტრაექტორიას საზღვრავს და ყველაზე ასაკოვან ჯიხვს არჩევს, რათა ცხოველთა გამრავლება-განახლებას ხელი არ შეეშალოს. ამ მიზანს ემსახურება ქვამარილიც. სამონადირეო საქმიანობაში უძველეს ტრადიციას იცავს რომანის პერსონაჟიც - მან ქვამარილი მიუვალ კლდეზე აუტანა ბუნების ლაღ შვილებს. ქალღმერთი იმავე თვისებების მატარებელია ჩოხელთან, როგორც მითოლოგიური ნადირთა მწყემსი - ლამაზია და მონადირეებს აცდუნებს. მისი გაბრაზება საბედისწეროა.

გოდერძი ჩოხელის „სულეთის კიდობანში“ ჯადოსნური სამყაროა წარმოდგენილი, როგორც აღვნიშნეთ - აქ ადამიანებივით საუბრობენ ცხოველები, ფრინველები, უსულო საგნები, გველეშაპი პირიდან ცეცხლს ყრის და ავი სულები პარპაშებენ. როგორც მწერლის მთელ პროზაში, აქაც საკრალურად ერწყმის ერთმანეთს რეალური და ირეალური, გამოგონილი და ნამდვილი, წარმართული და ქრისტიანული, შენარჩუნებულია მიჯნური, სამანური მსოფლმხედველობა, რაც გოდერძი ჩოხელის მთელ შემოქმედებას განსაკუთრებული ნიშნით აღბეჭდავს, გამოარჩევს თავისი ეპოქის სხვა მწერლებისაგან.

„სულეთის კიდობნის“ დედააზრის გასარკვევად რომანში ჩართულ პასაჟს - კერიის ისტორიას დიდი დატვირთვა აქვს. აქ კერიის მრავალმხრივი დანიშნულებაა წარმოჩენილი, რაც ავტორს წმინდა ადგილის გააზრებამდე აჰყავს. კერიის წინ ჩატარებული რიტუალები უძველესი რწმენა-წარმოდგენების ანაბეჭდია და მთიელთა ზნე-ჩვეულებას სიღრმისეულად წარმოგვიდგენს.

ზურაბ კიკნაძის კვლევით, კერას კულტამდე ხანაში საკრალური დანიშნულება არ ჰქონდა, ის მხოლოდ საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგანს წარმოადგენდა. ანდრეზების შესწავლის შედეგად, მეცნიერი ასკვნის, რომ მას შემდეგ, რაც ფშაველმა კერიაში აღმოცენებული იფანი და მას ამოყოლილი გველი აჩეხა, ჯვარი სიზმარში ეცხადებოდა პატრონს და მოუწოდებდა, დაეტოვებინა ოჯახი. ფშაური გადმოცემის მიხედვით, ჯვარი ურჩ პატრონს სჯის, ოჯახსა თუ საგვარეულოს ამოწყვეტს. ჯვრის ნებას დამორჩილებული, ტოვებს კერას, „რათა მოიპოვოს ღვთიური პატრონის მფარველობა, შევიდეს მისი მფარველობის ჩრდილში, მოეჭიდოს მის კალთებს“ [კიკნაძე, 1996:29]. კერიის დატოვების

შემდეგ ენიჭება მას საკრალურის გაგება: „და აი, განდევნილები საკუთარი კერიიდან, რომელიც ტერიტორიის შუაგულში აღმოჩნდა, კვლავ შუაგულისაკენ გაიწევენ, მაგრამ ეს იქნება არა საყოფაცხოვრებო, არამედ - საკრალური შუაგული“ [კიკნაძე, 1996:30]. გოდერძი ჩოხელის პროზაშიც კერა არა მარტო საყოფაცხოვრებო დანიშნულების ადგილია, არამედ - წმიდათაწმიდაა, თავისი მრავლშრიანი დანიშნულებით, ფუნქციით.

სერგი მაკალათიას კვლევის მიხედვით, მთიულეთში ოჯახის მფარველად ფუძისა და სახლის ანგელოზი ითვლება: „მთიულის წარმოდგენით, მუდამ მის ოჯახს დასტრიალებს და მზადაა მას ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს“ [მაკალათია, 2005:166], ამიტომაც მთიული ავადმყოფობისა თუ განსაცდელის დროს ფუძის ანგელოზს რიტუალური კვერებითა და სანთლებით ევედრება. აღნიშნული რიტუალი სინთეზირებულია წარმართული კვერებისა და ქრისტიანული სიმბოლოს - სანთლების ფონზე. მართებულად შენიშნავს მკვლევარი მერაბ მიქელაძე: „კერაა ოჯახის ერთიანობის და ნაყოფიერების სიმბოლო, ასევე, კარიც, გააზრებული რელიგიურ კონტექსტში. შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო ფართო სოციალური ერთეულის - თემის, საგვარეულოს ერთიანობის გამოხატულება“ [მიქელაძე, 2014:81]. გოდერძი ჩოხელის კერიის დანიშნულება მრავალშრიანია, რომანში კერიაა საკრალურის ეპიცენტრი, აქ ტარდება არაერთი რიტუალი, რომლებსაც წარმართული ცნობიერების კვალი ატყვია:

„კერია სახლის საფუძველია.

კერია სახლის საძირკველია.

კერია სახლის სალოცავია,

კერაზე ენთება ცეცხლი.

კერაზე ცხვება სანთლის შესაწირი ქადა.

კერაზე ხდება სანთლის ჩამოქნა“ [ჩოხელი, 2016:104].

როგორც ვხედავთ, ავტორს კერიის სახით საყოფაცხოვრებო და საკრალური ფუნქციით აქვს წარმოდგენილი საცხოვრებლის - ოჯახის შუაგული, რაც ბევრი ერისათვის გასაგები და გაზიარებული ფენომენია.

მკვლევარი ლევან ბებურიშვილი სტუმართმასპინძლობის წეს-ჩვეულებას კერიის კულტთან აკავშირებს, რადგან კერა, მთიელთა წარმოდგენით, უწმინდესი, საკრალური ადგილია [ბებურიშვილი, 2018:151]. მერაბ მიქელაძემ საფუძვლიანი კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ „კერა ქვესკნელის, დედამიწისა და ზეცის საკრალური ცენტრი იყო. კერაში

ცხადდებოდა სამივე სკნელში მზის მოძრაობის ციკლი - ქვესკნელიდან ზესკნელამდე, რითაც ყოველდღე მეორდებოდა ქაოსიდან სამყაროს შექმნის აქტი“ [მიქელაძე, 2014:244]. „კერა“ ქართულ ყოფაში ნაყოფიერებას, ბარაქას, სიცოცხლეს, ცეცხლს უკავშირდება, ხთონურ სამყაროში გასასვლელ „კარსაც“ აღნიშნავს. „კერიის“ გარშემო ბევრი რელიგიური რიტუალი ტარდებოდა. კერიაზე ჰკიდია საკიდელი - ესეც სიწმინდეა მთიელი კაცისთვის, იმდენად დიდი, რომ, ვინც მას შეეხება, მტერიც რომ იყოს, სიცოცხლეს უნარჩუნებენ.

ქისტური ადათ-წესების მიხედვით, „პურ-მარილის“ ძალა იმდენად დიდია, რომ მოსისხლე მტერსაც იწყალებენ (ხანგოშვილი, ,,ქისტური ადათ-წესები“) (ელრესურსი).

კერიის წინ ტარდებოდა საქორწინო რიტუალი, სადაც ნეფე-დედოფალს შემოატარებდნენ, ხანჯლებს სცემდნენ და ლოცულობდნენ, აქ წყდებოდა ოჯახის საქმეები, აქ ჰყვებოდნენ საგმირო ისტორიებს უფროსები, საპატიო ადგილზე სვამდნენ სტუმარს, აქ მღეროდნენ. კერია წმინდა ადგილად მიაჩნდათ, ამიტომ მის პირას უწმინდური ქალი ვერ დაჯდებოდა. ღადარს, როგორც სიცოცხლისა და განახლების სიმბოლოს, წმინდად ინახავდნენ, დილით აღვივებდნენ. გაღვივებული ღადარი განახლებული სიცოცხლის სიმბოლოს წარმოადგენდა. კერიის საკრალური ფუნქცია გოდერძი ჩოხელის ტექსტშიც ბუნებრივად შემოდის. მწერალი მოწიწებით უყურებს კერიაზე ჩამოკიდებულ ჯაჭვსაც - მთიელთა წარმოდგენით, ჯაჭვი ღმერთისა და ადამიანის უშუალო კავშირის გამომხატველი იყო.

მწერალმა რომანი „სულეთის კიდობანი“ სიმბოლურად დაასრულა ბენიამინის ისტორიით, რითაც საკუთარი შემოქმედებითი პრინციპის ერთგვარი გასაღებიც მოგვცა. ავტორი წარმართულსა და ქრისტიანულს შორის ერთმნიშვნელოვნად იხრება ქრისტიანული სარწმუნოებისკენ: ბენიამინისა და თადეოზის ისტორია წმინდა მთის, ათონის ივერთა მონასტრის დიდების წარმოჩენას ემსახურება. ჩოხელი მიმართავს ისტორიზმის ხერხს, ჰაგიოგრაფიული და ისტორიული პასაჟების მოშველიებით გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ მის მიერ შემქნილი მხატვრული სახეებიც ისტორიული პიროვნებები არიან. ისტორიიდან ცნობილია, რომ ბიზანტიის სამეფო კარს აუჯანყდა დიდებული ბარდა სკლიაროსი, ქართველთა მეფემ, დავით კურაპალატმა, ბერძნებს ჯარი მიაშველა, რომელსაც სარდლობდა თორნიკე ერისთავი. ქართველთა დანთხეული სისხლის საფასურად აშენდა ათონის ივერთა მონასტერი, ჩაეყარა საფუძველი ქართველ ბერთა ათონურ

საქმიანობასაც. ქართულ ლიტერატურაში ჯეროვნად აისახა ეს მოვლენა - ათონის მონასტრის ერთ-ერთი დამაარსებლის, გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში „იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრება“ წარმოჩნდა წმინდა მამათა ღვაწლი, აკაკი წერეთელმა ვრცელ პოემაში „თორნიკე ერისთავი“ მხატვრულად გადმოსცა ისტორიული ფაქტი. პოემაში აკაკი განძეულის საკითხზეც ამახვილებს ყურადღებას და ბერი თორნიკეს სარდლობაზეც. მეფემ და დიდებულებმა ვერაფრით ათქმევინეს უარი აღთქმის აღსრულებასა და სულიერი მოსაგრეობის სურვილზე ქართველთა მთავარსარდალს. საბოლოოდ, რწმენის დაცვის სადარაჯოზე მყოფი ქართველი კათალიკოსი ბერს ხელში ხმალს ააღებინებს და გამარჯვებასაც მოაპოვებინებს. ხაზგასმულია რწმენის ზეობა.

გოდერძი ჩოხელმა ათონის ივერთა მონასტრის მოამაგეთა ღვაწლი საქართველოს პოლიტიკური მმართველობის იდეოლოგთა ფონზე წარმოაჩინა. რომანი ისტორიულ ამბავს - მონასტრის ყოფნა-არყოფნის საკითხსაც ეხმიანება. „სულეთის კიდობანში“ ათონის ივერთა მონასტერი ძველებური დიდებულებითა და მისიით წარმოგვიდგება. წმინდა ბენიამინი, გრიგოლ ხანძთელის მსგავსად, მოღვაწეობს, მასავით ღრმა მოხუცებულობამდე ცოცხლობს: „არსებობს მშვიდი, ღვთივკურთხეული სიკვდილი. ასეთი სიკვდილით მიიცვალა 1917 წლის შემოდგომაზე ათონის ივერთა მონასტრის ბერი ბენიამენი“ [ჩოხელი, 2016:116]. მის სიკვდილს მოწაფეები ისეთივე წუხილით ხვდებიან, როგორც წმინდა გრიგოლისა, ვფიქრობთ, სიმბოლურად დაუკავშირა ერთმანეთს ჩოხელმა ბენიამინისა და წმინდა გრიგოლის ცხოვრებისეული ეპიზოდები. ავტორი რწმენის აყვავების, უფალთან დაბრუნების გზად, სივრცედ ათონის წმინდა სავანეს სახავს, რომელსაც დიდი განსაცდელი ელის. ბენიამინის ცხოვრების ეპიზოდები რწმენაში აძლიერებს ათონის მონასტრის ბერებს - იმდენად, რომ ათონი კვლავ იარსებებს ქართველთა რწმენის სიძლიერის დასტურად. ბენიამინს დამოწაფებული თადეოზი ასოციაციურად კვლავ გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ გვახსენებს, გრიგოლისა და მისი თანამოსაგრე ბერების მიერ არსენისა და ეფრემის დამოწაფების ეპიზოდს. ჰაგიოგრაფიული თხზულებიდანვეა ცნობილი არსენის კათალიკოსობა, ეფრემის ეპისკოპოსობაც, საქართველო ერთიანობის დვრიტაც („ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების...“). ჩოხელი გვიჩვენებს, რომ ბენიამინისნაირი წმინდანების ხვედრი უფალთან ყოფნაა: „კედელი თვალისმომჭრელი შუქით განათდა, იმ სინათლიდან გამოვიდა მაცხოვარი, ბენიამინი გულზე მიიყრდონო და უთხრა: წამო, შვილო, წამო“ [ჩოხელი, 2016:117].

ჩვენი დაკვირვებით, სიღრმისეული ქრისტიანული დისკურსი „სულეთის კიდობანში“ სწორედ ბენიამინის თავგადასავალშია არეკლილი. ათონის მთის ბერთა საძვალეს განჩინებული აქვს თავისი რიგი და წესი, რომელსაც ბერები ზედმიწევნით იცავენ. ავტორი დეტალურად გადმოსცემს წმინდა ბერთა ძვლების დავანების წესს, მასში იგრძნობა პიროვნული დამოკიდებულებაც: „ეს უფრო ტაძარია, ვიდრე საძვალე“ [ჩოხელი, 2016:-117].

სიმბოლურია წინამძღვრად თადეოზის არჩევა - ის მონასტრის საქმიანობას ბენიამინის მსგავსად წარმართავს.

ავტორმა თადეოზის სახის გასახსნელად მისი ბავშვობის მოგონებები გამოიყენა, ამბები, რომლებმაც გავლენა მოახდინა მის ქვეცნობიერზე და დაღად დააჩნდა მთელ ცხოვრებას.

მაჩვი შესჩვეოდა სოფელს და დიდად აზარალებდა ხალხს, ცხოველს უსასასტიკესი ხერხით იშორებენ გუდამაყრელები, მაჩვსაც და მის შვილსაც ქვა-ღორღში ჩაკლავენ. აქ მწერალს ანტისაბჭოთა დისკურსი შემოაქვს: გუდამაყრელთა ასეთი დაუნდობელი საქციელი, მისი აზრით, საბჭოთა მმართველობის სისასტიკის ანარეკლია. თხზულებაში რეჟიმის მამხილებლად გვევლინება თადეოზის მამა, მან გაბედა ხმამაღლა ეთქვა ის, რასაც სხვები ვერ ბედავდნენ, მაჩვისაგან კი არა, ამათგან არ გვაქვს მოსვენებაო. რეჟიმი შემოჩვეულ მაჩვზე დიდი მტერია არა მარტო გუდამაყრისათვის, არამედ - მთელი ქვეყნისათვის - ასეთია ჩოხელის პოზიცია.

თადეოზის ტრაგიკული ამბავი ამით არ სრულდება. მომაკვდავი მამა ბებიამ, ორი მოხუცის დახმარებით, სახლში გადაიყვანა. დედა „მირეული“ იყო და, არსებული წესით, სამშობიაროდ მდინარის გადაღმა, საგანგებოდ აშენებულ ბოსელში იმყოფებოდა. ღრმა ემოციით გადმოსცა ავტორმა თადეოზის მამის სულეთის ქვეყნისაკენ გადასახლების ამბავი. მწერალი სიღრმისეულად გვიხატავს დედის განცდებსაც, დედაშვილობის წმინდა კავშირის რღვევას სიკვდილის ანგელოზები - მოვალეობის შემსრულებლები ვერ უძლებენ და თვალს არიდებენ. ამ პასაჟით ავტორმა დედაშვილობის მტკიცე და წმინდა კავშირს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.

ქრისტიანული რიტუალია წარმოდგენილი დედის დატირებაში. თაფლის სანთელი სიმბოლურად მიცვალებულს სულეთისაკენ მიმავალ გზაზე დაუბრკოლებლად გავლაში ეხმარება: „დამითხოვიხარ, ნუღა შემომტირი, გამშორდი დედაშვილობით (ქალი

სულეთის კაცებს მიუბრუნდა: წაიყვანეთ, ნუ დაგენანებათ, ოღონდ მშვიდობის გზებით ატარეთ). წადი, დედაო, გაჰყევი, ნურც რა შეაგაშინებს, ნუმცა დამიღონდები, მალედამც შეეყრები შენ სწორთ. უდედობით ნუ იტირებ. გაჰყევი, შვილო, მაინც არ გწირავენ; მე დამითხოვიხარ, ჩამიბარებიხარ სულეთის კაცთათვის, გიყვარდა ყველაი, მაგრამ ეხლა უნდა გასწირო, თუ რამეში შესცდი: ხელით, ენით, თვალით, სუ ყველაფერი გეპატიოს, ცოდვად ნუ გადაგხდების, წადი, ჯვარი გეწეროს, ალალიმც არის შენზე ჩემი ამაგი, მე დამითხოვიხარ, უნდა გავიყაროთ დედაშვილობით; სულეთის ღმერთიმც ჩაგიბარებს, ისიმც დაგაყენებს ნათელს, მშვიდობით, ჯვარი გეწეროს, ნათელშიც იქნები“ [ჩოხელი, 2016:122].

ჩოხელმა ამ პერსონაჟით მტკიცე ხასიათის, ღირსეული და გამორჩეული დედის სახე დაგვიხატა, ამავდროულად, შექმნა ჭირთამთენი დედის უნივერსალური მოდელიც.

თადეოზსა და ბებიას შორის გამართული დიალოგი სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ თემას ეხება. ბიჭი სულეთის ქვეყნითაა დაინტერესებული, სურს ჩაწვდეს ყველა ადამიანისთვის საინტერესო და იდუმალ ადგილის არსს. ღრმა ტკივილი იგრძნობა კითხვაში, პატარა ძმა და დედა თუ ნახავენ ერთმანეთს სულეთის ქვეყანაშიო. ბებიის ცოდნა უხილავი და იდუმალი სამყაროს მიმართ მცირეა, მხოლოდ ის იცის, რომ არსებობს, სულეთის ქვეყანა ერთია და ხმელეთის ბოლოს, ცის ნაპირს იქითაა: „ცის ნაპირის იქით ხორციელი ვერ მიდის, თორემ რამდენი წავიდოდა თავისიანების სანახავად?!“ [ჩოხელი, 2016:124].

მიღმიერი სამყაროსადმი ინტერესი კონკრეტული ავტორის სულისკვეთებასაც გამოხატავს და, ზოგადად, ყველა ცოცხალი ადამიანისა, ვისაც მუდამ აფიქრებს პასუხგაუცემელი კითხვა: არსებობს თუ არა და როგორია იგი - მიღმიერი სამყარო? აზროვნება და მარადიულზე მუდმივი ფიქრია ის ღვთაებრივი უნარი, რაც არწმუნებს ადამიანს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ამ უკიდეგანო სამყაროში მხოლოდ მტვრის ნაწილაკი არაა.

ხევსურები სამოთხეს მრავალსართულიან კოშკად წარმოიდგენენ, მუდამ მზით განათებულად, კოშკის ირგვლივ - ხეივნით, წყაროთი; მადლიანები მაღალ სართულზე ცხოვრობენ, ნაკლებად მადლიანები - დაბლა, იქ მხიარულობენ და ანკარა წყალსაც სვამენ [მაკალათია, 2005:50].

ბედი-მდევარივით დაჰყვება თადეოზს მთის მკაცრი წესები, მამის საფლავსაც მარტო თხრის. ბებიის დახმარებით დაასვენა სასტიკად მოკლული მამა, მაგრამ მთის

წესები ქალს საფლავის გათხრას უკრძალავს, ამიტომაც მარტო ასრულებს მამაკაცთა მოვალეობას, ჯერ კიდევ ბავშვი. ამ კონტექსტითაც იკვეთება, რომ მწერალი მთის ზოგიერთ წესს, განსაკუთრებით სასტიკსა და დაუნდობელს, არაჰუმანურს, არ იწონებს.

თავს ზედიზედ დამტყდარი უბედურებები სამ დღეში აკაცებს თადეოზს. ძლიერი მონატრება სულეთის ქვეყანაში მოგზაურობის სურვილს ბადებს, ბიჭი მარცვლეულის კიდობანში წვება. სიმბოლურად გვესახება მარცვლეულის კიდობანი, მარცვლეული, პურია - უფლის პარადიგმა, უფლის გზით კი შესაძლებელია სკნელთა შორის კავშირის დამყარება. სამი დღის შემდეგ დასაფლავებას უპირებენ ბიჭს, საფლავიც გაჭრეს, მაგრამ უხილავ ქვეყანაში გაფრენილი სული უკან ბრუნდება და თადეოზის უმანკო სხეულში იბუდებს: „ღმერთს ვთხოვე სულეთის ქვეყანა ეჩვენებინა, ამიტომ ჩავწექი კიდობანში და გავცურე კიდეც. კარგია სულეთის ქვეყანა, დედა, მამა, ძმა, ვნახე, წამოსვლა აღარ მინდოდა, მერე ჩემ წინ თასით წყალი დაღვარეს და მიბრძანეს: „წადი და სანამ შენი აქ მოსვლის ჟამი არ მოვა, ქვეყანას ემსახურეო, ნეტავ გენახა, რა დიდებულია სულეთის ქვეყანა და რა ბედნიერები არიან ყველანი“ [ჩოხელი, 2016: 125-126].

რომანში კიდობანი ზღაპრულ ძალმოსილებას იძენს, ძალუძს ორ სამყაროს - ქვესკნელსა და ზესკნელს შორის დაამყაროს კავშირი. ჩოხელი ღვთაებრივი ძალით მოსავს კიდობანს, ნოესეული კიდობნის მსგავსად. ცურვის დასრულება ახალი ცხოვრების დასაწყებად ამზადებს შიგნით მყოფს. კიდობანს სიმბოლურად ღვთისმშობლის წიაღად მოვიაზრებთ - ის ახალი, მართალი ცხოვრების გზას გვაჩვენებს. თასი, სიმბოლურად, დროის საზომია, რომელიც სულეთის ქვეყანასა და დედამიწას შორის გარკვეულ საზღვრებს ადგენს, თასი სულეთის ქვეყანაში ყოფნის დროსაც განსაზღვრავს, რის შემდეგაც დაბრუნება აუცილებელია.

მგელიკასა და თადეოზს შორის კონფლიქტი დაყრუებული და დაბრმავებული სოფლის სახეს წარმოაჩენს. არსებულ იდეოლოგიას თავისი კვალი დაუტყვია ხალხისთვის. ყველა უნჯად, მუნჯად, გულჩვილად და ლმობიერად უქცევია. ილია ჭავჭავაძის *ბედნიერი ერის* ნაწილია გუდამაყარიც, რომელიც ძალადობას ეგუება, მასობრივი ურწმუნოების ფონზე ავტორი პოულობს ღვთისნიერ კაცს და თადეოზის დამჩაგვრელს ხანჯლით გულს უგმირავს, რითაც გვაიმედებს, რომ, გადაგვარების მიუხედვად, მაინც აღმოჩნდება გმირი, ვინც ბოროტებას წინ აღუდგება და დაჩაგრულს დაიცავს.

სიმბოლურია თადეოზისა და ბენიამენის შეხვედრა ძველ გზაზე, საიდანაც დაჩაგრული და ობოლი ბიჭი ათონის ივერთა მონასტერში აღმოჩნდება, ძველი გზა - ვახტანგის, უფლის გზაა ცოდვით დამძიმებულთათვის, რომელთაც ავტორი სასტიკ, გულგრილ, ურწმუნო, სულიერებისაგან დაცლილ ბრბოდ გვიხატავს.

საქართველოში წარმატებული პოლიტიკური პროცესების მაუწყებელია ათონის ივერთა მონასტრისათვის ქართველი დიდებულების მიერ შეწირული კანდელი. ის სასწაულებრივი მადლმოსილებით ანიშნებს ბერებს ავსა და კარგს, წრიული ბრუნვა სიმბოლურად კარგის მანიშნებელია, მასში სამყაროს წრებრუნვის, სიცოცხლის იდეაა ჩადებული, ხოლო მარჯვნივ, მარცხნივ, თუ ვერტიკალურად მოძრაობა ცუდის ნიშანია. საქართველოსთვის მიუღებელი პოლიტიკური პროცესების მაცნე ხდება კანდელი, ბერები ეთხოვებიან წმინდა ბენიამენს და, ამავდროულად, წმინდა ათონსაც.

ავტორი წინასწარმეტყველივით გვაუწყებს საქართველოს ბედს: „საქართველოს კიდევ ერთხელ წაუჭერს ყელში ლახვარს სატანა, კიდევ მორიგი მტრის უღელს დაადგამენ საკუთარი შვილები და ივერიონის აღსავლის კართან დაკიდებული კანდელიც სამწუხარო რხევებს დაიწყებს, ამას მოჰყვება ქართველების იძულებითი წამოსვლა საქართველოში, სადაც რუსეთს უკვე შემოტანილი აქვს წითელი უღელი“ [ჩოხელი, 2016:128]. სიმბოლურია ათონის მთაზე ქართველი ბერის დატოვება, იმედია, რომ ქართველები კვლავ დაბრუნდებიან წმინდა მთაზე და მამა-პაპათაგან სისხლითა და შრომით აგებულ ტაძრებში კვლავ ახმიანდება ქართული წირვა-ლოცვა. რომანის მიხედვით, თითქმის ყველა მოღვაწე ფიზიკურად გაანადგურეს, ერთი არმაზში აკუწეს, ერთი შიომღვიმეში მოკლეს, ერთი - ბეთანიაში, ერთი ბერი რევოლუციონერებმა (ქართველმა) ხიშტზე წამოაგეს... ასე შეეგება წითელუღელდადგმული საქართველო მონატრებულ შვილებს. ჩოხელი ასახვის ამგვარი ხერხით გვიჩვენებს, რომ „გაწითლებულ“ საქართველოში ღმერთის ადგილი აღარ არის.

სამშობლო განსაცდელშია, უღმერთო იდეოლოგია ქვეყანას სულიერ განადგურებას უქადის. სამშობლოში დაბრუნებული ბერების დიდი მისია ვერ აღსრულდა, ერი რწმენის გზაზე ვერ დააყენეს.

სამშობლოში დაბრუნებული თადეოზი მთელი სიმძიმით გამოცდის რეჟიმის სისასტიკეს, დახოცილებთან ერთად საფლავშიც აღმოჩნდება, ამოსვლასაც ახერხებს და საფლავთან მდგარ ყარაულსაც დააღწევს თავს. ყარაულის ძახილი, „მღვდელი გაიქცაო,“

მკაფიოდ წარმოაჩენს ურწმუნოთა, ღვთისმგმობელთა რეალურ სახეს. ეს ის რეჟიმია, საფლავებს ყარაულს რომ უყენებს. ირონიულია პასაჟი - ცოცხალთა მაკონტროლებლები დახვრეტილთა საფლავებსაც „აკონტროლებენ.“

ბედი-მდევარი მაინც წამოეწია თადეოზს: სიცოცხლე იქ დაასრულა, საიდანაც, ნოეს მსგავსად, უნდა გაეცურა სულეთის ქვეყანაში მოსახვედრად, იმ იმედით, რომ ისევ უკან დაბრუნდებოდა. წითელი სატანა აქაც დადარაჯებულია, ყველგან მხედი თვალით კიდობანში ჩაკლავს იდეას, რომელიც ასულდგმულებდა უფლის მორწმუნე თადეოზს. ასე ასამარებდა საბჭოთა რეჟიმი ყველაფერს ქართულს, ქრისტიანულს, სულისმიერს.

მასობრივი დაშინება იყო მთავარი იარაღი ხალხის სამართავად. არსებულმა იდეოლოგიამ შეძლო ხალხისათვის პირში წყალი ჩაეგუბებინა, თვალზე დოლბანდი აეფარებინა, დაეყრუებინა და გული ამოეგლიჯა. გოდერძი ჩოხელმა ბენიამინის ისტორიით იდეოლოგიის მანკიერი მხარე მკვეთრი ფერებით დაგვიხატა და მთელი სიმძაფრით განგვაცდევინა პერსონალური ტრაგედია, მიგვანიშნა, რომ რეჟიმის მსხვერპლი მხოლოდ თადეოზი არ იყო. პერსონაჟი ზოგადი სახეა წმინდა ადამიანისა, რომლის ცხოვრების გზა სატანური რეჟიმისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

რომანის ფინალური ნაწილი რწმენისა და ურწმუნოების ჭიდილია. პირიმზის მოედანს წარღვნა დაატყდა თავს, რადგან ცოდვა მომრავლებულიყო, ერთიანად შთანთქა წმინდა ადგილზე შენობები, კიდობანიც - თავის ნივთებიანად; ადიდებულ მდინარეში აატივტივა სხვადასხვა საგანი, ღვთის რისხვა ერთნაირად დაატყდა თავს დიდი ისტორიისა და ქველისმქმნელ საგნებსა და ბოროტების სიმბოლოებს, მათ შორის ტივტივებდა საფლავის ქვაც წარწერით: „რისთვის ბადებ უბედურსა, რისთვის შაჰყრი მთვარე - მზესა“ [ჩოხელი, 2016:135], რაც, ბუნებრივია, სულიერი განცდის ანარეკლია.

მამა-შვილი ფარდაგს იჭერს, რომელზეც ვახტანგის ანდერძი ნახევრად ამოჭმულია. რჩება იმედი, რომ რწმენა ქვეყანას გაადაარჩენს, მზე და ცისარტყელა უკეთესი ხვალინდელი დღის იმედს იძლევა: „მზემაც ამოანათა, თავზეც ცისარტყელა გამოისახა, რომელიც მთიდან რკალად წვდებოდა გუდამაყრის ვიწრო ხეობას, შუა რკალი ცის მოკრიალებულ გუმბათზე ჰქონდა მიბჯენილი, ხოლო შვიდფერი სვეტის ერთი ბოლო - აღმოსავლეთის მთაზე, მეორეთი დასავლეთის მთას ეყრდნობოდა და პირიმზის ეკლესიის ეზოში დაფენილი წვიმით გარეცხილი ხალიჩა, რომელზეც საქართველო იყო ამოქარგული, ცისარტყელადან ჩამომდგარი შუქით უცნაურად გაბრწყინებულიყო“ [ჩოხელი, 2016:136].

მითოსური ხილვის ფონზე მამა-შვილი დაჩოქილი, სევდიანი იმედით გაჰყურებდა ცისარტყელას: „ხეობის ბოლოს, მდინარის შუა ტალღებზე, სულეთის ქვეყნისაკენ მიტივტივებდა კიდობანი“ [ჩოხელი, 2016:136].

რომანის მთავარი გმირი, შვილთან ერთად, ვიწრო ბჭეში შემავალი ადამიანია, რომელიც ცხოვრების რთული გზით მარადიულობას, სულის უკვდავებას მოიპოვებს. ყველა დროში ვიწროა უფლისკენ მიმავალი გზა და მცირედნი მიჰყვებიან ამ გზას, მაგრამ კიდევ უფრო რთულია ეს არჩევანი საბჭოთა მმართველობისას, რომელიც ყველაზე დაუნდობელი მეთოდებით ებრძვის სულიერებას, უფლის სიყვარულს.

გოდერძი ჩოხელი „სულეთის კიდობანში“ მითოლოგიური ნარატივისა და ბიბლიური სიუჟეტების გარდაქმნით წარმოგვიდგენს ორი რწმენა-წარმოდგენის - წარმართულისა და ქრისტიანულის ერთგვარ სინთეზს, ისტორიულ წარსულსა და საკრალური დანიშნულების მქონე ნივთების მუზეუმში გვამოგზაურებს, მაგიურ კიდობანში გამომწყვდეული ნივთების უბედო ბედს გვიზიარებს, გვინერგავს იმედს, რომ ჩრჩილის მიერ ნახევრად შეჭმული ანდერძი მეფე ვახტანგისა განახლდება, „წითელი რეჟიმის“ მიერ დაღდასმულ ქვეყანას მოხედავს უფალი, ღვთისმშობელი გადმოაფარებს მადლიან კალთას, ათონის მთიდან ისევ მოეფინება ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტი ნათელი, მთიან გუდამაყარში დავანებული წინაპართა ათასწლოვანი მისტერია კი კვლავ იარსებებს, როგორც თვიმყოფადობისა და ინდივიდუალურობის, იდენტობის დასტური.

თავი III

ძველისა და ახლის სინთეზი მცირე პროზის მიხედვით

3.1. *წარმართული რიტუალების ანარეკლი*

(მოთხრობები „ჩემი წიგნი“, „თოვაში გასვენებული დღესასწაული“)

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ ზემოთ, გოდერძი ჩოხელი უძველეს რწმენას ათანხმებს ქრისტიანობასთან, რწმენა-წარმოდგენათა ერთგვარი „დაზავებით“, გარკვეული კომპრომისით ქმნის ნაწარმოებებს, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს მწერლის მსოფლმხედველობას.

გოდერძი ჩოხელის მიერ შექმნილ რომანებსა და მოთხრობებში უძველესი და ახალი, ქრისტიანული ეპოქის ადათ-წესები და რიტუალები ისე შესისხლხორცებია ერთმანეთს, ხშირად გამიჯვნაც ჭირს, რადგან მათ შორის მკვეთრი ზღვარი წაშლილია. ამ მხრივ, მწერლის თხზულებები ორიგინალურია გამოსახვის თვალსაზრისითაც.

მწერალი მთიულეთსა და გუდამაყარში არსებულ წარმართულ რიტუალებზე ამახვილებს ყურადღებას მოთხრობაში „ჩემი წიგნი“. ეს რიტუალები ამ დრომდე შემორჩენია აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობას - „ჩიტთაფაფაობა“ და „თაგვთუქმობა“.

მწერლისთვის გუდამაყრის ხეობა უცნაური დიდი წიგნია, რომელსაც ყდებად მთები აქვს, მზე და მთვარე თანასწორად ანათებს იმ ჯადოსნურ სამყაროს, რომელშიც შემოქმედი მკითხველსაც ამოგზაურებს და იმ კულტურასა და ტრადიციებს აცოცხლებს, რომელთაგანაც ზოგიერთი დღესაც ცოცხალია, ზოგი - მივიწყებული და ზოგიც - ძირეულად შეცვლილი.

გუდამაყარსა და მთიულეთში ჯერ კიდევ სცემენ თაყვანს კერპებს, ეთაყვანებიან ცხოველებისა და ფრინველების კულტ(ებ)ს. აღმოსავლეთ მთიანეთის ყველა კუთხისთვის აქტუალურია მოსავალთან დაკავშირებული გაკერპება ცხოველებისა. ადგილობრივ მოსახლეობას სახნავ-სათესი მიწა მცირე ჰქონდა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები არ აძლევდა მისი გაფართოების საშუალებას, ამიტომაც მოსავალს მთელი ძალით იცავდა, ქმნიდა რიტუალებს, რომლებიც საზრდოს გადარჩენისთვის იყო აუცილებელი. ზარალის მიმყენებელ ცხოველებსა თუ ფრინველებს, მომადლიერების მიზნით, ცეკვა-სიმღერითა და ფერხისებით „ებრძოდნენ“. მთიელთა რწმენით, რიტუალები ზეგავლენას მოახდენდა ცხოველებზე და მოსავალს შეეშვებოდნენ.

„თაგვების დღესასწაული“/„თაგვთუქმობა“ აღმოსავლეთ მთიანეთის ყველა კუთხისთვისაა დამახასიათებელი. ამ დღეს უქმეს იცავენ მთიულებიც, გუდამაყრელებიც, ხევსურებიც და მოხევებიც. ნინო აბაკელიას ცნობით, ზოგი „თაგვის უქმეს“ დიდმარხვაში იცავდა, ზოგი - ყველიერის კვირას. ასე რომ, ქრისტიანულ მარხვასთან ერთად, თემი წარმართული რწმენა-წარმოდგენით ნასაზრდოებ რიტუალსაც იცავდა.

ნინო აბაკელიამ შეისწავლა აღმოსალეთ მთიანეთისთვის დამახასიათებელი დღესასწაულები და მათთან დაკავშირებული რიტუალები წარმოადგინა წიგნში „ქართულ დღეობათა კალენდარი“, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ამ საკითხით დაინტერესებულთათვის. ჩვენც ვიხელმძღვანელეთ ამ მასალით, რომელმაც დიდი სამსახური გაგვიწია წარმართული წესისა და მასთან დაკავშირებული რიტუალების შესწავლაში. ეს რიტუალები გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში შესანიშნავად აისახა.

ნინო აბაკელიას ცნობით, „გუდამაყარში ამ დღეს *თაგვის უქმე* იყო. ზოგი ამ უქმეს დიდმარხვაში იცავდა, ჯოხს ჩალას გაუკეთებდნენ, თაგვის ულვაშების მსგავსად, სახლს წაღმა ჩამოუვლიდნენ, სიტყვებით: *გამო, თაგ(ვ)ო, გამო, რწყილო, ანგელოზნო, შინ შემოდით.* შემდეგ ამ ჯოხებს, ბავშვები სოფლის განაპირა წაიღებდნენ და იქ დაყრიდნენ. თუ ვინმე დაუძახებდა, უკან არ უნდა მოეხედათ - თაგვები უკან მოგვიბრუნდებიანო. გამოაცხობდნენ კვერს“ [აბაკელია, 1991:69]. სერგი მაკალათიას ცნობით, მთიულებიც მიმართავენ თაგვების მოსაშორებლად გარკვეულ რიტუალს, რომელსაც *თაგვების გარეკვას* უწოდებენ: „ამისთვის ოჯახში ქადის კვერებს აცხობენ, ჯოხზე ჩალას დაახვევენ და უმცროს ბალღს მისცემენ, ის ამ ჯოხით და ქადით სახლში სამჯერ შემოირბენს ამ სიტყვებით: *გამო, თაგვო, გამო რწყილო, ანგელოზო, შინ შემოდიო* და კარში გავარდება, გაიქცევა შორს ან წყალში შევარდება“ [მაკალათია , 2005:165].

აღნიშნულ რიტუალში ოჯახის ყველა წევრის ჩართულობა მნიშვნელოვანი იყო, ამიტომაც ბავშვებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. მღრღნელების მოშორება ოჯახის კეთილდღეობის გარანტი იყო, გამომცხვარი კვერის შეჭმა კი - ბავშვების პრივილეგია, რაც მათში სიხარულსა და სიამოვნებას იწვევდა. რიტუალში მონაწილე ბავშვმა „სცენარის“ ყველა პუნქტი ზედმიწევნით იცოდა, ამიტომ, რიტუალური მოთხოვნის შესაბამისად, არც უკან იხედებოდა, რომც დაეძახათ და რიტუალურ ჯოხსაც ბოლომდე მიიტანდა. რიტუალები მოთმინებისა და ნებისყოფის განმტკიცების საშუალებად, ხოლო თმენის ვალდებულება სულიერი წვრთნის იარაღად იქცეოდა.

აღნიშნული რიტუალი ქართლშიც ტარდებოდა, მაგრამ აქ „თაგვის უქმე“ ყველიერის კვირას სრულდებოდა. მასში მონაწილეობდნენ ბიჭები, რომელთაც ხელში ასკილის ტოტები ეჭირათ, რომელსაც სახლს მოატარებდნენ, გარკვეული სარიტუალო სიტყვებით თაგვებს გარეთ „გამოიწვევდნენ“, ანგელოზებს შინ შეიპატიჟებდნენ, ბოლოს კი ასკილის ტოტებს ღობის ძირში ჩაარჭობდნენ.

მოთხრობიდან ნათელი ხდება, რომ „თაგვების დღესასწაულისთვის“ საგანგებოდ ემზადება აღმოსავლეთ მთიანეთის ორივე კუთხე - გუდამაყარი და მთიულეთი; ხის თაგვს ქალები მთელ სახლში მოატარებენ, ყველა „ბუნაგის“ ჩათვლით. ამ თაგვს ურტყამენ, თან მაღალი ხმით გაჰკივიან:

„გამო, თაგვო, გამო, რწყილო,

ანგელოზო, შინ დაბრძანდი'' [ჩოხელი, 2020:102].

რიტუალის შემდეგ დედაკაცები სწრაფად უნდა გაიქცნენ ჩაჭრილას მთისკენ, რათა „თაგვების“ გადაყრა მოასწრონ. მათი რწმენით, თაგვი იქ გამრავლდება, სადაც გადაყრიან. რიტუალში მამაკაცებსაც აქვთ გარკვეული როლი, მათ ევალებათ როგორმე უკან მიახედონ ქალები. ეს რომ არ შეიძლება, ყველაზე კარგად ქალებმა იციან და თავს იკავებენ, ამ მოთმინებით კი მოსავალს მთელი წელი დაიცავენ.

რიტუალი თეატრალიზირებულია, ყველამ იცის მისი ჩატარების დრო და ადგილი და თავისი მოვალეობა/როლი. საინტერესოა, რომ ხეობაში მთიულ ქალებს გუდამაყრის მოსახლეობა ხვდება. სანამ ისინი თაგვების გადმოყრას მოასწრებენ, თავის თაგვებსაც და მოტანილსაც „კისერში ურჭობენ და უკან აბრუნებენ“, თუ ეს მოასწრეს, ფიქრობენ, რომ თაგვები მთიულეთიდან გუდამაყარს ვერ შემოესევიან. რიტუალში ორივე კუთხე თანასწორდაა ჩართული, მასში ყველა მონაწილეობს: ბავშვიც, ქალიც და კაციც, რაც ადასტურებს, რომ ამ კუთხეების რწმენა-წარმოდგენა ამ მიმართულებით მყარია. მთიელები დარწმუნებული არიან, რომ მთელი წელი თაგვებს, როგორც მავნებელთ, მოიცილებენ და მოსავალიც ხვავრიელი ექნებათ.

„ყველიერის შაბათს უქმის გატეხას, ხალხის რწმენით, უბარაქობა მოჰყვებოდა. გუდამაყარში მიცვალებულთა დღე იყო და ზოგი თაგვის უქმესაც იცავდა“ [აბაკელია, 1991:69]. როგორც ვხედავთ, ქრისტიანული მარხვის სამზადისს მთიანი გუდამაყარი წარმართული რიტუალითაც „ამაგრებდა“, რათა ეკონომიკური სიძლიერე გარანტირებული ჰქონოდა.

„თაგვთუქმობის“ წარმართული რიტუალია ასახული ასევე მოთხრობაში „თოვაში გასვენებული დღესასწაული.“ მოთხრობიდან ჩანს, რომ წარმართული რიტუალისათვის სოფელი საგანგებოდ ემზადება, უძველესი ტრადიციების ერთგული, წარმართული რწმენით გაჟღენთილი გუდამაყრელები რწმენისავ მსხვერპლი ხდებიან - მთელ სოფელს მთის წვერიდან დაქანებული ზვავი შეიხვევს თავის კალთებში და უკანასკნელი რიტუალით უკანასკნელად იხილავენ, თუ როგორ ქსოვდა თეთრ წინდას ცის ლურჯი ხელები.

მწერალმა წარმართული რიტუალის ერთგულ აღმსრულებლებს ერთადერთ ჭირისუფლად ხეებთან მოსაუბრე ეფრემაი დაუტოვა და, სიმბოლურად, მთავარი სათქმელიც გვითხრა - მხოლოდ ბუნების სიყვარულში, მის გაფრთხილებაშია გადარჩენის გზა.

აღმოსავლეთ მთიანეთში დასტურდება ასევე რიტუალები „მგელთუქმე“ და „მგელთჯიხვობა.“ ხევსა და თუშეთში დიდმარხვის პირველ შაბათს ხევში მგლის უქმეს აღნიშნავდნენ. ხევსურეთში „თაგვჩიტობას“ იცავდნენ, ხოლო კახეთსა და მთიულეთში - „თევდორობას“: „ხევში მგლის უქმეზე გააკეთებდნენ მოგრძო ცომს, ერთ ბოლოში წაუჭერდნენ ხელს, ვითომ თავიაო. ეს იყო მგლის გამოსახულება. ამ ცომს პირში ქვას ჩაუდებდნენ, ეს ქვა ჭამე, საქონლის ნაცვლადო. ჩადებდნენ გამომცხვარ კვერს წყალში და იტყოდნენ: „წელს ეს ჭამე, საქონლის ნაცვლადო. ზოგჯერ ბავშვები მგლის პურს ჩხვლეტდნენ ან თავს ჭრიდნენ“ [აბაკელია, 1991:81]. ნინო აბაკელიას ცნობით, მთიულეთ-გუდამაყარში „მგელთ უქმე“ შუა მარხვაში აღინიშნებოდა. რიტუალი მსგავსია ხევში არსებული წესისა, განსხვავება მხოლოდ „მგლის“ კბილებშია - აქ აგურის კბილებს უდებდნენ „პირში“, მერე ბაგაზე მიიტანდნენ და იქ დანაყავდნენ: „ჩვენ(ს) ძროხას ნადირის პირი აშოროსო, მგელს პირი ეგრემც დაენაყებაო. ზოგმა გამომცხვარი კვერის დათოფვა (სიგრძეზე დაჩხვლეტა) იცოდა, რომ მგელს საქონლისათვის არ ევნო“ [აბაკელია, 1991:81].

თუშეთშიც დასტურდება „მგელთ უქმი“, რომელსაც „მგელთშაბათსაც“ უწოდებდნენ, რაც მავნებელი ცხოველებისა და ადამიანების დათრგუნვას ისახავდა მიზნად. ამ დღეს რკინის იარაღის ხმარებაც აკრძალული იყო, წინა დღით მალავდნენ კიდეც. „მგელთჯიხვობაც“ ამ დღეს ტარდებოდა, აცხობდნენ უფუარი ცომისგან მგლისა და ჯიხვის გამოსახულებებს - „ბაცუკებს.“ რამდენი წევრიც იყო ოჯახში, იმდენი „ბაცუკა“ ცხვებოდა, რომლებსაც მიზანში ესროდნენ. ვინც მოარტყამდა, მისი იყო „ბაცუკა.“ სროლის რიტუალი ახალგაზრდების სამხედრო წვრთნა-მომზადებასაც ისახავდა მიზნად.

ფშავშიც იცავდნენ „მგელთუქმეს“ - დიასახლისი სანაყ ქვას („გურჩს“) და სავარცხელს დედაბოძზე მიაკრავდა. თვლიდნენ, რომ ასე „დაიხუთებოდა“ მგელი, რომელსაც მუგუზალსაც დაახლიდნენ, რომ პირი დათუთქოდა და საქონლის შეჭმა ვერ მოეხერხებინა. „ზოგი კეცზე ცერცვს მოხალავდა, გამოაცხობდნენ მგლის სახის მგელთკვერს, რომელსაც თვალებს შავი ცერცვის ან ნახშირისაგან უკეთებდნენ. ზოგი კვერს წნელისმაგვარ რაიმეს შეაბამდა, თითქოს მგელი დაბმულიაო“ [აბაკელია, 1991:82]. ამ კვერებსაც, როგორც სხვა კუთხეებში, ბავშვები ესროდნენ - „დაკოდვა“ მგლის დამარცხებას ნიშნავდა, „დაუკოდავი“ კვერი რომ შეეჭამათ, ეს მგლის გამარჯვებას მოასწავებდა.

მგლის „დათოფვასთან“ დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს მკლევარი მერაბ მიქელაძე: „მგლისთვის ისრების დაშენა, მისი „დათოფვაც“ შეიძლება მგელთან, როგორც საკულტო-ტოტემურ წინაპართან, „კავშირის დამყარებას“, მასთან „სულიერი“ ძაფით დაკავშირებას, ღვთაებრივ, ტოტემურ ენერგიასთან ზიარებას ნიშნავდეს“ [მიქელაძე, 2014:93].

მკვლევარ მერაბ მიქელაძის აზრით, მგელ-ძაღლის კულტს აქვს „ღმერთთან შუამავლობის“ საპატიო მისია. მგლის სოლარული კავშირი იკვეთება მარცვლეულ კულტურასთან, მეტყველებასთან დაკავშირებით. „მწევრის სალოცავზე“ ნადირის გამრავლებას ითხოვდნენ „მგელთუქმობის“ რიტუალში, რომელიც, ერთი შეხედვით, მავნებელი ცხოველისგან საქონლის დაცვის მიზნით სრულდებოდა, ასევე წარმოდგენილია მგელ-ძაღლის უძველესი საკულტო რელიგიური პლასტი, რომელიც გულისხმობდა საქონლისა და მარცვლეული კულტურების მფარველობას, ნაყოფიერებას, გამრავლებას და, რაც ყველაზე მთავარია, „ღვთის სიტყვას“, რომელიც თავისი არსით მზიურ-ფალიკურია და მაგიურ-გამანაყოფიერებელი ძალა აქვს“ [მიქელაძე, 2014:121].

კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „მთვარის მოტაცება“ აისახა სვანეთში არსებული თხუნელების დღესასწაული, რომელსაც გარკვეული რიტუალები ახლავს. ავტორი მას ბნელ მისტერიას უწოდებს: „სვანებმა უკვე მოითავეს თხუნელების დღესასწაული. გაზაფხულის პირზე სოფლებიდან გაიკრიფებიან მამაკაცები. სანთელს და სამ-სამ კვერს თან წაიღებენ, როცა ისეთ ადგილას მიაღწევენ, საიდანაც არც მათი კოშკები სჩანს, არც სხვა რაიმე უძრავი ქონება, დაიჩოქებენ, სანთელს აანთებენ, სამ-სამ კვერს შესწირავენ და შეევედრებიან თხუნელების ღმერთს“ [გამსახურდია, 2012:176].

ეს სვანური რიტუალი ფეტიშიზმის ნიშნებს შეიცავს, რომლებიც წარმართული რწმენა-წარმოდგენებიდან იღებს სათავეს. დამკვიდრებული „უქმეები“ ემსახურებოდა, ერთი მხრივ, მოსახლეობის ქონების (საქონლის, სახლის, მიწის) ცხოველისგან დაცვას, მეორე მხრივ, კავშირს ტოტემურ ცხოველებთან, რომელთაგანაც შემწეობასა და მფარველობას ითხოვდნენ, ამავე დროს, გარკვეულ შესვენებას, ამოსუნთქვას გულისხმობდა მთის ნაშრომ-ნაჯაფი მოსახლეობისათვის.

გოდერძი ჩოხელი მოთხრობაში „ჩემი წიგნი“ წარმართულ რიტუალს -„ჩიტთაფაფაობას“ გვაცნობს. „ჩიტთა ფაფაობა“ წინასწარი გეგმით მიმდინარეობდა. ამ წესის შესახებ ლელა ჯიყაშვილის წიგნშია მოთხრობილი (თავად მწერლის მონათხრობია წარმოდგენილი). „გუდამყრელ იებში“ აღნიშნულია, რომ ეს რიტუალი ძალიან უყვარდა მწერალს და სიამოვნებით მონაწილეობდა მასში. „ბედისკვერს ჩემ სახელზეც აცხობდნენ... ისე გვიყვარდა, ამ ბედისკვერს ყველა ვეფერებოდით“ [ჯიყაშვილი, 2011:51], - აღნიშნავს ჩოხელი.

ბედისკვერის დანიშნულებაზე, დღესასწაულის წესებსა და რიტუალებზეა საუბარი მოთხრობაში „გაღმივლები“. საახალწლოდ ხეზე ყველა თავის წილ, მკლავის სისხო, სანთელს ჰკიდებდა. ეს ხე ნათლის სვეტს ჩამოჰგავდა, საპურეებში ბედისკვერებს აცხობდნენ, რომლებიც ყველას დანიშნული ჰქონდა; გუდამაყრელთა რწმენით, ვისი პურიც კარგად გამოცხვებოდა, მთელი წელი საქმე კარგად წაუვიდოდა, ვისიც - არა, ცუდად. მოთხრობაში ჩანს, რომ დევგარეულის ბედისკვერი არ გამოცხვა. სოფლელებმა მისი სიკვდილის მიზეზად ბედისკვერის გამოუცხობლობა მიიჩნიეს და არა ავადობა. აქედან კარგად ჩანს, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ გუდამაყრელებს ბედისკვერებთან, ამიტომაც მეტი გულისფანცქალით ბედისკვერის გამოცხობას ელოდნენ, ვიდრე მოახლოებულ დღესასწაულს, რომლის დროსაც ბევრს სვამდნენ და მხიარულობდნენ სიმღერებითა და „ფერხისებით“.

„ჩიტთა ფაფაობა ჩიტთა უქმეა. გუდამაყარში არ მუშაობენ, უქმობენ“ [ჩოხელი, 2020:103], - წერს გოდერძი ჩოხელი მოთხრობაში „ჩემი წიგნი“. მკვლევარი სერგი მაკალათია გვაწვდის ცნობებს წარმართული რიტუალის „ჩიტთა ფაფაობის“ შესახებ. ჩიტთა ფაფაობის დრო უქმეა და მუშაობა არ შეიძლება. რწმენა-წარმოდგენით, თუ უქმეს არ დაიცავენ, ყანებს მთელი წელი ჩიტები დაუკენკავენ, ამიტომ მნიშვნელოვანი იყო ამ წესის დაცვა. ,,ფრინველებისა და მინდვრის თაგვების მოსაშორებლად მთიულები ჩიტთაფაფაობას

ასრულებენ. ამ მიზნით ყველიერის ორშაბათს სიმინდის ერბოიან ფაფას ამზადებენ“ [მაკალათია, 2005:162] „თაგვ-ჩიტთა უქმე“ იციან ხევსურეთშიც, დამწიფებული ყანა თაგვებისა და ჩიტებისაგან რომ დაიცვას, ხევსურიც ასრულებს რიტუალს, მათ მოსაგერიებლად. უქმე გაზაფხულზეა, ამ დროს მარხულობენ და „დოხანს“ [5] ჭამენ.

მკვლევრის მიერ აღწერილი რიტუალი ჩოხელის მხატვრულ ტექსტში ასახულის იდენტურია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მწერალი ხალხთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებისა და გადმოცემების დაარქივებას, შენახვას, მომავალი თაობებისათვის გადაცემას ცდილობს. გოდერძი ჩოხელის „ჩიტთაფაფაობის“ რიტუალიც თეატრალიზირებულია, წინასწარაა ცნობილი მოქმედების ადგილი, მოქმედი პირები, მათი როლი და ქმედების დასასრული. მთიული დედაკაცები „ჩუმად“ გადმოიპარებიან გუდამაყარში და წინდების ქსოვას იწყებენ, რადგან „ვის ადგილშიც უქმე დღეს იმუშავებ, იმას ეთვლება უქმის ტეხადად“ [ჩოხელი, 2020:103]. „გადმოპარულ“ ქალებს „დაინახავენ“ გუდამაყრელები, გათოკავენ და უკან აბრუნებენ. მათი რწმენით, თუ უკან დააბრუნეს, დაცულია მათი ყანები ჩიტებისაგან, მანამდე კი შეპყრობილნი უნდა წაიყვანონ სოფელში და აშიმშილონ, ამ დროისათვის თვითონ ადუღებენ ფაფას, „შეპყრობილებს“ არც აჭმევენ, არც ასმევენ, თითქოს დაუძლურების შემდეგ უნდა „აღიარებინონ“, რომ ჩიტები ისევ მათივე ყანას კენკავენ: „მთიულს მეტი გზა აღარა აქვს და იძახის: მთიულებისასა“ [ჩოხელი, 2020:104].

სარიტუალო ფაფით გამასპინძლება მხოლოდ აღიარების შემდეგ ხდება.

გოდერძი ჩოხელის მიერ დახატული წარმართული რიტუალი მწერლის ცხოვრებაშიც ისევე სრულდებოდა, როგორც უძველეს დროში. წინასწარ იყო განსაზღვრული როლები, თემა, ადგილი, დასასრული, ყველა ერთად ქმნიდა წარმოდგენის სახეს. ძველბერძნული მითოლოგიური ღვთაება დიონისე, ანუ დიონისოსი, ბახუსის ღმერთობის გარდა, წარმოადგენდა მევენახეობის, მეურნეობის, მეღვინეობისა და მცენარეულობის მფარველ ღვთაებასაც. დიონისეს საპატივცემულოდ იმართებოდა თეატრალიზებული მსვლელობა, თამაშით, სიმღერით, ღრეობითა და შესაბამისი კოსტიუმირებით. დიონისე მცენარეულობის მფარველად მიიჩნეოდა. ეს დარგი ყველა გლეხკაცისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო, ამიტომ დაბალი ფენა უფრო მეტად ეთაყვანებოდა, ვიდრე არისტოკრატია. გოდერძი ჩოხელის „ჩიტთაფაფაობის“ დღესასწაული სწორედ მშრომელი ხალხის

[5] დოხანი - მოხარშული ლობიო და სიმინდი.

ინტერესს წარმოადგენდა. მთაში ყველა შრომობდა, განურჩევლად წოდებრივი მდგომარეობისა (ხევისბერი, ხუცი, დეკანოზი). აქედან გამომდინარე, დღესასწაული ყველა სოციალური ფენის ინტერესში შედიოდა, ღარიბს შესაწირის გაღებაც არ შეეძლებოდა, რაც სალოცავებისთვის მნიშვნელოვანი იყო. ბერძნული მითოლოგიის ღვთაება დიონისე არქეტიპია.[6]

იუნგის მიხედვით, „არქეტიპი კონკრეტული გამოცდილების, თუ ობიექტის უნივერსალური, თანდაყოლილი პრიმიტიული და სიმბოლური წარმოდგენაა. არქეტიპები ფსიქიკის უნივერსალური კონსტრუქტებია, რომლებშიც აკუმულირებულია კაცობრიობის გამოცდილება და, როგორც კოლექტიური არაცნობიერი, წარმოდგენილია თითოეული ინდივიდის ფსიქიკაში“. იუნგისთვის არქეტიპი „ფსიქიკის ორგანოებია“, რომლებიც „ვითარდებიან თანდაყოლილი სქემის თანახმად, განვითარებისა და ცნობიერების ძირითადი ფორმების მიმართულებით და მოიცავენ ჩვენი წინაპრების გარემოსთან ადაპტაციის გამოცდილების მემკვიდრეობას“, მისი სიტყვებით, გამოცდილება „ხელახლა დაბადებული თითოეული ინდივიდის გონების სტრუქტურაშია“ (ელექტრონული რესურსი). ჩვენი წინაპრების გარემოსთან ადაპტაციის უძველესი გამოცდილება ცოცხალია მეოცე საუკუნის გუდამაყარშიც, მწერლის მშობლიურ მხარეში არაერთი ასეთი რიტუალი არსებობს, რომელთაგანც „ჩიტთაფაფაობა“ გამორჩეულია. ისიც მცენარეთა დაცვას ითვალისწინებს, რაც დიონისეს არქეტიპის ქართული ანალოგი უნდა იყოს.

ნათელია, რომ მთიანი აღმოსავლეთის ხალხის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა მოსავალთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს. „თაგვ-ჩიტების“ უქმე დღე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც იცოდნენ, მაგალითად, ხევსურეთში. პირიქითა და პირაქეთა ხევსურებს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ამ წეს-ჩვეულების მიმართ, არხოტის მცხოვრებლები პირაქეთა ხევსურებს ულექსავდნენ იმ წეს-ჩვეულებებს, რომლებიც მათ არ ჰქონდათ, პირაქეთა ხევსურები თაგვ-ჩიტების უქმეს „ხნულას“ უწოდებდნენ.

მკვლევარი თინათინ ოჩიაური წიგნში „ხევსურეთი და ხევსურები“ ეხება ხევსურთა ტრადიციებს, მათ შორის, „ხნულას“ წესსაც, მოჰყავს მაგალითი, სადაც „ხნულას“ ტრადიციასა და მის შემსრულებლებს დასცინის მელექსე:

[6] ცნება „არქეტიპი“ მოდის ბერძნულიდან ,,archetypon“, რაც ნიშნავს პირველსახეს, საწყისს, ამოსავალ ფორმას.

„საქმეს სულწუხად ვაკეთებ, ხევსურა ჩამამიჩინდა,
ცინკალაობით ჩამავა, განა კი მავა ბიჯითა,
ხევსურამ დამიახლოვა, მაშინავ „ხნულა“ იკითხა.
რა „ხნულა“ დაგიჩემებავ, ხევსურიშვილო, იქითა!
მე უქმ არ გამიგონებავ თაგვისაი და ჩიტისა,
თაგვებისად გვყავ ციცაი, ჩიტისად ისარ ვიცითა,
ფრინველისად გვაქვის თოფები, ცაზე ვერ დიან შიშითა“
[ოჩიაური, 1977:134].

როგორც ჩანს, უძველსი რწმენა-წარმოდგენებით ნასაზროდები რიტუალები აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობაში ყველგან სრულდებოდა, ზოგიერთ სოფელში მცირე სხვაობა იყო, შესრულების საყოველთაო წესსა და რიტუალთან შედარებით.

როგორც თინათინ ოჩიაური აღნიშნავს, გასაბჭოებამდე ფშავ-ხევსურეთში ეს წესჩვეულებები და რელიგიური დღესასწაულები აქტიურად სრულდებოდა: „სარწმუნოებასთან ბრძოლის ძალდატანებითმა ცდებმა უარყოფითი შედეგი გამოიღო, მოსახლეობა მტრულად განეწყო როგორც ათეიზმის, ისე რელიგიის საწინააღმდეგო მოქმედებებისადმი“ [ოჩიაური, 1977:134].

მკვლევარ ნინო აბაკელიას ცნობით, მთიანეთში არსებობდა ყანა-სათიბების დასაცავი რიტუალები. მთიულეთში ყანა-სათიბების დაცვის მიზნით მთელი სოფელი საღმრთოს იხდიდა, კვირას ან ორშაბათს სოფელი შეიკრიბებოდა ღამის გასათევად, მთიდან მოიყვანდნენ „საბალახე“ საკლავსა და ციკანს, რომლებსაც უკლავდნენ ელია წინასწარმეტყველსა და ზაქარია წინასწარმეტყველს. რიტუალს ატარებდა მოხუცი კაცი, რომელიც ასე დაილოცებოდა: „შეუწივენით ჩვენ სოფლობას, დაიხსენით ქარ-სეტყვისაგან, მიეცით მადლი და ბარაქა ამათ ნამუშევარს, თუ ეშმაკი დასტრიალებდეს ჩვენი სოფლის ჭირნახულს, მოაშორეთ თქვენის ძალით. თქვენა ხართ ცა-ღრუბლის უფროსნი ღვთისგან და თქვენ შეინახეთ ჩვენი სოფლის ჭირნახული“ [აბაკელია, 1991:96].

ყველა დღესასწაულს ახლდა ლხინი, ლუდის ხარშვა და საკლავის შეწირვა, უქმეს მკაცრად იცავდნენ. თუ ვინმე დაარღვევდა, გამოყოფილი ჰყავდათ მეთვალყურეები, რომელნიც უქმის გამტეხს ძალით ასმევდნენ არაყს. ფშავ-ხევსურეთში ყანების დასაცავად დღეებს ირჩევდნენ, ფშავში ორშაბათი, პარასკევი და შაბათი იყო გამოყოფილი, ხოლო

ხევსურეთში - პარასკევი და შაბათი. მოსახლეობას ევალებოდა, მკაცრად დაეცვა უქმე ჭირნახულის აღებამდე.

ყველა რიტუალი ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სტაბილურობასა და ოჯახების სიძლიერეს ემსახურებოდა. მკვლევარი თ. ოჩიაური აღნიშნავს, რომ, გასაბჭოების შემდეგ, პირაქეთა ხევსურეთის სოფელ როშკის ახალგაზრდებმა ბრძოლა გამოუცხადეს ძველ ადათ-წესებსა და რელიგიურ შეხედულებებს, დაიწყეს იმის განადგურება, რითაც სულდგმულებდა მთის მოსახლეობა, დედათწესიანი ქალები სალოცავებში შეჰყავდათ, ანგრევდნენ ტაძრებს, კაფავდნენ ჯვრის კუთვნილ ტყეს, სადაც შესვლაც კი ეკრძალებოდათ. „ცხოვრების თანდათანობითმა წინსვლამ, ადგილობრივად გზების გაყვანამ, სკოლებისა და სხვა კულტურულ დაწესებულებათა დაარსებამ, საავადმყოფოსა და სამედიცინო პუნქტების გახსნამ, ახალგაზრდობის სწავლისათვის ფართოდ დაწაფებამ, თავისთავად გამოიწვია მოსახლეობის შეგნებაში გარდატეხა, ეჭვის შეტანა ხატ-ღმერთთა სიძლიერეში, თავიანთი ტრადიციების გარდაუვალობაში, შეარყია მძლავრი რელიგიური რწმენა“ [ოჩიაური, 1977:135].

ზემოთქმულიდან თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა და აღმოსავლეთ მთიანეთის მცხოვრებთა ცნობიერებიდან მაინც ვერ წაიშალა წარმართული რწმენა-წარმოდგენები. გოდერძი ჩოხელის თხზულებებს სწორედ ეს თემა კვებავს, მწერალი ამ რიტუალების თანამონაწილედაც გვევლინება, რაც ჩვეულებათა ავთენტ(იკ)ურობას, ზუსტად გადმოცემის ხარისხს კიდევ უფრო აძლიერებს. ჩოხელი ცდილობს ერთი მივიწყებული კუთხის არქაული ცხოვრების წესი ფართო საზოგადოებას გააცნოს, ოჯახის თავკაცის მსგავსად, საღამოს კერაში შენახულ ნაღვერდალს დილით აღვივებს, რომ სიცოცხლის ნიშნად, ცეცხლად ააბრდღვიალოს.

გოდერძი ჩოხელი მეოცე საუკუნის გამორჩეული ავტორია, რომელიც ძველსა და ახალს, არქაულსა და თანამედროვეს იმდენად ბუნებრივად არიგებს და აზავებს თავის შემოქმედებაში, რომ მკითხველს საკუთარი მხატვრული სამყაროს ნაწილად, იდუმალის, საკრალურის თანამონაწილედ აქცევს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მოთხრობა „ჩემი წიგნი“, სადაც წარმართული და ქრისტიანული უპირისპირდება და ავსებს კიდეც ერთმანეთს.

3.2. ღვთისშვილთა საბრძანისი (მოთხრობა „ხთისშვილი“)

გოდერძი ჩოხელმა მოთხრობაში „ხთისშვილი“ ასახა ის ადათ-წესები და ტრადიციები, რომლებიც მთიან აღმოსავლეთსა და, მათ შორის, გუდამაყარშიც, გვხვდება. მოქმედება იშლება მწერლის მშობლიურ სოფელ ჩოხში. ეს სოფელი, ხალხის რწმენა-წარმოდგენით, წმინდა ადგილად ითვლებოდა, ამიტომაც ქალებს იქ მშობიარობა ეკრძალებოდათ. ავტორი ამ ტრადიციის შესახებ არაერთ ნაწარმოებში გვიყვება და ერთგვარი გულისტკივილითაც აღნიშნავს, რომ ეს წესი თოვლიანი მთებივით მკაცრია. მთიან გუდამაყარში ბარაქიანად თოვს. დიდხანს რჩება თოვლი მიწაზე და ათასი საზრუნავი მოაქვს მოსახლეობისათვის. სოფლის რელიეფი ხშირ ზვავსაც იწვევს, რომელსაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეუწირავს, ამის გათვალისწინებით, მართლაც, თოვლიანი მთებივით მკაცრია მშობიარობასთან დაკავშირებული ადათ-წესები. მოთხრობაში „თოვაში გასვენებული დღესასწაული“ ჩოხელი ასახავს „თაგვთუქმობის“ უძველეს რიტუალს, რომლის ერთგული მცველნიც ზვავმა შეიწირა. ჩოხელი რეალურ გუდამაყარს გვიხატავს თავის შემოქმედებაში.

„ხთისშვილთა“ შესახებ ისტორიებს ფშაურ ანდრეზებში ვხვდებით. დიდი კვლევა ჩაუტარებია ამ საკითხზე ზურაბ კიკნაძეს („ჯვარი და საყმო“). ავტორი მითოლოგიურ გმირებსაც ეხება. კვლევის მიხედვით, „ხთისშვილები“ იყვნენ ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც, თავისი გამორჩეულობის გამო, ზეციერ მოციქულებად მიიჩნეოდნენ, ასეთებად ითვლებოდნენ: კარატე, კვინჩხე, კოპალა, იახსარი და სხვა. სხვანაირად მოიხსენიებიან როგორც ჯვარი, ღვთინასახი, ღვთის ნაბადი, ანგელოზი [ღვთისშვილი (ელრესურსი).

გოდერძი ჩოხელს იახსარის მხატვრული სახე არაერთ ტექსტში აქვს წარმოჩენილი. სიმბოლური დატვირთვა აქვს „ხთისშვილის“ პერსონაჟ ზოსიმესაც, რომელიც, „ხთისშვილთა“ დარად, მოთხრობის ფინალში, გამორჩეულობის ნიშნად, ზეცაში დაიდებს ბინას. „სოფელი, სადაც ზოსიმე უნდა დაბადებულიყო, აქაური ხალხის რწმენით, წმინდა ადგილად ითვლებოდა და ამ სოფლის ქალებს აკრძალული ჰქონდათ აქ მშობიარობა“ [ჩოხელი, 2020:319] - ასე იწყება მოთხრობა, რომელიც თავიდანვე სასწაულის მოლოდინით განაწყობს მკითხველს, რაც ფინალში აღსრულდება კიდეც.

ტრადიციის მიხედვით, მელოგინე ტოვებს ქმრის სახლს და მამის სახლისაკენ მიეშურება ან სპეციალურად აშენებულ ბოსელში მშობიარობს, რომელიც ხშირად

სოფლისაგან მოცილებულია. როგორც აღვნიშნეთ, სასტიკი წესებია მთიან აღმოსავ-ლეთში, გაუმართლებელიც კი. რით იყო ნასაზრდოები ყოვლად გაუმართლებელი წესი და რიგი, არავინ იცის.

მშობიარობასთან დაკავშირებულ მკაცრ წესებს ვეცნობით მიხეილ ჯავახიშვილის რომან „თეთრი საყელოში“, სადაც მოქმედება იშლება ხევსურეთში. ავტორმა მხატვრუ-ლად ასახა უძველესი რწმენა-წარმოდგენებით აღსავსე არაერთი ტრადიცია, მათ შორის, მშობიარობისა. ასევეა გოდერძი ჩოხელთანაც. ის შეულამაზებლად ასახავს იმ წესებსა და ტრადიციებს, რომლებიც დღემდე ცოცხლობს მწერლის მშობლიურ კუთხეში. ყველა უსიტყვოდ ემორჩილება მამა-პაპათაგან მიღებულ, დაცულ და გადმოცემულ წესსა და რიგს. მოთხრობის გმირი მამის სახლს მიღწევას ვეღარც ასწრებს და კლდის ძირას მშობიარობს.

ნინო ზედელაშვილმა თავის წიგნში „ნაწილიანი“ შეკრიბა და გამოსცა გოდერძი ჩოხელთან პირადი საუბრები, ინტერვიუები, მწერლის გარშემო მყოფ ადამიანთა მონათ-ხრობები. გოდერძი ჩოხელმა ნინო ზედელაშვილთან საუბრისას თავისი დაბადების ეპი-ზოდებზეც გაამახვილა ყურადღება, აქედან ვიგებთ, რომ თავად ჩოხელიც გზაში, კლდის ძირას გაჩნდა, რადგან მამისეულ სახლამდე მისვლა გოდერძის დედამაც ვერ მოასწრო.

თურმე მწერლის დედა გზაზე მწყემსების სახლს წააწყდა. პატრონებმა ბოსელში შე-უშვეს, სადაც გაჩნდა გოდერძი. დედამ შვილი უხეშ ტილოში გაახვია და ბაგაში ჩააწვინა. როგორც ჩოხელი აღნიშნავს „ასეთი წესი იყო“ [ზედელაშვილი, 2012:54]. ასე რომ, ეს ეპი-ზოდი ბიოგრაფიულია. ამავე წესის მიხედვით, მელოგინე 40 დღე უწმინდურად ითვლე-ბოდა და მასთან სიახლოვე არ შეიძლებოდა, მშობიარე განრიდებული იყო საცხოვრე-ბელს. ქალი შვილს ბაგაში აწვენს, ბზეში, ვფიქრობთ, სიმბოლურია ბაგაც - მთიელი ამით უთუოდ უფლის დაბადებას ბაძავდა და შვილსაც ქრისტესმიერი რწმენით ზრდიდა.

სიმბოლურია პატარა მახარეს სახე, რომელიც წინაპართა წეს-ჩვეულების ერთგვარ დამცველად გველინება. ის ბოსელში ვერ შედის, მაგრამ მალე მახარებლად ექცა დედა-შვილს, ახლაშობელს სახელიც შეურჩია, ზოსიმე დაარქვა, ზრუნვის ნიშნად, მოუხარშავი ხარის ბეჭიც მიართვა.

სიმბოლოებითაა დატვირთული ამქვეყნად მოვლინების სურათი: გამორჩეულობის ნიშანი - არაამქვეყნიური ნათელი ეფინა პატარას - დაბადებას თან სდევს წვიმა, სეტყვა და ქუხილი: „ცაზე დიდხანს იდანდგარეს სეტყვის ღრუბლებმა“ [ჩოხელი, 2020:320].

დედა ამასაც ღვთიურ მინიშნებად თვლის. ქალს მოთხრობაში საკუთარი სახელი არა აქვს, ის ზოგადი სახეა ყველა დედისა. მის ბედს იზიარებს ყველა ქალი, რომელიც შვილს მოავლენს ამ ქვეყნად. როგორც ვთქვით, მშობიარეს დედ-მამის სახლში მშობიარობის უფლება აქვს, მაგრამ აქაც გარკვეული შეზღუდვები მოქმედებს: მელოგინე განაპირა ოთახში ბინავდება, ესეც მკაცრი ტრადიციის ნაწილია. ახალბედა დედა მხოლოდ 40 დღის შემდეგ ბრუნდება ქმრის ოჯახში, ეს წესიც საყოველთაოა და ყველა ემორჩილება.

მოთხრობაში ავტორმა ასახა უძველესი ტრადიცია - „სახმთო“, რომელიც წარმართულისა და ქრისტიანული რელიგიის ნიშნებს შეიცავს: „სათემო გორაზე „სახმთო“ გადაიხადა ზოსიმეს მამამ... დიდი თეთრი ხარი დაუკლეს და ხატში გარიეს გვარში შემომატებული პატარა ბიჭი. სამჯერ გადმოაგორა ხევისბერმა ხატის გორაზე. მერე კი საამდღეოდ გამომცხვარი გადმოყარა და დაიძახა: „ჩოხის წმინდა გიორგი სწყალობდეს ზოსიმეს“ [ჩოხელი, 2020:321].

ავტორის ცნობით, ჩოხის წმინდა გიორგი გამორჩეული სალოცავია. ივანე ჯავახიშვილის კვლევის მიხედვით, „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი, წარმართობისდროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“ [ჯავახიშვილი, 1979:90].

ნინო აბაკელიას კვლევის მიხედვით, ჩოხის წმინდა გიორგის ჯვარში ენაა ჩაყოლებული, რის გამოც ჩოხის წმინდა გიორგი ენის გამყოლია და პირიმზეში ხატობისას ჩხუბიც ჩვეულებრივი ამბავია: „მთიულეთ-გუდამაყარში განსაკუთრებულად მრავლად არის წმ. გიორგის სახელობის სალოცავები. თავად ლომისის სალოცავი წმ. გიორგის სახელს ატარებს. გუდამაყარში თითქმის ყველა სოფელს აქვს წმ. გიორგის ხატი. გუდამაყრელთა რწმენით, წმ. გიორგი ქართველი, ქრისტიანი კაცი ყოფილა. ურჯულოებმა მთაზე აიყვანეს და რწმენა რომ ვერ შეაცვლევინეს, ალმასებდაკრულ ურმის თვალზე მიაკრეს და დააგორეს. გიორგი 360 ნაწილად დაიჭრა. ხალხს ეს ნაწილები არ დაუკარგავს და ხატებშუა ჩაუყოლებია. მაგ., ჩოხის წმ. გიორგის ჯვარში ენა ყოფილა ჩაყოლებული, პირიმზეში - მკლავი, რის გამოც ჩოხის წმ. გიორგი ენის გამყოლია და პირიმზეში ხატობას ჩხუბი სცოდნიათ“ [აბაკელია, 1991:116].

წმინდა გიორგის ძალასა და გავლენას ხალხური თქმულებაც ადასტურებს, რომელიც ივანე ჯავახიშვილს თავის კვლევაში აქვს მოყვანილი [ჯავახიშვილი, 1979:81-88].

წმინდა გიორგის სახე გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაშიც ძლიერად გამოვლინდა, ამ სალოცავთან სრულდება არაერთი მისტერია, რაც ძველსა (წარმართულ) და ახალ (ქრისტიანულ) რწმენა-წარმოდგენებს მოიცავს.

მოთხრობაში სიღრმისეულად გამოვლინდა ხევისბერის ინსტიტუტის ძალა. ხევისბერს ებარა როგორც სასულიერო, ასევე საერო მმართველობა, ამწყალობებდა-ლოცავდა ახალდაბადებულებს, ლოცავდა გვარს, სოფელს, ჯარს, წყვეტდა სადავო საკითხებს, ასე იყო აღმოსავლეთ მთიანეთის ყველა რეგიონში.

ალექსანდრე ყაზბეგმა საკულტო მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ დაგვიხატა ხევისბერის მხატვრული სახე, მოთხრობის მიხედვით, ხევი გოჩას მამად და პატრონად მიიჩნევდა. ჩოხელის მოთხრობაშიც, რიტუალის ასახვის ფონზე, ავტორმა მხატვრული სახე ჩამოქნა - ხევისბერს განუსაზღვრელი ძალაუფლება გააჩნია, მას ენდობა ხალხი, მისი სჯერათ და ემორჩილებიან.

ჩოხელმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ქრისტიანულისა და წარმართულის სინთეზი, რაც ორგანულია მისი შემოქმედებისთვის.

„ზოსიმეს კი ხევისბრის მიერ, ხარის სისხლით, შუბლზე ჯვარი ჰქონდა გამოსახული. სამრეკლოზე ზარებს რეკდა ხატის მსახური“ [ჩოხელი, 2020:322].

წარმართული რიტუალიდან იღებს სათავეს შუბლზე სისხლით ჯვრის გამოსახვაც, ჯვარი კი წარმართულიცაა და ქრისტიანულიც, დიონისურიცა და აპოლონურიც.

ვერა ბარდაველიძის აზრით, ნათლობისას საკლავის სისხლის წასმას გულსა და შუბლზე ჰქონდა რელიგიური დატვირთვა - ამ რიტუალის შემდეგ ბავშვს ხელ-მხართან თავისი მფარველი ანგელოზი დაუდგებოდა. სისხლის წასმა ნიშნავდა ადამიანის განწმენდას, ამ დროს იდევნებოდა ავი სულები და მფარველი სული იკავებდა მის ადგილს, „განათვლის“ შემდეგ ბავშვი დაცული იყო და მას აღარაფერი ემუქრებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში, როცა ყრმას ხატში პირველად მიიყვანდნენ, მაშინ ხდებოდა მისი „ნათლობა“, სრულდებოდა შესაბამისი რიტუალი, ამის შემდეგ ის თემის სრულუფლებიან წევრად იქცეოდა. ეს წესი „მისამბარეოს“ სახელითაა ცნობილი. „შიშველ ბავშვს საწესო დროშის ქვეშ შეაგორებდნენ, რაც საკულტო ხისგან შობის რიტუალს წარმოადგენდა, ეს საკრალური ხე სიცოცხლისა და ნაყოფიერების მომცემი იყო და, თავისი არსით, სოლარულ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდებოდა. აღნიშნული რიტუალით „ღვთიშვილის“, ხატის მიერ თავისი მეთემე ბავშვის *შვილად აყვანის* მისტერია

სრულდებოდა, სადაც საკულტო-ტოტემურ ხესა და ჯვარ-ხატს თანაბარღირებული რელიგიური დატვირთვა ჰქონდა. ხატს „მიბარებული“ ყრმები შემდგომ ხატის მსახური „ხელოსნები“ ხდებოდნენ, ვინც რომელ ჯვარს იყო მიბარებული, „ხელოსნადაც“ იქ უნდა დამდგარიყო, იქ უნდა შეესრულებინა „სახელოში ჩადგომის“ ან „ზღრუბლის დალახვის“ წესი“ [მიქელაძე, 2014:137].

აღმოსავლეთ მთიანეთში, კერძოდ, ხევსურეთში, „მესაწულეობისა“ და ,,მისამბარეოს“ შესახებ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის ჟუჟუნა ერიაშვილი წიგნში „უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში“. მეთემე მამაკაცის ჯვრის ხელოსნად ქცევისა და „სახელოში ჩადგომის“, თუ „ზღრუბლის დალახვის“ წესის შესრულებისას დიდი სამზადისი მიმდინარეობდა ხევსურეთშიც. მეთემის დაბადებიდან 15-16 წლამდე გრძელდებოდა ეს პროცესი, ხელოსნად გახდომისთვის კი აუცილებელი იყო გარკვეული წესების შესრულება, რაც „მისამბარეოსა“ და „საწულეს“ სახელითაა ცნობილი.

„საწულეს“ მამრობითი სქესის ყრმას უხდიდნენ. როცა ერთი წლის ხდებოდა, ეს რიტუალი სხვადასხვა თემში სხვადასხვა დროს სრულდებოდა. ზოგან „ქრისტეშობის“ მეორე დღეს, ზოგან - „დატიობის“, ანუ „ათენგენობის“ მეორე დღეს და ზოგან - „წელიწადის,“ ანუ ახალი წლის წინადღეს. აქედან გამომდინარე, „საწულეობა“ ტარდებოდა დიდი დღესასწაულების დროს, როცა დროშას დარბაზიდან გამოაბრძანებდნენ. თუ დროშა არ გამოჰქონდათ, მაშინ „საწულეობაც“ არ სრულდებოდა, რადგან ამ რიტუალის შესრულებისას დროშა იყო აუცილებელი ატრიბუტი, სწორედ ამ დროშის ქვეშ გამოაგორებდნენ ყრმას [ერიაშვილი, 1982:57-63].

მკვლევარი ჟუჟუნა ერიაშვილი საწულისა და მიბარების („მისამბარეოს“) წესებს საფუძვლიანად მიმოიხილავს და ავითარებს მოსაზრებას, რომ ყრმის დროშის ქვეშ შეგორების რიტუალი მიბარების წესში გამოხატავდა შობის სიმულაციას. „ერთ დროს საკულტო ხის, შემდეგ კი ჯვარ-ხატებისა და მათი განმასახიერებელი დროშის მიერ, მთლიანად წესი კი ბავშვის ღვთაებისადმი (ტოტემური ხის, საკულტო ხის, ჯვარ-ხატის და მისი განმასახიერებელი დროშისადმი) მიშვილებაში მდგომარეობდა“ [ერიაშვილი, 1982:95]. ამ მოსაზრებას ადასტურებს „მიბარების“ შინაარსი. როგორც მკვლევარი ჟუჟუნა ერიაშვილი აღნიშნავს, ხევსურებს აქვთ წესი, თუ ოჯახს ბავშვი არ რჩება, ანუ უკვდება, დედას

მიაბარებენ დოვლათიან ოჯახს, ხშირად შვილმრავალსაც. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს წესი საქართველოს თითქმის ყველა მთიან რეგიონშია შემორჩენილი.

უძველეს რიტუალს ასრულებს ხევისბერი მოთხრობაში „ხთისშვილი.“

უამრავი შეკრული სანთელი ეჭირა ხელში ხევისბერს და ღმერთს ადიდებდა, „ზოსიმეს კარგ ბედ-იღბალს ევედრებოდა დამბადებელს, მისი თხოვნა მთელი გვარის თხოვნა იყო ღვთის წინაშე, ეს ერთად შეკრული სანთლებიც ამის დასტური იყო; ყველამ თავისი სანთელი მიართვა ხევისბერს, ზოსიმეს დასამწყალობებლად, სანთლების ერთად შეკვრაც გვარის ერთად ყოფნას, ერთად წვას ნიშნავდა“ [ჩოხელი, 2020:322].

წესის მიხედვით, ხევისბერის მიერ ყრმის დალოცვის რიტუალში მთელი გვარი მონაწილეობდა. ყველას თავისი წილი სანთელი მიჰქონდა, რასაც დასტური მოკრეფდა და მასზე ილოცებდა ერთიანად. ხევისბერი როგორც კი ყრმას დალოცავდა, მისი სანთელიც მიემატებოდა საერთო რაოდენობას, იმის აღსანიშნავად, რომ დალოცვილი უკვე სრულფასოვანი წევრი იყო იმ გვარისა და სოფლისა.

ღვთის რჩეულობის ნიშანი დაადგა ზოსიმეს, მკრთალი ნათელი თავზე, რომელსაც მხოლოდ დედა ამჩნევდა. გადიოდა დრო, ბიჭი იზრდებოდა, გაიარა, აჟღურტულდა, ყველა ეფერებოდა, სიყვარულის ღვთაებრივი ნიშანი ჰქონდა, ესეც დედამ შენიშნა. ერთ დღეს დედამ ტაბლაზე სანთელი აანთო. ზოსიმემ სანთელი აიღო და აფრინდა, სადაც სანთელს გასწევდა, ისიც იქით მიფრინავდა, ჩაქრა სანთელი და „ფრთებშეჭრილივით მოწყვეტილი ჩამოვარდა დაბლა ზოსიმე“ [ჩოხელი, 2020:323].

სანთელი უფლის პარადიგმაა და, სიმბოლურად, მისგან დაშორება დედამიწას მიჯაჭვას, დაცემას იწვევს, დედამიწა კი ცოდვიანია. მადლსგანშორებული ბერები წმინდა მთიდან მიწაზე ენარცხებიან „სულეთის კიდობანშიც“.

ზოსიმე, იმავდროულად, ლიტერატურული ანარეკლია ჰიმნის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ავტორის სახისა, რომელიც ქართულ ენას დიდ სულიერ მისიას ანიჭებს, წინასწარმეტყველებს, რომ უფალი, მეორედ მოსვლის დროს, სწორედ ამ ენაზე განიკითხავს მსოფლიოს.

ჩოხში გადიოდა დრო, ხევისბერი, ტრადიციულად, აგორებდა პატარებს ხატის გორაზე. ბერდიას დამწყალობებისას მოხდა სასწაული, რომელიც არ არის მოულოდნელი ჩოხელის მხატვრული, მაგიური სამყაროსათვის. სამანს იქით ქალებს არ უშვებდნენ, წესის მიხედვით, ზოსიმე მამასთან იყო, დედამ გააფრთხილა, სანთელს არ მიეკარებინა

პატარა, მაგრამ დაეკარგა მამას ზოსიმე: „მაშინღა მოჰკრა თვალი, როცა ბიჭმა სამანის ქედზე მიკრული უშველებელი სანთლების კონა მოხსნა და მაღლა ასწია“ [ჩოხელი, 2020:323].

წესის მიხედვით, ხატის გორაზე მხოლოდ მსახურებს ჰქონდათ ყოფნის უფლება. ზოსიმე წმინდა ადგილიდან ამაღლდა ცად. წესი ვერ დაარღვია დედამ - სამანები ვერ გადალახა და შვილიც გაუფრინდა. ზოსიმეს „ანთებული სანთლების კონა თავის ზემოთ ეჭირა და მოკრიალებული ლურჯი ცის სიღრმეში მიიწევდა მაღლა და მაღლა“ [ჩოხელი, 2020:323].

ასე ამაღლდა ცად დონატასავით („წითელი მგელი“), მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულა, ჯერ პატარა წერტილად ჩანდა, მერე მხოლოდ სანთლების ალი მილიცლიცებდა ლურჯი ცისაკენ, ელოდნენ ზოსიმეს ჩამოვარდნას, მაგრამ ამაოდ - ცას შეერია. ხევისბერმა განაცხადა: „რაღას უყურებთ, ხთისშვილი თავის საუფლოში გაფრინდა, მოკრიფეთ სანთლები და ვილოცოთ მიწაზე დარჩენილთ“ [ჩოხელი, 2020:324].

წარმართულისა და ქრისტიანულის ნაზავია ხევისბერის ლოცვა, რომელიც გაკვირვებული შესცქეროდა ცას:

„ღმერთო, შენა ხარ სადიდებელი! ღმერთო, შენა ხარ სახსენებელი!

ღმერთო, დიდება შენთვისა, ღმერთო, მადლობა შენთვისა,

რო ღირსად გვცანი, ღირსად ჩაგვთვალე,

ხთიშვილი ცოდვილთ მოგვივლინე...“ [ჩოხელი, 2020:324].

რწმენითა და იმედით აღსავსეა ხევისბერის მოწოდება, რომ უფალმა თავის წიაღში - ცაში წაიყვანა უცოდველი ყრმა და რაღა დარჩენიათ მიწაზე დარჩენილებს, ლოცვის გარდა?! მიწა სიმბოლოა ცოდვისა, რომელსაც ადამიანი ატარებს, ხოლო უცოდველთა სამკვიდრებელი ცაა. მხოლოდ დედა შეჰყურებს ზეცას იმ იმედით, რომ შვილი დაუბრუნდება, მას არ უნდა დაკარგოს შვილი, თუნდაც ღვთის სატახტოში ეგულებოდეს, ელდა უვლის გულში - მოულოდნელობისა და სიმწრისა. მის გვერდით ჩნდება მახარე, რომელიც მიტოვებულს (დედას) ერთადერთ იმედად და ნუგეშად მოევლინა, მოუხარშავი ბეჭი მიართვა და სახელიც შეარქვა პატარას. ახლა ეს მახარეც გაორებულია, თან უხარია და თან სწყინს - უხარია, რომ ზოსიმემ ზეცაში, უფალთან დაიდო ბინა და სწყინს, რომ უმანკო, მის მიერ სახელდებული პატარა დედამიწას გაეცალა.

გოდერძი ჩოხელმა მოთხრობაში „ხთისშვილი“ ასახა უძველესი რწმენა-წარმოდგენებით ნასაზრდოები ტრადიციები და რიტუალები, რომლებიც ქრისტიანულ რელიგიასთან თანაარსებობს, გამოიკვეთა, რომ ახალი (ქრისტიანული) და ძველი (წარმართული) რელიგია გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში ერთმანეთთან მორიგებულან, რადგან თითქმის თანაბარი პოზიციით ფიგურირებენ მთიანი აღმოსავლეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში. არაამქვეყნიურ, ნათელშემოსილ ზოსიმეს ავტორმა საბოლოო ნავთსაყუდლად უფლის ტახტი - ცა განუჩინა, რითაც მიგვანიშნა, რომ რჩეულთა, „ხთისშვილთა“ სამკვიდრო ცაა, ანგელოზთა დასის სამკვიდრებელი.

3.3. წმინდა გიორგის კულტი, ძველი და ახალი აღთქმის კონცეპტები (მოთხრობა „გაცოცხლებული მიცვალებული“)

მოთხრობაში „გაცოცხლებული მიცვალებული“ ასახულია უძველესი ტრადიციები და რიტუალები, სინთეზირებულია წარმართული და ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები. ავტორი არაერთ ნაწარმოებში გვიყვება ჩოხში არსებულ ტრადიციებზე. ამ მოთხრობაშიც ძალუმად იგრძნობა მშობლიური კუთხის სიყვარული. სიუჟეტი იკვრება გუდამაყრის გამორჩეული შვილის, ჩოხელი ბერას გარშემო. მის პატივსაცემად დღესაც მღერიან და აბამენ „ფერხისას.“ მიცვალებული ბერას „მეორედ მოსვლა“ ჩოხში არსებული წეს-ჩვეულებების მოდიფიცირებას ემსახურება.

გმირ ბერას საიქიოში შესვლის უფლებას სწორედ ტრადიციითა და წეს-ჩვეულებებით ჩადენილი საქმეები არ აძლევს. როგორც აღვნიშნეთ, მწერლის ცნობით, ჩოხი წმინდა ადგილია, წმინდა ადგილზეა: „სოფელი ჩოხი გუდამაყრის ხეობაში, წმინდა მთაზეა შეფენილი. აქ ჩოხის წმინდა გიორგის ლოცულობენ ჩოხელები, რომელთა გვარიც ერთერთ საპატივსაცემო გვარად ითვლება მთის გვარებს შორის“ [ჩოხელი, 2010:110].

აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობა განსაკუთრებულ პატივს მიაგებს წმინდა გიორგის, მის სახელზე ყველა სოფელში დგას სალოცავი, გუდამაყრელები ამ წმინდანს თავიანთ მფარველად და შემწედ მიიჩნევენ, მას მიმართავენ გაჭირვებასა თუ სიხარულში. სხვა რელიგიურ დღესასწაულებთან ერთად, გიორგობასაც თავისებური რიტუალებით ხვდებიან, რომელიც წარმართულისა და ქრისტიანულის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს. ისე ერწყმის ეს ორი ტრადიცია ერთმანეთს, ხშირად ჭირს ერთმანეთისაგან გამიჯნო ის წესები და რიტუალები, რომლებიც მათ შორის ზღვარს დააწესებს. იმქვეყნიდან დაბრუნებულმა ბერამ სააქაოში თანასოფლელებს ქრისტიანული მცნებები შეახსენა, „კაი ყმის“

უმთავრეს კრიტერიუმად კი პატიება დასახა, ჩადენილი „ვაჟკაცური“ საქმეების მონანიებით სულიერი კათარზისი განიცადა და სულეთის ქვეყნისაკენ დამშვიდებული და განწმენდილი წავიდა. ამგვარად შემოინახა მთიანმა გუდამაყარმა იდეალი გმირისა, რომლის სახეც სიღრმისეულად წარმოჩნდა მოთხრობაში „გაცოცხლებული მიცვალებული“.

რუსუდან ჩოლოყაშვილის მოსაზრებით, გმირი ჰარმონიულად უკავშირდება ხალხს: „გმირის იდეალი ჰარმონიულად არის შერწყმული ხალხის იდეალთან, ხალხისა, რომელმაც შექმნა იგი კაცობრიობის განვითარების უძველეს საფეხურზე და თაობიდან თაობას გადასცა მისი სახე და სიყვარული“ [ჩოლოყაშვილი, 2004:89]. მკვლევარი იმოწმებს მიხეილ ჩიქოვანის შეხედულებას, რომლის თანახმად, „გმირს ხალხი ქმნის, იგი ასაზროდებს მას, როგორც დედამიწა. თავის მხრივ, გმირი ხალხის იდეალს, მის ნებასურვილს ახორციელებს, ამყარებს რა სამართლიანობასა და თავისუფლებას“ [ჩოლოყაშვილი, 2004:89].

ასეა წარმოჩენილი გმირის იდეალი ჩოხელთანაც.

წმინდა გიორგისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო საქართველოს სამოციქულო ეკლესია წმინდანის დღესასწაულს წელიწადში ორჯერ აღინიშნავს - 23 ნოემბერსა და 6 მაისს - აღსრულებისა და ბორბალზე წამების დღეს.

კაბადოკიელი წმინდა გიორგი დიდგვაროვანი ოჯახის შვილი იყო, ენათესავებოდა წმინდა ნინოს, რომის იმპერატორის დიოკლიტიანეს სამეფო კარზე მხედართმთავრის თანამდებობა ეკავა. ქრისტიანულად მონათვლის შემდეგ კი, სამხედრო კარიერაზე უარი თქვა და თავი ქრისტეს მიუძღვნა, წმინდანს დაუპირისპირდა რომის იმპერატორი, რომელმაც ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა. წმინდა გიორგი მტკიცედ იდგა ქრისტიანობაზე და მოწამეობრივად აღესრულა. 303 წელს წმინდა გიორგის თავი მოჰკვეთეს, მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში ის შევიდა, როგორც ძლევამოსილი და უძლეველი მხედარი [მაკალათია, 2005:34-35].

ამ თქმულებას ეყრდნობა წმინდა გიორგის ტრადიციული კულტი, რომელიც ქრისტიანულ რელიგიაში საყოველთაოდ მიღებული და გაზიარებულია. თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი იქცა ქართველი ერის სიმბოლოდ.

დავით აღმაშენებლის მიერ წარმოებულ ბრძოლაში, რომელსაც ერმა ,,ძლევაი საკვირველი“ უწოდა, თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი მიუძღოდა ლაშქარს,

ძალთა არათანაფარდობის მიუხედავად, ქართველებს წმინდანმა მართლაც განსაცვიფრებელი გამარჯვება მოაპოვებინა. გადმოცემის თანახმად, გაჭირვების დროს, წმინდა გიორგი ფიზიკურადაც ეხმარებოდა ქართველთა ლაშქარს (ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ კონცეპტი).

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ცდილობდა გაერკვია, თუ რა ადგილი ეკავა წმინდა გიორგის ქართველი ხალხის ცნობიერებაში. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ უძველეს დროსაც უნდა ყოფილიყვნენ „ყველა ტომთათვის საზოგადო ღვთაებანი და, ამასთანავე, თითოეულ ტომს თავისი საკუთარი ღვთაებანიც ეყოლებოდა, გაერთიანების ან ერთ-ერთი ტომის გაძლიერების და დანარჩენებზე გაბატონების დროს, ზოგიერთი საკუთარი ღვთაება საზოგადო ხდებოდა და ამის გამო ზოგჯერ ერთსა და იმავე ღვთაებებისათვის რამდენიმე სახელი არის ხოლმე შენახული; ზოგიერთ მათგანს სხვადასხვა ტომის კერძო ღვთაებათა სახელები შერჩენია, ზოგი კი მეზობელთაგან არის შეთვისებული“ [ჯავახიშვილი, 1979:79].

მკვლევარი განიხილავს ღვთაებათა იერარქიის („უფროს-უმცროსობის“) საკითხს ხალხურ თქმულებებზე დაყრდნობით, მოჰყავს ბარალეთელი მასწავლებლის მიერ ჩაწერილი თქმულება „იესო ქრისტესი, ელია წინასწარმეტყველისა და წმინდა გიორგის შესახებ.“ თქმულების მიხედვით, ხალხში ყველაზე დიდი გავლენა აქვს წმინდა გიორგის, შემდეგ - იესო ქრისტეს, დაბოლოს - ელია წინასწარმეტყველს. ხალხური თქმულება წმინდა გიორგის ძალას მკვეთრად უსვამს ხაზს: „მე წმინდა გიორგი ვარ, გაჭირვების დროს რომ შემეხვეწებით ხოლმეო. მე გიფარავთ ავი სულებისა და ეშმაკებისაგან და თქვენის მტანჯველის ხელისაგან გიხსნით ხოლმეო“ [ჯავახიშვილი, 1979:83].

წმინდა გიორგის ქართველთა რწმენაში პირველი ადგილი უჭირავს, ყველაზე უფროსად ითვლება, გულკეთილია, ადამიანის მფარველი, ძლიერებით ყველას, თვით ღმერთსაც სჯობნის. „თვით ცხოვრებაშიაც ქართველი ერი მას ყველაზე მეტად თაყვანსა სცემს. არც ღმერთისა და იესო ქრისტეს, არც ერთი წმინდანის სახელობაზე არ მოიპოვება იმდენი ტაძარი საქართველოში, რამდენიც წმინდა გიორგის სახელობაზეა აშენებეული“ [ჯავახიშვილი, 1979:88].

ჯავახიშვილის ცნობით, XIV-XV საუკუნეში გერმანელი მოგზაური ჰანს შლიტბერგერი მიუთითებდა ქართველების მიერ წმინდანის დიდ პატივისცემაზე [ჯავახიშვილი, 1979:88]. მეცნიერი იმოწმებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას, რომლის მიხედვითაც, „არ

არიან ბორცვნი და მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდის გიორგისანიო“ [ჯავახიშვილი, 1979:88].

მეცნიერის დაკვირვებით, წმინდა გიორგი ხევსურებსა და ფშავლებს ღმერთის სიმაღლემდე აჰყავთ ლოცვისას: „ხევსურებისა და ფშაველების ხევისბერები ლოცვის დროს წმინდა გიორგის პირდაპირ ღმერთად ახსენებენ: „ღმერთო იხინჭის გიორგივ“ [ჯავახიშვილი, 1979:89].

სვანებისთვისაც წმინდა გიორგი ღმერთზე „ძლიერია.“

ივანე ჯავახიშვილმა გამოარკვია ასევე, რომ წმინდა გიორგის ხალხის წარმოდგენაში წარმართობისდროინდელი მთავარი ღვთაების - მთვარის ადგილი უკავია. „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძველი წარმართობისდროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“ [ჯავახიშვილი, 1979:90].

წმინდა გიორგი, ამ თვალსაზრისით, თითქოს აერთიანებს წარმართულსა და ქრისტიანულს, ძველსა და ახალს, ჯავახიშვილი თვლის, რომ თეთრი-გიორგის ხატობის ჩვეულება „მთვარის ძველი, წარმართობისდროინდელი დღესასწაულის ნაშთია.“ ამ გარემოებას შემდეგი მოსაზრებაც ცხადყოფს. „უმთავრესი ხატობა: ყველა ჩვეულებანი, ზვარაკების შეწირვა, ქადაგად დაცემა და სხვა - 14 აგვისტოს მწუხრის დროს იწყება და მთელ ღამეს გასტანს ხოლმე; თეთრ-გიორგობაში ღამის თევას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. რატომ? იმიტომ, რომ თეთრი-გიორგობა მთვარის ხატობაა, მთვარე კი, რასაკვირველია, მწუხრის დროს, საღამოთი გამოჩნდება და ღამეს ანათებს ხოლმე, ამის გამო მთვარის ხატობა, რასაკვირველია, ღამით უნდა იყოს ხოლმე და არა დღისით“ [ჯავახიშვილი, 1979:93].

მთვარე ქართველი ხალხის საწარმართო სარწმუნეობაში უმთავრეს და უძლიერეს ღმერთად ითვლებოდა, სხვადასხვა ადგილას მისადმი თაყვანისცემის სხვადასხვა წესი და ჩვეულებაა შენახული, საზოგადო წესად ყველგან ღამის თევა, ბავშვების ბერად შეყენება და აღთქმის დადებაა შემორჩენილი: „ხევსურებსა და ფშაველებს ჩინებულად აქვთ შენახული ხატის მღვდელმსახურთა წეს-წყობილება. უფროსად ხევისბერი ითვლება, ამას მისდევს დეკანოზი, ხუცესი, შულტა ანუ დასტური, ყველაზე მეტად ხევისბერსა სცემენ პატივსა; მას განუსაზღვრელი უფლება აქვს, გავლენიანი პირია. იგი ამასთანავე ხატის მამულისა, მსახურთა და ყმების მთვარ გამგედ ითვლება. როგორც ხევისბერი, ისე მეტადრე დეკანოზი ხალხს ხატის სურვილს უცხადებს, ხოლო მლოცველები სთხოვენ

დეკანოზს, გაიგე, წმინდა გიორგისაგან რა მოელის ხალხს მომავალი წლის განმავლობაშიო. ჯერ დეკანოზი უარზე დგას ხოლმე, მერე, როცა აღარ მოეშვებიან, ქადაგად დაეცემა და წინასწამეტყველებას მოჰყვება“ [ჯავახიშვილი, 1979:93].[7]

წარმართობისდროინდელი რიტუალები აისახა ნოდარ წულეისკირის მოთხრობაში „თუთარჩელა.“ მწერალმა თუთაშობის ინსტიტუტის აღწერით ქადაგად დაცემის მძიმე გზა წარმოაჩინა: „ხანგრძლივი ღამისთევა, ერთგვარი გარემო, სამუდამო მარტოობა და დღენიადაგ ბუტბუტი მნათობებთან ფსიქიურად მოქმედებდა ადამიანზე, აგზნებული თუთაში *(მთვარის წილი - მეგრ.)* ადამიანებში მთვარეულივით თუ გამოჩნდებოდა. გადაგებულ მარტვილობაში უგროვდებოდა ცოდნა და ხალხთან საუბრის მარტოობაში ხანგრძლივად ნაფიქრის, ნააზრევისა და ნანახის გაცხადების დიდი სურვილი. სურვილი თანდათან იზრდებოდა, იზრდებოდა, ერთ მშვენიერ დღეს მოზღვავდებოდა და თუთაში ქადაგად დავარდებოდა. ქადაგად დავარდნა დიდი მოვლენა იყო არა მარტო თუთაშისათვის, ხალხისთვისაც. სასიხარულო ამბავს დიდი ზარების რეკვით ზანკოჩები *(ზანკოჩი - მეზარე, მნათე - მეგრ.)* სოფელს ატყობინებდნენ. ქადაგად დავარდნა ხდებოდა უცებ, ყველასათვის მოულოდნელად, ამიტომ ხალხი გვიან იგებდა. კარგი ქადაგი ის იყო, ვინც პირველ ქადაგებას დიდხანს გააგრძელებდა“ [წულეისკირი,1971:5-6].

დეკანოზის გარდა, წინასწარმეტყველებდნენ და ქადაგებდნენ ქალებიც და კაცებიც. მკვლევარი იმოწმებს ცნობას, რომლის მიხედვით, დეკანოზებიც და ქადაგიც წმინდა გიორგის სახელით ლაპარაკობდნენ და წინასწარმეტყველებდნენ. მისი ცნობით, წინასწარმეტყველება მთვარის მსახურებს შეეძლოთ. მთვარესა და წმინდა გიორგის საკუთარი მამულები ჰქონდათ. [ჯავახიშვილი, 1979:94]. მკვლევრის დასკვნით, მამულების მმართველობა ხევისბერის ხელში იყო, ხოლო ფშავსა და ხევსურეთში წმინდა გიორგის ხატის მსახურება მთვარის ღვთაების მსახურების ნაშთს უნდა წარმოადგენდეს.

„წმინდა გიორგისათვის შეთქმულს მთელ საქართველოში „ბერს“ ეძახიან; წმიდა გიორგის ხატის მთავარ მსახურსაც ხომ „ხევისბერი“ ერქვა“ [ჯავახიშვილი, 1979:95].

---

[7] ეყრდნობა - Р.Эристов, О тушино-пшаво-хевсурском округе (Записки Кавквз.отд.рус.географич.Общества.кн.III. 1855г. გვ/102-3), ურბნელი - „ეთნოგრაფიული წერილები“ („ივერია“, 1986, N 267).

ყველა, ვისაც კი წმიდა გიორგის მთვარის მსახურისა და მონობის აღთქმა ჰქონდა დადებული, ბერად იწოდებოდა. დასავლეთ საქართველოშიც მთვარის თაყვანისცემის კვალი წმინდა გიორგის ხატობაშია შემონახული.

მთვარის თაყვანისცემის/კულტის მსახურის ანარეკლად მიიჩნევს ჯავახიშვილი მოხუც წინასწარმეტყველს, რომელიც ფშავ-ხევსურეთში ხევისბერისა და დეკანოზის მოვალეობას ასრულებს [ჯავახიშვილი, 1979:96]. მკვლევარმა „ნაციხურობისა“ და „ლიმპიარის“ („ლამპრობა“) აღწერის მიხედვით გამოარკვია, რომ წმინდა გიორგობას, თავსაც და სწორებსაც ორშაბათობით იმიტომ უქმობენ, რომ ქართველების სარწმუნოებრივი შეხედულებით, მთვარის დღე (თუთაშხა, დოშდიშ) იყო [ჯავახიშვილი, 1979:97].

მთვარე უმთავრეს და უძლიერეს ღვთაებად ითვლებოდა. მკვლევრის მოსაზრებით, ქართველთა საზოგადო უქმე დღე კვირა ვერ იქნებოდა, რადგან ამ დღეს უქმეს დაცვა ქრისტიანობას შემოჰყვა (კვირა წარმართობის ხანაში იწოდებოდა „მზის დღედ“ (ჟაშხა(ბჟაშდღა), მიჟლადეღ). შესაძლებელი იყო ქართველებს მზე უმთავრეს ღვთაებად ეღიარებინათ ქრისტიანობის წინათაც და წარამართობის დროსაც ეუქმათ. კვირა იმიტომ ვერ იქნებოდა უქმე დღედ, რომ მზე ქართველებს ისე არ სწამდათ, როგორც მთვარე“ [ჯავახიშვილი, 1979:97].

მეცნიერის დასკვნით, უქმე დღე ორშაბათი უნდა ყოფილიყო, ხოლო ხევსურები პარასკევს, შაბათს, კვირასა და ორშაბათსაც უქმობდნენ.[8] ქართლშიც აღდგომის პირველი კვირიდან მკის დამთავრებამდე ორშაბათობით უქმობდნენ.[9]

ზვიად გამსახურდია წიგნში „საქართველოს სულიერი მისია“ იხილავს საკითხს, რატომ ეწოდება საქართველოს „გეორგია“ და გარკვეულ დასკვნას გვთავაზობს - აღნიშნავს, რომ მიქაელ მთვარანგელოზს ჰყავს პროტოტიპები ანტიურ ეპოქაში, ანუ ქრისტემდელ ხანაში, ის გვევლინება, როგორც ნაყოფიერების ღვთაებათა დამცველი, ამინდის, ჭექა-ქუხილის ღვთაებათა სახით. მას ჰყავდა პროტოტიპები: „ძველ ინდოეთში - ინდრა, მესოპოტამიურ სამყაროში - მარდუკი, პალეოკავკასიურ სამყაროში - ტარჰუ, ამინდისა და ჭექა-ქუხილის ვეფხისტყაოსანი ღვთაება“ [გამსახურდია, 1990:20].

---

[8] ეყრდნობა - Р.Эристов, О тушино-пшаво-хевсур.округе, გვ.96; Радде, Хевсурия и хевсуры, გვ.97; ნ.ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები: ,,ივერია“ 1887, N158.

[9] ეყრდნობა - Н. Берзенов, Очерки деревенских нравов Грузии:"Кавказ", 1858 , N 55, 56.

გამოქვაბულებში ისინი ყოველთვის ვეფხის ტყავით იყვნენ გამოსახული, ზემოთ-ჩამოთვლილ ღვთაებებს ანტიურობის ეპოქაში სწორედ ვეფხ(ვ)ის ტყავით შემოსილთ იცნობდნენ, ქრისტიანობის ხანაში კი მთავარანგელოზ მიქაელისა და წმინდა გიორგის სახელით არიან ცნობილი: „წმინდა გიორგი არის მიწიერი ასპექტი მიქაელისა, მიქაელი არის სულიერი სამყაროს ასპექტი, აზროვნებითი ასპექტი, ხოლო წმინდა გიორგი არის მიქაელის ასპექტი ისტორიულ პლანში, ფიზიკურ სამყაროში“ [გამსახურდია, 1990:20].

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ძველბერძნები ქართველებს „გეორგოსებს“ უწოდებენ, რადგან ყველაზე მეტად მიწათმოქმედება საქართველოში იყო განვითარებული, „გეორგოსი“ კი ნიშნავს მიწის დამმუშავებელს, ამავდროულად, წმინდა გიორგის კულტი დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან, კერძოდ, ნაყოფიერებასთან, ამინდთან, მეტეოროლოგიასთან. ასე იყო ძველ საქართველოში. წმინდა გიორგი ისტორიული პიროვნებაა და, ამავე დროს, არის მიწიერი სახე მიქაელ მთვარანგელოზისა, დრაკონის დამთრგუნველი. ეს სახე და ეს კულტი იყო ყველაზე მეტად მახლობელი ქართული მოდგმისთვის. საქართველოში ქრისტიანობამ მიიღო გიორგიანობის სახე“ [გამსახურდია, 1990:20].

ქრისტიანული რელიგია საქართველოში სამღვდელოებისათვის თუ სამეფო კარისთვის, ასევე ფეოდალური კლასისისთვის თავისი წმინდა სახით არსებობდა, მაგრამ სხვა ვითარებაა ხალხურ ქრისტიანობასთან დაკავშირებით, აქ ქრისტიანობა გიორგიანობასთანაა შერწყმულია, თუმცა ამით სულაც არ არის დაჩრდილული ქრისტიანობა გიორგიანობის მიერ: „წმინდა გიორგის სახეში ქართველი ხალხი ხედავდა არა მხოლოდ კაბადოკიელ წმინდანს, არამედ - ქრისტიანულ ღმერთს. ღმერთი მას წარმოედგინა წმინდა გიორგის მებრძოლ სახეში, დრაკონის დამთრგუნველ სახეში. ე. ი., მიქაელური ასპექტის ქრისტიანობა იყო ყველაზე მეტად მახლობელი საქართველოსთვის. საქართველოს სახელწოდებაც დაუკავშირდა გიორგის, გიორგი გახდა უმთავრესი წმინდანი ქართველი ერისა და არა მხოლოდ წმინდანი, არამედ - ქრისტიანული ღმერთის სახე“ [გამსახურდია, 1990:21].

ნინო აბაკელიას ცნობით, მთიულეთ-გუდამაყარში განსაკუთრებით ბევრია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. „მთიულეთში ჩვეულებრივი წესები სრულდებოდა. მხოლოდ თუ 10 (23) ნოემბერი კვირას დაემთხვეოდა, ქრისტეშობის მარხვის აღება ექნებოდათ, თუ არა და, მომდევნო კვირას იწყებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მთიულეთ-გუდამაყარში განსაკუთრებულად მრავლად არის წმ. გიორგის სახელობის სალოცავები“ [აბაკელია, 1991:116].

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ჩოხელების სალოცავი, გადმოცემის მიხედვით, წმინდა გიორგის ენაა: „დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა და რადგანაც სიტყვა ენით გამოითქმება, ამიტომ მთის მოსახლეობა განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა ჩოხის წმინდა გიორგის, რომელიც ენის სალოცავად და სადიდებლად აქ დაარსებულა“ [ჩოხელი, 2010:110].

მოთხრობაში „გაცოცხლებული მიცვალებული“ გამოიკვეთა, რომ ჩოხში წმინდა გიორგის სალოცავი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, მისი ძალიან სწამთ და ეშინიათ კიდეც. ჩოხელთა რწმენით, წმინდა გიორგის ხატი ლოცვასაც ასრულებს და წყევლასაც. „ხევში ნოემბრის გიორგობას აღნიშნავდნენ საკლავით და ხატში გასვლით. საქართველოს ამ კუთხეშიც ხალხის წარმოდგენებში გიორგი ბოროტ ძალასთან (გველეშაპთან) მებრძოლი და ხალხის მხსენელია. „მყინვარის შავი ლაქა გიორგის მიერ გახევებულ გველეშაპად ითვლება“ [აბაკელია, 1991:116].

„გაცოცხლებული მიცვალებულის“ მიხედვით, წმინდა გიორგი განსაკუთრებულია ჩოხელებისათვის, ყველა ჩოხელს მფარველობს, ამ უპირატესობის დემონსტრირების ნიშნად, ჩოხელებს დაუწესებიათ „სუფრა უწვევარი და ქალი უთხოვარი“, რაც იმას ნიშნავდა, ჩოხელს შეეძლო დაპატიჟების გარეშე დაწვეოდა სუფრას, ხოლო თუ ქალი მოეწონებოდა, უარით ვერ გამოისტუმრებდნენ.

გოდერძი ჩოხელს ეს წესი ასახული აქვს არაერთ თხზულებაში, მეტიც, რომანში „ადამიანთა სევდა“ სიუჟეტური ხაზი ვითარდება ჩოხელების ადრინდელი „უფლებების“ აღდგენის გარშემო, რაც ითვალისწინებდა ჩოხელ ვაჟზე ქალის გათხოვების უპირობო თანხმობას. სოფლის არც ერთ გასათხოვარ ქალს უფლება არ ჰქონდა, ჩოხელი ვაჟისთვის ცოლობაზე უარი ეთქვა, თუნდაც ვაჟს ნაკლი ჰქონოდა. რომანში ამ პრივილეგიის დაკარგვის შიშით იკრიბება „ჯარი“ მეზობელი სოფლების „დასაპყრობად“.

ადრინდელი უფლების აღსადგენად რომანში ხატის დროშაც გამოაბრძანეს, ხატზე დაფიცება დამორჩილების მშვიდობიან იარაღს წარმოადგენს.

მოთხრობაში გუდამაყრელებს ეშინიათ წმინდა გიორგის რისხვისა, რადგან ჩოხელი ვაჟისათვის უარის თქმა წმინდა გიორგიზე უარის თქმის ტოლფასი იყო. ადგილობრივთა რწმენით, ქალს ბედი შეეკვრებოდა და სხვაზე ვერ გაათხოვებდნენ.

გარკვეული ცრურწმენის ნიშნებს აშკარად შეიცავს ეს რწმენა-წარმოდგენა, რომელსაც ჩოხელები ასე გულდაგულ იცავენ. ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავში მწერალს

ბევრჯერ უნახავს „მუხლისჩოქით“ მოსული ქალები, რომლებიც ვეღარ თხოვდებოდნენ და ჭკნებოდნენ. ვაჟებიც ერიდებოდნენ მათ შერთვას, ეშინოდათ წმინდა გიორგის, ბედშეკრულები კი ლოცულობდნენ: „არის ამ მხურვალე ლოცვაში რაღაც დიდი სევდა, რომელსაც ამქვეყნად შინაბერად დარჩენილი ქალის სევდა ჰქვია“ [ჩოხელი, 2010:111].

გოდერძი ჩოხელმა გიორგობის დღესასწაული რიტუალებითურთ გააცოცხლა: „სანთლებს კრებენ ხატის დასტურები, ხევისბერთან მიაქვთ, რომელიც ქუდმოხდილი, თავზე მიტკალწაკრული დგას სალოცავის გორაზე, ანთებული სანთლების კონა უჭირავს და ღმერთს ადიდებს, მლოცველებს ახვეწებს და მერე ღვთისთვის შეწირულ საქონელს უტრუსავს იმ სანთლების ალით შუბლს“ [ჩოხელი, 2010:114].

რიტუალში სინთეზირებულია წარმართული, ძველი და ახალი აღთქმის ცნობიერება. წარმართულია წმინდა გიორგისთვის საქონლის შეწირვა. მოთხრობის მიხედვით, ამ რიტუალს ხევისბერი ასრულებს, მსხვერპლშეწირვა ემსახურება კაცთა ცოდვების გამოსყიდვას: „პირველქმნილი ცოდვის მერე ახალ ცოდვებს სჩადიან და შესაწირავი საქონლის დაღვრილი სისხლით ცდილობენ თავიანთი ცოდვების გამოსყიდვას“ [ჩოხელი, 2010:114].

შეწირული საკლავის დაკვლის უფლება ხევისბერს აქვს, როგორც რჩეულს, ტრადიციის მიხედვით, ხორცს ერთიანად შეექცევა სოფელი. იმართება ლხინი, სალოცავის მოედანზე აღესრულება ყველა რიტუალი: „თითოეულის გულისგულში მოედანი იმ სამოთხეს განასახიერებს, საიდანაც ღმერთმა გამოყარა მათი წინაპრები და ახლა, ამ წმინდა მოედანზე ლოცვით, მათაც ჩამოირეცხეს თავისი ცოდვები“ [ჩოხელი, 2010:114].

თანამოძმეთა სულიერ განწყობას მწერალი კრიტიკულად უყურებს: „გზადაგზა გაახსენდებათ ადამიანებს ღმერთი, ილოცებენ, სანთელს აანთებენ, შესაწირავს შესწირავენ და მერე ისევ იმ ცოდვიან გზას დაადგებიან, რომელ გზასაც სულეთის ქვეყნისაკენ მიჰყავს ისინი და სადაც სამოთხეც ელოდებათ და ჯოჯოხეთიც. ახლაც ილოცეს, ჩააბარეს წარსულს ცოდვები და ილხენენ“ [ჩოხელი, 2010:114-115].

მწერალმა რომანებში „სულეთის კიდობანი“, „წითელი მგელი“ გააცოცხლა უძველესი თქმულება წმინდა ბერებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, წმინდა მთაზე მცხოვრებ ბერებს სიწმინდის ძალით ფრენა შესძლებიათ.

ამ ისტორიას ვხვდებით მოთხრობაშიც „გაცოცხლებული მიცვალებული“. ერთმნიშვნელოვანია ავტორის პიროვნული, ემოციური დამოკიდებულება საკითხის მიმართ.

მისი ცნობით, მთაზე უკვე დანგრეული საბეროებია, ბერების სახელობის წყაროც არის. „სიწმინდით ღვთის წინაშე ისეთი მადლი დაუმსახურებიათ, რომ ფრენა შეძლებიათ“ [ჩოხელი, 2010:115].

მწერალმა ფრენის ნიჭით მადლმოსილი ბერების დაცემის მიზეზიც გაიმეორა მოთხრობაში - თუ „სულეთის კიდობანში“ ორი მიზეზი შემოგვთავაზა (ერთი ბიჭის უკან მოხედვაა (დედისაკენ), მეორე - ხორციელი ვნება (პაპასმჭედლის ცოლის უბეს შეავლო თვალი ერთ-ერთმა მათგანმა)), „წითელ მგელსა“ და მოთხრობაში ხორციელ ვნებას ეწირება ფრენის იდუმალი ნიჭი.

„გაცოცხლებულ მიცვალებულში“ ერთ-ერთმა ბერმა დაბლა მდგომ მონაზონს ნდომის თვალით შეხედა, რის გამოც სხვა ბერებმაც დაკარგეს ფრენის წმინდა ძალა და ძირს დაენარცხნენ: „ფრთებდამტვრეულ ფრინველებივით ეყარნენ და არ იცოდნენ, რისთვის დასაჯა ღმერთმა“ [ჩოხელი, 2010:116].

მთიანეთში არსებულ ყველა ტრადიციულ დღესასწაულს რიტუალურად ახლდა საერთო ლხინი და გართობა. ჩოხელის რიტუალებსაც საერთო ლხინი და დროსტარება აგვირგვინებს, რაც გუდამაყრის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

საინტერესო ცნობას გვთავაზობს მკვლევარი ნინო აბაკელია ლუდის ხდის პროცესთან დაკავშირებით. მისი ცნობით, თუშეთში სპეციალური ნაგებობა არსებობდა - „სალუდე, სადაც ამ დღეს იკრიბებოდა მთელი სოფელი. დუღდა ლუდი, ყველას მიჰქონდა სანთელი, არაყი, ხმიადი, კალტის კვერი. ხუცესის მოვალეობის შემსრულებელ ხელოსანს ლუდის ნათაური, რომელსაც თვითონ ხდიდა, ხატში მიჰქონდა, ამბობდა 363 წმ. გიორგის სადიდებელს, ხალხს ამწყალობებდა. თუ სოფელს წმ. გიორგის სახელობის სალოცავი ჰქონდა, მამაკაცები, ბავშვები, ხატში გავიდოდნენ. ანთებდნენ სანთელს, სასმელით დაილოცებოდნენ, საკლავს კლავდნენ. თუ კარგი ამინდი იყო, საჯარეში ქალებიც იკრიბებოდნენ. მათ სახლებიდან ტაბლები მოჰქონდათ, იმართებოდა საერთო პურობა, რომელსაც წინ უძღოდა ხელოსნის დალოცვა. ამ დღეს ხატში ახალი რძლისა და ახალშობილის მიყვანაც იცოდნენ. ასეთ შემთხვევაში, სუფრაზე პატარძლის კოტორს და ყრმის სუფრას მოიტანდნენ, ხელოსანი პატარძალს და ახალშობილს ხატს შეავედრებდა.“ [აბაკელია, 1991:115].

ლუდის ხარშვა მთის ყოფიერებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიტუალია.

წმინდა გიორგის მოედანზე ბერას საპატივცემულოდ გამართული დღეობა, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, წარმართული და ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების სინთეზია: „დღეს დღეობაა ჩოხის წმინდა გიორგის მოედანზე. ხვალ ხევისბერი ზარებს დარეკავს, ხატის დასტურები ლუდით სავსე საკარგყმო კოდს დადგამენ სათემო გორაზე, ჩოხელები ჩააბამენ ფერხულს და ბერას საგმირო ლექსს „დაიძახებენ“ [ჩოხელი, 2010:123].

ეს რიტუალი, ერთობლივი, შეხმატკბილებული, ჰარმონიული სიმღერა ჩოხელების ერთიანობის გამომხატველიც იყო.

არსებული წესის მიხედვით, ჩოხელებმა ღამე სალოცავში უნდა გაატარონ, ხოლო მეორე დილით, თავიანთი გმირის სახელზე, „ფერხისა“ უნდა ჩააბან და ხატის მიწაზე *(ყველა ხატს თავისი მიწა გააჩნდა - მ.ა.)* მოყვანილი ქერისგან დამზადებული ლუდით ბერას საკარგყმო უნდა შესვან.

ჩოხელების შეხედულებით, სწორედ ბერა იმსახურებს ამ პატივს - მისი ღვაწლი გვარისთვის თავდადებად ითვლება. ჩოხელები თავს ვალდებულად თვლიან, გმირულად დაღუპული ბერას სულისთვის იზრუნონ.

ჩოხელი - მთხრობელი ბერებისა და ელიას მთას უკავშირებს მრავალ სასწაულს. ნაწარმოებიდან ვიგებთ, რომ ელიაობას ჩოხელები ერთსა და იმავე დროს აღნიშნავენ - ეს თარიღი უკავშირდება წმინდანის ზეცად ამაღლებას. ხალხის ხსოვნა ინახავდა ამ ინფორმაციას, რომელიც თაობიდან თაობას ზეპირი გზით გადაეცემოდა: „იქით ელიას მთაა... დათქმულ დროს, დაახლოებით იმ რიცხვში, როცა ელია ზეცად ამაღლდა, იმ მთაზე ელიაობას დღესასწაულობენ ჩოხელები“ [ჩოხელი, 2010:116].

გოდერძი ჩოხელი წერილში „ჩემი სულის ხსნა“ გვიყვება წარმართული რიტუალის შესახებ, რომელსაც ელიას მთაზე ატარებენ ჩოხელები: „გუდამაყარში, სოფელ ჩოხის აღმოსავლეთით, დგას მთა, რომელსაც აქაურები ელიას მთას ეძახიან. აქაურების წარმოდგენით, მთის წვერზე ღვთის საბრძანისია და აშენებული აქვთ ნიში. მთის შუა ფერდზე სამანია დაცემული. სამანს ზემოთ „ღვთის ადგილია“, სამანს ქვემოთ კი - „დევეშმაკისა“, რომელიც ღრმა ხევში იკარგება. ყოველ წელიწადს ციკანსა კლავენ ნიშთან. სამანთან მწკრივდება ხალხი. დასტურები მთის წვერიდან თავმოჭრილ ციკანს გადმოისვრის ქვემოთ. ხალხი ცდილობს, სამანს ზემოთ, „ხვთის კუთვნილ ადგილში“ დაიჭიროს მთიდან დაგორებული ციკანი და თუ ეს შეძლეს, ხარშავენ მის ხორცს და თითო

წილას აჭმევენ ყველას. თუ ციკანი სამანს გადაუცდა, ის *ეშმაკის წილია,* თავს ანებებენ და დაღონებული მიდიან შინ“ [ჩოხელი, 2020:535].

ელიაობას დღესასწაულობენ ხევსურებიც, ფშაველებიც, სრულიად აღმოსავლეთ მთიანეთი და არა მარტო აღმოსავლეთი, არამედ - მთელი საქართველოს მოსახლეობა. სერგი მაკალათიას ცნობით, ელიაობას დღესასწაულობენ ხევსურებიც, ავდრისგან დასაცავად მას მიმართავენ სწორედ, ელიას ნიში მთის მაღალ წვერზეა, ციკანს რომ დაკლავენ, იქვე გადააგდებენ. მათი რწმენით, სეტყვისგან იქნებიან დაცულნი, მაგრამ ზოგჯერ ლიქოკელები ციკანს სხვა სოფლის მიმართულებით გადააგდებენ, თან ევედრებიან ელიას, მათ ააშოროს სეტყვა და იქ დასეტყვოს [მაკალათია, 2005:57].

მოთხრობის მთავარი პერსონაჟის - ბერას ცნობიერების ველი წარმართულისა და ქრისტიანულის, ძველი და ახალი აღთქმის შეპირისპირების ფონზე წარმოჩნდება. თუ გმირის ცხოვრებას დავყოფთ ორ ეტაპად, სიცოცხლისა და სიკვდილის დროდ, გამოიკვეთება ხორციელი და სულიერი ცხოვრების დრო.

რეალურისა და ირეალურის, ხილულისა და უხილავის ფონზე ჩამოიქნა მთიელი ბერას პორტრეტი: სიცოცხლე ძველი აღთქმის ცნობიერებაა, ხოლო გაცოცხლებისშემდგომი დრო - ახალი აღთქმისა, ქრისტეს რწმენაში განმტკიცების მეტაფორა.

ძველი აღთქმა მტრისთვის სამაგიეროს გადახდას ითვალისწინებს, მას ჩაანაცვლებს პატიებაზე, მიტევებაზე დაფუძნებული სწავლება ახალი აღთქმისა.

ბერას ცხოვრების კრედო მტრის დასჯაა. მის ცხოვრებას ობერტონად გასდევს სამაგიეროს გადახდის სურვილი, ბოროტების მოსპობის გზად ძველი აღთქმით ნაკარნახევი სწავლება დაუსახავს და ამითვე ხელმძღვანელობს; რაც უფრო მტკიცედ მიიწევს წინ ამ გზაზე, უფრო მეტად შორდება ახალი აღთქმის გზას, პატიებასა და მიტევებაზე დაფუძნებულ სწავლებას. ჩოხელი-მთხრობელი ნათლად ამბობს: „ბერამ არ იცოდა, რომ ძველი აღთქმიდან მონაქროლი ხმა იყო ეს“ [ჩოხელი, 2010:121].

შურისძიების გზაზე მდგარი კაცს მომავალი არ აქვს - შურისძიების გზა ლაბირინთია, რომლიდანაც ვერ გამოდიან ჩოხელის გმირები, „მომგონეც“ არ რჩებათ. მათ სიკვდილში დომინირებს „იუდას ვერცხლი“.

გოდერძი ჩოხელი თავისი კუთხის, გვარის თაყვანისმცემელია, რაც არაერთხელ დაუდასტურებია შემოქმედებასა თუ პირად საუბრებში.

მიუხედავად ამისა, სწორედ ჩოხელთა გვარის წარმომადგენელი მოაქცია სულიერ ჩიხში, საიდანაც გამოსვლა საკმაოდ რთულია. გმირის სახეში შენივთდა და შესისხლ-ხორცდა უძველესი და ახალი რწმენა-წარმოდგენები, ბერასთვის ახალი სწავლება, ქრის-ტიანობა, მიუწვდომელი აღმოჩნდა. მის არსში წვდომას სიცოცხლეში ვერ ახერხებს, ამო-უცნობი ხმის გაშიფრვას გაცოცხლებული გმირი ეზიარება, მთავარ სათქმელსაც სიმბო-ლურად აუწყებს არა მარტო ჩოხელებს, არამედ - კაცობრიობას. პერსონაჟმა უარყო ხმა, რომელიც ბავშვობიდან შურისძიებისაკენ უბიძგებდა: „ბიბლიურ მთაზე ძველი აღთქმის კანონებს კითხულობდა და შორიდან მოსდიოდა ხმა, რომელიც არ ესმოდა: მტერს ვალი არ შეარჩიონო. თვალი - თვალისა წილ, სისხლი - სისხლისა წილ, კბილი - კბილისა წილ. მტერს ვალი არ შეარჩინო! და ეს ხმა უბიძგებდა ბავშვობიდან სიკვდილამდე“ [ჩოხელი, 2010:118].

გოდერძი ჩოხელი, ბერას ბიძის პერსონაჟით, აცოცხლებს ზეპირსიტყვიერებაში შენახულ ამბავს აბუდელაურის ტბის შესახებ. ხალხური ანდრეზი ტბისა და დევების შესახებ ხდება ბერას გმირობის ინსპირაცია. სიმბოლურია მყინვარწვერისა და ღვთის-შვილთა: კოპალას, კვირეს/კვირიას, კანჩხის, კარატეს, იახსარისა და სხვათა სახეები. მწე-რალი გვთავაზობს მითოლოგიური გმირის, „ხთისშვილ“ იახსარის ისტორიას, რომელმაც შეძლო დაემარცხებინა ადამიანთა გამწამებელი დევი და, საბოლოო ანგარიშსწორების მიზნით, აბუდელაურის ტბაშიც ჩაჰყვა. დევის სისხლმა ტბა შეკრა და გმირი ვეღარ ამო-დიოდა, ოთხრქიანი ჭედილას სისხლმა გაწმინდა ბოროტი დევების სისხლი და მტრედის სახით ამოფრინდა იქიდან „ხთისშვილი“, იმ დარბაზს დაუბრუნდა, სადაც სხვა ღვთის-შვილები ელოდებოდნენ.

ზურაბ კიკნაძე განმარტავს: „მითოსი უდამწერლობო საზოგადოების ზეპირსიტ-ყვიერი, ადამიანის არცთუ ხანგრძლივ მახსოვრობას მინდობილი ისტორიაა, სადაც რე-ალური მოვლენები თავისებურად არის არეკლილი და გარკვეულ ტიპობრივ სიუჟე-ტებშია მოქცეული. მითოსი ღრმად არის ჩაბეჭდილი არა მხოლოდ ხალხის ცნობიერებასა და ცხოვრებაში, არამედ - გარესამყაროშიც, იმ ლანდშაფტში, იმ მიწა-წყალზე, სადაც ისტორიული ბედისწერით, ნებსით თუ უნებლიეთ მოუხდა ცხოვრება ამ ხალხს“ [კიკ-ნაძე, 1996:5].

სწორედ მითოსის გავლენად უნდა აღვიქვათ დევის შემოყვანა მოთხრობაში. რო-გორც ადრეც აღვნიშნეთ, ამგვარი რამ ბუნებრივია ჩოხელისათვის.

დევების შესახებ. ზემოთ პერიფრაზი წარმოვადგინეთ, აქ კი ციტატას მოვიყვანთ: „ხთიშვილები დევებს ეომებოდნენ, სწორედ აქ. აბუდელაურის ტბაში ჩაუძვრა დევი იახსარს, რომელიც დევს ტბაში ჩაჰყვა და იქ მოკლა. დევის სისხლი ტბის ზედაპირს გადაეკრა და ვეღარ ამოდიოდა იახსარი ტბიდან მანამ, სანამ ოთხრქიანი ჭედილა არ დაკლეს ტბაზე და იმის სისხლით არ გადაურეცხეს ტბის ზედაპირიდან დევის სისხლი, ახლა კი შეძლო იახსარმა ტბიდან ამოსვლა, იგი მტრედის სახით ამოფრინდა, ეტყობა, იმ დარბაზში, სადაც მას დანარჩენი ხთიშვილები ელოდებოდნენ“ [ჩოხელი, 2010:120].

„დღევანდელი ფშავისა თუ ხევსურეთის მიწა-წყალზე აღბეჭდილია ღვთისშვილების (წმ. გიორგის, კოპალას თუ იახსრის) ისტორიამდელ ქმედებათა კვალი. ადგილთა სახელები (ავისგორი, კარატისწვერი, ირემთკალო, აბუდელაურის ტბა...) ინახავს ხსოვნას იმ ჟამისა, როცა ღვთისშვილნი, ჯერ კიდევ ხორციელნი, ადამიანთა გადასარჩენად დევ-კერპებს ებრძოდნენ. ეს ადგილები მოწმეა იმ ბრძოლებისა და გამარჯვებებისა. ამ ციკლის ანდრეზთა უტყუარობის გადამწყვეტი დასტურია სალოცავები და ნიშები, რომლებიც სწორედ იმ ადგილებზეა დაარსებული, სადაც დევ-კერპნი მკვიდრობდნენ და სადაც განადგურდნენ საბოლოოდ. ასევე „მართალ ას“ *(სიმართლეა, მართალია - მ.ა.)* და სინამდვილისეულ ფაქტად არის აღიარებული რწმენით, რაკი ისინი რჯულდების ფაქტებია, ანდრეზებში მოთხრობილი ჰიეროფანიის (სიწმიდეთა ჩენის) შემთხვევები — წმიდა საგანთა (ჯვარი, თასი, შიბი) ციდან ცვენა, ან იფნის ამოსვლა კერიიდან სალოცავის დაარსების ნიშნად, ან „მფრინავი ხატის“ მოგზაურობა ადგილითი-ადგილად, ან მტრედის, ჯვარის მაცნის, გამოცხადება მონადირისთვის ჭიუხებში, ან ღვთისშვილთაგან ქაჯავეთის დალაშქრვა და გახუა მეგრელაურის „ფანტასტიური“ თავგადასავალი. უკანასკნელ, მათი ჭეშმარიტების დასტურია თავად არსებობა მოსახლეობისა, როგორც საყმოსი, რადგან, ანდრეზის თანახმად, საყმოც ღვთისშვილის მიერ არის შექმნილი. თუმცა ბევრია მსგავსი ანდრეზული მოვლენა, რაც საყმოს შეგნებაში ჭეშმარიტად სინამდვილისეულია“ [კიკნაძე, 2016:5-6].

ვაჟა-ფშაველასა და გოდერძი ჩოხელის თხზულებებში დახატული დევები დედამიწაზე ბატონობენ და თვითნებურად იქცევიან, მათ წინააღმდეგობას ღვთისშვილები უწევენ. გელა ქისტაური ასკვნის, რომ დევ-კერპებთან ცეცხლით მებრძოლი ღვთისშვილების ისტორია წინაქრისტიანული ქართული აზროვნების კუთვნილებაა. მკვლევარი წინაქრისტიანულ რელიგიაზე დაკვირვებით აცხადებს, რომ მზეს/ცეცხლს, მართლაც.

გამორჩეული ადგილი უკავია, „შემდეგში ეს მოტივი ქრისტიანობამ ისესხა და ქრისტიანული მოდელირებით წარმოადგინა“ [ქისტაური, 2021:126], აქედან კი მივიღეთ ქრისტიანიზირებული ცეცხლი, რომელიც სარიტუალო დანიშნულებით უკვე წმინდანის სამსახურში ჩადგაო, აღნიშნავს მკვლევარი.

ანდრეზის მიხედვით, დევები ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობას ავიწროებდნენ, ბილწავდნენ წარმართულ სალოცავებს, ქალებს შეურაცხყოფდნენ, ხოცავდნენ ბავშვებს, შეწუხებულმა ხალხმა დასახმარებლად დიდ ღვთაებას მიმართა. „მორიგედ“ წოდებულმა სამყაროს შემოქმედმა „ხთისშვილნი“ შეკრიბა სათათბიროდ, გადაწყვიტეს, დახმარებოდნენ საყმოს. ლაშქრის წინამძღოლის შესარჩევად მოეწყო საგანგებო შეჯიბრი, სადაც კოპალამ და იახსარმა გაიმარჯვეს, მეთაურებიც ისინი გახდნენ, დევების ჯარი გაანადგურეს, მათი წინამძღოლი გოლიათებიც (მუზა და ბეღელა) დახოცეს. დევები ჩამოსცილდნენ ადამიანებს და სამუდამოდ გადაიკარგნენ.

მორიგე ღმერთს იახსარი ხალხის სათხოვარს პირადად ეუბნებოდა, ღმერთმა ღვთისშვილი მშვილდ-ისრით დააჯილდოვა. იახსარის სალოცავები დღემდე შემორჩენილია მთიულეთში, თუშეთში, გუდამაყარში, ფშავში, ერწო-თიანეთში, ხევსურეთში, არაგვისა და ივრის ხეობებში - ისტორიულ ფხოვში. თავდაპირველად კოპალასა და იახსარის სახელზე სალოცავები ცალკე შენდებოდა, მერე - ერთად.

ფშავ-ხევსურეთის ზეპირსტყვიერებას, კოპალასა და იახსარის ამბავს, ეფუძნება გოდერძი ჩოხელის მოთხრობის გმირის - ბერას გმირული სულისკვეთება. წყალში, ზესკნელსა თუ ქვესკნელში ნამყოფი გმირები ვერ ეგუებიან დედამიწაზე დაბრუნებას - გარსია „სულეთის კიდობნიდან“, დონატა - „წითელი მგლიდან“, ვაჟი გოგი - „ადამიანთა სევდიდან“ და ა.შ.

ზენა სამყაროს ნაზიარები გმირები დედამიწაზე დაბრუნების სურვილს აღარ გამოხატავენ, რაც სიმბოლურად „აღთქმული“ ქვეყნის ძიება-პოვნის ალეგორიაა ჩოხელთან. ბერას სურვილიც ღვთისშვილებთან შეხვედრისა დედამიწიდან გაქცევის მცდელობაა - ამას ბერა უფლისგან მოვლენილ მოწყალებად თვლის.

აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობისა და ლეკთა ურთიერთობაც აისახა ნაწარმოებში. ბერასა და მართას ისტორია, ლეკთა მავნე საქმიანობა ბერას ტრანსფორმაციის მიზეზი ხდება და წარსულიდან მოტანილ სიოს ქარიშხლად გარდაქმნის.

დასახული მიზნის განსახორციელებლად ბერას წმინდანის მფარველობა და შემწეობა სჭირდება. მფარველად სწორედ წმინდა გიორგია მიჩნეული, რომელიც გაჭირვებაში ჩავარდნილ ყველა ადამიანს უწვდის დახმარების ხელს - წმინდანმა სალოცავს ქისტებისგან გატაცებული თავისი ყმა უნდა დაუბრუნოს.

პერსონაჟი ბიძის ნაჩუქარ მაჟარს აიღებს, სამართლის აღდგენას ეცდება: „მტრის კვალზე მივდივარ, ჩემო სალოცავო. იმათგან გატაცებული შენი ყმა უნდა ვიპოვო და დავაბრუნო, ხელი მომიმართე, დალოცვილო, შენი წყალობა გამაყოლე, სადაც შენი სახელი დავიძახო, იქ მომეხმარე“ [ჩოხელი, 2010:124].

მისტიკური გარემო იქმნება გმირის გარშემო - მტრის ალყაში მოქცეულს ნისლის საბურველი შემოეხვევა და ალყას თავს ვერ აღწევს.

ზაზა აბზიანიძე წიგნში „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“ განმარტავს, რომ ნისლი გარდასხვისა და ცვლილებების სიმბოლოა, ხან ზებუნებრივ ძალებს განასახიერებს, ხან გაურკვეველ სიტუაციასთანაა ასოცირებული. ძველ აღთქმაში ნისლი გამოცხადებათა მომასწავლებელია. „პირველადი მატერია“ სამყაროში კოსმიური ნისლის (მტვრის) ფორმით არსებობს, ნისლი „სასაზღვრო ზონად“ აღიქმებოდა რეალურსა და ირეალურს შორის, მითოლოგიაში „მისტიკური ფარდის“ როლი აქვს - „იმ მდგომარეობის მიმანიშნებელი იყო, რომელშიც ადამიანი იბნევა და შეცდომებს უშვებს. სწორედ ინიციაციის შემდგომ განწმენდილ სულს უნდა გაეკვლია გზა ბუნდოვანი წარსულიდან ნათელი მომავლისაკენ“ [აბზიანიძე, 2007:7].

ნისლი ბერასათვის მისტიკური ფარდაა, უხილავი ჯავშანი, მტრის თვალთაგან დასაფარად. „ბუნდოვანი წარსულიდან ნათელი მომავლისაკენ“ გზის გაკვალვას ბერა მხოლოდ სააქაოდან დაბრუნების შემდგომ ახერხებს. აბუდელაურის ტბასთან დევებთან მებრძოლი იახსარისა და მართას წარმოდგენა ქვეცნობიერად ბერას, ხთიშვილთა მსგავსად, გმირულად განაწყობს. ტბიდან ამოფრენილ მტრედსაც ღვთიურ ნიშნად აღიქვამს: „მტრის კვალზე დამდგარს ღვთისშვილები გზას ულოცავდნენ“ [ჩოხელი, 2010:124].

გოდერძი ჩოხელის ცნობით, ქისტები ადრე ქრისტიანები ყოფილან, მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში შეუცვლიათ რწმენა: „მათ კოშკებზე კი ახლაც ნახავთ ჯვრებს და მითხოს ხეობაში თამარ მეფის დროინდელ ეკლესიას, რომლის კედლებიც ვაზის რტოებითაა მოჩუქურთმებული“ [ჩოხელი, 2010:125].

მოთხრობაში წარმოჩნდა ქისტთა და აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობის ურთიერთობა, მათი ყოფითი კონფლიქტები ახალი თემა არაა და არაერთი კლასიკოსის შემოქმედებაში აისახა კიდეც (ვაჟა-ფშაველა, ანა კალანდაძე, ამირან არაბული...). გეოგრაფიული სიახლოვიდან გამომდინარე, ქისტებისაგან ყველაზე დიდ დარტყმას არხოტიონნი იღებდნენ. განსაკუთრებული სიმტკიცე და ვაჟკაცური სული გამოსჭვივის ასაკოვანი ქალის სიტყვებში: „ქალ-ბალღიანად გაწყდითავ, არხოტიონნო, ოღონდ მტერს არ დაანებოთ არხვატი!“ [ჩოხელი, 2010:125].

ეს სიტყვები არხოტიონთა შეუდრეკლობის მაუწყებლად გაისმის ტექსტში, ამ შეუდრეკლობით ახერხებენ მტრის დამარცხებასაც და მოგერიებასაც.

მოთხრობაში აისახა აღმოსავლეთ მთიანეთში არსებული საახალწლო ტრადიცია. ხალხი, ტრადიციულად, ახალ წელს ხატში ათენებდა ღამეს, ლოცვით ხვდებოდა მას. გარკვეული რიტუალი ახლდა ახალი წლის სამზადისსაც, მთიელი კაცი განსაკუთრებულად ემზადებოდა ამ დღისათვის, რადგან მას უკავშირებდა მთელი წლის იღბლიანობას. აცხობდნენ სარიტუალო ბედისკვერებს, როგორც ადამიანისათვის, ასევე - ცხოველისთვის. გამომცხვარი ბედისკვერი განსაზღვრავდა ოჯახის სიძლიერესა და ბედნიერებას, რასაც სათანადო განწყობა მოსდევდა ხოლმე. ნაწარმოების მიხედვით, ახალი წლის ღამეს არხოტელები და ჩოხელები სალოცავში ერთად ათენებდნენ. ამ დღესასწაულზე მოხდა მტრის თავდასხმა არხოტის სოფელზე. მორიგმა თავდასხმამ დიდი ზარალი მიაყენა უშიშას ოჯახს, ოჯახის 12 წევრი ჩაუწვეს ცეცხლში, ამიტომაც ადგება შურისძიების გზას. უშიშას თორმეტი ქისტის მოკვლის ფიცი დაფუძნებულია ძველი აღთქმის ცნობიერებაზე.

„კბილი კბილისა წილ“ - ასეთია უშიშას პრინციპი. ის ახერებს 11 ქისტის მოკვლას, სამართლის აღსადგენად, ბოლო, მეთორმეტე უნდა მოკლას, მაგრამ დაჭრილის მოკვლას უშიშა არ კადრულობს, ეს მორალს ეწინააღმდეგება, სახლში წაიყვანს და უმკურნალებს.

რომელი კანონით ხელმძღვანელობს უშიშა, რომელსაც ოჯახის თორმეტი წევრი დაუწვეს და სამაგიეროს გადახდისას მეთორმეტე მტერს შეიწყალებს? უთუოდ სინთეზირებულია ერთმანეთში ძველი და ახალი აღთქმის რწმენა-წარმოდგენები მეთორმეტე მტერი ახალი აღთქმის ცნობიერებაა, რომელიც მტრის პატიებას, სიბრალულსა და სიყვარულსაც კი გვიქადაგებს. ვფიქრობთ, გოდერძი ჩოხელი, რომელსაც უყვარს

სიმბოლოები, მათ შორის, რიცხვთა სიმბოლიკა, შემთხვევით არ ასახელებს 12-ს - ასოციაციურად, ეს რიცხვი უფლის მოწაფეების პარადიგმად გვესახება. გამოფხიზლება პატიებას, მიტევებას ეფუძნება.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მკვლევარ ლევან ბებურიშვილი აზრით, „როდესაც ბოროტება სოციალური საფრთხის ხასიათს იღებს და ემუქრება უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლეს, მაშინ ქრისტიანი ვალდებულია არა მხოლოდ სულიერ ასპექტში დაუპირისპირდეს ბოროტებას, არამედ ფიზიკურ პლანშიც შეებრძოლოს მას. ამიტომაცა კურთხეული თვადაცვითი ომები და მეომართა თავგანწირვა“ [ბებურიშვილი, 2018:86].

ჩოხელის პერსონაჟები უშიშა თუ ბერა ბოროტებას ფიზიკური ძალით უპირისპირდებიან, უშიშას მიერ მეთორმეტე მტრის მკურნალობა და გაშვება სულიერების გზაზე შედგომის მაჩვენებელია, ამ გზით მორალურად იმარჯვებს უშიშა ბოროტებაზე, მაგრამ ფიზიკურად მარცხდება. სწორედ მეთორმეტე მტრის ტყვიამ მუხლის თავი ჩაუმსხვრია და სისხლისაგან დაიცალა. იგი უშიშრად ხვდება სიკვდილსაც: „ხმალი დაიჭირა ხელში და ისე შეეგება სიკვდილს“ [ჩოხელი, 2010:127]. სიკვდილთან ხმლით ხელში შეხვედრა, ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, განსაკუთრებულ ვაჟკაცობად ითვლებოდა.

მოთხრობაში მთელი სიმძაფრით გამოვლინდა სისხლის აღების ტარდიცია, სისხლის, როგორც ვალის, გაღება, მამიდან შვილზე გადადიოდა. ამ ვალდებულების მსახური ხდება თამარისძე - უშიშას შვილიც, საერთო ტკივილი და ვალდებულების ტვირთი აერთიანებთ უშიშას ძესა და ბერას. შურისძიების გზა რომ დაუნდობელია და მიუღებელი, კარგად ჩანს, ქორწილის დროს ნეფე-პატარძლის დახოცვის ეპიზოდში. სასტიკად მოკლული ნეფის სული საიქიოში გადასვლის საშუალებას არ აძლევს და სტანჯავს უშიშას ძესაც.

გოდერძი ჩოხელი ღრმა განცდით გვიხატავს შურისმაძიებლის სიკვდილისწინა მდგომარეობას - მომაკვდავს შიშველი მტერი ელანდება, ფეხზე ნასროლ ნატყვიარზე მიუთითებს და პასუხს სთხოვს. ავტორი მკვეთრი ფერებით გვიხატავს მომაკვდავის სულიერ მდგომარეობას, რითაც გვიჩვენებს, რომ შურიძიების გზაზე შემდგარი კაცი ცოდვათა ჭაობში ეფლობა და სასუფევლის გზას ირთულებს, სულს იმძიმებს. მძიმე ტანჯვას განიცდის თამარიძეც.

საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ლევან ბებურიშვილმა ტანჯვასთან დაკავშირებით. მკვლევრის აზრით, „ტანჯვის ეთიკური პრობლემის ოპტიმისტურ ნიადაგზე გადაწყვეტა ქრისტიანულმა ფილოსოფიამ მოახერხა - ქრისტიანული თვალსაზრისით, ტანჯვას, განსაცდელს, შეიძლება ჰქონდეს პოზიტიური, გამომსყიდველობითი მნიშვნელობა“ [ბებურიშვილი, 2018:36].

მოკლულის სულისათვის ტაბლა უნდა დაიდგას, სული შეავედროს უფალს. ამ რიტუალს ოჯახის წევრი ასრულებს, ესეც ტრადიციის ნაწილია, გარდაუვალი წესი. თუშები განსაკუთრებულად ზრუნავენ მიცვალებულის სულისათვის, მის სახელზე აუცილებელია სუფრის გაშლა, დალოცვილი ტაბლა, სანთელი და ზედაშე, ტანსაცმელისა და ცხენ-აბჯრის გაცემაც კი. თუშთა რწმენით, თუ ყველაფერი რიგიანად არ შეუსრულეს მიცვალებულის სულს, ის მათ „დაუცოდვებს,“ რაც იმას ნიშნავს, რომ მიცვალებული ცოდვას დაადებს ოჯახს, ეს ცოდვა კი ისე მძიმეა, შთამომავლობაზე გადადის.

ეს რწმენა-წარმოდგენა აიძულებს მთიელ კაცს, მიცვალებული საიქიოში დიდი პატივითა და კრძალვით „გაიწვიოს.“ ამ წესს ასრულებს თამარიძის ოჯახის წევრი, ცოლი, რომელმაც მეუღლის მიერ დაუნდობლად მოკლული მტრის სული უფალს შეავედრა და სამართლიანობის გარკვევა ღმერთს მიანდო: „დაანებე თავი, აგრემც ღმერთი ნათელში გამყოფებს, მაეშვი, მივიდეს სულეთის ღმერთთან და იმან თავისი წესით გაარჩიოს რჯული“ [ჩოხელი, 2010:129].

მიუხედავად იმისა, რომ მტერი მუსულმანია, მას მაინც უდგამენ მოსახსენებელ ტაბლას. მერაბ მიქელაძის კვლევის თანახმად, ქართულ „ტაბლებს“ რიტუალური დატვირთვა ჰქონდა და მიცვალებულთა სულის მოსახსენიებლად გამოიყენებოდა, მრგვალ ტაბლაზე „სულის მისაგებელ“ სანოვაგეს ალაგებდნენ; ამასთან, ტაბლა საკურთხისა და სადგამის - ორივე - მნიშვნელობით იხმარება, რაც ამ სიტყვის საკრალურ ხასიათს კიდევ ერთხელ მიუთითებს. სუფრად ხმარებული ტაბლების მრგვალ მოყვანილობას შესაძლოა ასტრალური დატვირთვაც ჰქონდა და ციურ მნათობთა შესახებ არსებულ რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდებოდა [მიქელაძე, 2014:276].

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაშიც ტაბლა საკრაური დანიშნულებისაა, რიტუალებისას სწორედ ტაბლა ფიგურირებს და მწერალი მას ასტრალურ დატვირთვას ანიჭებს. ტაბლა შენდობის მიღების სიმბოლური გამოხატულებაა. სიკვდილისწინა აგონიის

დროს სრულდება გარკვეული რიტუალი, მაგალითად, ფშავში იყო წესი, თუ მომაკვდავის „სულთან ბრძოლა“ დიდხანს გაგრძელდებოდა, „მგებრის სუფრას“ შლიდნენ. უძველესი რწმენით, მიცვალებულს საიქიოს კართან გარდაცვლილი ნათესავების სულები შეეგებებოდნენ და სულეთისაკენ გაუძღვებოდნენ. გიორგი ცოცანიძის ცნობით, უამათოდ სული სულეთში ვერ შევაო, მომაკვადავი რომ იტანჯებოდა, იტყოდნენ, მგებრნი სულს არ იღებენო, ე.ი., მომაკვდავს ამ ქვეყნად მოუნანიებელი ცოდვა რჩება და მის სულს საიქიოში არ შეესვლებაო. ზოგჯერ შეწუხებული ავადმყოფი თვითონაც მოითხოვდა „მგებრის სუფრას“ [ცოცანიძე, 2005:117-118].

მოთხრობის მიხედვით, ცოლის მიერ ტაბლის დადგმამ შეაძლებინა თამარიძის სულს მტრის სული ჩამოსცილებოდა და იმქვეყნად გადასულიყო. ხმლითა და სანთლით წარსდგა ღვთის წინაშე შურისმაძიებელი თამარიძე. სიკვდილთან ამგვარი შეხვედრა გავრცლებული იყო მთიან აღმოსავლეთში. გიორგი ცოცანიძის ცნობით, თუშეთში მომაკვდავ მამაკაცს ცალ ხელში სანთელს აჭერინებდნენ, მეორეში - ხმალს, სახლის კარზე ცხენსაც მიაბამდნენ: „მომაკვადავი მამაკაცის სახლის კარზე შეკაზმულ ცხენს დააბამდნენ, თვით მას კი მარჯვენა ხელში ხმალს მისცემდნენ, ხოლო მარცხენაში - ანთებულ სანთელს“ [ცოცანიძე, 2005:117].

გოდერძი ჩოხელის გმირი სწორედ ამ ტრადიციის მიხედვით ახერხებს სულეთისაკენ მიმავალ გზას დაადგეს. სანთელი ქრისტიანული რწმენის სიმბოლოა, ხმალი - ძალის დემონსტრირება, რაც, მთიელთა წარმოდგენით, საიქიოში აუცილებლად გამოადგება.

ცალადდარჩენილი ბერა კვლავ შურისძიების გზას ადგას, მგელივით მარტოდ დადის ციცაბო მთებში. წმინდა გიორგი ნისლში ახვევს თავის ყმას. ბერა მართას გამო დაადგა შურისძიების გზას, ის კი გადასხვაფერდა, მართა ღალატობს თავის სისხლსა და ხორცს, ღალატით გზით ბერას ჩამოშორებასაც ცდილობს - კალთაზე ჩამოძინებულ ბერას მტერს დააყენებს მოსაკლავად. გმირი ალყის გარღვევას ისევ ნისლის საშუალებით ახერხებს, რომელმაც არაერთხელ გადაარჩინა უეჭველი სიკვდილისაგან. ბერას აზრით, მოღალატე იმსახურებს სიკვდილს. თუმცა მისთვის გვარი, წინაპრები და სალოცავი ის დაბრკოლებებია, რომლებიც გადაგვარებულ ბიძაშვილს ვერ აკვლევინებს. აქაც წმინდა გიორგი გამოუჩნდა დამხმარედ, რომელმაც ნისლის საბურველში გაახვია ბერა, რითაც მოალყეებს თავი დააღწია.

მტრებმა პირობის შესრულება არ მოისურვეს, იოლი გზა გამოძებნეს პრობლემის მოსაგვარებლად, გულბაათის ღალატი ასოციაციურად იუდას ღალატს გვაგონებს, მტერთან გარიგებული გულბაათი მუხანათურად კლავს ბიძაშვილს, ბერას.

წმინდა გიორგის მოედანზე ცოცხლდება ათასწლოვანი მისტერია ჩოხელთა გმირის - ბერას სახელზე. თანამოთემეთა ფერხისა მიცვალებულ ბერას გმირული შარავანდედით ამკობს. ყველა რიტუალი ტრადიციის ნაწილია. მას უხსოვარი დროიდან ასრულებენ. წესის მიხედვით, ზარები ხევისბერმა უნდა დარეკოს, როგორც ხალხის წინამძღვარმა, რჩეულმა. სათემო გორაზე შეკრებილმა ხალხმა კი ბერას სახელზე საგმირო ლექსი უნდა წარმოთქვას. ფერხისას დროს დასტური გამოიტანს კოდით სვიან ლუდს და „ფერხისას“ დამძახებელს მიაწოდებს, მეფერხულეები კი შესანდობარს შესვამენ.

ლექსი საგმირო შინაარსისა უნდა იყოს და გმირის იდენტიფიკაციას ახდენდეს. ლექსი გარკვეული წესითა და რიგის დაცვით ითქმის: ჯერ ერთი დაიწყებს, მერე მეორე აჰყვება და სხვებმა ბანი უნდა მისცენ, ასე მეორდება რამდენჯერმე, რაც ჩოხელთა გვარის ერთიანობის, სიმტკიცისა და რწმენის გამოხატულებაა:

„ - ჩოხს დაიბადა **არწივი,**

ამბობენ ცოტა ხნისასა,

ამზადებს ტყვია-წამალსა,

ხანს ეხლა მოვე ცდისასა“ [ჩოხელი, 2010:133].

და კიდევ:

„ადგა და გამაემართა,

მადლს ახსენებდა **ხვთისასა,**

გამამყევ, ჩოხის **გიორგივ,**

ძალსა ნუ მომრევ მტრისასა....

ტკუცად გავარდა თოფები,

მაღლა აჰყრიდა ქვიშასა,

ბერაის თოფიც გავარდა,

ქისტს უმტვრევს გულის ფიცარსა“ [ჩოხელი, 2010:134].

მოთხრობის მიხედვით, რიტუალი ანდამატური ძალით იზიდავს ხალხს, სიმღერას გასუსული უსმენს ყველა, მონუსხულია ზეცაც, რიტუალის შეჩერება არანაირი მიზეზით არ შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ წვიმა დაიწყო, „ფერხისა“ არ უნდა შეჩერდეს,

ის უწყვეტი ლოცვაა, რომელსაც პაუზის შემდეგ ძალა ეკარგება, რადგან სრულყოფილი არაა. „არ შეიძლება, წვიმას შეუშინდნენ იმ გვარის წარმომადგენელები, რომელთა წინაპარმაც თავისი სალოცავის რწმენას, გვარს და შურისძიებას შეალია სიცოცხლე“ [ჩოხელი, 2010:135].

წვიმა სიმბოლური სახეა სიწმინდისა/განწმენდისა, გარკვეული წყალობისაც, რომელიც მიიღო ბერამ გაცოცხლების შემდეგ. გაცოცხლებული, საიქიოდან მობრუნებული ბერას აღსარება ჩოხელებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, კათარზისის გზაზე აყენებს, რაც გუდამაყრის სულიერი განახლების სურვილს ეხმიანება. ეს მომავალი თაობაა, რომელსაც გუდამაყრის ცხოვრებაში გარდამტეხი ფუნქცია ენიჭება.

„იმავე საზვერეში დავრჩები და სასუფევლისაკენ მიმავალი გზა არ გაეხსნება ჩემ სულსო“ [ჩოხელი, 2010:137], ამბობს პერსონაჟი, ორი დიდი ცოდვა მოსვენებას არ აძლევს, სასუფევლის კარს უხშობს, ქორწილში პატარძალი და ახალგაზრდა დედა მოკლა, „ცოდვა უნდა გაამხილოს ადამიანმა, მით უმეტეს, მკვდარმა, რომლის სულსაც ამ ცოდვისთვის სასუფეველში არ უშვებენ“ [ჩოხელი, 2010:237-138].

ქისტი დედა ატირებულ შვილს „შესაშინებლად“ თავს „ბორწნელში“ აყოფინებდა და ბერათი აშინებდა: ,,ნუ ტირი, გაჩუმდი, თორემ მოვა ჩოხელი ბერაი და თავს წაგაჭრის“ [ჩოხელი, 2010:138].

პატარას გასაჩუმებლად ნათქვამი სიტყვა საბედისწერო აღმოჩნდა, დედამ სახლში მხოლოდ ტანი შეიტანა, ბერამ ბავშვს თავი მოჭკვეთა. ეს ცოდვა უპატიებელი აღმოჩნდა ბერასათვის. სასუფევლის კარამდე ხალხის ლოცვით მისული, შიგნით ვეღარ შედის. მწერლის მიერ დახატული ამბიდან ცხადი ხდება, რომ არის ცოდვა, რომელიც მლოცველთა ძალით არ მიგეტევება, მას ცოდვილის სინანული და ლოცვა სჭირდება, ამქვეყნად დრო არ დარჩა ბერას ცოდვის გააზრებისა და სინანულისათვის.

გოდერძი ჩოხელის პოზიციით, ცოდვა ამქვეყნად, ჩადენისთანავე უნდა მოვინანიოთ, რადგან შესაძლოა სიკვდილი იმ დროს მოვიდეს, როცა არ ველოდებით და სასუფევლის კარზე მოგვიხდეს ლოდინი, გმირი ბერას მსგავსად.

ბერა თანასოფლელთ იმ რიტუალის ჩატარებას სთხოვს, რომელიც როგორც წარმართული, ასევე ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენების სინთეზია. სალოცავში პატარძლისა და ბავშვის სახელზე სანთლის დანთება ქრისტიანული რიტუალის ნაწილია, სანთელი ქრისტეს პარადიგმაა, ხოლო ოთხრქიანი ჭედილების შეწირვა და „ფერხისას“ ჩაბმა

წარმართულია. ბერას სურვილში „ფერხისას“ რიტუალის მოდიფიცირება გამოიკვეთა, სიმღერის მაგივრად, უფლისთვის ლოცვა ითხოვა, შურის გზაზე ჩადენილი ცოდვების საპატიებლად, სასუფევლის კარის განსახმელად უფლის თანხმობაა საჭირო, რაც შენდობის გარშე შეუძლებელია: „მე კი თქვენ გევედრებით, რომ ნუ შედგებით და ნუ დახოცავთ ხალხს, ეცადეთ, თოფ-იარაღით კი არა, ერთმანეთის სიყვარულით, ღვთის სიყვარულით, და თუნდაც მტრის პატივისცემით გალიოთ ეს წუთისოფელი. კარგია, როცა გვარი მტკიცედ დგას თავისი ქვეყნისა და ღმერთის წინაშე, მაგრამ სააქაოს ჩადენილი ცოდვა წინ ეღობება ჩამდენს და სულს სასუფეველში არ უშვებს“ [ჩოხელი, 2010:138, 139].

ლევან ბებურიშვილი ვაჟა-ფშაველას მხატვრული სამყაროს ანალიზისას „კაი ყმის“ თვისებებს საგანგებოდ გამოყოფს. მკვლევრის შეხედულებით, სიმტკიცე, უკომპრომისობა ზნეობრივ საკითხებში, გაუტეხელობა ცხოვრებისეულ სირთულეებთან ბრძოლაში ის თვისებებია, რომელთა შედეგადაც ადამიანი „ამქვეყნად დიდ სახელს ტოვებს და წინაპართა სულების წინაშეც პირნათელი წარდგება“ [ბებურიშვილი, 2018:31].

ასეთივე თვისებებითაა შემკული ბერაც, ისევე, როგორც გოდერძი ჩოხელის ბევრი გმირი, რომელთაც სიმტკიცეც გააჩნიათ, შეუპოვრებიც არიან, გაუტეხელნიც, უკომპრომისონი ზნეობრივ საკითხებში. გოდერძი ჩოხელთან ტანჯვა პიროვნების ამაღლების საფუძველი ხდება, ტკივილმა გამოიწვია ბერას ტრანსფორმაციაც. გმირმა მაჟარი უანდერძა იმ ადამიანს, ვინც სიყვარულითა და რწმენით განამტკიცებდა ჩოხელთა გვარს და არა კაცთა კვლით. მხოლოდ საჯაროდ მონანიებისა და აღსარების შემდეგ აღესრულა ჩოხელთა გმირი და კერპი.

ანდერძის მიხედვით, გარკვეული რიტუალი უნდა ჩატარდეს, თან - სწორედ ისე, როგორც საიქიოდან დაბრუნებულმა ბრძანა. თუ ცოცხალს არ შესწევს ძალა და არც აქვს უფლება საუკუნეებით გაჯერებული რწმენა-წარმოდგენა შეცვალოს, მკვდრის სიტყვა ავტორიტეტულია, ამიტომაც დაუყოვნებლივ და სიტყვის შეუბრუნებლივ უნდა შეასრულონ, რადგან გაცოცხლებულ მკვდარს ყველაფერი დაეჯერება. ამით საუკუნებიით დაცული ხელშეუვალი რწმენა-წარმოდგენების მოდიფიცირების გზაც დაისახა და ქრისტიანული სარწმუნოების უპირატესობაც. ჩოხელის მიხედვით, მარადიული ცხოვრების გზა სინანულსა და სიყვარულზე გადის.

ბერას მეორედ სიკვდილს ახლავს ის რიტუალები, რომლებიც დაკრძალვის დროს სრულდებოდა. რიტუალს ხევისბერი ატარებს, წესის მიხედვით, ის შეკრებს თითო სანთელს, ლოცულობს მოკლულთა სულებისათვის და ჩამოკრეფულ სანთლებსაც ანთებს. მოთხრობაში ხევისბერის ხელში სანთლის კონას ზეციური ცეცხლი მოედო, მტრედიც მოფრინდა, რომელმაც ბერას საფლავზე იღუღუნა და მყინვარისაკენ გაფრინდა. ზეციური ცეცხლი უფლის სიტყვის ენიგმაა - ციდან მოღებული წყალობა იმის ნიშანია, რომ ბერას ცოდვები ეპატია და სასუფეველში შევიდა. ჭექა-ქუხილი ზეციურ ძალთა ღვთაებრივი გამოძახილია.

ზაზა აბზიანიძის განმარტებით, მთა მიწისა და ზეცის შერწყმის ადგილია, მთაზე ფეხი არ უნდა შედგას უბრალო მოკვდავმა; მთის მწვერვალზე ჯერ კერპები და სალოცავები იყო აღმართული, მათ ჩაენაცვლა ქრისტიანული ეკლესია. ცნობილია მორიას მთა, რომელიც ღვთისმორჩილებისა და ღვთისმოშიშობის, ანუ შეწყალების უნივერსალური სიმბოლოა, სწორედ ამ მთაზე მიიყვანა აბრაამმა ისააკი, სჯულის კიდობანი მთაზეა, ცნობილია ბიბლიური თაბორის მთა, რომელიც ქრისტიანობაში ტრადიციულად მიიჩნევა ფერისცვალების მთად, გოლგოთა მთაა უფლის ჯვარცმისა... [აბზიანიძე, 2006:145-146].

გოლგოთა გადატანითი მნიშვნელობის მატარებელიცაა, აღნიშნავს მძიმე, რთულ, ტანჯვის გზას, აქედან დამკვიდრდდა გამოთქმა: „გოლგოთას გზა“, რაც ტანჯვას გამოხატავს. „საფლავის ქვათა სიმბოლიკაში მტრედი იყო ალეგორია უმანკო სულისა, რომელიც ზეცად აღევლინება, იქ სიცოცხლის ხეზე დამკვიდრდება და უკვდავების წყალს ეწაფება“ [აბზიანიძე, 2006:154].

საუკუნეების წინ დადგენილი ჩვეულება ჩოხელებისათვის დღესაც ცოცხალია და ისეთივე რიტუალებითაა წარმოდგენილი, როგორც უხსოვარ დროში. დღესაც ლოცულობენ ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავში. ბერას ანდერძს ნაყოფი გამოუღია, რიტუალი არ შეუცვლიათ, მაგრამ გვარის განმტკიცებისათვის ბრძოლის გეგმა, რაც ძალადობრივ ნიშნებს შეიცავდა, შეუცვლიათ, რადგან სიყვარულით და რწმენით ყველას ვალად მიაჩნდათ გვარის განმტკიცება და უპირატესობას არავის აძლევენ, იმის მერე შენდობას ეუბნებიან ბერას და მათ წინაპართა მიერ დახოცილ მტერთა სულებს“ [ჩოხელი, 2010:140].

ჩოხელის მიხედვით, თუ საფლავის ლოდზე შენდობის ლოცვას წავიკითხავთ, გულწრფელად უნდა ვითხოვოთ გარდაცვლილის სულის შენდობა, რადგან შესაძლოა,

ბერას მსგავსად, გარდაცვლილის სული სასუფევლის კართან იდგეს, შენდობის მოლოდინში, და მისთვისაც გაიხსნას სამოთხის დახშული კარი.

მტრედი ღვთაებრივი სიწმინდისა და უმანკოების სიმბოლოა, ის წარღვნის ისტორიის მონაწილეა, რომელმაც ზეთისხილის რტოთი ნოეს კიდობანში მყოფთ საყოველთაო წარღვნის, უფლისმიერი წყრომის დასასრული აუწყა. მეორედ მოსვლამდე წარღვნის საშიშროება კაცობრიობას არ ელის. ღვთისგან გამორჩეული ფრინველი მშვიდობის უცვლელ სიმბოლოდ იქცა. ქრისტიანულ ტრადიციაში იესო ქრისიტეს ნათლობის დროს მტრედი განასახიერებს სულიწმინდის გამოცხადებას, (მათე 3:16), შვიდი მტრედი „შვიდი ნიჭია სულიწმინდისა“, ხოლო თორმეტი მტრედი იესო ქრისტეს თორმეტი მოციქულის სიმბოლოს წარმოადგენს [აბზიანიძე, 2006:153-154].

საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის წარმოდგენებში მტრედი სიმბოლიკითაა დატვირთული: „მთიულეთში მისი ბუდე აღიქმება, როგორც ზეგარდმო მინიშნება ეკლესიის ასაშენებელ ადგილზე (ზეგარდის წმ. გიორგი); ხევსურთა რწმენით, ხან ღვთიშვილი იღებს მტრედის სახეს, ხან - გუდანის ჯვარი; თასზე გამოსახული მტრედი მიანიშნებს, რომ ეს თასი წმინდა საგანია და მხოლოდ საკულტო მომსახურებისას უნდა მოიხმარონ“ [აბზიანიძე, 2006:154].

გაცოცხლებულმა ბერამ სასტიკი მონათხრობით უარყო კაცთაკვლა, შური, ყოველგვარი ბოროტება, რაც უფლის გზას ააცდენს მორწმუნეს და სამოთხის კარს დაუგმანავს. „ღმერთმა ნურასდროს შეგვაყენოს შურისძიების ეკლიან გზაზე“ [ჩოხელი, 2018:127], - ასეთია ავტორის მრწამსი.

დასკვნა

საკვალიფიკაციო ნაშრომში შევისწავლეთ წარმართულისა და ქრისტიანულის სინთეზი გოდერძი ჩოხელის პროზაში. შესავალ ნაწილში წარმოვადგინეთ თემის აქტუალობა, საკითხის შესწავლის ისტორია, სადისერტაციო ნაშრომის საგანი, მიზნები, ამოცანები, ობიექტი, თეორიული საფუძვლები, მეთოდოლგია, მეცნიერული სიახლე, ძირითადი შედეგები, პრაქტიკული ღირებულება. თემის აქტუალურობად მივიჩნევთ კონსტატაცია ფაქტისა, რომ გოდერძი ჩოხელისთვის, როგორც მოაზროვნე მწერლისათვის, წარმართული და ქრისტიანული რელიგია შემოქმედების მთავარი თემაა. გამოიკვეთა, რომ მწერალი ამ ორ რელიგიას ათანხმებს/აზავებს. სწორედ ეს რაკურსი იყო ჩვენთვის საინტერესო, თუ როგორ წარმოაჩინა გოდერძი ჩოხელმა თავის პროზაში ორი რელიგიური მოძღვრების თანაარსებობა.

ნაშრომი აგებულია სტანდარტის შესაბამისად: წარმოდგენილია შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა, ბიბლიოგრაფია. შესავალში განსაზღვრულია საკითხის აქტუალურობა, პრობლემის შესწავლის ისტორია, საგანი, მიზნები, ამოცანები, კვლევის ობიექტი, თეორიული საფუძვლები და მეთოდოლოგია, კვლევის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები, სამეცნიერო-პრაქტიკული ღირებულება, ნაშრომის სტრუქტურა.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი შედგება **სამი თავისგან.**

თავი პირველი - „გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი პორტრეტი“ (გუდამაყრიდან დანახული სამყარო).

თავი მეორე - წარმართულ-ქრისტიანული გოდერძი ჩოხელის რომანისტიკაში.

2.1. რომან „ადამიანთა სევდის“ ეგზიტენცია;

2.2. ენიგმა „მგელი“ (რომანი „წითელი მგელი“);

2. 3. ,,ქვეყნის გადარჩენის იდეა (რომანი „სულეთის კიდობანი“);

თავი მესამე - ძველისა და ახლის სინთეზი (მცირე პროზის მიხედვით)

3.1. წარმართული რიტუალების ანარეკლი (მოთხრობები „ჩემი წიგნი“, თოვაში გასვენებული დღესასწაული“);

3.2. ღვთისშვილთა საბრძანისი (მოთხრობა „ხთისშვილი“);

3.3. წმინდა გიორგის კულტი, ძველი და ახალი აღთქმის კონცეპტები. (მოთხრობა „გაცოცხლებული მიცვალებული“);

თავი I. წარმოდგენილია „გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი პორტრეტი“ (გუდამაყრიდან დანახული სამყარო). გამოიკვეთა, რომ გოდერძი ჩოხელის პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტის შესაქმნელად მხოლოდ ბიოგრაფიული პასაჟები არ არის საკმარისი; მასზე, როგორც მწერალზე, მისი მხატვრული სამყარო, შემოქმედებითი კონცეპტები და პერსონაჟები მეტყველებენ, რომლებიც ავტორის პოზიციას, დამოკიდებულებას ადამიანებისა და სამყაროსადმი ღიად, მკაფიოდ და გასაგებად წარმოგვიჩენენ.

მწერლის შემოქმედებითი პორტრეტის გამოსაკვეთად გამოვიყენთ მაია წიკლაურის“, ერისა და მთის შვილი“, „შემოქმედება საზღვრებს გარეშე“, ნინო ზედელაშვილის „ნაწილიანი“ და ლელა ჯიყაშვილის „გუდამაყრული იები“ და ა.შ. რაც მეტ-ნაკლებად წარმოაჩენს გოდერძი ჩოხელის პორტრეტს, შემოქმედებით აბრისს. ამ წიგნებში თავმოყრილია გოდერძი ჩოხელის ბიოგრაფიული პასაჟები, ამბები, რომელთა ნაწილიც ავტორის ნაამბობს ეყრდნობა, მოცემულია მწერლის ინტერვიუები, ლიტერატურათმცოდნეთა შეფასებები, მოსაზრებები, რომლებიც დაგვეხმარა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი პორტრეტისა და პიროვნების გარკვევაში.

მკვლევართა უმრავლესობა სრულიად სამართლიანად მიიჩნევს, რომ გოდერძი ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობას სწორედ ეროვნული, ქართული სატკივარი და ფესვები კვებავს, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურაში ის არის ერთ-ერთი ყველაზე ქართველი ავტორი. ლოკალური დროსივრციდან, ქრონოტოპოსიდან დანახული პრობლემები ზოგადადამიანურია. ის, რაც აწუხებთ პერსონაჟებს აწუხებთ, ყველაზე ახლოსაა ჩვენს ეროვნულ თავისებურებებთან, მაგრამ მაინც გასაგებია ყველა ეროვნების მკითხველისთვის.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედების საფუძვლიანი კვლევისას დადგინდა, რომ ის მთის ტრადიციებზე აღზრდილი მწერალია, გუდამაყრული ფოლკლორი და მითოლოგია მისთვის ახლობელია, შთაგონების წყარო და სულიერი სამყაროს ნაწილია. მისი დამოკიდებულება ფოლკლორთან, ზეპირსიტყვიერბასთან სცდება მოდერნისტთა, პოსტმოდერნისტთა დამოკიდებულებებს. შეიძლება ითქვას, რომ ჩოხელი თავისი მისტიციზმითა და ადათების ერთგულებით, გუდამაყრული მითოსის, ახალი ჩოხის მითისმქმნელად წარმოგვიდგება.

მწერლის შემოქმედება მისი კოლორიტული, საინტერესო, რეალური ცხოვრებიდან გადმოსული ცოცხალი პერსონაჟებითა და გუდამაყრის ყოფის ასახვით გამოირჩევა. ჩვეულებრივ ჩოხელებს, თავისი კუთხის, სოფლის მკვიდრებს მწერალმა ახალი ლიტერატურული ცხოვრება აჩუქა.

გამოიკვეთა, რომ ანიმიზმი ჩოხელის პროზის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია, მით უმეტეს, თუ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ის გარკვეულწილად პირველყოფილი რელიგიებიდან და წარმართული ტრადიციებიდან, ანიმისტური მსოფლმხედველობიდან ამოდის. მისი სიტყვებით, ძველი ადათ-წესები გუდამაყრის ხეობაში კარგადაა შემონახული, მთიულეთისგან განსხვავებით, სადაც ისინი უკვე წაშლილია. ამის მიზეზად მწერალი გზის გაყვანას მიიჩნევს, რადგან გზას ცივილიზაცია შემოაქვს და ძველ ადათ-წესებს შლის. გუდამაყარი მოწყვეტილია გარე სამყაროს, ცივილიზაციას, ამიტომაც ხეობაში ძველი ჩვეულებები, წესები და რიტუალები დაკონსერვდა.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები უარყოფენ მწერლის ბიოგრაფიის, ცხოვრების გზის მნიშვნელობას მისი შემოქმედების სრულად გასააზრებლად, მაგრამ გოდერძი ჩოხელი სწორედ იმ ავტორებს მიეკუთვნება, რომლის ლიტერატურული გზა, მთავარი კონცეპტები და გემოვნებაც კი, მისმა დაბადების ადგილმა - ჩოხმა განსაზღვრა. ქართული მთა, რომელიც აქამდე ფართოდ ფშავითა და ხევით, კერძოდ სტეფანწმინდით იყო წარმოდგენილი, ახლა გეოგრაფიულადაც გაფართოვდა და მასზე ახალი პუნქტი მოინიშნა, თან სრულიად განსხვავებულად და ავთენტიკურად.

მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები მთიანი გუდამაყრის ცხოვრების რეალურ სახეს გვიჩვენებენ. ჩოხელის შემოქმედებას ძირითადად ფსიქოლოგიური და რელიგიური კონტექსტები ასაზრდოებს, სიღრმისეულად შეიგრძნობა ბუნებისა და ადამიანის უშუალო კავშირი. ამასთან, ავტორი ცდილობს მივიწყებული რეგიონი გააცნოს და გაახსენოს ყველა ქართველს, შესაბამისად ქმნის გმირობის, ვაჟკაცობის მაგალითებს: ქრისტიანული და წარმართული ცნობიერებით ნასაზროდები გუდამაყრელები ინარჩუნებენ წინაპართა ტრადიციებსა და ადათებს, მათი უშუალო, გულუბრყვილო, მადლიანი საქმენი გვარწმუნებს სიკეთის არსებობაში და გვაძლევს იმედს, რომ ქვეყანა არ გადაშენდება.

თვალშისაცემია, რომ გოდერძი ჩოხელი მკითხველს გააზრების, გადაფასებისა და საკუთარი პოზიციის გამოხატვის საშუალებას უტოვებს, რაც მწერლის ოსტატობის მაჩვენებელია; ის, რაც გენიალურია, არასოდეს იძლევა მხოლოდ ერთი პასუხის, ერთი გააზრების საშუალებას. ჩოხელის ტექსტების აღქმა ბევრი რაკურსითაა შესაძლებელი, ხშირად სრულიად მოულოდნელითაც. ამ მხრივაც განსაკუთრებულია გოდერძი ჩოხელის მხატვრული სამყარო.

ჩოხელის შემოქმედებას მთის გულწრფელობა, ბუნების დაუოკებელი სიყვარული, ქალის, დედის კულტი და სამშობლოს თემა კვებავს. მის ბელეტრისტიკას გამოარჩევს კავშირი ძველ - ,,წარმართულსა'' და ახალ რელიგიას - „ქრისტიანობას“ შორის; მწერალმა ათასწლეულობის წინათ ჩამოყალიბებული ტრადიციები, უძველესი ჩვეულებები გაა-ცოცხლა და მკითხველს შთამბეჭდავად წარმოუდგინა. როგორც ჩოხის ყოფაა აღსავსე წარმართულისა და ქრისტიანულის, ძველისა და ახლის სინთეზით, ასეთივეა გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა - არქაულიცა და თანამედროვეც, მისტიკურიცა და გამჭირვალეც.

გოდერძი ჩოხელის პროზაში მწერლობის მთვარი კონცეპტი გუდამყრელი ბაყდარის პირით წარმოჩინდა:

„მწერალი, ის არის, ვინც იცის, რას წერს.

მწერალი, ის არის, ვინც იცის, რატომ წერს.

- მწერალი ის არის, ვინც იცის, ვისთვის წერს“ [ჩოხელი, 2018: 35].

გოდერძი ჩოხელი იყო ის მწერალი, რომელმაც იცოდა რას წერდა, რატომ წერდა და ვისთვის წერდა!

თავი II. წარმართულ-ქრისტიანული გოდერძი ჩოხელის რომანისტიკაში

2.1. რომან „ადამიანთა სევდის“ ეგზისტენცია;

2.2. ენიგმა „მგელი“ (რომანი „წითელი მგელი“);

2.3. ქვეყნის გადარჩენის იდეა (რომანი „სულეთის კიდობანი“);

კვლევაში სიღმისეულად წარმოჩნდა წარმართულისა და ქრისტიანული რელიგიების სინთეზი, რომელიც ასაზრდოებს გოდერძი ჩოხელის არა მარტო პროზას, არამედ პიროვნებასაც. ,,ადამიანთა სევდა'' ანკეტირების სტილით შექმნილი თხზულებაა, რომელშიც ასახულია ადამიანის უმთავრესი სატკივარი - სიკვდილი. სიკვდილისა და სიცოცხლის ჩოხელისეული აღქმა ფილოსოფიურია, მისთვის სიკვდილიცა და სიცოცხლეც

ტკბილი განცდაა, ოღონდ ადამიანად ყოფნა-არყოფნის კონტექსტში. გოდერძი ჩოხელმა მკვეთრად წარმოაჩინა ფსევდო დეკანოზის სახე, რომელიც, ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ხევის სიწმინდეს - სათემო დროშას - ბანალური საკითხის, თემის შიგნით გაჩენილი კონფლიქტის მოგვარების იარაღად იყენებს. ავტორმა გასაგებად მიგვანიშნა, რომ გუდამაყარში უძველეს (წარმართულ) რელიგიას ყავლი გაუვიდა.

„წითელი მგელი“ გამორჩეული რომანია, რომელშიც თავმოყრილია ის თქმულებები, რომლებიც მწერალს ბავშვობაში გაუგონია ან წაუკითხავს მგელზე. ბავშვობის/სიყრმის დროინდელი შთაბეჭდილებები მწერალს აუკინძავს, გადაუმუშავებია, შემოქმედებით ქურაში გაუტარებია და ისე წარმოუდგენია მკითხველის წინაშე. მწერლის ბიოგრაფიიდან ცნობილია მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება მგელთან; ავტორისათვის, გუდამაყრელთათვის ზოგადად, მგელი მითოსურ ცხოველზე მეტია, ის ვაჟკაცობის, სიმამაცისა და ზნეობის საზომია.

რომანში მგელი უარყოფითი კონტექსტითაა წარმოჩენილი, მგლობა საშიშ მოვლენადაა ქცეული; რომანის გმირი თევდორე რთულ გზას გაივლის, კაცობიდან მგლობამდე და მგლობიდან კაცობამდე. ეს გზა გოლგოთაა, რომლის გალევის შემდეგ საკუთარი თავის შეცნობაა შესაძლებელი, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამის ანდერძს შეასრულებ, იპოვის ყვავილს, რომელიც უფლის პარადიგმადაა გააზრებული. რომანი აჩვენებს, რომ გამგელებული კაცი მგელზე დაუნდობელი და სასტიკია.

„წითელ მგელში“ ავტორმა არსებული რეჟიმის მანკიერება მთელი სისრულით წარმოაჩინა და ამავდროულად სიცოფის - სიგიჟის, როგორც ეპოქალური ნიშნის განმაკურნებელი საშუალებაც გვიკარნახა: ეს მხოლოდ უფალთან ყოფნით, ღვთის რწმენით არის შესაძლებელი, რაც საბჭოთა მმართველობისთვის მიუღებელია.

„სულეთის კიდობანში“ გოდერძი ჩოხელმა ქვეყნის გადარჩენის წინაპირობად წინაპართა ნაკვალევზე დადგომა მიიჩნია. ნაწარმოების მთავარი სათქმელი ვახტანგის ანდერძის განახლების საჭიროებაა, რათა სრულიად არ გავნაგდურდეთ, არ მოვისრათ, როგორც ერი.

2.1. რომან „ადამიანთა სევდის“ ეგზისტენცია

გოდერძი ჩოხელი მთელ სამყაროსა და მშობლიურ გუდამაყარს უხილავი შემოქმედის ხელით დაწერილ დიდ წიგნად წარმოგვიდგენს; სიკვდილ-სიცოცხლის არსი, ადა-

მიანისა და ღმერთის, ადამიანისა და სამყაროს ურთიერთმიმართება, სულის საიდუმ-ლოს ძიება მწერლის მსოფლმხედველობას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს. რო-მანი გუდამაყრის მივარდნილი სოფლის ჩოხის პოპულარიზაციის მცდელობაცაა. სოფ-ლის ისტორიას ჩოხის მკვიდრთა სახელის აღსადგენად წარმოებული ლაშქრობების ფონ-ზე ვეცნობით. სიუჟეტი ანკეტირების მეთოდზეა აგებული და იმ საკითხებს წარმოაჩენს, რომლებიც ჩოხის მოსახლეობას აღელვებს. ავტორის პოზიციაც ყველგან იგრძნობა, ის ალეგორიულად, მმართველობის ფორმასაც აკრიტიკებს და ამავდროულად, გუდამაყ-რელთა უძველეს წეს-ჩვეულებებს ერთგვარ სინქრონიზაციას უკეთებს და კარტოტეკუ-რად ინახავს. როგორც თავის დროზე ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩაწერამ, ქაღალ-დზე გადმოტანამ გადაარჩინა მსოფლიო ხალხების ფოლკლორი, მეორე მხრივ კი, ბუნებ-რივი მდინარებიდან ამოაგდო იგი, ასევეა გოდერძი ჩოხელისა და გუდამაყრის შემთხვე-ვაშიც. გადარჩენილმა, ლიტერატურული ცხოვრების წიაღში გადმონაცვლებულმა ტრა-დიციებმა სიცოცხლე შეინარჩუნეს, მარადიულობა შეიძინეს.

ავტორი კიდევ ერთხელ გვაფიქრებს ადამიანის დანიშნულებაზე, სიკვდილ-სიცოც-ხლესა და სხვა მარადიულ თემებზე, რომლებიც რომანში მთელი სიმძაფრით შეიგრძნო-ბა. გოდერძი ჩოხელმა რომანში მაღალმხატვრულად წარმოაჩინა ადამიანისა და შე-მოქმედის ურთიერთმიმართების საკითხიც.

რომანის კომიკურ-ირონიული გააზრების წინაპირობა მოლაშქრეთა შემადგენლო-ბაში სხვადასხვა პროფესიისა თუ უბრალო, რიგითი ადამიანების (სიძე, დიასახლისი, მესაიდუმლე) ყოფნაა, ჩოხელები ლაშქრობის „ამაღლებული“ მიზნისა და მისიისთვის გაერთიანებულან და გულმხურვალედ იბრძვიან.

რომანში ასახულია გუდამაყარში ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების ამბებო, ამ საკითხთან დაკავშირებით თვალშისაცემია ისტორიული დოკუმენტებისა და მხატ-ვრული სინამდვილის თანხვედრა. გოდერძი ჩოხელი თავისი კუთხის ჭეშმარიტ მეის-ტორიედ გვევლინება, იკვეთება უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და ახალი-ქრის-ტიანული რელიგიის თანაარსებობა. ჩანს, რომ ორივე რწმენა/მიდგომა ერთდროულად არსებობს, ხშირად მათი განცალკევება ჭირს. გოდერძი ჩოხელი ორი რწმენა-წარმოდ-გენის თანაარსებობის ზოგად სურათს ხატავს.

გოდერძი ჩოხელის ოსტატობა სიკვდილის ხატვის განსაკუთრებულობაშია, სიკვდილს ყოველთვის ახლავს სინანული და სევდა, მაგრამ არა ტრაგიზმი, ის ჩოხელისთვის სიცოცხლის უკეთ, ბოლომდე გააზრების საშუალებაა. მკვდარი სიკვდილის მეჭირისუფლედ, გუდამაყრელებთან ერთად, ჩოხელმა ბუნების გვრიგვინი - მზეც წარმოგვიდგინა. სიკვდილის მოკვლის მიუხედავად, ავტორმა მზე სიკვდილის საფლავიდან ამოიყვანა, გუდამაყარს იმედის სხივი და ნაპერწკალი დაუტოვა ნიშნად იმისა, რომ სიცოცხლე კვლავ გაგრძელდება.

გოდერი ჩოხელმა „ადამიანთა სევდაში“ ჩოხელთა უაზრო ლაშქრობის ფონზე გუდამაყრელთა მსოფლმხედველობაც წარმოაჩინა, რაც ამ კუთხის პოპულარიზაციას ემსახურება. ტრაგედიებითა და სადარდებლით სავსე ისტორიებში მთიანი აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ახალი და უძველესი რწმენა-წარმოდგენებიც აისახა. ქრისტიანული რწმენით შთაგონებული გმირები სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული თემას ფილოსოფიურად განიხილავენ, მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი სიცოცხლეს ამარცხებს, მას სიყვარულზე ჯერ არ გაუმარჯვია, სიკვდილთან შეხვედრის შემდეგ სიცოცხლე უნდა იზეიმო - ამითაა შთაგონებული გოდერძი ჩოხელის შემოქმედება. სევდაა ადამიანად ყოფნა, სევდაა ადამიანად არყოფნაც - ამ აღმოჩენით, მიგნებითაა შთაგონებული არა მარტო ეს რომანი, არამედ მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მწერლის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

სიკვდილის-სიცოცხლის ჩოხელისეული აღქმა მკითხველს მარადიულ თემაზე - ადამიანობაზე აფიქრებს; სიკვდილის მოვლინება დედამიწაზე და მისი მოკვლა ორიგინალურად წარმოჩნდება ამ სიტყვებშიც: *,,მე კი არ გკლავთ თვითონ ვკვდები თქვენში“.*

2.2. ენიგმა „მგელი“ (რომანი „წითელი მგელი“)

„წითელი მგელი“ გოდერძი ჩოხელის გამორჩეული რომანია. ის მთაში გავრცელებული მითების ერთგვარი კრებულია, რომელიც მგელზე თქმულებებს მოიცავს. რომანში შემავალი ამბები განსხვავებულია და ერთიანდება ჩართული მოთხრობების ციკლში (რომლებიც ერთგვარ „მატრიოშკას“, ჩინურ ყუთს გვაგონებს), ე.წ. „ჩარჩო-ნაწარმოებს'' ქმნის. მათ საერთო თემა აქვთ - მგელი და მასზე არსებული ამბები, რომლებიც ავტორს თავადაც მოუსმენია მოხუცებისაგან მშობლიურ კუთხეში.

მკვლევარი მაია წიკლაური წიგნში „გოდერძი ჩოხელი - შემოქმედება საზღვრებს გარეშე“ საგანგებოდ ჩერდება „წითელ მგელზე“; მკვლევარი სიღრმისეულად მიმოიხილავს რომანს, აკეთებს გარკვეულ ინტერპრეტაციას, გამოაქვს დასკვნები, ავლებს პარალელს ქართულ და უცხოურ მწერალთა ნაწარმოებებთან. შესწავლილი მასალის გათვალისწინებით მკვლევარი აცხადებს, რომ მწერლის შემოქმედება ორგანულად არის დაკავშირებული ქართულ მითოსთან. მაია წიკლაურის მოსაზრებით, გოდერძი ჩოხელისთვის მგელი მთიულური მითოსის გმირზე მეტია. მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების გათვალისწინება გვაძლევს საშუალებას დავეთანხმოთ მკვლევარს. გოდერძი ჩოხელისთვის მგელი მხოლოდ მთიულური ან თუნდაც საერთოდ მითოსის გმირი არ არის, მგელი ჩოხელისათვის ვაჟკაცობის, ზნეობის, სიმამაცის სახეა და ის ადამიანური, კაცობრივი ბუნების გასაგებად და ამოსაცნობად სჭირდება. თუმცა ამ რომანის შემთხვევაში მგლის პარადიგმას ასე ცალსახად და სწორხაზოვნად ვერ მივუდგებით, აქ ცხოველის რთული, წინააღმდეგობრივი ბუნება უფრო თვალშისაცემია, ვიდრე მცირე პროზაში გაცხადებული თვალსაზრისი.

რომანი „წითელი მგელი“ წმინდა წერილის სიბრძნით, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით, ქართველი თუ უცხოელი კლასიკოსების ნააზრევით არის ინსპირირებული. იგი ორი ნაწილისაგან შედგება - პირველი მცირე მოცულობისაა და სოფლიდან ქალაქში ჩასული ლუკას ქალაქური ცხოვრების ძალზე მოკლე პერიოდს ასახავს. ეს ეპიზოდები გამდიდრებულია მწერლის ბიოგრაფიული პასაჟებით, რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი ლუკა, ისევე როგორც გოდერძი ჩოხელი, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია. რომანში იკვეთება ლუკას რთული და საკმაოდ დაძაბული სამთვიანი ქალაქური ცხოვრების გამოცდილება. ის აწყდება უსამართლობას, ძალადობას, რასაც ფიზიკური ანგარიშსწორება მოჰყვება, მოძალედეები მხოლოდ ძალის წინაშე ხდებიან უძლურნი - ასეთია მწერლის პოზიცია.

ჩოხელის სამყაროში მგლობა ჩვეულებრივ ამბად ქცეულა; მგელი ისე შერწყმია ადამიანს, რომ მათი გარჩევა გართულებულია. მგლის სათარეშო გამხდრა არა მხოლოდ ბუნება, არამედ ადამიანებით დასახლებული ადგილებიც; სოფელიც მგლებითაა სავსეა და ქალაქიც, კაცთა მოდგმაში გარეული მგელი უშიშრად სწოვს სისხლს ადამის შვილს და სულირებისაგან ფიტავს. ესეც ეპოქის ნიშანია, ეპოქის სახე.

რომანში უხვადაა თავმოყრილი ამბები, რომლებსაც ქართული მითოლოგია ინახავს; მწერალს მთაში გაგონილი თუ მოსმენილი გულდაგულ შეუკრიბავს, სულში გაუტარებია და საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოუდგენია მკითხველისთვის. ნაწარმოებში მთის წარმართული ყოფა და ტრადიციები დომინანტურია, მასში ასახული სიზმრები, გამოცხადებები, სასწაულები თუ მითოლოგიური პასაჟები ჩოხელს წინააღმდეგობრივი: რეალური და ირეალური, არსებული და გამოგონილი, გამჭვირვალე და იდუმალი მხატვრული სამყაროს შემქნელად აქცევს. სწორედ ეს არის მისი შემოქმედების უმთავრესი ნიშანიც. გოდერძი ჩოხელი მითის, ლეგენდისა და ზღაპრის ჯადოსნურ კიდობანში ღრმად გვახედებს. მგალდყოფილი თევდორეს ისტორიით კი ადამიანური ყოფის უნივერსალურ კანონზომიერებას გვაზიარებს. რომანში სიკვდილისა და სიცოცხლის ღრმა საზრისი სიყვარულისა და სიძულვილის, ცოდვისა და მადლის პრიზმაშია განხილული. ავტორი მგალდმოქცეული კაცის ტრაგიკულობას სიღრმისეულად განგაცდევინებს, კაცისსახიანი მგლის ადგილს კი არ ტოვებს თავის სამყაროში, რადგან ასეთები ასვამენ დაღს საზოგადოებასა და ეპოქას, რომლის სიმბოლური გააზრება „წითელი მგლითაა“ შესაძლებელი.

2.3. ქვეყნის გადარჩენის იდეა (რომანი „სულეთის კიდობანი“)

რომანში „სულეთის კიდობანი“ წარმართული რწმენა-წარმოდგენები და ქრისტიანულ რელიგია მკვეთრად სინთეზირდა. მთავარმა გმირმა მომავალი თაობებისთვის სახსოვრად, საკუთარი ინიციატივით, მუზეუმი ააშენა, რომელსაც „გუდამაყრელთა მუზეუმი“ დაარქვა; მუზეუმისთვის მნიშვნელოვანი ნივთებიც შეაგროვა, რომელთაც თავისი ისტორია აქვთ და მთიანი გუდამაყრის ყოფა-ცხოვრების, ეთნოკულტურის, რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას ატარებენ. სებას ნაშრომ-ნაწვალევს მალე სხვა მმართველი გამოუჩნდა მელია-შელიას სახით, მისი საქმიანობისა და მმართველობის სტილი საქართველოს ახლო წარსულის პოლიტიკური მმართველობის სტილს გვაგონებს. მუზუმის ახალმა მმართველმა ინფორმაციის შემგროვებლად სადგისი გაიჩინა. „ყველგან შემრჭობმა“ სადგისმა მუზეუმში განთავსებული ნივთების შესახებ ინფორმაცია გულმოდგინებით შეაგროვა, ახალმა მმართველმა კი კიდობანში გამოკეტა. რომანის ბოლოს მთავარი გმირი ცდილობს გადაარჩინოს საქართველოს ფორმის ფარდაგი, რომელზეც ვახტანგ მეფის ანდერძია დატანებული, რაც სიმბოლურია. ის ქვეყნის (საქართველოს მ.ა.) გადარჩენა-განახლების იდეას ატარებს. „სულეთის კიდო-

ბანში“, ერთი მხრივ, ძველისა და ახლის, წარმართულისა და ქრისტიანულის შეჯახება/-სინთეზია ნაჩვენები, მეორე მხრივ კი, ეს არის ანტისაბჭოთა განწყობებით გამორჩეული ტექსტი, ერთგვარი რომანი-მხილება.

რომანი აღსავსეა ბიბლიური ცოდნით, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებით, კლასიკოს-თა ნააზრევითა და ხალხში მარგალიტებად გაფანტული სიბრძნით. სიმბოლურ-მეტაფო-რული მეტყველებით, ორმაგი მნიშვნელობის სიტყვებითა და ფრაზებით ჩოხელი მთავარ სათქმელს შეფარულად გვიცხადებს და ღრმად გვახედებს თავის თანამედროვე ეპოქაში.

 რომანის მიხედვით, აღმოსავლეთ მთიანეთში, გუდამაყარში, ქრისტიანული სალო-ცავები დგას და ხალხი მათში ლოცულობს, უფალს ადიდებს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მასთან ერთად ადიდოს და თაყვანი სცეს ისეთ საგნებს, არსებებს, რომლებსაც ქრისტი-ანულ მსოფლმხედველობასთან კავშირი არ აქვთ. ჩოხელის „სულეთის კიდობანში“ ჯა-დოსნური სამყაროა წარმოდგენილი; როგორც აღვნიშნეთ, აქ ადამიანებივით საუბრობენ ცხოველები, ფრინველები, უსულო საგნები, აქ გველეშაპი პირიდან ცეცხლს ყრის და სო-ფელში ავი სულები პარპაშებენ. როგორც მწერლის მთელ პროზაში, აქაც საკრალურად ერწყმის ერთმანეთს რეალური და ირეალური, გამოგონილი და ნამდვილი, წარმართუ-ლი და ქრისტიანული, აქაც შენარჩუნებულია მიჯნური, სამანური მსოფლმხედველობა, რაც გოდერძი ჩოხელის მთელ შემოქმედებას განსაკუთრებული ნიშნით აღბეჭდავს და გამოარჩევს თავისი ეპოქის სხვა მწერლებისაგან.

გოდერძი ჩოხელმა რომანი „სულეთის კიდობანი“ სიმბოლურად დაასრულა ბენი-ამინის ისტორიით, რითაც მწერლური თვალთახედვის გასაღებიც მოგვცა. ავტორი ერთ-მნიშვნევლოვანად იხრება ქრისტიანული სარწმუნოებისკენ.

მწერალი „სულეთის კიდობნის“ მითოლოგიური საფუძვლისა და ბიბლიური სიუჟე-ტების გარდაქმნით გვიხატავს ორი რწმენა-წარმოდგენის: წარმართულისა და ქრისტი-ანულის ერთგვარ სინთეზს, ავტორი საკრალური დანიშნულების მქონე ნივთების მუზე-უმში გვამოგზაურებს, მაგიურ კიდობანში გამომწყვდეული ნივთების უბედო-ბედს გვი-ზიარებს. გვინერგავს იმედს, რომ ჩრჩილების მიერ ნახევრად შეჭმული ვახტანგის ანდერ-ძი ისევ განახლდება, წითელი რეჟიმის მიერ დაღდასმულ ქვეყანას კვლავ მოხედავს უფა-ლი, ღვთისმშობელი კვლავ გადმოაფარებს მადლიან კალთას, ათონის მთიდან ისევ მო-ეფინება ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტი ნათელი, მთიან გუდამაყარში დავანებული

წინაპართა ათასწლოვანი მისტერია კვლავ იარსებებს, როგორც თვიმყოფადობისა და ინდივიდუალურობის, იდენტობის დასტური.

რომანი „სულეთის კიდობანი“ ქვეყნის სულიერი გადარჩენის გზას გვიჩვენებს, კიდობანში გამოკეტილი ნივთები ქვეყნის უბედო ბედს გვიზიარებს, გადარჩენილი ფარდაგი კი იმედით გვავსებს, რომ ვახტანგის ანდერძი აღდგება და ქვეყანა გადარჩება.

თავი III. ძველისა და ახლის სინთეზი (მცირე პროზის მიხედვით)

3.1. წარმართული რიტუალების ანარეკლი (მოთხრობები „ჩემი წიგნი“, „თოვაში გასვენებული დღესასწაული“);

3.2. ღვთისშვილთა საბრძანისი (მოთხრობა „ხთისშვილი“);

3.3. წმინდა გიორგის კულტი, ძველი და ახალი აღთქმის კონცეპტები (მოთხრობა „გაცოცხლებული მიცვალებული“).

ამ თავში განვიხილეთ გოდერძი ჩოხელის მოთხრობები: „ჩემი წიგნი“, „თოვაში გასვენებული დღესასწაული“, „ხთისშვილი“ და „გაცოცხლებული მიცვალებული“.

მოთხრობები: „ჩემი წიგნი“ და „თოვაში გასვენებული დღესასწაული“ წარმართული წეს-ჩვეულებების: თაგვუქმობისა და ჩიტთაფაფაობის უძველეს რიტუალებს გვაცნობს. ჩოხელის მცირე პროზაშიც მკვეთრად იგრძნობა წარმართული მსოფლმხედველობის არსებობა, ვხედავთ, რომ ჩვენს ეპოქაშიც გადმოჰყოლიათ მთიელებს უძველესი რწმენა-წარმოდგენები, წინაპართა სარწმუნოებას დიდი ერგულებით მისდევენ და სიცოცხლესაც კი სწირავენ ხშირად, როგორც ნაჩვენებია მოთხრობაში „თოვაში გასვენებული დღრსასწაული“.

მოთხრობაში „გაცოცხლებული მიცვალებული“ ავტორმა სიღრმისეულად წარმოაჩინა ძველი (წარმართული) და ახალი (ქრისტიანული) რელიგიის თანაარსებობა, ამ ორი რელიგიის ჭიდილი/სინთეზი გუდამაყრელთა გმირის - ბერას ცხოვრების გზით გვიჩვენა, წმინდა გიორგის კულტის მხატვრული წარმოჩენით კი ქრისტიანული რელიგიისაკენ გადაიხარა.

3.1. წარმართული რიტუალების ანარეკლი (მოთხრობები „ჩემი წიგნი“, „თოვაში გასვენებული დღესასწაული“)

კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ აღმოსავლეთ მთიანეთის მაცხოვრებელთა ცნობიერებიდან ვერ წაიშალა წარმართული რწმენა-წარმოდგენები. გოდერძი ჩოხელის

თხზულებებს სწორედ ეს თემა კვებავს, მწერალი უძველესი რიტუალების თანამონაწილედაც გვევილინება, რაც მათ ავთენტიკურობას, ზუსტად გადმოცემის ხარისხს კიდევ უფრო აძლიერებს. ჩოხელი ცდილობს ერთი მივიწყებული კუთხის არქაული ცხოვრების წესი ფართო საზოგადოებას გააცნოს, ის, ოჯახის თავკაცის მსგავსად, საღამოს კერაში შენახულ ნაღვერდალს დილით აღვივებს, რომ სიცოცხლის ნიშნად ცეცხლად ააბრდღვიალოს.

გოდერძი ჩოხელი მეოცე საუკუნის გამორჩეული ავტორია, რომელიც ძველსა და ახალს, არქაულსა და თანამედროვეს იმდენად ორგანულად აზავებს თავის შემოქმედებაში, რომ მკითხველს საკუთარი მხატვრული სამყაროს ნაწილად, იდუმალის, საკრალურის თანამონაწილედ აქცევს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მოთხრობა „ჩემი წიგნი“, სადაც წარმართული და ქრისტიანული უპირისპირდება და ავსებს კიდეც ერთმანეთს.

მოთხრობებში ნათლად წარმოჩნდა რიტუალებისადმი გუდამაყრელთა განსაკუთრებული დამოკიდებულება, ტრადიციის ერთგულ გუდამაყრელებს გარდაუვალი დაღუპვის შიშიც კი ვერ ახევინებს უკან და მთიდან დაქანებულ ზვავს პირისპირ ხვდებიან („თოვაში გასვენებული დღესასწაული“). მათი შეხედულებით, მკაფიოდ ჩამოყალიბებული რიტუალები, წესები არა მხოლოდ სულიერი, არამედ ეკონომიკური სიძლიერის გარანტი ხდება, ეს სულისკვეთება ასაზრდოებს მოთხრობებსაც.

3.2. ღვთისშვილთა საბრძანისი (მოთხრობა „ხთისშვილი“)

გოდერძი ჩოხელმა მოთხრობაში ,,ხთისშვილი'' ასახა ის ადათ-წესები და ტრადიციები, რომლებიც მთიან აღმოსავლეთსა და მათ შორის გუდამაყარშიც გვხვდება. მოქმედება იშლება მწერლის მშობლიურ სოფელ ჩოხში. ეს სოფელი ხალხის რწმენა-წარმოდგენით, წმინდა ადგილად ითვლებოდა. ამიტომაც ქალებს იქ მშობიარობა ეკრძალებოდათ. ავტორი ამ ტრადიციის შესახებ არაერთ ნაწარმოებში გვიყვება. ერთგვარი გულისტკივილითაც აღნიშნავს, რომ ეს წესი თოვლიანი მთებივით მკაცრია.

ტრადიციულად მელოგინე ტოვებს ქმრის სახლს და მამის სახლისაკენ მიეშურება ან სპეციალურად აშენებულ ბოსელში მშობიარობს, რომელიც ხშირად სოფლისაგან მოცილებულია. როგორც აღვნიშნეთ, სასტიკი წესებია მთიან აღმოსავლეთში, გაუმართლებელიც კი. რით იყო ნასაზრდოები ყოვლად გაუმართლებელი წესი და რიგი, არავინ იცის. ჩოხელი შეულამაზებლად ასახავს იმ წესებსა და ტრადიციებს, რომლებიც დღემდე ცოცხლობს მწერლის მშობლიურ კუთხეში. ყველა უსიტყვოდ ემორჩილება მამა-პაპათაგან

მიღებულ, დაცულ და გადმოცემულ წესსა და რიგს. მოთხრობის გმირი მამის სახლს მიღწევას ვეღარც ასწრებს და კლდის ძირას მშობიარობს.

მოთხრობაში სიღრმისეულად გამოვლინდა ხევისბერის ინსტიტუტის ძალა; გამოიკვეთა, რომ მას ებარა როგორც სასულიერო, ასევე საერო მმართველობა, ის ამწყალობებდა/ლოცავდა ახალდაბადებულებს, გვარს, სოფელს, ჯარს, წყვეტდა სადავო საკითხებს, ასე იყო აღმოსავლეთ მთიანეთის ყველა რეგიონში.

გოდერძი ჩოხელმა „ხთისშვილი“ ასახა უძველესი რწმენა-წარმოდგენებით ნასაზრდოები ტრადიციები და რიტუალები, რომლებიც ქრისტიანულ რელიგიასთან ერთად თანაარსებობს, გამოიკვეთა, რომ ახალი (ქრისტიანული) და ძველი (წარმართული) რელიგია გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში ერთმანეთთან მორიგებულან, რადგან თითქმის თანაბარი პოზიციით ფიგურირებენ მთიანი აღმოსავლეთის მოსახლეობის ყოფაცხოვრებაშიც და ჩოხელის ტექსტებშიც. არაამქვეყნიურ, ნათელშემოსილ ზოსიმეს ავტორმა საბოლოო ნავთსაყუდლად უფლის ტახტი - ცა განუჩინა, რითაც მიგვანიშნა, რომ რჩეულთა, ანუ ხთისშვილთა სამკვიდრო მხოლოდ ცაშია, სადაც ანგელოზთა დასი სახლობს.

ქართული მითოლოგიის გმირების კოპალს, იახსარის და კარატის დარად, ზოსიმე ღვთაებრივ ძალას ყრმობიდანვე ავლენს, ზეცისკენ ისწრაფვის, რათა ანგელოსთა დასს შეუერთდეს. მწერალი ცადამაღლებული ზოსიმეს ფონზე დედის ღრმა განცდებსაც გვიხატავს; ავტორი გვიჩვენებს, რომ ღვთისშვილთა საბრძანისი მხოლოდ საუფლოშია, ცაშია, ყრმა ზოსიმე კი რჩეულია და სწორედ იქ ჰპოვებს თავის ადგილსაც. სასწაული უძველესი რწმენა-წარმოდგენებით ნასაზროდები რიტუალის ფონზე ხდება, მას ერწყმის ქრისტანული რიტუალებიც, ამ შემთხვევაში ნათლად წარმოჩინდება გუდამაყრელთა დამოკიდებულება ორი სარწმუნოების მიმართ.

3.3. წმინდა გიორგის კულტი, ძველი და ახალი აღთქმის კონცეპტები (მოთხრობა „გაცოცხლებული მიცვალებული“)

ავტორი არაერთ ნაწარმოებში გვიყვება ჩოხში არსებულ ტრადიციებზე, ამ მოთხრობაშიც ძალუმად იგრძნობა მშობლიური კუთხის სიყვარული, სიუჟეტი ვითარდება გუდამაყრის გამორჩეული შვილის, ჩოხელი ბერას გარშემო. მის პატივსაცემად დღესაც მღერიან და აბამენ ფერხისას. მიცვალებული ბერას „მეორედ მოსვლა“ ჩოხში არსებული

წეს-ჩვეულებების მოდიფიცირებას, დრომოჭმულისა და რეგრესულის უარყოფას ემსახურება. გმირ ბერას საიქიოში შესვლის უფლებას სწორედ ტრადიციითა და წეს-ჩვეულებებით ჩადენილი საქმეები არ აძლევს.

გამოიკვეთა, რომ აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობა განსაკუთრებულ პატივს მიაგებს წმინდა გიორგის, წმინდანის სახელზე ყველა სოფელში დგას სალოცავი, გუდამაყრელები წმინდა გიორგის თავიანთ მფარველად და შემწედ მიიჩნევენ, მას მიმართავენ გაჭირვებასა თუ სიხარულში. სხვა რელიგიურ დღესასწაულებთან ერთად გიორგობასაც თავისებური რიტუალებით ხვდებიან, რომლებიც წარმართულისა და ქრისტიანულის ერთგვარ კომბინაციას წარმოადგენს. ისე ერწყმის ეს ორი ტრადიცია ერთმანეთს, რომ ხშირად ჭირს ერთმანეთისაგან გამიჯნო ის წესები და რიტუალები, რომლებიც მათ შორის ზღვარს დააწესებს. იმქვეყნიდან დაბრუნებულმა ბერამ სააქაოში თანასოფლელებს ქრისტიანული მცნებები შეახსენა, „კაი ყმის“ უმთავრეს კრიტერიუმადაც კი პატიება დასახა, ჩადენილი „ვაჟაკაცური„ საქმეების მონანიებით, სულიერი კათარზისი განიცადა და სულეთის ქვეყნისაკენ დამშვიდებული და განწმენდილი წავიდა. ამგვარად შემოინახა მთიანმა გუდამაყარმა გმირის იდეალი, რომლის სახეც სიღრმისეულულად წარმოჩნდა მოთხრობაში „გაცოცხლებული მიცვალებული“.

წმინდა გიორგი განსაკუთრებულია ჩოხლებისთვის, ის ყველა ჩოხელს მფარველობს, ამ უპირატესობის დემონსტრირების ნიშნად ჩოხელებს დაუწესებიათ „სუფრა უწვევარი და ქალი უთხოვარი“, რაც იმას ნიშნავდა, ჩოხელს შეეძლო დაპატიჟების გარეშე დაწვეოდა სუფრას, ხოლო თუ ქალი მოეწონებოდა, უარით ვერ გამოისტუმრებდნენ.

გოდერძი ჩოხელი გვიჩვენებს, რომ შურისძიების გზაზე მდგარ კაცს მომავალი არ აქვს, შურსძიების გზა ლაბირინთია, რომლიდანაც ჩოხელის გმირები ვერ გამოდიან, „მომგონეც“ არ რჩებათ, მათ სიკვდილში „იუდას ვერცხლი“ დომინირებს. გოდერძი ჩოხელი თავის კუთხის, გვარის თაყვანისმცემელია, რაც არაერთხელ დაუდასტურებია შემოქმედებასა თუ პირად საუბრებში, მიუხედავად ამისა, სწორედ ჩოხელთა გვარის წარმომადგენელი მოაქცია სულიერ ჩიხში, საიდანაც გამოსვლა საკმაოდ რთულია. პერსონაჟის სახეში შენივთდა და შესისხლორცდა უძველესი და ახალი რწმენა-წარმოდგენები. ბერასთვის ახალი სწავლება, ანუ ქრისტიანობა, მიუწვდომელი აღმოჩნდა. მის არსში წვდომას სიცოცხლეში ვერ ახერხებდა, ამოუცნობი ხმის გაშიფრვას კი მხოლოდ გაცოც-

ხლების შემდეგ ეზიარა; მთავარ სათქმელსაც სიმბოლურად აუწყებს არამარტო ჩოხელებს, არამედ კაცობრიობას. მან უარყო ხმა, რომელიც ბავშვობიდან შურისძიებისკენ უბიძგებდა. „ბიბლიურ მთაზე ძველი აღთქმის კანონებს კითხულობდა და შორიდან მოსდიოდა ხმა, რომელიც არ ესმოდა: მტერს ვალი არ შეარჩიონო, თვალი-თვალისა წილ, სისხლი-სისხლისა წილ, კბილი-კბილისა წილ. მტერს ვალი არ შეარჩინო!“ [ჩოხელი, 2010:118].

გოდერძი ჩოხელის პოზიციით, ცოდვა ამ ქვეყნად ჩადენისთანავე უნდა მოვინანიოთ, რადგან შესაძლოა სიკვდილი იმ დროს მოვიდეს, როცა არ ველოდებით და სასუფევლის კარზე მოგვიხდეს ლოდინი, გმირი ბერას მსგავსად.

საუკუნეების წინ დადგენილი ჩვეულება ჩოხელებისათვის დღესაც ცოცხალია და ისეთივე რიტუალებითაა წარმოდგენილი, როგორც უხსოვარ დროში. დღესაც ლოცულობენ ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავში. ბერას ანდერძს ნაყოფი გამოუღია, რიტუალი არ შეუცვლიათ, მაგრამ გვარის განმტკიცებისათვის ბრძოლის გეგმა, რაც ძალადობრივ ნიშნებს შეიცავდა, შეუცვლიათ: „იმის მერე შენდობას ეუბნებიან ბერას და მათ წინაპართა მიერ დახოცილ მტერთა სულებს“ [ჩოხელი, 2010:140].

საუკუნეების შემდგომ ,,გაცოცხლებულმა'' ბერამ სასტიკი მონათხრობით უარყო კაცთაკვლა, შური, ყოველგვარი ბოროტება, რაც უფლის გზას ააცდენს მორწმუნეს და სამოთხის კარებს დაუგმანავს. „ღმერთმა ნურასდროს შეგვაყენოს შურისძიების ეკლიან გზაზე“ [ჩოხელი, 2018:127] - ასეთია ავტორის მრწამსი.

მოთხრობაში სიღმისეულად გამოვლინდა შურის მანკიერი თვისება, მისი გამანადგურებელი ძალა მუდმივად იგრძნობა. „ღმერთმა ნურასოდეს შეგვაყენოს შურისძიების გზაზე“ - მწერალმა იცის, რომ ეს ბნელი გზა, არასდროს არ მიიყვანს ადამიანს ჭეშმარიტებამდე. მოთხრობაში კიდევ ერთხელ იკვეთება ჩოხელთა განსაკუთრებული დამოკიდებულება წმინდა გიორგისადმი. ამ დრომდე ზეიმობენ და აბამენ ფერხისას ბერას მოსაგონრად, ეს რიტუალი გიორგობაზე სრულდება, ძველისა და ახლის სინთეზი მკვეთრად წარმოჩინდება ამ მაგალითითაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1) აბაკელია ნინო, „მედეას მითოლოგიური სახის ინტერპრეტაციისათვის“, ეთ-ნოგრაფიული ძიებანი, გვ.3-17; თბ., 1988, გამომცემლობა „მეცნიერება“, 112 გვერ-დი;
2) აბაკელია ნინო, ალავერდაშვილი ქეთევან, ღამბაშიძე ნინო, „ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი“, თბ., 1991, გამომცემლობა „კრიალოსანი“, 144 გვერდი (3-144);
3) აბზიანიძე ზაზა, ელაშვილი ქეთევან, „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკ-ლოპედია“, ტომი I, (ა-მ)., თბ., 2006, გამომცემლობა: „ბაკმი“, 159 გვერდი;
4) აბზიანიძე ზაზა, ელაშვილი ქეთევან, „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკ-ლოპედია“, ტომი II, (ნ-ჰ)., თბ., 2007, გამომცემლობა: „ბაკმი“, 168 გვერდი;
5) ალიბეგაშვილი გიორგი, „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“, თბ., 1992, გამომცემლობა „განათლება“, 320 გვერდი;
6) არაბული ამირან, ვაჟა-ფშაველა, ქართველი მწერლები სკოლაში, 5 წიგნი.,
7) არაბული ამირან, „ვაჟკაცობისას ამბობენ“, თბ., 2011, გამომცემლობა „უნივერ-სალი“, 120 გვერდი;
8) არაბული ამირან, „მწუხარებამ მათქმევინა“, (გვ:137-139) ნინო ზედელაშვილის წიგნიდან „ნაწილიანი“, თბ., 2012, გამომცემლობა „საუნჯე“, 100 გვერდი;
9) არაბული ამირან, „სიტყვის სარკმელი“, თბ., 2021, გამომცემლობა „უნივერსალი“, 714 გვერდი;
10) ბარათაშვილი ნიკოლოზ, „თხზულებანი“, (წარკვევი) თბ., 1968, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 288 გვერდი;
11) ბარამიძე მაია, „ისევ ის დარდი მქონია გულში“, გვ: 118-124, წიგნიდან გოდერძი ჩოხელი, თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი V, თბ., 2012, გამომცემლობა „სა-ქართველოს მაცნე“, 528 გვერდი;
12) ბარდაველიძე ვერა, „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული სა-ზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები“, ტომი I, (ფშავი) თბ., 1974, გამომცემლობა „მეცნიერება“, 166 გვერდი;

13) ბარდაველიძე ვერა, „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივი საკულტო ძეგლები“, ტომი II1, „ხევსურეთი“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., 1982, გამომცემლობა „მეცნიერება“, 195 გვერდი;
14) ბარდაველიძე ვერა -110 „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული“, თბ., 2012, გამოცემლობა უნივერსალი, 385 გვერდი;
15) ბარდაველიძე ვერა, „ქართველი ხალხის სულიერი ყოფა და კულტურა“, (პროგრამა-კითხვარი), თბ., 1988, გამომცემლობა „მეცნიერება“, 128 გვერდი;
16) ბაქრაძე აკაკი, „სკოლას“, თბ., 2013, გამომცემლობა „ინტელექტი“, 460 გვერდი;
17) ბაქრაძე აკაკი, „რწმენა“ თბ., 1990, გამომცემლობა „მერანი“, 446 გვერდი;
18) ბებურიშვილი ლევან, „ეთიკური პრობლემატიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“, თბ., 2018, გამომცემლობა „მერიდიანი“, 240 გვერდი;
19) ბრეგაძე ლევან, ,,გოდერძი ჩოხელი“, „თხზულებანი ხუთ ტომად“, (ტომი V) „სამი ეტიუდი გოდერძი ჩოხელზე“, გვ: 271-282, თბ., 2012, გამოცემლობა „საქართველოს მაცნე“; 608 გვერდი;
20) ბიბლია, თბ., 1989, „საქართველოს საპატრიარქო“, 1216 გვერდი;
21) გამსახურდია ზვიად, „საქართველოს სულიერი მისია“, თბ., 1990, გამომცემლობა „განათლება“, 112 გვერდი;
22) გამსახურდია კონსტანტინე, „დიონისეს ღიმილი“, ტომი1, თბ., 2012, გამომცემლობა „პალიტრა L“, 480 გვერდი;
23) გამსახურდია კონსტანტინე, „მთვარის მოტაცება“, ტომი 2, კარი I, თბ., 2012, გამომცემლობა „პალიტრა L“, გვერდი 344;
24) გამსახურდია კონსტანტინე, „მთვარის მოტაცება“, ტომი 3, კარი II, თბ., 2012, გამომცემლობა „პალიტრა L“, 368 გვერდი;
25) გამსახურდია კონსტანტინე, „მთვარის მოტაცება“, ტომი 4, კარი III, თბ., 2012, გამომცემლობა „პალიტრა L“, 344 გვერდი;
26) გამსახურდია კონსტანტინე, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, ტომი 5, თბ., 2012, „პალიტრა L“, 488 გვერდი;

27) გამსახურდია კონსტანტინე, ნოველები, მოთხრობები, პროზა, ჩემი რჩეული, ტომი 6, თბ., 2012, გამომცემლობა „პალიტრა L“, 568 გვერდი;
28) გამსახურდია კონსტანტინე, ჩემი რჩეული, მოთხრობები, ნოველები, პროზა, ტომი 6, თბ., 2012, გამომცემლობა „პალიტრა L“, 568 გვერდი;
29) გამყრელიძე ბახვა, ,,ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები“, თბ., 1989, გამომცემლობა „მეცნიერება“104 გვერდი;
30) გარდაფხაძე-ქიქოძე ფაფალა, „ქართული ხალხური დღეობები“, (რაჭა-ლეჩხუმი), თბ., 1995, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო-საგამომცმლო გაერთიანება „მეცნიერება“, 97 გვერდი;
31) გაფრინდაშვილი ნანა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები, თბ., 2012, გამომცემლობა „მერიდიანი“, 320 გვერდი;
32) გელოვანი აკაკი, „მითოლოგიური ლექსიკონი“, თბ., 1988, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 719 გვერდი;
33) გვასალია ჯონდო, ,,არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები“, (საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული) 1976, ტ. 5;
34) დადუანი ლაზარე, ბესარიონ ნიჟარაძე, „სვანების რწმენა“, „მზიანი რწმენის საუფლო“, თბ., 2005, გვ: 245-251, გამომცემლობა „მერანი“, 608 გვერდი;
35) დიასამიძე ბიჭიკო, „ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში“, I-X საუკუნეები“, ბათუმი, 2001, „ ს.ს. გამომცემლობა აჭარა“, 368 გვერდი;
36) დოჩანაშვილი გურამ, „ის ჩვენში კვლავ გააგრძელებს სიცოცხლეს“, (გვ: 134-135), ნინო ზედელაშვილის წიგნიდან „ნაწილიანი“, თბ., 2012, „გამომცემლობა საუჯე“, 100 გვერდი;
37) დუმბაძე ნოდარ, „მოთხრობები“ ნაწილი I, თბ., 2011, გამომცემლობა „პალიტრა L“, 256 გვერდი;
38) გურული ვახტანგ, „ნუ გაახმობთ მხარზე ამოსულ ნაძვს“, „გოდერძი ჩოხელი“ (თხზულებანი ხუთ ტომად) ტომიV, გვ: 226- 230, თბ., 2012, 528 გვერდი;
39) გუჯეჟიანი როზეტა, „ისტორიის რეპრეზენტაციის ეთნოლოგიური ასპექტები“, (სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლი), თბ., 2017, 186 გვერდი;
40) ეთნოგრაფიული ძიებანი, (ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა კრებული), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის,

არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბ., 1988, გამომცემლობა „მეცნიერება“, 112 გვერდი;

41) ელანიძე ვალერიან, „წოვა-თუშების საკითხისათვის“, თელავი, 1990, „საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თელავის სტამბა,“ 34 გვერდი;

42) ერიაშვილი ჟუჟუნა, „უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში“, თბ., 1982, გამომცემლობა „მეცნიერება“,199 გვერდი;

43) ვაჟა - ფშაველა, „თხზულებანი“ თბ., 1986, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 384 გვერდი;

44) ვაჟა- ფშაველა, პუბლიცისტური და ეთნოგარფიული წერილები, ტომი IX, თბ., 1964, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, გვერდი 496;

45) ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი X, კორესპონდენციები პუბლიცისტური წერილები სხვადასხვა დამატებანი, თბ., 1964, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, გვერდი 477;

46) ვირსალაძე ელენე, „ქართული საგაზაფხულო-საფერხულო პოეზია“, „ქართული ფოლკლორი“, მასალები და გამოკვლევები, III, ეძღვნება საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ მიხეილ იასონის ძე ჩიქოვანს, დაბადების სამოცი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცი წლისთავზე, თბ., 1969, გამომცემლობა „მეცნიერება“, 384 გვერდი,

47) ზედელაშვილი ნინო, „ნაწილიანი“, თბ., 2012, გამომცემლობა „საუნჯე“, 400 გვერდი;

48) თათარაშვილი თეიმურაზ (დეკანოზი), „რელიგიების ისტორია“, თბ., 2018, გამომცემლობა შპს „სვეტი“,508 გვერდი;

49) თეთრუაშვილი ლეილა, „ვაჟა-ფშაველასა და გოეთეს იდეურ-მსოფმხედველობრივი ურთიერთობისათვის“, თბ., 1982, გამომცემლობა „მეცნიერება“,126 გვერდი;

50) თვარაძე რევაზ, „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“,თბ., 1985, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 304 გვერდი;

51) ითონიშვილი ვახტანგ, „არაგვის ხეობა“, (მთის კუთხეების ლოკალიზაციისა და ეთნონიმიკის საკითხები), თბ., 1986, გამომცემლობა „მეცნიერება“,168 გვერდი;

52) იარაჯული ლალი, „სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკური საზრისი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“, თელავი, 2017, 172 გვერდი; (სადისერტაციო ნაშრომი)

53) ითონიშვილი ვახტანგ, „ნარკვევი ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან“, თბ., 2003, გამომცემლობა „მემატიანე“ 325 გვერდი;

54) ითონიშვილი ვახტანგ, „ნარკვევი ქართული ქრისტიანობის ისტორიიდან“, თბ., 2003, გამომცემლობა „ნეკერი“,92 გვერდი;

55) ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VI, თბ., 2004, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მემატიანე“ 433 გვერდი;

56) კიკნაძე ზურაბ, „ქართული მითოლოგია I“, „ჯვარი და საყმო“., (გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ფოლკლორისა და მითოლოგიის სერია #1), ქუთაისი., 1996, გამომც: ,,ნეკერი“;

36) კვაჭანტირაძე მანანა, „გოდერძი ჩოხელი“, „თხზულებანი ხუთ ტომად“, (ტომი V) „ბრჭყალით ვუპყრივარ სევდასა“, გვ: 317:330., თბ., 2012, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“; 608 გვერდი;

57) კიკნაძე ზურაბ, „საუბრები ბიბლიაზე“, თბ., 1989, გამომცემლობა „მეცნიერება, 192 გვერდი;

58) კიკნაძე ზურაბ, „შუამდინარული მითოლოგია“, თბ., 1976, გამომცემლობა „მეცნიერება“, 242 გვერდი;

59) კოტეტიშვილი ნანა, ხორნაული ნათია, ხორნაული გიგი, „მზიანი რწმენის საუფლო“, თბ., გამომცემლობა „მერანი“, 2005, 608 გვერდი;

60) კაპანაძე ნათელა, „ბავშვის აღზრდის ხალხური სისტემა“, (ქართულ ეთნოლოგიასა და ფოლკლორში), თბ., 2020, გამომცემლობა „საჩინო“ 363 გვერდი;

61) კადარე ისმაილ, „გახლეჩილი აპრილი“, თბ., 2017, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 225 გვერდი;

62) კუცია ნანა, „რო არა ეს ყვავილი..“, ,,გოდერძი ჩოხელი თხზულებანი ხუთ ტომად., (ტომი V) გვ: 257-272, თბ., 2012, გამომცემლობა. „საქართველოს მაცნე“, 528 გვერდი;

63) კუცია ნანა, „სათაური - ხატი ჟამისა“ (მგლის პარადიგმისათვის გოდერძი ჩოხელის რომანში „მგელი“), „გოდერძი ჩოხელი თხზულებანი ხუთ ტომად., (ტომი V) გვ: 240-256, თბ., 2012, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 528 გვერდი;
64) ლეონიძე გიორგი, „ნატვრის ხე“, „მოთხრობები“, ქართული პროზის საგანძური, თბ., 2011, გამომცემლობა „პალიტრა L“, 304 გვერდი;
65) ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, თბ., 1995, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, 399 გვერდი;
66) მაკალათია სერგი, „მთიულ-გუდამაყრელთა რწმენა“, „მზიანი რწმენის საუფლო“., თბ., 2005, გვ: 158-177; გამომცემლობა „მერანი“; 608 გვერდი;
67) მაკალათია სერგი, „ხევსურთა რწმენა“, „მზიანი რწმენის საუფლო“, თბ., 2005, გვ: 45-91; გამომცემლობა „მერანი“; 608 გვერდი;
68) მაკალათია სერგი, „მოხევეთა რწმენა“, „მზიანი რწმენის საუფლო“, თბ., 2005, გვ: 179-220, გამომცემლობა „მერანი“, გვერდი 608;
69) მახარაძე აპოლონ, „ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, II, თბ., 1955, „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 556 გვერდი;
70) კოტეტიშვილი ნანა, გიგი ხორნაული, „ფშაური წაწლობა და ხევსურული სწროფრობა“ თბ., 1998, გამომცემლობა „ინტელექტი“, 52 გვერდი;
71) მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIII, თბ., 1987, გამომცემლობა „მეცნიერება“ 295 გვერდი;
72) მთაწმინდელი გიორგი, „ცხორებაი იოვანესი და ეფთვიმესი“, „წიგნიდან ქართული ენა და ლიტერატურა“, (10) ავთანდილ არაბული, გიგინეიშვილი მანანა, გრიგოლაშვილი ლაურა, როდონაია ვახტანგ, თბ., 2012, გამომცემლობა „სწავლანი“, 390 გვერდი;
73) მიქელაძე მერაბ, „ქართველთა ეთნიკური სახელი არქაული რწმენა- წარმოდგენების შუქზე“, თბ., 2014, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 358 გვერდი; თბ., 1987, გამომცემლობა „მეცნიერება“, 295 გვერდი;
74) მურღულია გია, „საზრისები“ თბ., 2018, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 488 გვერდი;

75) მურღულია გია, „ცხოვრების საიდუმლო“, წიგნიდან „სიბრძნე მინიატურაში“, თბ., 2010, გამომცემლობა „ტრიასი“, 196 გვერდი;
76) ნადირაძე ელდარ, „მსოფლიოს რელიგიები“,თბ., 2008, გამომცემლობა „მერიდიანი“, 202 გვერდი;
77) ნათაძე ნოდარ, „ადამიანი ადამიანთა შორის“, თბ., 1979, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 149 გვერდი;
78) ნიშნიანიძე შოთა, „რჩეული“, თბ., 1984, გამომცემლობა „მერანი“, 464 გვერდი;
79) ნონეშვილი იოსებ, „თხზულებანი ორ ტომად“, ტომი I, თბ., გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 408 გვერდი;
80) ნაზღაიძე ნინო, „გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა“, თბილისი, 2021, 173 გვერდი“ (სადისერტაციო ნაშრომი)
81) ნიჟარაძე ბესარიონ, „წესები მიცვლებულზე სვანეთში“, „მზიანი რწმენის საუფლო“, თბ., 2005, გვ:252-271, გამომცემლობა: „მერანი“, 608 გვერდი;
82) ოჩიაური ალექსი, „ქართული ხალხური დღეობების კალენდარი“, ხევსურეთი, (არხოტის თემი), თბ., 1988, გამომცემლობა „მეცნიერება“, 212 გვერდი;
83) ოჩიაური ალექსი, „ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ (ფშავი), თბ., 1991, გამომცემლობა „მეცნიერება“, 305 გვერდი;
84) ოჩიაური თინათინ, „ხევსურეთი და ხევსურები“, თბ., 1977, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, გვერდი 136;
85) ორბელიანი სულხან-საბა, „სიბრძნე სიცრუისა“ (მოგზაურობა ევროპაში), თბ., 2013, გამომცემლობა „პალიტრა L“, 352 გვერდი;
86) ორბელიანი სულხან - საბა, („სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“) (ა-თ), ტომი 2, თბ., 2013, გამომცემლობა „პალიტრა L“, 440 გვერდი;
87) ორბელიანი სულხან - საბა, („სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“) (ი-ჟ), ტომი 3, თბ., 2013, გამომცემლობა „პალიტრა L“, 448 გვერდი;
88) ორბელიანი სულხან -საბა, („სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი“) (რ-ჩ), ტომი 4, თბ., 2013, გამომცემლობა „პალიტრა L“, 456 გვერდი;
89) ოჩიგავა მადლენა, გოდერძი ჩოხელის მხატვრულ ნაწარმოებთა ენისა და სტილის თავისებურებანი“, თბ., 2004, 160 გვერდი; (სადისერტაციო ნაშრომი)

90) რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 2016, გამომცემლობა „პალიტრა L“, 339 გვერდი;
91) საბინინი გობრონ (მიხაილ), (1882) „საქართველოს სამოთხე“, პეტერბურღი, 1882, 640 გვერდი;
92) სანაძე მანანა, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან - მირიანამდე)“, თბ., 2001, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 208 გვერდი;
93) საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები, შრომები VII, თბ., 2016, „თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა“,498 გვერდი;
94) სიგუა სოსო, ,,აღთქმული ქვეყნის ძიება“, თბ., 1984, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 384 გვერდი;
95) სირაძე რევაზ, „კულტურა და სახისმეტყველება“, თბ., 2008, გამომცემლობა „ინტელექტი“, 220 გვერდი;
96) სორდია ლუარა, „ანტიციპაცია XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“, თბ., 2011, გამომცემლობა „უნივერსალი“, გვერდი 304 გვერდი;
97) სორდია ლუარა, „გოდერძი ჩოხელის „მგელი“ (პრობლემატიკა და სახეები), თბ., 2009, გამომცემლობა „უნივერსალი“, 96 გვერდი;
98) ტურავა მარინა, „გარღვეული ლაბირინთი“, ლიტერატურული წერილები, ესეები, პორტრეტები, თბ., 2014, გამომცემლობა „მერიდიანი,“ 381 გვერდი;
99) ტურავა მარინა, „სიცოცხლე შვენობს შენითა“ (სიკვდილის პარადიგმა ქართულსა და უცხოურ მოდერნიზმში), თბ., 2012, გამომცემლობა „მერიდიანი,“ 301 გვერდი;
100) უელეკი რენე, უორენი ოსტინ, „ლიტერატურის თეორია“, თბ., 2010, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 533 გვერდი;
101) უიარაღო თეიმურაზ დეკანოზი, „რელიგიების ისტორია“, თბ., 2013, „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი“, 334 გვერდი;
102) უზნაძე დიმიტრი, „განწყობის ფსიქოლოგია“, თბ., გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 319 გვერდი;

103) ქართული მწერლობა, მროველი ლეონტი, „ცხოვრება მეფეთა“, გვ: 49-114, [ამბავი ქართლისაი], ტომი პირველი, (ტომი შეადგინეს მიხეილ ჩიქოვანმა და ნოდარ შამანაძემ), თბ., 1987, გამომცმლობა „ნაკადული“, 368 გვერდი;
104) ქართული ხალხური პოეზია, მითოლოგიური ლექსები, ნაკვეთი პირველი, ტომი პირველი, თბ., 1972, გამომცემლობა „მეცნიერება“, 424 გვერდი; ქრისტეს გზა, „ძველი აღთქმა“, წიგნი 2, (შედგენილია დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილისა და იაკობ გოგებაშვილის წიგნების მიხედვით) 2005, 252 გვერდი;
105) ქრისტეს გზა, „ძველი აღთქმა“, წიგნი 2, (შედგენილია დეკანოზ ნესტორ ყუბა-ნეიშვილისა და იაკობ გოგებაშვილის წიგნების მიხედვით) 2005, 252 გვერდი;
106) ჩოლოყაშვილი რუსუდან, „უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში“, თბ., 2004, გამომცემლობა „ნეკერი“, 198 გვერდი;
107) ჩოხელი გოდერძი, „ადამიანთა სევდა“, 2016, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 112 გვერდი;
108) ჩოხელი გოდერძი, (1989) ,,თევზის წერილები“, თბ.,1989, გამომცემლობა „საბ-ჭოთა საქართველო“, 384 გვერდი;
109) ჩოხელი გოდერძი, თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი I, თბ., გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ 508 გვერდი;
110) ჩოხელი გოდერძი, „მოთხრობები“, თბ., 2012, გამომცემლობა „პალიტრა L“, 272 გვერდი;
111) ჩოხელი გოდერძი, „მღვდლის ცოდვა“, 2016, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 256 გვერდი;
112) ჩოხელი გოდერძი, ოთხი რომანი, (ლიტერატურული პროექტი „ქართული პრო-ზის შედევრები), თბ., 2011, გამომცემლობა „ბაკმი“, 768 გვერდი;
113) ჩოხელი გოდერძი, „წითელი მგელი“, 2016, გამომცემლობა „საქართველოს მაც-ნე“, 272 გვერდი;
114) ჩოხელი გოდერძი, „სულეთის კიდობანი“, თბ., 2016, გამომცემლობა „საქარ-თველოს მაცნე“, 144 გვერდი;
115) ჩოხელი გოდერძი, თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი V, თბ., 2012, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 528 გვერდი;

116) ჩოხელი გოდერძი, „ჩემი წიგნი“, მოთხრობები, („ქართული პროზის საგანძური“), თბ., 2010, 320 გვერდი;

117) ჩოხელი გოდერძი, „ხატად ქცეული კაცი“, 2023, გამომცემლობა „ქართული“, 208 გვერდი;

118) ჩხენკელი თამაზ, „ალუდა ქეთელაურის ვნებანი“, წიგნიდან ტრაგიკული ნიღბები, თბ., გამომცემლობა „მემკვიდრეობა“, 304 გვერდი;

119) ჩხენკელი თამაზ, ვაჟა-ფშაველა, პოემები, ქართველი მწერლები სკოლაში, წიგნი 5,II, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“,328 გვერდი;

120) ჩხენკელი თამაზ, ,,მშვენიერი მძლევარი“, თბ., 1989, გამომცემლობა „მერიდიანი“, 448 გვერდი,

121) ცისკარიძე ვლადიმერ, „უახლოესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები“, თბ., 1972, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 427 გვერდი;

122) ცოცანიძე გიორგი „მზებუდობა“, „მზიანი რწმენის საუფლო“, გვ: 94-128, თბ., 2005, გამომცემლობა „მერანი“, 608 გვერდი;

123) „ცისფერყანწელები“ 100 ლექსი, (შემდგენელი მაია ჯალიაშვილი), თბ., 2007, გამომცემლობა „ინტელექტი“, 168 გვერდი;

124) ცოცანიძე გიორგი, „გიორგობიდან გიორგობამდე“(ეთნოგრაფიული ექსკურსი თუშეთის ახლო წარსულში), თბ., 1990, გამომცემლობა „მეცნიერება“,265 გვერდი;

125) ქართული ზეპირსიტყვიერების საგანძური, „თქმულება და ეპოსი“, 1, (შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო თეიმურაზ ქურდოვანიძემ), 2013, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 344 გვერდი;

126) ქისტაური გელა, „წარმართული რელიქტი V-X საუკუნეების ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობასა და ხალხურ ქრისტიანობაში“, თბ., 2014, გამომცემლობა „უნივერსალი“, 234 გვერდი;

127) ქისტაური გელა, „მთიულეთის სინკრეტული რელიგიის ისტორიულ-ეთნოლოგიური ნარკვევი“, (ცეცხლისჯვრის ისტორიულ-ეთნოლოგიური ასპექტები), თბ., 2021, გამომცემლობა „უნივერსალი“, 220 გვერდი;

128) ქიქოძე გერონტი, „წერილები ლიტერატურის, ფილოსოფიის, ესთეტიკისა და თეატრალური ხელოვნების საკითხებზე“, (რჩეული თხზულებანი), (სამ ტომად), ტომი II, თბ., 1964, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 464 გვერდი;

129) ქრესტომათიული კრიტიკა, XIX საუკუნე, თბ., 2003, გამომცემლობა „წყაროსთვალი“, 390 გვერდი;

130) ქრესტომათიული კრიტიკა, XIX საუკუნე, II, თბ., 2004, გამომცემლობა „წყაროსთვალი“, 396 გვერდი;

131) ღლონტი კახა, „წარმართულისა და ქრისტიანული ტრადიციების ასახვა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში“, ბათუმი, 2016, 184 გვერდი; (სადისერტაციო ნაშრომი)

132) ყაზბეგი ალექსანდრე, „ელგუჯა“, რომანი, მოთხრობები, „ქართული პროზის საგანძური“ (30), თბ., 2010, გამომცემლობა, „პალიტრა L“, 329 გვერდი;

133) ყუბანეიშვილი სოლომონ, „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“, თბ., 1961, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 338 გვერდი;

134) ჯავახიშვილი ივანე, (1979) „თხზულებანი თორმეტ ტომად“, „ქართული წარმართობა“ გვ: 78:187, ტომი 1, თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 464 გვერდი;

135) ჯავახიშვილი მიხეილ, „კვაჭი კვაჭანტირაძე“, რომანი I ნაწილი, ,,თეთრი საყელო“ რომანი, ,,ფინჯანი“ (ტომი 2) „ჩემი რჩეული“, თბ., 2011, გამომცემლობა „პალიტრა L“, 336 გვერდი;

136) ჯავახიშვილი მიხეილ, ქართველი მწერლები სკოლაში, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ სკოლაში, წიგნი10, I ნაწილი, თბ., 2010, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 227 გვერდი;

137) ჯიყაშვილი ლელა, „გუდამაყრელი იები“, „გოდერძი ჩოხელის მემუარები“, თბ., 2011, გამომცემლობა „პალიტრა L“, 200 გვერდი;

138) წიკლაური მაია, „გოდერძი ჩოხელი“, „ერისა და მთის შვილი“, თბ., 2016, გამომცემლობა „ბაკმი“ 239 გვერდი;

139) ჭავჭავაძე ილია, „თხზულებანი“ პოეზია, ტომი I, თბ., 1987, გამომცემლობა, „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“, 542 გვერდი;

140) ჭავჭავაძე ილია, „ოთარაანთ ქვრივი“, ქართული პროზის საგანძური, მოთხრობები, თბ., 2010, გამომცემლობა „პალიტრა L“, 320 გვერდი;

141) ჭავჭავაძე ილია, ლექსები, პოემები, თარგმანები, ჩემი რჩეული, ტომი 1, თბ., 2012, გამომცემლობა „პალიტრა L“, 280 გვერდი,

142) ჭელიძე ვახტანგ, „ძვირფასი სილუეტები“, თბ., 1989, გამომცემლობა „მერანი“, 577 გვერდი;

143) ჭილაძე თამაზ, „უკვდავების ათინათი“, (წერილები ესეები), თბ., 2014, გამომცემლობა „ინტელექტი“, 370 გვერდი.,

144) ჭილაია სერგი, „უახლესი ქართული მწერლობა“, თბ., 1975, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 504 გვერდი;

145) ჭელიძე ვახტანგ, „ძვირფასი სილუეტები“, თბ.,1989, გამომცემლობა „მერანი“, 577 გვერდი;

146) წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, (შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარი დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა), თბ., 1991, გამომცემლობა „არმაზი-89“, 400 გვერდი;

147) წულაძე აპოლონ, „გურულთა რწმენა“, „მზიანი რწმენის საუფლო“, თბ., 2005, გვ: 292-327, გმომცემლობა „მერანი“, 608 გვერდი;

148) წიკლაური მაია, ,,გოდერძი ჩოხელი-შემოქმედება საზღვრებს გარეშე“, 2010, გამომცემლობა „გიორელი“, 265 გვერდი;

149) წულეისკირი ნოდარ, ,,ბრძოლა სატანასთან“, თბ., 1990, გამომცემლობა „მერანი“ 432 გვერდი;

150) წოწონავა თენგიზ, ლიტერატურული ნაწარმოებები სკოლაში, XI, 2009, „საავტორო გამომცემლობა“, 376 გვერდი;

151) წოწონავა თენგიზ, ლიტერატურული ნაწარმოებები სკოლაში, X, 2009, „საავტორო გამომცემლობა“, 376 გვერდი;

152) წოწონავა თენგიზ, ლიტერატურული ნაწარმოებები სკოლაში, 1, XII, 2009, „საავტორო გამომცემლობა“, 292 გვერდი;

153) ხალხური „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“, წიგნიდან ქართული ენა და ლიტერატურა, 8, არაბული ავთანდილ, ნაკუდაშვილი ნინო, როდონაია ვახტანგ, ხუციშვილი მარინე, თბ., 2012, გამომცემლობა „სწავლანი“, 345 გვერდი;

154) ხორბალაძე გიორგი, „გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“ თბ., 2013, გვერდი143, (სადისერტაციო ნაშრომი);

155) ხორნაული გიგი, „ცხოვრება ვაჟა ფშაველასი“, თბ., „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, (დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“), 469 გვერდი;

156) ხორნაული გიგი, „წყლის კულტი“, „მზიანი რწმენის საუფლო“, თბ, 2005, გვ: 41-43, გამომცემლობა: „მერანი“, 608 გვერდი;

157) ანთაძე მაყვალა, „გოდერძი და გუდამაყრიდან დანახული სამყარო“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია, გვ:55-66, თბ., 2022, 234 გვერდი;

158) ანთაძე მაყვალა, „წარმართული რიტუალის „ჩიტთა ფაფაობის“ ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“, გვ: 41:44, „საქართველოს ბიბლიოთეკა“, #1, (90), 2023, 64 გვერდი;

159) ანთაძე მაყვალა, „თაგვუქმობის“ წარმართული რიტუალის ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში“, გვ:37-40, „საქართველოს ბიბლიოთეკა“, #2, (91), 2023, 64 გვერდი,

160) *ანთაძე მაყვალა, ხთისშვილთა საბრძანისი (გოდერძი ჩოხელის* მოთხრობა „ხთისშვილის“ *მიხედვით),*

https://drive.google.com/file/d/1h4tnoXolBggIXEVyUr06qQtVxyvYFPCX/view?usp=sharing;

161) წიფურია ბელა, „გოდერძი ჩოხელის მაგიური რეალობა“, (გადამოწმებულია 02.12.2023),

https://literature.iliauni.edu.ge/rubrika/1872/;

162) მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე „ქისტების გამაჰმადიანება“ (გადამოწმებულია 02.12.2023),

https://iberiana.wordpress.com/caucasus/japaridze/;

163) ხასო ხანგოშვილი, „ქისტების ადათ-წესები“ (გადამოწმებულია 02.12.2023),

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/305827/1/Qistebis_Adat_Cesebi.pdf ;

164) კაციტაძე კახა, „ნადირობის ფენემოლოგია“ (გადამოწმებულია 02.12.2023),

http://saunje.ge/index.php?id=744&lang=ka;

165) ჩხაიძე ეკა, „მგელთან დაკავშირებული რწმენა წარმოდგენები“ (გადამოწმებულია 02.12.2023),

http://www.saunje.ge/index.php?id=2022;

166) ანთელავა ნუგზარ, „კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები“ (გადამოწმებულია 02.12.2023),

https://historyoftruso.sangu.edu.ge/wp-content/uploads/2021/03/anthelava-mithebi-da-ritualebi.pdf ;

167) „ღვთისმშობლის შობა იყო დასაწყისი კაცობრიობის დასაწყისისა“ (გადამოწმებულია 02.12.2023),
http://karibche.ambebi.ge/tsminda-tserili/dzveli-aghthqma/7046-ghvthismshoblis-shoba-iyo-dasatsyisi-kacobriobis-;
168) ათი მცნების განმარტება - (გადამოწმებულია 02.12.2023),
https://martlmadidebloba.ge/ganmarteba4_mecxre-mcneba.html;
169) თუ მთა არ მიდის მუჰამედთან, მაშინ მუჰამედი მივა მთასთან (გადამოწმებულია 02.12.2023),
https://rb.gy/7i1p93;
170) მგელი, როგორც სოლარული სიმბოლო
(გადამოწმებულია 02.12.2023),
https://rb.gy/onif67;
171) მირჩა ელიადე „მითის ასპექტები“ (ფრანგულიდან თარგმნეს ბ. ბაქრაძემ და ბ. წვერავამ) თბ., 2009, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი" (გადამოწმებულია 02.12.2023),
https://shorturl.at/ekIR8;
172) რომულისი და რემუსი - ისტორია და მითოლოგია
(გადამოწმებულია 02.12.2023),
https://avareurgente.com/ka/romulusi-da-remusi-istoria-da-mitologia;
173) მაია ჯალიაშვილი, „კაცი ყვავილით მგლების რკალიდან“
(გადამოწმებულია 02.12.2023),
https://maiajaliashvili.blogspot.com/2011/01/blog-post_30.html;
174) არგონავტების მითი
(გადამოწმებულია 02.12.2023),
https://helloblog.ge/story/Argonavtebis-miti;
175) ღვთისშვილი
(გადამოწმებულია 02.12.2023);
https://rb.gy/2le20g.